

ჯეპალ სტიჟნაჲ



მეფეთ-მეფე გიორგი მესამე

II გამოცემა

შესწორებებით და დამატებებით

თბილისი
1999

63. 3(2Г)

947. 922

ს 837



ნაშრომში განხილულია XII საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის, მეფე გიორგი მესამის (1156-1184 წწ.) ცხოვრება და საქმიანობა.

წიგნი პირველად 1995 წელს დაიბეჭდა, მაგრამ რაკი მცირე რაოდენობით (სულ 200 ცალი) გამოვიდა და მასზე მოთხოვნა დღესაც დიდია, ავტორი მას მეორედ ბეჭდავს.

სხვადასხვა ენაზე არსებული წყაროების საფუძველზე გამოკვლევაში მოთხრობილია გიორგისა და მის უფროს ძმას, დავითს, შორის არსებულ დაპირისპირებაზე, გიორგის მიერ მის გზიდან ჩამოცილებაზე, გამეფებაზე, გატარებულ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე. დიდი ყურადღება ეთმობა მის წინააღმდეგ აჯანყებული დემნა უფლისწულის საქმიანობის შეფასებას.

პირველი გამოცემისაგან განსხვავებით, ახალ გამოცემას თან ერთვის დამატებები. მათში შეტანილია ავტორის ის წერილები, რომლებიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა და, ამა თუ იმ კუთხით, გიორგი შესამეს ეხებიან.

წიგნი გათვალისწინებულია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

რედაქტორი


ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
მ. გონიკიშვილი

რეცენზენტი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
გ. პაპაშვილი

სპეგ-2000
შეგოწმებულია

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვარძია, თამარ მეფე და ვიორჯი III.

Вардзиа. Царица Тамар и Георгий III.

ამ წიგნის პირველი გამოცემა 1995 წელს განხორციელდა, მაგრამ ისე მცირე რაოდენობით დაისტამბა (სულ 200 ცალი), რომ ჩქარა ძნელი საშოვარი გახდა. ჩემთვის ცნობილია, რომ ბევრმა სპეციალისტმა მისი შექმნაც ვერ მოასწრო. ვითვალისწინებთ, რომ მკითხველმა წიგნი გულთბილად მიიღო, თანაც მოთხოვნილება მასზე ჯერ კიდევ დიდია, ეკადნიერდებით და ხელმეორედ ვცემთ.

ახალ გამოცემაში ნაშრომმა ზოგიერთი ცვლილება განიცადა: დაიხვეწა ენობრივი თვალსაზრისით, გასწორდა ბეჭდვის დროს უნებლიედ გაპარული შეცდომები, შეიკვეცა ან, პირიქით, გადიდდა ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობები, მიეთითა გამორჩენილი ან წიგნის გამოსვლის შემდეგ გამოქვეყნებული საჭირო გამოკვლევები და ა. შ. მაგრამ წიგნის უმთავრესი ცვლილება მისი დანართებია.

ჩემი ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებს არაერთი ნაშრომი მიეუძღვნა. ცხადია, ვერც გიორგი მესამის გრანდიოზულ ფიგურას აუზარე გვერდი. მისი სამხედრო საქმიანობა, ტახტისათვის ბრძოლა, ოჯახური ვითარება თუ სხვა, ცალკეულ ნაშრომებში გავაშუქე. ეს გამოკვლევები სხვადასხვა დროს იწერებოდა და განსხვავებულ ჟურნალებსა, კრებულებსა თუ გაზეთებში ქვეყნდებოდა. ახლა, რაკი ამ წიგნის ხელმეორედ გამოცემის საშუალება მომეცა, მისთვის სტატიების თანდართვაც საჭიროდ ვცანი. ვფიქრობთ, წიგნი ამით არაფერს წააგებს, პირიქით, მკითხველს საშუალება მიეცემა, მეტი სრულყოფილებით წარმოიდგინოს ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწის, გიორგი მესამის სახე.

წიგნს დაერთვის შემდეგი წერილები:

1. აფრიდონ მსახურთუხუცესის სოციალური წარმოშობისა და აღზევების შესახებ.
2. თამარის მამიდა რუსუდანი.
3. ისტორიული რომანი და ისტორია (გ. ვერმიშევის რომანის „ამირსპასალარის“ გამო).
4. რუსუდანი – თამარის და.
5. გიორგი მესამის წერილი ათაბაგ ილ-დევგიზისადმი.
6. მართლა გაითქვიფნენ ყიფჩაყები ქართველებში?

დანართებში შესულ ნაშრომებში რაიმე ცვლილება არ შეგვიტანია და თითოეული ისე იბეჭდება, როგორც თავის დროზე დაისტამბა. მათში წყაროებისა და ლიტერატურის მითითების სხვადასხვა წესის ხმარებაც ამით არის გამოწვეული. რაკი დანართებმა საკმაო ადგილი დაიკავა და მნიშვნელოვანი საკითხებიც მოიცვა, მკითხველისათვის საქმის გაიოლების მიზნით, საჭიროდ ვცანით საძიებლებში მათში ნახმარი პირთა თუ გეოგრაფიულ სახელთა გათვალისწინებაც.

გიორგი მესამე იმ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა გარეშე ჩვენი სამშობლოს ისტორია წარმოუდგენელია. იგი XII საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე თავისებური პიროვნებაა და დავით აღმაშენებელთან, დემეტრე პირველთან და თამართან ერთად ჩვენი ხალხის ამ ყველაზე საამაყო საუკუნის შემოქმედთაგანია.

გიორგი მესამე გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. საკმარისია ითქვას, რომ 1156-1184 წლებში, საქართველოს მეფედ ყოფნისას, ქვეყანას უნარიანად მიუძღოდა ნარ-ეკლიან გზებზე. საქართველოს მიწა-წყლის ასაოხრებლად მოსული რამდენი მტერი მოიგერია და ცხრამთას იქით განდევნა? რამდენჯერ თვითონ მიუხტა მოწინააღმდეგეს და ჩვენს ქვეყანაზე ლაშქრობის სურვილი წაართვა? მისი შიშით ყველა მოწინააღმდეგე თრთოდა. ამას გვატყობინებენ არაბი, სომეხი თუ ქართველი მემკვიდრეები.

სამშობლოს საზღვრების მტკიცედ დაცვის გარდა, გიორგი მესამე ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის საქმესაც დიდად უწყობდა ხელს. მისი ყოველი ლაშქრობა საერთაშორისო საეკონომიკური გზებისა და ქალაქების ხელთგდების სურვილით იყო განპირობებული. იგი მფარველობდა აგრეთვე საშინაო ბაზრის განვითარებასაც. მისი დაუნდობელი ბრძოლა მპარაუ-შეკობრეებთან ამაზე ნათლად მეტყველებდა. გიორგი მესამის მეფობა საქართველოს ფეოდალური მონარქიის სიძლიერის ხანა იყო. ამ დროისათვის საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს სახე დიდი ხნის ჩამოყალიბებულია. შექმნილია მისი უმთავრესი ინსტიტუტები: სამოხელეო აპარატი, ლაშქარი, პოლიცია და სხვ. ამ მხრივ გიორგი მესამეს ბევრი აღარაფერი ჰქონდა გასაკეთებელი. ჯერ დავით აღმაშენებელმა, შემდეგ - დემეტრე პირველმა ბევრი იღვაწეს ამ მხრივ. მიუხედავად ამისა, გიორგი მესამემ ამ საქმეშიც არაერთი სიახლე დაამკვიდრა. მარტო უგვაროთა დაწინაურების პოლიტიკა რად ღირს? დემნა უფლისწულის აჯანყებამ აშკარად აჩვენა მას, რომ დიდებულ, მაგრამ ორგულ აზნაურთა ჯგუფს ქვეყნისათვის დიდი უბედურების მოტანა შეუძლია. ამიტომ, სახელმწიფოსათვის უმჯობესია, თუ მათ ნაცვლად უგვარო, მაგრამ მეფის ერთგული პირები დაწინაურდებიან. ეს შეხედულება გიორგის პოლიტიკად იქცა და, ერთ ხანს, ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მოხელეთა სიამაც მის შესაბამისად იწყო შევსება. მაგრამ, ფეოდალურ საქართველოში, ამ პოლიტიკის სისრულით განხორციელება ანდა ხანგრძლივი დროით დამკვიდრება გამორიცხული იყო და დიდხანს ვერც იარსებდა. ამის მიუხედავად, გიორგის ეს ღონისძიება შემდეგ დროინდელი ქართველი მოღვაწეებისათვის სამაგალითოდ იქცა.



გიორგი სამშობლოს ერთიანობისათვის თავდადებული მებრძოლი იყო. ვაი მას, ვინც საქართველოს მიწა-წყლის დანაწილების აზრს გულში გაიფლებდა. იგი მრავალი ისეთი თვისებებით იყო დაჯილდოებული, მსოფლიო მნიშვნელობის მოღვაწეებისათვის რომ არის დამახასიათებელი: გონიერება, გაუტყეხლობა, ცბიერება...

სწორედ მსოფლიო რანგის მოღვაწედ წარმოუდგენია იგი მემატია-ნეს, როცა წერს: გიორგი იყო „ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და (დასავლეთისა), ჩრდილოთა და სამკრისა. სძლუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, (იერუსალიმს ალამანთანი, და პრომთანი, და პინდოთანი, და ხონელნი. და ეგრეთვე სულტანნი ხორასნისა, ბაბილონისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი კმონებდეს, და შემდგომნი ამათნი სკუთნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმშა, და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველნი ენანი და ნათესაენი მაშრიყით მადრიბამდე“-ო.

დამსახურების მიუხედავად, გიორგის ცხოვრება-მოღვაწეობა ჯერ-ჯერობით სათანადოდ არ არის შესწავლილი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მისთვის ჯერ ერთი მონოგრაფიაც არ მიუძღვნიათ. თუმცა ჩვენმა ცნობილმა მეცნიერებმა ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ს. კაკაბაძემ, ნ. ბერძენიშვილმა, შ. მესხიამ, მ. დუმბაძემ, გ. მელიქიშვილმა, მ. ლორთქიფანიძემ, რ. მეტრეველმა, შ. ბადრიძემ, ბ. სილაგაძემ, ლ. დავლიანიძემ, ლ. სანიკიძემ, მ. თოდუამ, გ. ჯაფარიძემ, პ. თოფურია და სხვებმა დიდი წვლილი შეიტანეს მისი ცხოვრების შესწავლის საქმეში. ჩამოთვლილ მკვლევართა ნაშრომთაგან საგანგებოდ მინდა გამოვეყო ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომი. დასახელებული წიგნის სათანადო გვერდებზე ვრცელი მსჯელობაა გამართული გიორგი მესამეზე. ავტორს განხილული აქვს მისი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა. თავის დროზე ივ. ჯავახიშვილის ეს ნარკვევი გიორგი მესამის შესახებ არსებულ მთელ ინფორმაციას შეიცავდა. მნიშვნელოვანი ნაშრომია რ. მეტრეველის „შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში“ (გამოიცა 1973 წელს), რომლის 102-134 გვერდები, დასათაურებული „ორბელთა აჯანყებით“, მთლიანად გიორგი მესამის წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებას ეძღვნება. აღსანიშნავია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მესამე ტომში შესული ერთ-ერთი თავი – „საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე“. თავის ავტორს, მ. ლორთქიფანიძეს ვრცლად აქვს მიმოხილული გიორგი მესამის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ადრიდანვე ცნობილი წყაროების, ლიტერატურისა და სამეცნიერო ბრუნვაში ახლად შემოსული ზოგიერთი მასალის მონაცემების საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად ეცანით გიორგი მესამის ცხოვრება-მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლა. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად შეეასრულეთ დასახული ამოცანა, მაგრამ ცდა არ დაგვიკლია.



როგორც ყოველი პირველი საქმე, ალბათ, არც ჩვენი მონეგრავალი იქნება ნაკლისაგან დაზღვეული. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ გროგორც მესამის თემას მომავალშიც არაერთხელ მიუვებრუნდებით და შემჩნეულ ნაკლსაც გაეასწორებთ.

ბოლოს, მინდა მადლობა გადაუხადო თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორს დოცენტ ფელიქს ჩიტიაშვილს იმ დახმარებისათვის, რომელიც მან ამ წიგნის გამოცემის საქმეში აღმომიჩინა. ამ კეთილშობილმა ადამიანმა ჩემი ნაშრომი უანგაროდ დაბეჭდა საკუთარ გამომცემლობაში.

ავტორი

1995 წელი

გიორგი მესამის ოჯახური გარემო

გიორგი მესამე დაახლოებით 1117-1118 წლებში უნდა დაბადებულიყო. დაახლოებით, — იმიტომ ვამბობთ, რომ მისი ცხოვრების ბევრი წერილმანი და მათ შორის დაბადების წელიც ჩვენთვის უცნობია. უცნობია ისტორიის ისეთი დიდი მესაიდუმლესათვისაც, როგორიც იყო ივ. ჯავახიშვილი. ჩვენს მიერ დასახელებული მიახლოებითი თარიღი კი უბრალო ანგარიშს ემყარება. ვიცით, რომ გიორგის მამა დემეტრე პირველი 1093 წელს დაიბადა. დაუშვათ, დემეტრე ოცი წლის ასაკში დაქორწინდა. ეს იქნებოდა 1113 წელი. მაშინ, პირველი შვილი დაახლოებით 1115 წელს შეეძინებოდა. ცნობილია, რომ დემეტრეს უფროსი შვილი დავითი იყო. გიორგი კი, ჩვენი გამოკვლევების მთავარი გმირი, რიგით მეორე შვილი გახლდათ. სწორედ ამიტომ ვიღებთ გიორგის დაბადების სავარაუდო თარიღად 1117-1118 წლებს. თარიღის ასე დადგენა საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას არ ნიშნავს, მაგრამ დასაშვებია და ჩვენც იმიტომ ვთავაზობთ მკითხველს.

გიორგის მამა, დემეტრე პირველი, XII საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი სახელმწიფო და კულტურული მოღვაწე იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი დავით აღმაშენებლის მემკვიდრე გახლდათ და ოცდათერთმეტი წელი მართავდა ქვეყანას (1125-1156 წწ.). ამას გარდა მშვენიერი ლექსების ავტორიც იყო. სწორედ მის კალამს ეკუთვნის საქვეყნოდ აღიარებული ჰიმნი „შენ ხარ ვენახი“. თავის დროზე ჩვენ დემეტრე პირველის ცხოვრებამოღვაწეობას საგანგებო წიგნი მიუძღვევით (1) და ამიტომ ახლა მასზე ვრცლად არ ვილაპარაკებთ. თუმცა იმასაც ვიტყვით, რომ წინამდებარე ნაშრომის შემდგომ ფურცლებზე არაერთხელ დაგვჭირდება მისი მოხსენიება სხვადასხვა საკითხების გასაშუქებლად.

სამწუხაროდ, გიორგი მესამის დედის ვინაობა გაურკვეველია. არც არის იმედი, რომ ისტორიკოსებმა ოდესმე შესძლონ ამ ადამიანის პიროვნების დადგენა. ჩვენი ძველი მემკვიდრეები ისეთ საჭი-



რო საკითხებს არ იწერდნენ, რომ დღეს მკვლევარნი სახტადიკრწი
 ბით. ამიტომ, იძულებული ვართ, ისეთი გამოანგარიშებანი ვაწარ-
 მოთ, გიორგის დაბადების თარიღთან დაკავშირებით რომ ჩავა-
 ტარეთ.

გიორგი მესამეს ერთი ძმა და სამი და ჰყავდა. ძმას დავითი
 ერქვა და გიორგიზე უფროსი იყო. დები კი უმცროსები ჩანან.
 1155-56 წელს დავითმა მამამისი დემეტრე ტახტიდან გადააგლო და
 თვითონ გამეფდა. მაგრამ ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა და
 ტახტი კვლავ დემეტრემ დაიკავა.

დავითსა და გიორგის შორის ძალზე დაძაბული ურთიერთობა
 არსებულა. საქმე იმაშია, რომ მეფე დემეტრეს ტახტის მემკვიდრედ
 დავითი კი არ აურჩევია, როგორც ამას წესი მოითხოვდა, არამედ
 უმცროსი ვაჟი გიორგი. მაგრამ, ეტყობა დავითი, როგორც უფროსი
 ვაჟი, თავის უფლებებს იცავდა და ამ საფუძველზე მამასაც და ძმა-
 საც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა. ერთი მხრივ, დემეტრესა
 და დავითს შორის, ხოლო მეორე მხრივ — დავითსა და გიორგის
 შორის ურთიერთობა წინამდებარე ნაშრომის უმთავრესი საკითხთა-
 განია. ქვემოთ ამაზე არაერთხელ შევჩერდებით, ახლა კი ლაპარაკს
 არ გავაგრძელებთ.

გიორგი III-ის ერთი და რუსუდანი ჯერ კიდევ ბავშვი იყო,
 ერაცისა და დასავლეთ ირანის სულთან ყიას ად-დინ მასუდზე რომ
 დაწინდეს, ხოლო დაახლოებით 1148 წელს კიდევ გააყოლეს მას.
 მაგრამ რუსუდანის მეუღლეს დიდხანს არ უცოცხლია. იგი 1152
 წელს გარდაიცვალა. მასუდს და რუსუდანს შვილი არ ჰყავდათ.

მასუდის გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი მისმა ძმამ სულაი-
 მან-შაჰმა ითხოვა. მაგრამ ქორწინების ღამეს სულაიმან-შაჰმა თავი-
 სი საცოლედ მიატოვა, რადგან მოულოდნელად შეიტყო, რომ მის
 წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა (2,95).

საქართველოში დაბრუნებულმა რუსუდანმა XIII საუკუნის
 დასაწყისამდე იცოცხლა და დიდი წვლილი შეიტანა ძმებისა და
 ძმისშვილების ცხოვრებაში (3,154-161).

გიორგის ორ სხვა დაზე მცირე ცნობებია შემორჩენილი. ვიცით
 მხოლოდ, რომ ერთ-ერთი კიევის მთავარ იზიასლავზე იყო გათხო-

ვილი, მეორე კი — დარუბანდის მეფეზე. დებს შორის უფროს-უმცროსობის დადგენა არ ხერხდება (2,154-161).

თვითონ გიორგი მესამეს ცოლად ჰყავდა ოსეთის ერთ-ერთი მეფის ხუდანის ქალიშვილი ბურდუხანი. ეს შეუღლება მეფე დემეტრეს თანხმობით მომხდარა, რის შესახებაც ცნობას გვაწვდის თამარის ხანის ერთ-ერთი ისტორიკოსი. მისი სიტყვით „ამას (ე. ი. გიორგის) თუსსა მეფობასა შინა მოჰგვარა ცოლი მამამან (ე. ი. დემეტრემ)“ (4,4). ამ ცნობაზე დარყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგი მესამე 1156 წლამდე ე. ი. მამის გარდაცვალებამდე დაქორწინებულა.

ბურდუხანი ლამაზი, სათნო, ჭკვიანი და სამართლიანი ქალი ყოფილა. მისი დადებითი თვისებებით აღფრთოვანებული თამარის კარის ისტორიკოსი ბურდუხანს ისტორიაში ცნობილ ქალებს ეკატერინეს, პენელოპის (ირინექმნილს) და თვით მარიამ განმანათლებელს ადარებს. ბურდუხანი დემნა უფლისწულის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1179¹ წელს გარდაიცვალა.

გიორგის და ბურდუხანს ერთი ქალიშვილი შეეძინათ. ეს იყო სილამაზით, ჭკუა-გონებით და კდემამოსილებით სახელგანთქმული თამარი. 1179 წელს მამამისმა იგი თანამოსაყდრედ გამოაცხადა. გიორგი მესამის გარდაცვალების (1184 წ.) შემდეგ კი თამარი ქვეყნის ერთმმართველი შეიქმნა.

სამწუხაროდ, ცნობილი არ არის ბურდუხან დედოფალმა გააჩინა და ვერ გაზარდა სხვა შვილი, თუ ღმერთმა ერთი აკმარა. სამაგიეროდ, მეორე მნიშვნელოვანი ამბავი ვიცით. მეფე გიორგის ცდა არ დაუკლია, რომ მემკვიდრე ვაჟი ჰყოლოდა. ამისათვის მას უკიდურესი ღონისძიებისათვისაც მიუმართავს. როდესაც ბურდუხან დედოფალმა ვაჟი ვერ გაუჩინა, გადააბიჯა ყოველგვარ ზნეობრივ ფარგლებს და ბედი სხვა ქალთან სცადა. მაგრამ აქაც ხელი მოეცარა — ხარჭის ხელშიც ქალიშვილი გაუჩნდა. რუსუდანი (ასე ერქვა ამ ქალიშვილს) გაიზარდა, დაქალდა და თამარის მეფობაში არზრუ-

¹ მკვლევარ ჯ. სამუშიას აზრით, გიორგი III-ს სამი ასული ჰყავდა: ორი კანონიერი — თამარი და რუსუდანი და ერთიც ხარჭისგან შენაძენი (იხ. ჯ. სამუშია, ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. წ. I, თბ., 1999, გვ. 184-186). დიდი სურვილის მიუხედავად, ახლა ამ საკითხზე მსჯელობას ვერ ვახერხებთ. იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში მას საგანგებოდ შევხვებით.

მის ანუ კარნუ-ქალაქის ამირას ვაჟის მუტაფრადინის მეუღლე გახდა (5,148-153).

თამარის მმართველობის ხანა – 1184-1213 წლები, საქართველოს სამეფოს ძლიერების მწვერვალად ითვლება. ამ დროს უკიდურესად გაფართოვდა ქვეყნის საზღვრები, აყვავდა სოფლის მეურნეობა, გაცხოველდა ვაჭრობა-ხელოსნობა, შეიქმნა კულტურის ბრწყინვალე ნიმუშები. თამარის, როგორც გონიერი მმართველის, სახელი თანდათან გასცდა საქართველოს ფარგლებს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს მოეფინა. ამ დიდებულ მოღვაწეს არც მაშინ და არც ახლა ისტორიკოსთა, პოეტთა თუ მხატვართა ყურადღება არ მოჰკლებია. მან საქმით დაიმსახურა ეს დიდი პატივი. ასე, რომ გიორგი მესამეს შეუძლია იქ ქვეყანაში გული დაიმშვიდოს – მისმა ქალიშვილმა, რომლის ვაჟობა, ალბათ, მრავალჯერ უნატრია, კაცურად იღვაწა, არც მამის სახელი შეარცხვინა და არც ქვეყნის.

პატარა გიორგის თვალწინ გაიარა დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლო წლებმა. მან, ჯერ კიდევ უსუსურმა, საკუთარი თვალით იხილა პაპამისის მიერ თბილისის აღება, სომხეთისა თუ შირვანის შემოერთებით გაამყებულ ქართველობა და ამ დიდი მეფის უდროოდ დაღუპვით ქვეყანას გადავლებული თალხი. მის თვალწინ მიდი-მოდიოდნენ დროადრო თბილისის მობრუნებული დავითის ასულები, შირვანსა, ბიზანტიასა და ოსეთში რომ იყვნენ დათხოვილნი. ერთ-ერთ მათგანთან – თამართან, შირვანის დედოფალთან, რომელიც ბოლოს საქართველოში მობრუნდა და თიღვის მონასტერში იყო მონაზვნად აღკვეცილი, მას გულთბილი ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა.

ისნის სამეფო სასახლეში ხვდებოდა იგი ზემოთჩამოთვლილ ნათესავებს, აქ ეცნობოდა უცხო ქვეყნებიდან მოსულ ულჩებს თუ ძალით მორეკილ ტყვეებს. ამ სასახლეში სწავლობდა ყოველგვარ სიბრძნეს თუ ცხოვრებაში თავის გასატან სხვადასხვა ხრიკებს. დროადრო განჯის კარისკენ მიმავალ გზას გაჰყურებდა, ზედ რომ ტაატი მთიზღაზნებოდნენ ათასნაირი სიმდიდრით ზურგდამძიმებული ჯორ-აქლემები. თვალს ადევნებდა მათ და იმ ქვეყნებზე ოცნე-

ბობდა, რომელთაც შემდეგ, დავაჟკაცებისას, ხმალშემართული ლინებოდა ხოლმე და შიშის ზარს სცემდა.

პატარა გიორგი, ალბათ, ალტაცებით შეჰყურებდა თბილისის სამეფო სასახლის კედლებს, ზედ რომ ციხე-სიმაგრების ალების, ბუმბერაზ მემართა შერკინების სურათები ეხატა. გამორიცხული არ არის, ერთ მშვენიერ დღეს გაჰპარვოდა თავის აღმზრდელს, შესულიყო იმ პალატაში, სადაც დავითის იარაღ-საჭურველი ეკიდა და სათითაოდ მოერგო ისინი. რომელ ბიჭს არ ამოუთეთრებია პაპისეული ხმალი ან ხანჯალი ქარქაშიდან, თუკი, რა თქმა უნდა, ასეთი რამ სახლში ეგულება.)

იზრდებოდა გიორგი, ეუფლებოდა ყველა იმ ცოდნას, მის ხანაში განათლებულ ადამიანს რომ მოეთხოვებოდა: ფილოსოფიას, ისტორიას, მათემატიკას, ასტრონომიას, უცხო ენებს და სხვ. რაც მთავარია, მამაკაცურ საქმეებს: მშვილდოსნობას, ფარიკაობას, ცხენოსნობას, ცურვას და სხვ.

იზრდებოდა, მაგრამ რაც ჭკუაში ვარდებოდა, თავის ბედის სიკეთეში თანდათან ეჭვი ეპარებოდა. ხედავდა, რომ ის მძლეთა-მძლე მემორები, შირვან-ადარბადაგანი რომ ხმალშემართულებს შემოევლოთ, ანისის კართან მტრები ემუსრათ, მისი ძმის, დავითის, დანახვაზე ქედს იდრეკდნენ და ისე ესალმებოდნენ მას. ეჩვენებოდა, რომ დავითის მოახლოვებისას ცად ატყორცნილი ციხე-კოშკებიც კი, წელში იხნიქებოდნენ. სანამ პატარა იყო, ვერ აეხსნა ამის მიზეზი, მერე და მერე კი, როცა საულვაშეზე ღინღლი გაუნდა, ყველაფერს მიხვდა — დავითს ამ ძალას ტახტის მემკვიდრეობა აძლევდა. გაივლიდა რამდენიმე წელი, დემეტრეს ადგილს დავითი დაიკავებდა და იმ ბუმბერაზ მებრძოლთა კრებულსაც ის წაუძღვებოდა ყველაზე ძლიერ ცხენზე ამხედრებული. მერე მის წინ გადაიშლებოდა მთელი ასპარეზი — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ოსეთიდან სპერამდე გადაშლილი მიწა. და, ალბათ, დადგა ისეთი დღე, როდესაც მას თავისი უფროსი ძმის ბედი შეეხარბა. „რატომ მას უნდა ერგოს ეს პატივი და მე არა? — იქნებ ათასჯერ კითხულობდა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ამას მიხვდა, იმ ხნისა იყო, ხმა-მაღლა ფიქრი რომ ეკრძალებოდათ. ჰოდა, ალბათ, დუმდა, სანამ

გულმა აღარ მოუთმინა და არ ამოსკდა: რით არის დავითი ჩემზე ღირსეული, იმიტომ ხომ არა, ცოტა ადრე რომ დაიბადა?

გიორგის ამ სულიერ აფეთქებაზე წყაროებს ცნობები არ დაუცავთ. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, იგი აუცილებლად იტყოდა ამ სიტყვებს.

გიორგი მეტად პატივმოყვარე კაცი ჩანს. ამას გარდა იგი შეუდრეკელი, ბედთან მებრძოლი და მისი მრავალჯერ დამმარცხებელია. ბევრი რამ, ბელს რომ ასე დაეწერა, მან ახლებურად დააწერინა. მაგრამ მისი ძმა იყო დავითიც — ისიც ხელისუფლების დიდი მოყვარე აღამიანი. უნებურად იკითხავს კაცი — ნეტავი, ვის დაემსგავსენო. დემეტრე — მათი მამა, დიდგორის ბრძოლის გმირი, უდრტვინველად ელოდა მამის გარდაცვალებას და ტახტის გათავისუფლებას. თუმცა დავითს ადრევე დაუდგა მისთვის თავზე გვირგვინი, მაგრამ მან თვალები დასწვა თავის ნახევარძმას — თორმეტი წლის ცვატას, როდესაც იგი, სხვებისაგან წაქეზებული, დემეტრეს ტახტიდან ჩამოგდებას ცდილობდა. დემეტრემ სიკვდილით დასაჯა ცვატას (იგივე ვახტანგი) ერთგული, მხედართმთავარი ივანე აბულეთის ძე. ამრიგად, სისხლიანი მაგალითები დემეტრეს ორივე ვაჟს ჰქონდა. მაგრამ მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს ერთი რამ: ტახტის მემკვიდრეობის საკითხი საქართველოში დიდი ხნის წინ იყო მოწესრიგებული — გარდაიცვლებოდა თუ არა მამა, ტახტზე მისი უფროსი ვაჟი ადიოდა. ეს წესი იყო და თუკი ვინმე ძალას არ იხმარდა და ამ ადათს არ დაარღვევდა, გართულება გამორიცხული იყო. მაშ, რას უქადდა ბაგრატიონთა გვარს უფლისწულ გიორგის სურვილი? რა თქმა უნდა, ძმათა შორის ომს, დიდ სისხლს. თუ ასეა, ერთხელ და სამუდამოდ დავემოთ იგი, როგორც პატივმოყვარე და გაუმართლებელი სისხლისმღვრელი! მაგრამ ნუ ავჩქარდებით. გიორგისაც თავისი სათქმელი აქვს. მასაც ვათქმევინოთ თავისი სიტყვა.

როგორც ითქვა, მეფე დემეტრეს ორი ვაჟი ჰყავდა - უფროსი დავითი და უმცროსი - გიორგი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქვეყნოდ აღიარებული წესის თანახმად, დემეტრეს შემდეგ საქართველოს ტახტზე დავითი უნდა დამჯდარიყო. რაც შეეხება გიორგის, იგი მთელი სიცოცხლე უფლისწულის პატივით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ვერც ის და ვერც მისი რომელიმე შთამომავალი მეფე ვერ გახდებოდა. როგორც უფლისწულს, სამეფო მამულიდან საგანგებო მიწა გამოეყოფოდა, რომელზედაც იგი თავის მეურნეობას მოაწყობდა და ასე გაატარებდა მთელ სიცოცხლეს. მას ყველა საქმეში შეეძლო თავის გამოჩენა, ოღონდ ტახტს ვერ დაუფულებოდა. თუმცა, თუ სამეფო ოჯახი (ამ შემთხვევაში დავითის) უმემკვიდრედ გადაშენდებოდა, მის მოდგმას მაინც ეძლეოდა მეფედ გახდომის შესაძლებლობა. აი, ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით რომ განვითარებულიყო, რა მომავალი ჰქონდათ დემეტრეს ვაჟებს. მაგრამ, ვიშორებ, ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით რომ განვითარებულიყო-მეთქი. სინამდვილეში მოვლენების განვითარებამ წესი და კანონი ყველას დაავიწყა.

1154-1155 წლებში დავითმა ტახტიდან გადააგდო მამამისი და დავით-გარეჯის უდაბნოში ბერად აღკვეცა. მამის შემდეგ საქართველოს ტახტი მან დაიკავა, მაგრამ გამეფებიდან ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა. მეფე დემეტრე მონასტრიდან გამოვიდა, ტახტი დაიბრუნა და გიორგიც თანამესაყდრედ გამოაცხადა. თუმცა მეფე დავითს საკუთარი მემკვიდრე დარჩა - უფლისწული დემნა, მაგრამ იგი არავის გახსენებია! ის წესი და კანონი, რომელზედაც ვლასპარაკობდით, ხუხულასავით დაინგრა. ყველაფერი ისე აირ-დაირია, მოვლენები ისე მიეწყო ერთმანეთს, რომ იმდროინდელ პატიოსან ქართველს მეორედ მოსვლა ეგონებოდა.

რა მოხდა, რატომ ატყდა ასეთი ორომტრიალი, განა ბედისაგან ყველაფერი განსაზღვრული არ იყო? - დემეტრეს მშვიდად უნდა დაესრულებინა თავისი სიცოცხლე, მის შემდეგ ტახტი დავითს უნდა დაეკავებინა და ასე გაგრძელებულიყო ცხოვრება. დემეტრე პირ-



ველი 1125 წლიდან ივდა სამეფო ტახტზე. 1154-1155 წლისათვის მას უკვე 29-30 წელი ჰქონდა ნამეფი. ისეთი რა მათუხსალომა შეატყო მამამისს უფლისწულმა დავითმა, რომ ტახტიდან გადაადლო? ან ექვსი თვის მეფობა რაღა იყო? უფრო მეტიც: დავითის სიკვდილის შემდეგ მისი ვაჟი დემნა იგივე დემეტრე კი არ გაამეფეს, არამედ მისი ძმა გიორგი. რატომ? ბედნიერება იქნებოდა, რომ ამ კითხვებზე გადამჭრელი პასუხები გაგვანდეს, მაგრამ არ გვაქვს. თუმცა დღემდე შემორჩენილი ზოგიერთი ისტორიული ცნობა მნიშვნელოვანი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა.

თამარის კარის პირველი ისტორიკოსი, გიორგი მესამის ოჯახისა და ქალიშვილის უერთგულესი პირი, ერთ ადგილზე ისეთ რამეს წერს, მთელი იმ გადატრიალებების არსს ხსნის. მიკვირს, კარის ისტორიკოსს იმდენი გაბედულება რომ აღმოაჩნდა და ეს ცნობა თავის თხზულებაში შეიტანა. იგი წერს: „დიმიტრისა, მქნესა კლომათა შინა და მძლესა ბრძოლასა შინა, ორ ძე ებადა, რომელთა დავით და გიორგი ეწოდებოდა სახელად. მარჩვეელი ძისა უმცროსისა მლარწველი მკიცხველი იქმნა ვითარ ისაკი იაკობისადმი“. დღევანდელი ქართულით ეს ნიშნავს: „დიმიტრის, ომში და ბრძოლაში მხნეს, ორი ძე (ვაჟიშვილი) ჰყავდა, რომელთა სახელები იყო დავითი და გიორგი. დიმიტრი უმცროსი ძმის მარჩვეელი და უფროსის მკიცხველი (დამემობი) შეიქმნა, როგორც ისაკი იაკობისადმი“-ო (4,3).

ამრიგად, მეფე დიმიტრი უმცროსი ვაჟის – გიორგის მრჩვეელი და უფროსის – დავითის მკიცხველი, დამემობელი შექმნილა. „მარჩვეელი“ უბრალო სიტყვა არავის ეგონოს. მეფე დემეტრეს მიერ გიორგის „მარჩველობა“ ტახტზე მისთვის უპირატესობის მიცემას ნიშნავდა. აშკარაა, რომ მეფეს უარი უთქვამს საქართველოში დამკვიდრებულ წესზე და საქმის მოგვარება საკუთარი სურვილის მიხედვით გადაუწყვეტია. ეს ისეთი ნაბიჯია, რომ მისი გადაღმა დემეტრესავით გამოცდილ ადამიანს არ ეპატიება. ამგვარ გადაწყვეტას მუდამ აყალ-მაყალი მოსდევს ხოლმე და კიდევ მოჰყვა. მაგრამ, სანამ ამაზე ვილაპარაკებთ, ჩვენ აუცილებლად მოგვიწვევს პასუხის გაცემა ერთ სამართლიან კითხვაზე: რატომ აითვალისწინა მეფე

დემეტრემ თავისი უფროსი ვაჟი? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი არ გაგვაჩნია და, ვფიქრობთ, დასაბუთებულს ვერასდროს გავცემთ. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „თუმცა გიორგი დემეტრე I უმცროსი შვილი ყოფილა, მაგრამ სამეფოდ უფროსს დავითს კი არ ამზადებდა, არამედ მას, უმცროსს. საქართველოს წარსული ისტორიიდან ნათლად ჩანს, რომ სამეფო უფლებების დამკვიდრება IX საუკუნიდან მოყოლებული პირდაპირ მემკვიდრეობასა და პირმშობობაზე იყო დამოკიდებული. ყოველთვის განსვენებული მეფის უფროსი ვაჟი — უფლისწული ადიოდა ხოლმე სახელმწიფო ტახტზე. მაშასადამე, წესიერად რომ ყოფილიყო საქმე მოწყობილი, დემეტრე I შემდგომ უნდა მის უხუცესს ძეს დავითს ემეფა. მაგრამ მის მამას სხვანაირად განუსჯია. მომავალი აღმოაჩინეს, როდესაც ახალი და საკმაო ცნობები გამოქვეყნდება, ჰქონდა დემეტრე I რაიმე კანონიერი საბუთი, როდესაც თავის უფროსს შვილს მემკვიდრეობის უფლებას ართმევდა, თუ მარტო პირადი გრძნობა და მიკერძოებული სიყვარული ამოქმედებდა? იქნებ, უფროსწულს ისეთი ნაკლი ჰქონდა, ან ისეთი დანაშაული მიუძღოდა მამის წინაშე, რომელიც მას კანონიერ უფლებას თავისთავად აკარგვინებდა?“ (6,239-240).

სამწუხაროდ, ამ სტრიქონების დაწერიდან 70 წელზე მეტი გავიდა და დემეტრეს გადაწყვეტილების დამადასტურებელი „კანონიერი საბუთი“ ჯერაც არ აღმოჩენილა. ვერც ის დადგინდა, ყველაფერს პირადი გრძნობა და გიორგისადმი მიკერძოებული სიყვარული წყვეტდა, თუ არა. ვერც დავითის ავადმყოფობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი მოინახა. პირიქით, მეცნიერულ ბრუნვაში ახლად შემოტანილი ზოგიერთი წყაროს მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი გახდა დავითის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის სახის წარმოდგენა. ეს სამუშაო, სომხური წყაროების დახმარებით, უკვე შესრულდა (7,97-105). აშკარაა, რომ არც მათ და არც სხვაენოვან წყაროებს დავითის ავადმყოფობის ან სხვა რაიმე ნაკლის შესახებ ცნობები არ დაუცავთ. თუ მის მიერ საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით გატარებული ღონისძიებების მიხედვით ვიმსჯელებთ, დავითი მიზანსწრაფულ, გააზრებულ და საქმიან კაცად



წარმოგვიდგება. ამ ღონისძიებებზე დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ და ამჯერად საუბარს არ გავაგრძელებთ. ახლა ისიც ვიტყვითხოთ, ისეთი რა დანაშაული ჰქონდა, რომელიც მას, როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, ტახტზე „კანონიერ უფლებას თავისთავად აკარგვინებდა“ (6,240). მის დანაშაულზე რაიმეს თქმა ძნელია, რადგან ამის შესახებ ცნობები არ გავაჩნია, მაგრამ მას რომ აშკარად ებრძვიან და ათვალისწინებულნიც ჰყავთ, ეს ცხადია. დიახ, დემეტრე I, მამა დავითისა და გიორგის, შესანიშნავი ჰიმნის „შენ ხარ ვენახის“ ავტორი, დემეტრის დავითის სიკვდილს ეხვეწებოდა.

ეს განცხადება რომ უსაბუთოდ გაკეთებულიყო, კაცი დიდ მკრეხელობას ჩაიდენდა. მაგრამ ამის საბუთი არსებობს და თამარის კარის ისტორიკოსის ნაშრომშია დაცული. ცოტა ზემოთ მე მოვიტანე თხზულების ის ნაწილი, სადაც დემეტრეს მიერ უფროსი ვაჟის ათვალისწინებასა და უმცროსისათვის უპირატესობის მინიჭებაზეა ლაპარაკი. ის უცნაური ცნობაც მას მოსდევს და ამიტომ, ვარჩევ, თხზულების ეს ნაწილი მოლიანად გავაცნო მკითხველს. აი, ისიც: „დიმიტრისა, მქნესა კლომათა შინა და მძლესა ბრძოლასა შინა, ორ ძე ებადესა, რომელთა დავით და გიორგი ეწოდებოდა სახელად. მრჩეველი ძისა უმცროსისა ლარწველი მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი. და ვედრებისა შემასმენელმან დემეტრემ დავითის დღეთა შემცირებითა სრულ ყო პირველ მამისა. და მამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამალლა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა — მზე მნათობთა შორის...“ (4,3).

ამ საბუთს ვგულისხმობდი. დიახ, მამას უფროს ვაჟთან მეტისმეტად ცუდი დამოკიდებულება ჰქონია. მის თავს უმცროსი ძე გიორგი ერჩია. თანაც დავითს სასტიკად კიცხავდა. სიტყვა „კიცხვას“ დღეს შედარებით უწყინარი შინაარსი გაუზდა. ადრე კი ძალზე გულთან მისატან რამედ ითვლებოდა. „კიცხვა“ — წერს სულხან-საბა ორბელიანი, „ქირდად აგდებას“ ნიშნავსო. ხოლო ქირდავსთან დაკავშირებით ნათქვამი აქვს: „ქირთვა“ თავსსაცილიაო (8,227). ილ. აბულაძის მიერ შედგენილ „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, რომლის ყოველი სიტყვა სათანადო საბუთებით არის

განმარტებული, აღნიშნულია: კიცხევა, კიცხვა - „მღერა“, „ბასრო-
ბა“, „მოძაგება“, - „შეურაცხყოფა“, გმობა, დაცივნვა, საცინლად
დება და ლანძღვააო (9,199).

მემკვიდრე უფლისწულისათვის იმაზე დიდი უბედურება რაღა
უნდა იყოს, როცა მამა-მეფე გმობს, დასცინის, ლანძღავს! აი, რა
დღეში ჰყოლია დემეტრეს საკუთარი უფროსი ვაჟი. დემეტრე და-
ვითოს მართლაც ცუდად რომ უყურებდა, ამაში არც თანამედროვე
მკვლევარებს ეპარებათ ეჭვი, მაგრამ რატომ გაუჩნდა ეს ზიზღი
მას? იქნებ დავითმა ადრევე ჩაიღინა ისეთი რამ, რამაც მამამისს
სამუდამოდ შეაძულა იგი? ან იქნება პირიქით მოხდა? რა თქმა უნ-
და, ეს უკანასკნელი კითხვაც დასაშვებია. ვთქვათ, ყველაფრის თა-
ვი და თავი დავით უფლისწული იყო, მაგრამ დემეტრეს თუ არა,
ვის უნდა გამოესწორებინა საქმე, ვის უნდა დაეთმო რაღაც, რომ
ქვეყნის სიმშვიდე შეენარჩუნებინა? ძმებსაც ხომ ერთმანეთში მორი-
გება და თავიანთი მოვალეობისა თუ უფლებების მკაცრად გან-
საზღვრა სჭირდებოდათ? მაგრამ დემეტრეს ასეთი საქმიანობა არ
ჩანს. იქნებ რაღაც ღონისძიებები კიდევ გაატარა, მაგრამ ამის შე-
სახებ არაფერი ვიცით. ამ ბუნდოვან მდგომარეობაში ზარით რეკს
მემატიანის ის სიტყვები, ზემოთ რომ მოვიტანეთ: „და ვედრებისა
შემასმენელმა ღმერთმა, დავითის დღეთა შემცირებითა სრულ ყო
პირველ მამისა“. ე. ი. (დემეტრეს) ვედრების გამგონე ღმერთმა
დღეების შემცირებით მამაზე ადრე მოკლა დავითით. რა გაბოროტე-
ბული უნდა ყოფილიყო, რომ დემეტრეს ღმერთისათვის ვედრება
დაეწყო, შვილი მომიკალიო! დიდზე დიდი უფსკრული ჩანს მამა-
შვილს შორის, თანაც რაღაც ღრმა ბიძგებით დაწყებული.

როგორც ითქვა, IX საუკუნიდან დამკვიდრებული წესის თანახ-
მად, საქართველოში სამეფო ტახტი მამიდან უფროს შვილზე გადა-
დიოდა. ეს იყო დადგენილი, კანონის ხასიათის მქონე ადათი. მაგ-
რამ XII საუკუნის 20-იან წლებში ამ კანონის შეცვლის საკითხი
დადგა. საოცარია, რომ ეს თვით დავით აღმაშენებელს მოუნებებია.
სწორედ მისი სიკვდილის წინ დაწერილ ანდერძშია ეს სურვილი
განცხადებული. არსენ ბერის (ანდერძის დამწერის) პირით იგი თა-
ვის მემკვიდრეს დემეტრეს ავალებდა: „... ძმა მისი გაზარდოს და

საქართველოს
პარლამენტის
მრეწველობის

თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა, შემდგომად მისსა ჰყოს მამულსა ზედა“-ო (10,19).

ცვატა, რომლის გაზრდას და მასზე ზრუნვას დავითი თავის მემკვიდრეს დემეტრეს ავალებს, მას ყიფჩაყთა მთავრის – ათრაქა შარადანისძის ასულის გურანდუხტის ხელში შეეძინა. ამრიგად, იგი დემეტრეს ნახევარძმა იყო. დავითის გარდაცვალებისას (1125 წლის იანვარი) ცვატა შვიდი წლისა თუ იქნებოდა.

დავით აღმაშენებლის ანდერძის ეს ადგილი ბევრს ნაყალბევად მიაჩნია. ფიქრობენ, რომ ისეთი ჭკვიანი მეფე, როგორც დავითი იყო, თავის ანდერძში მსგავს აზრს არ გაატარებდაო. მართლაც, ერთი შეხედვით, ეს სრულიად უწყინარი გამოთქმა, „... თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა, შემდგომად მისსა ჰყოს მამულსა ზედა“-ო, სულ თავდაყირა აყენებს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ჩვენში დამკვიდრებულ წესს. სხვანაირად ვერც შევაფასებთ, რადგან დავითი დემეტრეს მისი (ე. ი. დემეტრეს) მეფობის შემდეგ ტახტის ცვატასთვის გადაცემას ითხოვს და ანგარიშს არ უწევს მის ვაჟებს. თუმცა, წინასწარ გარკვეულ პირობას აყენებს: „თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა“-ო. ე. ი. თუ ღმერთმა ისურვოს და ცვატა კარგი გაიზარდოსო. მაგრამ ამას საქმისათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ვინ განსაზღვრავდა, „ვარგ“ იყო თუ არა ცვატა? მთავარია, რომ ანდერძში ჩაიწერა „შემდგომად მისსა ჰყოს (დემეტრემ ცვატა) მამულსა ზედაო“.

რა საფუძველზე ფიქრობენ ამ აზრის ნაყალბობას? სიტყვიერი მსჯელობის გარდა, სხვა საბუთი ვერ მოაქვთ. ჩვენ კი გვგონია, რომ ამ საკითხის განხილვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ზოგიერთი სხვა გარემოებანი, კერძოდ, მომაკვდავი დავითის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობანი. ანდერძი დავითის სიკვდილის წინ ჩაიწერეს, როდესაც ადამიანი, დიდიცა და პატარაც, სახელგანთქმულიცა და უსახელოც, გმირიც და არაგმირიც, ყველაფერს წარმავალი კაცის თვალთ უყურებს. იქნებ, უკვე იმ ქვეყნისკენ მიმავალ გზაზე მდგომს, სურვილი გაუჩნდა, თავისი სიყრმის შვილისათვის – ცვატასათვისაც ეგებებინა მეფობა. ნუთუ მას, ვინც თავისი ხმლით შეაერთა საქართველოს მიწები, მოხაზა

მისი საზღვრები და შემოიღო ამ საზღვრების აღმნიშვნელი ფორ-
მულა „ნიკოპსითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდგან სპე-
რად და არეგაწადმდე“, ამ მცირე სურვილს არ შეუსრულებდნენ?
დაე, ობოლ ცვატასაც ემეფა, რომელსაც მამა უკვდებოდა და ცო-
ტახნის შემდეგ დედაც დატოვებდა, რათა იერუსალიმში წასული,
ქართველ დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეცილიყო.

სახელმწიფო თვალსაზრისით, დავითის აზრი, რა თქმა უნდა,
მიუღებელია. იგი დასაბამს აძლევდა დემეტრეს ვაჟებსა და ცვატას
შორის შეხლა-შემოხლას. მაგრამ ადამიანური მხრიდან თუ შევხე-
დავთ, გასაკვირი აღარაფერი რჩება. რატომ უნდა იმეფოს ერთმა
შვილმა, დავუშვათ, ოცი ან 30 წელი, მეორემ კი არც ერთი დღე?
რამ გააჰყო ისინი? მე ვფიქრობ, რომ გულაჩუყებულს და ფიზიკუ-
რად დასუსტებულ დავითს, რომელიც უკვე სასიკვდილო სარეცელ-
ზე იწვა და იმ ქვეყნისაკენ მიმავალ გზაზე დადგომას აპირებდა,
შეიძლებოდა თავის სიყრმის შვილის მომავალზე აი ასე ეზრუნა.
მაგრამ, ვაცხადებ, ეს არ იყო გონებიდან გამოსული სურვილი, ეს
სიკვდილის წინა ხანაში მყოფი, ცხოვრებაზე ხელჩაქნული კაცის
გაუაზრებელი და აუწონ-დაუწონავი წამიერი ამონათქვამია.

ამას გარდა, ჩვენ ზომ არ ვიცით, რა მდგომარეობაში იწერებო-
და დავითის დასახელებული ანდერძი. იქნებ არსებობდა რაღაც ძა-
ლა, რომელიც თავის სურვილს კარნახობდა დავითს და მის მოძლ-
ვარ არსენ ბერს? შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ის 45000
ყივჩაყი მეომარი და მათი მთავარი ათრაქა შარაღანისძე, რომლებ-
მაც დიდი წვლილი შეიტანეს დავითის პოლიტიკურ წარმატებებში?
ცვატა დავით აღმაშენებლის ვაჟი იყო, მაგრამ ათრაქა შარაღანის
ძის ქალიშვილის შვილი გახლდათ. ჰოდა, იქნებ მან და კიდევ სხვა
ძალებმა აიძულეს მომაკვდავი დავითი, რომ თავისი დამსახურებისა
და გონების შეუფერებელი ნაბიჯი გადაედგა? ასეა თუ ისე, იბუღე-
ბით იყო თუ საკუთარი ნება-სურვილით, დავით აღმაშენებლის ან-
დერძში დასახელებული ადგილი არის. სამემკვიდრეო წესის შეცვ-
ლის ცდა აშკარაა. რა თქმა უნდა, ამ საბუთის არსებობა დემეტრე-
მაც კარგად იცოდა და მისი შედეგიც გათვალისწინებული ჰქონდა.
მას, ალბათ, კარგად ესმოდა, რომ მისი მოწინააღმდეგე ძალები და-



ვითის ანდერძს სამეფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებას მიზნით ადვილად გამოიყენებდნენ. მათ შეიძლება არც დაეცადათ დემეტრეს ბუნებრივი სიკვდილისათვის, მისთვის დღე მოესწრაფებინათ და, როგორც დავით აღმაშენებელი ითხოვდა, ცვატა ტახტზე დაესვათ.

შედგმაც არ დააყოვნა და უკვე 1130 წელს, როდესაც დემეტრეს სულ ხუთი წელი ჰქონდა ნამეფი, ხოლო ცვატა თორმეტი წლისა იყო, დავითის ანდერძის განხორციელება მოინდომეს. ცვატამ ტახტის ხელში ჩაგდება სცადა (უფრო სწორად აცდევინეს). მაგრამ დემეტრემ სასტიკად დასაჯა თავისი ნახევარძმაცა და მისი დამხმარენიც. ასე რომ, მეფე დემეტრეს და მის ვაჟებსაც საქართველოს ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლის თეორიული და პრაქტიკული მაგალითები წინ ედოთ. ხომ არ წააქეზა ამ მოვლენებმა დემეტრე მეფე, რათა ქვეყანაში თავისი სურვილის შესაბამისი ტახტის მემკვიდრეობის წესი დაენერგა? თუ დავითი, დემეტრეს მამა, ტახტის ძმიდან ძმაზე გადაცემის მომხრე იყო, დემეტრე ტახტის მამიდან უმცროს შვილზე გადაცემას ითვალისწინებდა. განსხვავება დიდია, მაგრამ ერთიცა და მეორეც განმტკიცებული წესის დარღვევას იწვევდა. სამწუხაროდ, უცნობია თუ როდის გამოამყლავნა დემეტრემ თავისი სურვილი, მაგრამ აშკარაა, რომ ეს 1150 წლამდე მომხდარა. აღნიშნულ თარიღს იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ამ დროს დავითი, ე. ი. დემეტრეს უფროსი ვაჟი უკვე აჯანყებია მამამისს. ერთ-ერთ კვინკლოსში აღნიშნულია, რომ 1150 წელს დავითი დემეტრეს გაუღგაო (11,250). ამ აჯანყებაზე ლაპარაკობს თამარ მეფის პირველი ისტორიკოსიც. „ვინათგან დავითცა, მამამან მისმან, ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა მის დემეტრესა ამოსწყყტნა ამის სამეფოს დიდებულნი რომელნიმე განპატიჟებითა“ – აღნიშნავს იგი დემნა უფლისწულზე ლაპარაკისას (1,18). შევახსენებ მკითხველს, რომ დემნა (იგივე დემეტრე) უფლისწული არის მეფე დემეტრეს უფროსი ვაჟის – დავითის შვილი. პაპის საპატივსაცემოდ მას სახელი დემეტრე, იგივე დემნა ერქვა.

დავიმახსოვროთ 1150 წელი და ამ დროს მომხდარი აჯანყება, რადგან იგი დავით უფლისწულის მიერ თავისი უფლებების დასაცავად გატარებული პირველი ღონისძიება ჩანს. მაგრამ იქნებ ად-

რეც მოხდა ისეთი რამ, რაც დემეტრეს თვითნებობის აღკვეთას ითვალისწინებდა? სამწუხაროდ, არაფერი ვიცით, ჩვენი წყაროები კარო ხრიკების ცოდნით ვერ დაიკვეხნიან.

ზემოთ ჩვენ დავუშვით ვარაუდი უფლისწულ დავითის დაახლოებით 1116 და გიორგის 1118 წელს დაბადების შესახებ. თუ ეს ასეა, დაახლოებით 1136-1140 წლებში ორივე უფლისწული ისეთ ასაკში იყვნენ, რომ მეფობას შესძლებდნენ. ალბათ, ამის სურვილებიც გაუჩნდებოდათ. ვფიქრობ, ტახტის მემკვიდრეობის საკითხიც მაშინ უნდა გამწვავებულიყო. რაკი არსებობდა დავით აღმაშენებლის ანდერძში გამოთქმული აზრი სამეფო ტახტის ძმიდან ძმაზე გადაცემის შესახებ და, ალბათ, განცხადდა დემეტრეს სურვილიც (ტახტის მამიდან უმცროს ვაჟზე გადაცემის შესახებ), განგაში მოიცავდა დავით უფლისწულის გულს. არცერთი ამ წესთაგანი მის გამეფებას არ ითვალისწინებდა.

მიუებრუნდეთ ისევ დავით უფლისწულის აჯანყებას. აშკარაა, რომ ამ აჯანყებამ დავით უფლისწულს არაფერი მოუტანა. მას ვერ გაუმარჯვია და ხელისუფლება კვლავ მეფე დემეტრეს ხელში დარჩენილა. მამა-შვილს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დამარცხებული დავითის ბედი ბევრზე კვიდა. მამამისს, აჯანყების საბაბით, ყოველგვარი სასჯელის მიყენება შეეძლო მისთვის – თვალები დაეთხარა, ციხეში ჩაეგდო, ბერად აღკვეცა და სხვ. მთავარია, რომ პოლიტიკური ცხოვრებისათვის მოეწყვიტა. მაგრამ, ჩვენს გასაოცრად, დავით უფლისწული არ დაუსჯიათ. არც ერთ წყაროში არ არის ამის შესახებ ლაპარაკი. პოდა, სწორედ ეს გვაფიქრებინეს, რომ მშვენიერი ჰიმნოგრაფი (წმინდანებისადმი მიძღვნილი ლექსების ავტორი) დემეტრე, კეთილშობილი ადამიანი ყოფილა. მაგრამ, იქნებ მისი კეთილშობილების კი არა, მისი უძლურების ბრალაა, რომ მოჯანყე შვილი დაუსჯელი დარჩა? თუ ალღო არ მღალატობს, სწორედ ასე იყო. ეტყობა დავითს დიდი ძალა უჭერდა მხარს და მეფემ შვილის შევიწროება ამ ძალის შიშით ვერ გაბედა. სწორედ ამან განსაზღვრა დემეტრე მეფის მომავალიც. ხუთი წლის შემდეგ და-

ვითმა ხელმეორედ შეუტია მას და უკვე მიზანსაც ეწია — ტახტიდან გადაგდო.

თუ დავითი, პირველი აჯანყების დროს ხელმოცარული, მისი ერთგულების ძალას დანდობილი, შემთხვევას ელოდა, რომ კვლავ ეცადა ბედი, მისი ძმა, გიორგი, ალბათ, მუდამ მამის გვერდით იდგა და თავგამოდებით იბრძოდა დემეტრეს მდგომარეობის გასამტკიცებლად. მამის დამარცხება მისი მომავლის დამარცხება იყო და ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა მას. ამიტომ 1150 წლიდან მოყოლებული, დავითის ხელმეორედ აჯანყებამდე (ე. ი. მის გამარჯვებამდე) დემეტრეს მიერ გატარებული ყველა ღონისძიების თანაავტორი უნდა ყოფილიყო. მოსალოდნელია, რომ ამ პირველი აჯანყების შემდეგ, დემეტრე დაუფარავად განაცხადებდა თავის სურვილს ვაჟის გამეფების შესახებ.

დავითის პირველი აჯანყების შემდგომ ხანაში საქართველოს სამეფო გვარის სამეულის — დემეტრეს და მისი ვაჟების, საქმიანობის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. ცნობილია მხოლოდ, რომ 1154 წელს მეფე დემეტრე, ათვალეირებდა რა თავის სამფლობელოს, დარუბანდშიც მიბრძანდა და ამ მხარის გამგებელი, საკუთარი სიძე აბულ მუზაფფარიც მოინახულა (12,86). სხვა რაიმე მონაცემები მათ შესახებ არ გავაჩნია. და აი, უკვე დემეტრემ „შემიოსა ჩოკა და ეკურთხა სქემითა“, ე. ი. ბერად აღიკვეცა (13,366). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს 1154-1155 წლებში მომხდარა. მაგრამ რატომ გადადგა დემეტრე ტახტიდან, რატომ გაცვალა მეფობა ბერის მძიმე ცხოვრებაზე? მოტანილ ცნობაში დემეტრეზე რაიმე ძალადობის კვალი არ ჩანს, მაგრამ მკვლევრები (მ. ბროსე, თ. ჟორდანიას, ივ. ჯავახიშვილი და სხვ.) სამართლიანად ასკვნიან, რომ იგი მის ვაჟს დავითს უნდა გადაეგდო ტახტიდან. ტახტიდან განდევნილი და პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოცილებული მეფე დავით-გარეჯის მონასტერში გამოუკეტიათ. ამ აზრის სიმართლეში რაიმე ეჭვის შეტანა გამორიცხულია და ნურც მკითხველი დაეჭვდება.

ამრიგად, 1154-1155 წლებში მეფე დემეტრე პირველი მისმა უფროსმა ვაჟმა ტახტიდან გადააგდო და დავით-გარეჯის მონასტერში მონაზუნად აღკვეცა. ცხადია, რომ ტახტი გამარჯვებულმა დაიკავა.

ახლა გამარჯვებულ დავითს თავისი ძმისათვისაც უნდა მიეცა ყურადღება. არადა, გიორგი მეტად საშიში პიროვნება იყო: ძლიერი, მიზანსწრაფული, შურისმაძიებელი...

მაგრამ დავითმა ხელი არ ახლო მას. იქნებ სამაგიერო გადაუხადა იმ კეთილშობილებისათვის, რომელიც 1150 წელს უშუდგო აჯანყებაში დამარცხების მერე მან დავითთან მიმართებაში გამოიჩინა? მამის ნებიერს, რა თქმა უნდა, შეეძლო მშობელი დავითის მკაცრად დასჯის აუცილებლობაში დაერწმუნებინა, მაგრამ ეს არ ჩაუდენია. თუ 1150 წელს გიორგის, ხოლო 1154-1155 წლებში დავითს ურთიერთის სისხლის დაღვრაში ძმურმა სიყვარულმა შეაკავებინათ თავი, პატივი მივაგოთ მათ ვაჟკაცობას. ძმის სისხლი მაინც ძვირფასია. ეს ერთსაც ცოდნია და მეორესაც, მაგრამ ურთიერთს კი მაინც ებრძოდნენ. ტახტი და გვირგვინი აწვალებდა ორივეს. ამრიგად, გამეფების შემდეგ დავითმა დაინდო ძმა, რაც ცოტა ხანში სანაწებლად გაუხდა. ეტყობა, გიორგის კარგად ეხერხებოდა ხასიათისა და აზრის შენიღბვა, რომ მოქიშვე ძმის რისხვას ასე ადვილად გადაურჩა. არადა, ხომ მისი გულისათვის დაიღვარა ამდენი სისხლი? სისხლი ვახსენეთ და ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ დავითი სულაც არ უფროთხოდა სისხლს. მან მამის' და ძმის სისხლი არ დაღვარა, თორემ მათი მომხრეების — ბლომად დაანთხია. გავიხსენოთ მის ვაჟ დემნასთან დაკავშირებით თამარის ისტორიკოსის უკვე ცნობილი განცხადება: „ვინათგან დავითცა, მამამან მისმან (დემნას მამამ) ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა მის დემეტრესსა ამოსწყყტნა ამის სამეფოსა დიდებულნი რომელნიმე ექსორია-ქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიყუბითა“ (4,12). აი, როგორი კაცი იყო დემეტრეს ტახტიდან გადაგდების შემდეგ საქართველოს მეფედ შექმნილი დავითი, რიგით მუხუთე. ამ ცნობის გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო გვიმტკიცდება აზრი გიორგის, როგორც ხასიათისა და აზრის შენიღბვის ოსტატის შესახებ.

მაშ, ტახტი დავით დემეტრეს ძემ დაიკავა. თითქოს აღსდგა სამართლიანობა — მეფობა უფროს ვაჟს ერგო. იქნებ, ახლა მაინც ჩამცხრაღიყო სატახტო ვნებათა ღელვა? ვინ იცის, იქნებ დავით-



საც ეგონა, ეს საკითხი სამუდამოდ გადაიჭრაო. მაგრამ ნათქვამია: კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ის რომ სცოდნოდა, თუკი თვეზე მეტს ვერ შერჩებოდა ტახტს, თანაც შვილსაც დალუპავდა, სულ უარს იტყოდა მასზე. მაგრამ ეს არ იცოდა. თანაც, რა გასაკვირია, რომ თავისი საბოლოო გამარჯვება ერწმუნა. მას შემდეგ, რაც მამამისი დავით გარეჯის უდაბნოში გამოკეტა, ძმაც თავის კალაპოტში ჩააყენა (არ ვიცით, რა სახით, მაგრამ აუცილებლად თავის კონტროლს დაუქვემდებარა), საფიქრალი რაღა ჰქონდა? თუმცა ნურც ასე გულუბრყვილოდ ჩავთვლით დავითს. ის ჩვენზე გაცილებით უკეთ იცნობდა მამასაც და ძმასაც. დემეტრე ათას ხრიკებგამოვლილი კაცი იყო, გიორგიც ბრძოლის ნაირ-ნაირ ხერხს ფლობდა (რაც მან შემდეგში არაერთხელ დაამტკიცა) და მათი ასპარეზიდან ასე ადვილად წასვლა დაუფერებელი იყო. არავინ იცოდა, როდის გადავიდოდნენ ისინი შეტევაზე.

სახელმწიფოში გადატრიალების შემდეგ ძველი ხელისუფლების მომხრენი დიდხანს არ ურიგდებიან ახალს და წლობით ინარჩუნებენ მის ერთგულებას. რა ძალას უნდა დაყრდნობოდა დავითი, რომ დემეტრეს (და გიორგის) მომხრენი დაეთრგუნა? ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა ამის შესახებ არაფერი იციან. სამაგიეროდ, ძვირფასი ცნობები დაუცავთ სომხურ მატთანებს.

XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით, ტახტზე ასულმა დავით დემეტრეს ძემ ციხიდან გამოიყვანა მამამისის მიერ სიკვდილით დასჯილი ივანე აბულეთის ძის ვაჟი თირქაში და საქართველოს ამირსპასალარად (მხედართმთავრად) დანიშნა. იმავე ისტორიკოსის სიტყვით, ეს თირქაში მამის სიკვდილით დასჯის შემდეგ საქართველოს მოწინააღმდეგე შაჰ-არმენთან გაიქცა და მიიღო რა მისგან საგამგებოდ არშარუნის ოლქი, თავისი სამშობლოს განაპირა მხარეების აოხრება იწყო, მაგრამ დემეტრე მეფემ მისი ხელთგდება მოახერხა და ციხეში გამოკეტა (14,154).

თავისთავად ცხადია, რომ ეს ღონისძიება საგანგებოდ იყო ჩაფიქრებული. დემეტრე მეფის მოწინააღმდეგე თირქაში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავდა მის ციხიდან განმათავისუფლებელსა და ამირსპასალარად აღმზევებელს. ზემოთაც აღვნიშნეთ და ახ-



ლაც ვიტყვით, რომ დავითი, ეტყობა, გრძნობდა მდგომარეობის სისუსტეს და საბოლოო გამარჯვებას მომავალში ფიქრობდა. ამიტომაც ამ გადამწყვეტი ბრძოლისათვის საგანგებოდ ემზადებოდა. ამ ვითარებაში მისთვის ერთგული ამირსპასალარის ყოლა ბევრ რამეს ნიშნავდა.

დავით მეხუთის მიერ საკუთარი მდგომარეობის გამტკიცების მიზნით გატარებულ ღონისძიებათაგან აღსანიშნავია მის სამსახურში მყოფი სომეხი იშხანების (დიდი აზნაურების) პატივისცემა. ამის შესახებ საყურადღებო ცნობა დაუცავს XII-XIII საუკუნეების სომეხ მწერალს მხითარ გოშს. მისი სიტყვით, „ხოლო, როდესაც გარდაიცვალა მეფე დემეტრე, მის ნაცვლად გამეფდა მისი შვილი დავითი, კაცი კეთილგონიერი – განსაკუთრებით იმ სომეხი იშხანების მიმართ, რომლებიც მის ხელთ იმყოფებოდნენ. მან მეტად განადიდა პატივით ქალაქ ტფილისის სატრაპი – ვასაკი, იშხან ვაპრამის შვილი და მისი ძმები – სახელად ქურდი და სარგისი“ (15,46-47).

იმის გასაგებად, თუ ვის აწინაურებდა დავითი, მოვიტანთ იმავე მემკატიანის შემდეგ ცნობას: „როდესაც გიორგი გამეფდა, მოისურვა ვასაკ იშხანის შეპყრობა, რადგან მის მიმართ გულისწყრომა ჰქონდა იმის გამო, რომ როდესაც ის ქალაქის უფროსი იყო, მას (გიორგის) ისე არ სცემდა პატივს, როგორც მის ძმას დავითს და არც სამსახურს უწევდა. ბოროტსიტყვაობდნენ სხვა ქართველი დიდებულებიც. ამის გამო გაიქცა ვასაკი თავის ძმასთან ერთად და მივიდა თეოდუპოლისში, რომელსაც ახლა ჰქვია კარნუ ქალაქი. ამირამ, რომელსაც სალტუხი ერქვა, სიხარულით და პატივისცემით მიიღო ისინი იმის გამო, რომ როდესაც სალტუხი ქართველთა ჯარმა შეიპყრო ქალაქ ანისის გარემოცვის დროს და ტფილისში მეფე დემეტრეს წარუდგინა, მრავალი სამსახური გაუწია მას ვასაკმა. ამიტომაც უბოძა მას საბოძგარი სალტუხმა და მრავალი სოფლის გამგებლობაც უწყალობა“ (15,47).

აი, ვინ დაიახლოვა და „მეტად განადიდა პატივით“ დავით მეხუთემ. ვასაკი – თბილისის ამირა, თურმე დახმარებას უწევდა (საიდუმლოდ?) საქართველოს მეფის მტერს და შემდეგ ტყვეს სალ-



ტუსს (იგივე სალდუსს). ეს სალდუსი არზრუმის მთავარი განლ-
დათ. 1153-1154 წლებში იგი საქართველოს ყმადნაფიც კვეციანის
ანისს მოადგა და მის დაპყრობას ცდილობდა. მეფე დემეტრემ დაა-
მარცხა, ხელთ იგდო და საქართველოში მოიყვანა დატყვევებული.
აი, ამ სალდუსს ემსახურებოდა დავითის მიერ დაახლოებული ვა-
საკი. როგორც აღინიშნა, ეს ვასაკი ეროვნებით სომეხი იყო და
ქართველთა მეფის, დემეტრეს სამსახურში იდგა.

დავითს სხვა საყურადღებო ნაბიჯიც გადაუდგამს. მხითარ გოში-
სავე სიტყვით, მან „იმდენად კეთილგულოვნება გამოიჩინა, რომ
გაგზავნა კაცი და იხმო მეფე კვირიკე, მეფე დავით ბაგრატუნის
შვილი და დაჰპირდა მას, რომ დაუბრუნებდა მის სამკვიდრებელს,
რომელიც თავის წინაპრებს ჩამოერთვათ მისთვის“ (14,47).

მეფე კვირიკე, დავით ბაგრატუნის შვილი, რომელიც თავისთან
იხმო საქართველოს მეფე დავით მეხუთემ, ლორე-ტაშირის სამეფო
გვარის წარმომადგენელი იყო. ეს სამეფო X საუკუნის მეორე ნახე-
ვარში ჩამოყალიბდა ქართულ მიწაზე – ქვემო ქართლში. მისი და-
მარსებელი ერთ-ერთი სომხური სამეფოს შირაქის (ანისის) მეფე
აშოტ III (953-977) და მისი შვილი გურგენ-კვირიკე განდნენ. სა-
მეფოს მმართველი დინასტია სომხური, ხოლო მოსახლეობა ქარ-
თული იყო. გურგენის შვილმა დავითმა თავის საჯდომ ქალაქად
ქ. სამშვილდე აქცია. მას ემორჩილებოდა ტაშირი, „ქართველთა ვე-
ლი“ და ბოლნის-დმანისის ხეობანი. საქართველოს მეფე ბაგრატ IV
(1027-1072) კვირიკიანებს (ასე უწოდებდნენ ლორე-ტაშირის სამე-
ფო დინასტიის წარმომადგენლებს) ქ. სამშვილდე წაართვა, რის
შემდეგაც ისინი ქ. ლორეში გადასახლდნენ. 1118 წელს ძლევამო-
სილმა დავით აღმაშენებელმა ქ. ლორეც აიღო და მთელი ლორე-
ტაშირის სამეფოს მიწა-წყალი მშობლიურ საქართველოს შეუერთა.
მეფე დავით ბაგრატუნი (იგივე კვირიკიანი) და მისი ძმა აბასი
სომხეთში გაიქცნენ და ტავუშსა და მაწნაბერდში დამკვიდრდნენ. სა-
ქართველოს მეფის დავით დემეტრეს ძის მიერ თავისთან ნახმობი
კვირიკე სწორედ დავით ბაგრატუნის (1089-1145) ვაჟი განლდათ.

ლორე-ტაშირის სამეფოს ყოფილი მიწები დემეტრე მეფის ტახ-
ტიდან ჩამოგდებისას ქართველ დიდაზნაურებს – ორბელებს ეკავათ.

ასე რომ, თუ დავით მეხუთე ამ მიწების კვლავ კვირიკიანებისათვის დაბრუნებას მოახერხებდა, სასიკვდილო დარტყმას მიაყენებდა ამ ძლევამოსილ ფეოდალებს. ამასთან ერთად, ალბათ ისიც საჭიროა მოვიგონოთ, რომ ტახტზე ასულმა დავითმა ციხიდან გამოიყვანა დემეტრე მეფის მიერ სიკვდილით დასჯილი ივანე აბულეთის ძის ვაჟი თირქაში და ამირსპასალარად დანიშნა. მანამდე ეს საპატიო თანამდებობა ორბელთა გვარის წარმომადგენელ სუმბატს ეკავა. ასე რომ, დავითს თავისი მამის და პაპის ერთგული ორბელების სრული მოთხრა მოუნდომებია.

მის ამ ღონისძიებას ზნეობრივი ნაკლიც ჰქონდა. როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობამ უდიდესი შედეგი მოიტანა — გაერთიანდა საქართველოს მიწა-წყალი და სახელმწიფო ძლევამოსილ ქვეყნად იქცა. ახლა, XII საუკუნის მეორე ნახევარში, ამ სახელმწიფოს თუნდაც ერთ ნაწილში უცხოტომელების სახელმწიფოებრიობის აღდგენა მძიმე დარტყმას მიაყენებდა ჩვენს სამშობლოს, საფუძველს ჩაუყრიდა მის დაშლა-დაქუცმაცებას. აღნიშნულის გამო, უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით მეხუთის ამ ღონისძიების წინააღმდეგ, ორბელთა გარდა, საქართველოს მთელი პატრიოტული ძალებიც განეწყობოდნენ.

დავითს კიდევ უფრო საჩოთირო საქმე გადაუწყვეტია. მხითარ გოშის სიტყვით, მას „სურდა აგრეთვე შეეკრიბა ხალხი, რათა გაეგო ჭეშმარიტება სარწმუნოების შესახებ და ამრიგად პატივი ეცა მართლმადიდებლობისათვის“ (15,47).

ცნობილია, რომ ჩვენგან განსხვავებით, სომხეთში მონოფიზიტური მიმდინარეობის ქრისტიანობამ გაიმარჯვა. დიოფიზიტებს (ბიზანტიელები, ქართველები...) ეჭვი შეჰქონდათ მათი რელიგიის ჭეშმარიტებაში და ხშირად წერილობით აკრიტიკებდნენ მას. სომხური საეკლესიო პირები თავს იცავდნენ და საკმაოდ მდიდარი პოლემიკური ხასიათის ლიტერატურაც შექმნეს. XII-XIII საუკუნეებში ქართველ და სომეხ საეკლესიო პირებს შორის არაერთი შეკრება გაიმართა, რომელზეც დიოფიზიტურ (ორბუნებიან) და მონოფიზიტურ (ერთბუნებიან) სარწმუნოებათა ჭეშმარიტების საკითხი ირჩეოდა. ამ მხრივ, აღსანიშნავია კრებები დავით აღმაშენებლის, თა-



მარის და გიორგი-ლაშას დროს. დავით მეხუთის მიერ მსგავსი შეკრების მოწვევის სურვილის შესახებ მხითარ გოშის გარდა სხვა ისტორიკოსს ცნობა არ დაუცავს. ამიტომაც არის იგი ძვირფასი. ამ ცნობის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, თუ მასში დაცულ შემდეგ აზრს გავითვალისწინებთ: ქართველ მეფეს უნდოდა „გაეგო ჭეშმარიტება სარწმუნოების შესახებ და ამრიგად პატივი ეცა მართლმადიდებლობისათვის“.

იმ ვითარებაში, რომელშიც დავით V-ს მეფობა უნდებოდა, ქართულ და სომხურ ეკლესიათა ურთიერთობის საკითხის ასე დაყენება მისთვის მეტისმეტად წამგებიანი უნდა ყოფილიყო. საქართველოს ეკლესია დიდი ხანია ქრისტეს ორბუნებოვნებას (დიოფიზიტობას) აღიარებდა და თავსაც მართლმადიდებლად თვლიდა. დავით V-ის სურვილი კი, „გაეგო ჭეშმარიტება სარწმუნოების შესახებ და ამრიგად, პატივი ეცა მართლმადიდებლობისათვის“, მის ავტორიტეტს ვნებდა. განა დავით V-მ არაფერი იცოდა ქართული ეკლესიის ამ საყოველთაოდ აღიარებული გეზის შესახებ. მაშ, რაღას ეძიებდა?

თუ მხითარ გოშის ცნობა დავით V-ის მიერ სომხური წრეებისადმი კეთილი განწყობის შესახებ მოგონილი არ არის, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს მეფეს არასწორი ორიენტაცია აუღია. ახლა, მისადმი დაპირისპირებულთა შორის აღმოჩნდებოდნენ არა მარტო დემეტრე-მამა და გიორგი-ძმა, არამედ ორბელთა ძლიერი გვარი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მეფის ღონისძიებებით ეროვნულ გრძნობაშელახული ქართველობა.

შეუძლებელი იყო, რომ არსებული საფრთხე თვით დავითსაც არ ეგრძნო. ეტყობოდა ისიც თავდასაცავად ემზადებოდა და აჩქარების გამო ოკრობოკრო ნაბიჯებს დგამდა. შეცდომები კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში აგდებდა მას და თანდათან უფსკრულისაკენ მიაქანებდა. ერთ დღეს კი მოსახდენი მოხდა — დავითმა სული დალია. მაგრამ ეს არ იყო მშვიდობიანი დასასრული — დავითი მოწამლული ერკინებოდა სიკვდილს. ექვსი თვის მეტი ვერ გაძლო ტახტზე, რისკენაც ასე მონდომებით მიისწრაფოდა! იგი გარდაიცვალა 1156 წელს.

ივანე...
 უნდა...
 33...



ახლა ის ვიკითხოთ, იმ ექვსი თვის განმავლობაში, დავით მეხუთე რომ საქართველოს მართავდა, რას აკეთებდნენ მისი სისხლი და ხორცი, თანაც დაუძინებელი მტრები დემეტრე და გიორგი? იმ გარემოების წარმოდგენა, რომელშიც დემეტრე იმყოფებოდა, მკითხველს ადვილად შეუძლია. იგი, ძმობაში გარეული, წლებითა და ომებით დამძიმებული, ნელი ნაბიჯით მიმოდინოდა დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის ეზოში. ლოცვის დროს ლოცულობდა, დასვენების დროს ისვენებდა, მუშაობის დროს მუშაობდა. დროდადრო თავის სენაკში განმარტოებული, ჰიმნებს თხზავდა...

სწორედ მონასტერში ყოფნისას დაწერა მან ის მშვენიერი იამბიკოები, დღემდე რომ მოაღწიეს და კიდევ დიდხანს იარსებებენ.

გიორგი კი, არავინ იცის, რას ფიქრობდა და რას საქმიანობდა. მაგრამ კარგ რამეს რომ არ აკეთებდა, ეს ცხადია, რადგან მისი მოღვაწეობის შედეგი იყო საქართველოს მეფეთ-მეფის, დავით მეხუთის სიკვდილი. აშკარად ვთქვათ: გიორგიმ მოკლა დავითი.

შეიძლება ზოგიერთი მკითხველი ამ სიტყვებმა შეაძრწუნოს. მაგრამ, განა ჩვენი მონათხრობიდან აშკარა არ გახდა, რომ ორ ძმათაგან ერთ-ერთი ნაადრევად უნდა დაღუპულიყო? და დაილუპა კიდევ. მაგრამ არა ის, ერთი შეხედვით, დამარცხებული, ქვეყნის საჭისაგან შორს მდგომი გიორგი, არამედ მეფე დავითი. და დაილუპა ძმის სურვილითა და წაქეზებით.

დავით მეხუთის ნაადრევი გარდაცვალების შესახებ ცნობა თამარ მეფისდროინდელ ქართველ ისტორიკოსსაც დაუცავს. ჩვენ ეს ცნობა რამდენჯერმე მოვიხმეთ კიდევ, მაგრამ ეს ისტორიკოსი თვლის, რომ დავითის დაღუპვაში ღმერთის ხელი ერია. მან უსმინა დემეტრეს ვედრებას (უფრო სწორედ, წყევლას) და დავითს სიცოცხლე შეუძოკლაო. მაგრამ ამ ისტორიკოსმა არ იცის ან მალავს დავითის

* XIII ს-ისა და XIV ს-ის სომეხი ისტორიკოსი შხითარ აირივანეცი წერს თითქოს დავით დემეტრეს ძეს მელიქ სულთანს დაემარცხებინოს და ქალაქი თბილისი აეღოს (15,81. შენ. 197), მაგრამ ეს ამბავი 1151 წლით აქვს დათარიღებული, რაც ანაქრონიზმია. იგი ამ დროს საქართველოს მეფე არ იყო. არც ის არის ცნობილი, რომ ამ დროს თბილისი ვინმეს დაეპყროს. რაც შეეხება მელიქ სულთანს, რომელიც 1132-1133 წლებში მმართველობდა, დავით დემეტრეს ძის თანამედროვე არ იყო.

სიკვდილის ნამდვილ მიზეზს. ეს მიზეზი კი არსებობდა და სწორედ ამიტომაც ვაცხადებ: დავით მეფე გიორგიმ მოკლა.

მიემართოთ XII-XIII საუკუნეების სომეხ სწავლულ მხითარ გოშს. შეგახსენებთ, რომ ამ ავტორის ცნობები, ნაწილობრივ უკვე გაგაცანით. მაგრამ ისინი იმდენად საჭირო ინფორმაციას იძლევიან, რომ თავს ვალდებულად ვთვლი, კვლავ მოვიტანო, თანაც სრულად. „ხოლო, როდესაც გარდაიცვალა მეფე დემეტრე, მის ნაცვლად გამეფდა მისი შვილი დავითი, კაცი კეთილგონიერი, განსაკუთრებით იმ სომეხი იშხანების მიმართ, რომლებიც მის ხელთ იმყოფებოდნენ. მან მეტად განადიდა პატივით ქალაქ ტფილისის სატრაპი ვასაკი, იშხან ვაპრამის შვილი და მისი ძმები სახელად ქურდი და სარგისი. იმდენად კეთილგულოვნება გამოიჩინა, რომ გაგზავნა კაცი და იხმო მეფე კვირიკე, მეფე დავით ბაგრატიუნის შვილი და დაჰპირდა მას, რომ დაუბრუნებდა მის სამკვიდრებელს, რომელიც თავის წინაპრებს ჩამოერთვათ მისთვის. და ამგვარად დასაჩუქრებული გაამგზავრა ის და შეუთანხმდა მომავალი შეხვედრის შესახებ. სურდა აგრეთვე შეეკრიბა ხალხი, რათა გაეგო ჭეშმარიტება სარწმუნოების შესახებ და ამრიგად, პატივი ეცა მართლმადიდებლობისათვის.

როდესაც ქართველმა დიდებულებმა შეიტყვეს მისი ამგვარი სურვილი, დიდმა შურმა მოიცვა ისინი, განსაკუთრებით ორბელიანებად წოდებული გვარი, დაალევინეს სასიკვდილო საწამლავი და მოკლეს მეფე დავითი. მძიმე და ხანგრძლივმა სევდამ მოიცვა ქართველთა და სომეხთა ქვეყნები. გაამეფეს მის ნაცვლად მისი ძმა გიორგი“ (15,46-47).

ამრიგად, მხითარ გოში პირდაპირ ადებს ხელს უშუალო მკვლელებს – „ორბელიანებად წოდებულ გვარს“. ორბელებს დავით მეხუთეზე განრისხების დიდი საფუძველი ჰქონდათ და მათგან მის მოწამლავს მოსალოდნელი იყო. ასე რომ, მხითარ გოშის ეს ცნობა სანდოა და ჭეშმარიტი უნდა იყოს. მაგრამ ორბელთა გვარი დიდი იყო და მთელ მათ მოდგმაში უშუალო მკვლელების ამოცნობა შეუძლებელია. სამაგიეროდ, მოიპოვება მეორე, უფრო გამჭვირვალე ცნობა, საიდანაც უშუალო მკვლელებიც კარგად ჩანან და მისი წამქეზებელიც. ეს საყურადღებო მასალა შემონახული აქვს მეორე

სომეხ ისტორიკოსს ვარდან დიდს. „ზოგიერთები ამბობდნენ, წერს იგი, — რომ მეფე დავითი სმბატ და ივანე ორბელის ღმერთის გამო დაილუპა, რადგანაც დავითმა მათ ადგილზე თირქაში და-
ნიშნა. ყოველივე ამის შესახებ ისინი წინდაწინ იყვნენ შეთანხმე-
ბულნი დავითის ძმა გიორგისთან“ (14,134).

მაშ, დავითზე განაწყენებულ სმბატ და ივანე ორბელეს, აქაოდა ამირსპასალარობა ჩვენ კი არა, თირქაში აბულეთის ძეს მისცაო, საქართველოს მეფე მოუკლავთ. მათ ეს ნაბიჯი შეთანხმებული ჰქო-
ნიათ დავითის ძმა გიორგისთან, ჩვენი მონოგრაფიის მთავარ გმირ-
თან.

ამ საკითხთან დაკავშირებით სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს. ის კი გვინდა გავაცხადოთ, რომ ქართული წყაროები ყოველივე ამის შესახებ სდუმან და დავითის სიკვდილს სქელ, გაუმჭირვალე ბუ-
რუსში ზვევენ. არადა, რომ არ გვქონოდა სომეხი მოღვაწეების — მხითარ გოშისა და ვარდან დიდის თხზულებები, რა გვეცოდინებო-
და ამ მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო? რამდენი რამ დააკლდე-
ბოდა მეფე გიორგი მესამის პორტრეტს?

ახლა გიორგი, ისე როგორც კლდის წვერზე მჯდომი ასაფრენად გამზადებული არწივი, ჟამს ელოდა, რომ სახელმწიფოს საჭესთან მიჭრილიყო და ქვეყანა ისე ემართა, როგორც მისი გონება მოი-
სურვებდა. დამთავრდა გიორგისა და დავითის უშუალო მეტოქეობა. უფროსმა ვერ გაუძლო ჭიდილს და დაეცა. უმცროსმა კი გზა გაა-
გრძელა. ეს იყო გიორგის პირველი და უდიდესი გამარჯვება ბედ-
ზე. მეორე ვაჟად დაბადებულმა იმდენი ქნა, რომ თავიდან მოიცილა პირველი და ეს გააკეთა ბედის დათრგუნვით. მაგრამ ბედი მაცდუ-
რია. შეიძლება ერთ წაშში დაგემორჩილოს, მეორე წაშში კი ზურ-
გიდან გადმოგადლოს. დარწმუნებული ვართ, სანამ გიორგი სამეფო გვირგვინს თავზე დაიდგამდა და მირონცხებული გახდებოდა, არა-
ერთხელ დასჭირდებოდა ბედისათვის ბასრი დეზების ამოკვრა.

როგორც თამარის ისტორიკოსის, ისე ზემოთმოხმობილი სომეხი მოღვაწეების — მხითარ გოშისა და ვარდან დიდის თხზულებებში ლაპარაკია დავით მეფის ზოგად გარდაცვალებაზე. არც ერთ მათ-
განში არ ჩანს სასიკვდილოდ განწირული მეფის ფიქრები, გნებავთ



მოქმედება. არც დემეტრეზე ან გიორგიზე იტყობინებიან რაიმეს არადა, ხომ წარმოუდგენელია, რომ მომაკვდავ დავითს არავითარი ღონისძიება არ გაეტარებინა მისი შვილისათვის ტახტის შენარჩუნების მიზნით. ხომ ცნობილია, რომ მას დარჩა ვაჟი დემეტრე, იგივე დემნა, არასრულწლოვანი და უსუსური. მაგრამ უტოვებდა კი დაუნდობელი სიკვდილი შვილის ბედზე ზრუნვის ძალას? საწამლაჰმა, რომელიც მას შეაპარეს, უცებ ხომ არ მოუთავა ხელი? საბედნიეროდ, არსებობს ერთ-ერთი წყარო, სადაც ძალზე მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული დავით მეფის სიკვდილის წინა ხანაზე, მის საქმიანობაზე და, რაც ყველაზე მთავარია, გიორგისთან ურთიერთობაზე. ამ ცნობების მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ფასი არ დაედება. ამიტომ ყოველივე მისი მონაცემი გასაფრთხილებელია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს XIII-XIV საუკუნეების მიჯნის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის თხზულების ზოგიერთი ადგილი.

სტეფანოს ორბელიანის წინაპრები ქართველები იყვნენ. დემნა უფლისწულის აჯანყებისას (რომელზედაც ქვემოთ ვრცლად ვილაპარაკებთ) მისმა სიმამრმა და აჯანყების ხელმძღვანელმა ივანე ორბელმა თავისი ძმა და რამდენიმე ძმისშვილი დახმარების სათხოვნელად აზერბაიჯანის ათაბაგთან გაგზავნა. მაგრამ სანამ ისინი ჯარს მოიყვანდნენ, გიორგი მესამემ აჯანყებულები ხელთ იგდო. ამიტომ მათ სამშობლოში აღარ შემოესვლებოდათ. მხოლოდ ისინი გადაურჩნენ შურისძიებას, რადგან გამარჯვებულმა მეფემ მთლიანად ამოჟლიტა ორბელთა გვარი. უცხოეთში დარჩენილი ორბელების ერთი ნაწილი სომხეთში დასახლდა და სომხურ გვარს — ორბელიანებს დაუდო სათავე. სტეფანოს ორბელიანი სომხეთში დამკვიდრებულ ორბელთა შთამომავალი გახლდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთან ურთიერთობა მას დაკარგული არ ჰქონდა. სომხურის გვერდით ქართულიც იცოდა და თავისი წინაპრების ისტორიითაც დიდად იყო დაინტერესებული. მან დაგვიტოვა დიდი მოცულობის თხზულება „სისაკანის სახლის ისტორია“, რომლის ნნ-ე თავი მთლიანად ორბელთა გვარის თავგადასავალს ეძღვნება. აი, სწორედ ამ თავშია დაცული ჩვენთვის სა-

ჭირო მასალა. მოვიტანოთ იგი: „ ... და შემდგომად მრავლისა გან-
მარჯვებისა და დიდ-დიდისა სიმხნისა მოკვდა დიმიტრი მეფე
ცხვისა ექვსასშვიდსა და მიიღო მეუობა მისი დავით, მსგავსმან მა-
მისმან, კაცმან ძლიერმან და ბრძენმან, და ცხოვნდა წელსა ორსა
და მოკვდა. და ჟამსა აღსრულებისას მოუწოდა კათოლიკოსსა და
დიდ-დიდთა დიდებულთა და ძმასა თვისსა გიორგის და მცირესა
ყრმასა თვისსა დიმიტრის და დაიდვა წინაშე თვისსა თავადი ხატი
და განმაცხოვრებელი ჯუარი და სახარება და თქვა: „ჰოი დიდებულ-
ნო ქართველნო, თქვენ თვით კეთილად უწყით, თუ ვითარ იღვაწა
მამამან ჩემმან თქვენთვის და კუალად განაახლა მეუობა ესე და
ჟამსა სიკვდილისასა დიდ-დიდითა აღთქმითა და წიგნთა მომმადლა
მე მეუობა და მეცა ჟამსა ამას მოვახლებულ ვარ აღსასრულსა და
შენ, ძმა ჩემო გიორგი, არარა გავქს ნაწილი და რიცხვი საყდარსა
ამას, არამედ ვითარცა მამამან ჩემმან მომმადლა მე სამკვიდრი საყ-
დარი ესე და სამეფო, მსგავსადვე მისსა მე ძისა ჩემისა დიმიტრის-
სა მომიცემიეს თქვენ ყოველთავე მოწამეობითა. ხოლო შენ, ძმა ჩე-
მო გიორგი, დადექ ადგილსა ჩემსა და ქმენ ძალმთავრობა ქვეყანასა
და იყოს შენდა ნაწილი სამკვიდრებელისა, რომელ-იგი მამამან ჩემ-
მან მოგცა შენ, ვიდრე აღიზარდოს ყრმა ჩემი“. და მოუწოდა წინა-
შე იოვანე ორბელიანსა, ძესა სუმბატისასა, და აფუცა ყრმისა მის-
თვის დამარხვად აღთქმისა მის ანდერძისა, და ეპყრა ხელი ყრმასა
და მისცა ხელთა იოვანესთა და შევედრა და ყოველნივე იგი დიდე-
ბულნი აფუცა, რამეთუ არა ზაკვა ყონ ყრმასა მას ზედა და ოდეს-
ცა ასაკეულ იქმნეს, სცხონ მას მეფობა. ესე ყო და აღესრულა, და
დაიდვა გელათს მამათა თვისთა თანა“ (16,40-41).

ჯერ ეს ნაწილი ვიკმაროთ.

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რა საინტერესო
ცნობასთან გვაქვს საქმე. ჯერ სურათი წარმოვიდგინოთ: მეფის სა-
წოლი ოთახი, სარეკელზე გაფითრებული დავით მეხუთე მიწოლი-
ლა. იქვე, ახლოს ღვანან საქართველოს კათალიკოსი, დავითის ძმა
გიორგი, დავითის მცირეწლოვანი ვაჟი დიმიტრი ანუ დემნა და
ერთგული დიდებულები. დავითი წამოიწვევს და იქ მყოფთ მოტანი-
ლი სიტყვით მიმართავს. ბევრს ცრემლი ადგება თვალზე, გიორგი

კი გულში, ალბათ, ილიძის. დავითი წვალობს, ჩახრინწული და და-
სუსტებული ხმის ამაღლებას ცდილობს და სათქმელს ქოშინით ამ
თავრებს. მერე შეისვენებს, კვლავ წვალებით იწყებს ლაპარაკს.
იქნებ სურათი სწორად ვერ წარმოვადგინეთ. იქნებ გიორგის ლაპა-
ლუპით სდიოდა ცრემლი? მართალია, ძმის სიკვდილში გაურია, მაგ-
რამ ახლა, მისი სულის ამოსვლის წინ, იქნებ გული მოუღბა და
სინანულის ცრემლი წასკდა. რამდენი რამ შეიძლებოდა ამ დროს
გულკეთილ კაცს გახსენებოდა? თუნდაც ბავშვობის ბედნიერი
დღეები...

საოცარი ცნობაა. სწორედ იმას ვგებულობთ, რაც თანამედროვე
მკვლევრებს ხშირად გვაკლია ხოლმე — ისტორიული პირის სუ-
ლის ძერას, გულის წადილს, სევდას. ჯერ ის რად ღირს, რომ
მომაკვდავმა დავითმა თავისი ანდერძი საქართველოს კათალიკოსის,
გიორგის, თავისი ვაჟისა და დიდებულების თანდასწრებით განაცხა-
და. თანაც წინ დაიდო „თავადი ხატი და განმაცხოველებელი ჯუა-
რი და სახარება“. ეს წმინდა ნაწილები დავითს იმიტომ უნდა მოე-
ტანინებინა, რომ საკუთარი სიტყვისათვის უფრო მეტი დამაჯერებ-
ლობა მიეცა. დამსწრე საზოგადოება ამ ნივთებს უთუოდ საქმეში
თვით ღვთის მონაწილეობად განიხილავდა.

! მოტანილ ამონაწერში განსაკუთრებული ყურადღება გიორგისად-
მი მიმართვას უნდა მიექცეს. შენ, ჩემო ძმა გიორგი, ტახტთან არა-
ფერი გესაქმება („არარა გაქვს ნაწილი და რიცხვის საყდარსა
ამას“) და ისე როგორც მამაჩემმა გადმომცა მემკვიდრეობით ეს
ტახტი და სამეფო, მეც ჩემს ძეს დიმიტრის ვაძლევ მას თქვენი
თანდასწრებით — აცხადებს დავითი. ოღონდ შენ, ჩემო ძმა გიორგი,
— აგრძელებს შემდეგ, — სანამ ჩემი ყრმა შვილი გაიზრდებოდეს
(ე. ი. სრულწლოვანი გახდებოდეს), ჩემს ადგილზე იყავ და ქვეყა-
ნაზე იბატონე. მოიხმარე ის სამკვიდრეული (საუფლისწულო მამუ-
ლი), რომელიც მამაჩვენმა გამოგიყო. საყურადღებო განცხადებაა
(ანდერძია). თითქოს ყველაფერი გათვალისწინებულია მასში. ისიც,
რომ გიორგის ტახტის ხელთგდების სურვილი ჰქონდა, ისიც, რომ
გიორგი ძალაუფლების მოყვარე კაცია და საჭირო იყო მისი ამ
სურვილის ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილება. სწორედ ამ საკი-



თხებს მიაქცია ყურადღება დავითმა და გიორგის მკაცრად განუ-
საზღვრა სამოქმედო ასპარეზი: ტახტი ჩემი შეილისაა, მაგრამ სა-
ნამ ის სრულწლოვანი გახდებოდეს, ქვეყანა შენ მართო.

მომაკვდავი კაცის ასეთი მომთხოვნი კილოთი საუბარი ცბიერ
გიორგის, ალბათ, სასაცილოდ არ ეყოფოდა. რამდენიმე საათის
შემდეგ დავითის ენა-პირი საშუდამოდ დადუმდებოდა და მისი ან-
დერძი ყოველგვარ ფასს დაჰკარგავდა. მაგრამ არც ვერე იყო საქმე.
დავითის სიტყვა-ანდერძი კათალიკოსმა და საქართველოს დიდებუ-
ლებმაც მოისმინეს და მისი დარღვევა ადვილი აღარ იყო. მითუმე-
ტეს, რომ დავითმა თავისი ანდერძის დაცვა ერთ-ერთ დიდებულთა-
განს, ივანე ორბელს ჩააბარა. თანაც თავისი ვაჟის ხელიც მას
ჩაუდო ხელში, ე. ი. მომავალში მასზე ზრუნვა შესთხოვა. მერე მა-
საც და სხვა დიდებულებსაც ფიცი დაადებინა, რომ დემნას არას-
დროს უღალატებდნენ და სრულწლოვანი გახდებოდა თუ არა, გაა-
მეფებდნენ.

მეტი რაღა უნდა გაეკეთებინა მომაკვდავ დავითს თავისი ვაჟის,
დემნას მომავლის გადასარჩენად? სხვა რაღა საშუალება არსებობ-
და? მან ყველა და ყველაფერი მოიხმო, ვისაც და რასაც ანგარიში
გაეწეოდა: ხატი, სახარება, ჯვარი, კათალიკოსი, დიდებულები... ახ-
ლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, დაიცავდა თუ არა
გიორგი მიცემულ პირობას.

მაგრამ მეტად თავისებური დრო იყო. დავით მეფე კვდებოდა. მი-
სი ვაჟი იმდენად მცირეწლოვანი იყო, რომ ტახტზე ვერ აიყვანეს
და აღმზრდელი დაუნიშნეს. ვინღა გაუწევდა მომაკვდავი მეფის
თხოვნას ანგარიშს, ვინ იბრძოლებდა დემნას ინტერესებისათვის,
როცა იქვე იდგა გიორგი, ძლიერი, ჭკვიანი, თავისი მეფე-ძმისაგან
უზარმაზარი უფლებებით აღჭურვილი? მას გვირგვინიც რომ არ
დაეღვა, სანამ დემნა უფლისწული სრულწლოვანი არ გახდებოდა,
საქართველოს სამეფოს ყველა საქმე ებარებოდა. რაღა აკლდა მე-
ფობამდე? კათალიკოსიც და იქ მყოფი დიდებულებიც ქვეცნობიერად
მაშინვე იგრძობდნენ ამას და გიორგისადმიც მოწიწებით განუწყო-
ბოდნენ.

დრო იყო მეტად თავისებური-მეთქი. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ იმდროინდელი საქართველო ძლიერი პოლიტიკური ძალა იყო. მას მრავალ შორეულ თუ ახლომდებარე ქვეყანასთან ჰქონდა კავშირი დამყარებული, უხდებოდა ომებიც. ელჩების გაგზავნა-მიღება, ომის წარმოება და ზავის დადება, ლაშქრობა-ნადირობა, დიდებულების დასაჩუქრება თუ დასჯა მეფის მოვალეობაში შედიოდა. უგვირგვინო, მირონუცხები გიორგი როგორ გაუძღვებოდა ამ საქმეს? თანაც ამ მდგომარეობაში უნდა დარჩენილიყო დიდხანს, სანამ დემნა სრულწლოვანი არ გახდებოდა. ეს კი შეუძლებელი იყო. გიორგის სიძლიერე იმაში მდგომარეობდა, რომ დემნას მეფედ კურთხევა ვერ მოასწრეს. სწორედ ეს გარემოება იყო, მას, ისედაც ტახტის მოტრფიალეს, ამ ძვირფას საგნისაკენ რომ მიაქანებდა. და აი, ამ რთულ პირობებში, ერთ მშვენიერ დღეს, ისნის სასახლის კარი შეაღო ხანში შესულმა ბერმა. ბერმა შეიძლება ველარც იცნო იგი — დემეტრე I. ხმლოსნის ნაცვლად ბერული ჩოხით შემოსილი დაუბრუნდა იგი თავის სასახლეებსა და მსახურთ. მოტეხილი ჩანდა. ავადმყოფური ფერი ედო სახეზე. ნუ გაიკვირვებს მკითხველი ჩვენს პოეტურ ამოძახილებს. შვილის დაღუპვის შემდეგ მართლაც დატოვა დემეტრემ დავით გარეჯის მონასტერი და თბილისში დაბრუნდა. უპატრონოდ დარჩენილ ტახტს დაეპატრონა და თავისი საყვარელი ვაჟი თანამესაყდრედ გამოაცხადა, მერე კვლავ მონასტერს მიაშურა. მაგრამ გულმა დავით გარეჯისაკენ აღარ გაუწია, გელათს შეაფარა თავი და 1156 წელს იქვე გარდაიცვალა კიდევ.

თანამოსაყდრედ გამოცხადება ჩვეულებრივი მეფედ კურთხევა იყო. მეფედ კურთხევა კი რთულ და საინტერესო ცერემონიალს გულისხმობდა. ეს წესი ჩვენში კარგა ხნის დადგენილი იყო და მის წასამართავად საგანგებო სახელმძღვანელოც კი არსებობდა. კურთხევა ეკლესიაში ხდებოდა. მას კათალიკოსის ნებართვა და თანამონაწილეობა სჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, გიორგიმ ალბათ რაღაც ღონისძიება გაატარა, რომ საქართველოს კათალიკოსი ამ კურთხევაზე დაეთანხმებინა. მკითხველმა უკვე იცის, რომ ერთი თვის წინ (ეს დროს სტეფანოს ორბელიანს აქვს განსაზღვრული) იგი დავითის მიერ ანდერძის წარმოთქმას დაესწრო და მისი ერთ-



გულების ფიციც დაღო. ანდერძის თანახმად კი, როგორც უკვე ვიცით, გიორგის მეფედ კურთხევა ეკრძალებოდა. მაშ როგორ გადაილახა ეს წინააღმდეგობა? ამის შესახებ სტეფანოს ორბელიანი აღნიშნავს: დავითის გარდაცვალების შემდეგ „დღეთა მათ წარჩინებულ იყო ყრმა იგი (ე. ი. დემნა, ჯ. ს.) სახლსა იოვანესსა და ისწავლიდა და აღორძინდებოდა.“

ხოლო თვით იგი გიორგი გარდააქცევდა გულსა დიდ-დიდთა მთავართა და კათალიკოზისასა კუალად და ენება განმეფობა და ვერ ხელეწიფებოდათ განზრახვისა განცხადებად დიდისა სუმბატ ორბელიანისა და ძეთა მისთა იოვანესა და ლიპარიტისა“ (16,41).

მაშასადამე, დავითის გარდაცვალების შემდეგ გიორგი თურმე თანდათან იბირებდა თავის მხარეზე დიდი მთავრებისა და კათალიკოზის გულებს და გამეფება ეწადა, მაგრამ თავის სურვილს აშკარად ვერ აცხადებდა სუმბატ ორბელისა და მისი ვაჟების — ივანესა და ლიპარიტის რიდით.

მოტანილ ნაწყვეტში მთავარია ცნობა გიორგის მიერ კათალიკოზისა და საქართველოს დიდებულების თავის მხარეზე გადაბირების შესახებ. ჩვენ არ ვიცით რას შეჰპირდა იგი მათ, მაგრამ მისმა ღონისძიებამ შედეგი გამოიღო. დავით მეფის ორმოციც არ ჰქონდათ გადახდილი, რომ გიორგიმ გვირგვინი დაიდგა თავზე, ე. ი. მეფედ აკურთხეს. სტეფანოს ორბელიანის სიტყვით, ეს ასე მომხდარა: „ხოლო შემდგომად თვისა ერთისა (დავითის სიკვდილიდან) შეკრბენ ყოველნი დიდებულნი და აზნაურნი გიორგისა. და შევიდა მათ თანა იოვანეცა თვისითურთ, და განუცხადა განზრახვა იგი გიორგი მრავლითა ვედრებითა და დაჯერებულ სიტყვით: „უკეთუმცა ასაკეულ იქმნეს ძმისწული ჩემი, არა დაკლებულ ვყო იგი, არამედ ანდერძისაებრ ძმისა ჩემისა დავსვა საყდარსა მეფობისასა“. ამისთვის სცხეს მას მეფედ“ (16,42).

ამრიგად, დავით მეფის გარდაცვალებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ გიორგის შეუკრებია ქვეყნის დიდებულები და დიდი ხვეწნამუდარის შემდეგ მათთვის გამეფების თანხმობა გამოუთხოვია. მას კიდევ ერთხელ შეუფიცავს, რომ ჩემი ძმისშვილი, ე. ი. დემნა უფლისწული, სრულწლოვანი გახდება თუ არა, დავითისადმი მიცემუ-



ლი ანდერძის თანახმად, ტახტზე დავსვამო. დიდებულებს (მათ შორის ივანე ორბელს) მისი სიტყვები დაუჯერებიათ და უკუერთხებიათ.

დიდებული ცნობაა! მართალია, ავტორი არ გვეუბნება, რა სიტყვებით ემუდარებოდა გიორგი შვერებილთ, მაგრამ მთავარია გვაუწყებს: „მრავლითა ვედრებით“ დააჯერა ისინი თავის გამეფების აუცილებლობაშიო. ამიტომ გავაცხადე ზემოთ: გიორგი ჭკვიანი, ბრძოლისუნარიანი, ცბიერი (ემშაკის აზრით) კაცი იყო-მეთქი. ალბათ თავი დაიმდაბლა, ყველას მტრედად მოეჩვენა. სამაგიეროდ საქართველოს მეფეთ-მეფობა, ე. ი. ყველაფრის უფლება მიიღო. ამიერიდან მას ემორჩილებოდა ქვეყნის ლაშქარი, მისი სურვილის მიხედვით აშენდებოდნენ ციხე-ქალაქები, ხიდები გაიდებოდა აბობოქრებულ მდინარეებზე, მოიჭრებოდა ფული... ერთი სიტყვით, ნიკოპსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან სპერამდე გადაჭიმული მიწა-წყალი მისი სამოქმედო ასპარეზი გახდა. დიახ, გიორგიმ კიდევ ერთხელ დაამარცხა ბედი და „მარადიული უფლისწულობიდან“ (უფლისწული, რომელიც მეფედ არასდროს გახდება) მეფედ შეიქმნა. დავიმახსოვროთ, ეს იყო დავით მეფის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ, 1156 წელს.

სტეფანოს ორბელიანის თხზულებიდან ამოკრებილმა ცნობებმა ისეთი რამ შემატა გიორგი მესამის სურათს, რომლის გარეშე იგი აუცილებლად ნაკლული გამოვიდოდა. თუნდაც გიორგის მიერ კათალიკოსისა და დიდებულების გადასაბირებლად გატარებული ღონისძიებების, ანდა დიდებულებისადმი მისი ვედრების შესახებ ცნობები რად ღირს? ბოლოს და ბოლოს მისი განცხადება „უკეთუმცა ასაკეულ იქმნეს ძმისწული ჩემი, არა დაკლებულ ვყო იგი, არამედ ანდერძისამებრ ძმისა ჩემისა დავსვა საყდარსა მეფობისასა“-ო ზომ მთლიანად ცვლის ჩვენს წარმოდგენას გიორგი III-ის გამეფების პირობებზე. კიდევ რამდენი მნიშვნელოვანი ცნობა აქვს დაცული, რომელთა შესახებ ვერ არ გვილაპარაკია, მაგრამ ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ. შეიძლება ითქვას, რომ სტეფანოს ორბელიანის ცნობები ქართული წყაროების საფუძველზე შექმნილ გიორგი მესამის მჭლე სურათს საჭირო ფერებს ჰმატებს და თვალსაჩინოს ხდის.

აღნიშნულის მიუხედავად, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ეს ცნობები სათანადოდ შეფასებული არ არიან. აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში აღნიშნავდა: „სტ. ორბელიანი ამბობს, ვითომც გიორგი III უფროსს ძმას დავითს სიკვდილის წინ თავისი მცირეწლოვანი შვილის დემეტრე-დემნას პატრონად დაენიშნოს და მისთვისვე ჩაებარებინოს დემნას სრულასაკონობამდე სამეფოს მართვა-გამგეობა, ვითომც შემდეგ მეფობა დემნასთვის უნდა დაეთმო, თვითონ კი თავის ხვედრს საუფლისწულო მამულს დასჯერდებოდა. იმავე ავტორის სიტყვით, ამ ანდერძის დამსწრედ ვითომც ყოფილიყვნენ ქართველი დიდებულებიც, მათ შორის ამირსპასალარი ივანე ორბელიც, რომელსაც დავითმა თავისი შვილი დემნა ჩააბარაო. გიორგი III მეფობის უფლება გაუტკბა და არამცთუ ნაანდერძევი მეფობის დათმობა ემძიებოდა, პირიქით, მან გადაწყვიტა თავისი თავი სახელმწიფო გვირგვინით შეემკოთ. შეკრებილ დიდებულებს, მათ შორის ივანე ორბელს, თანხმობა გამოუცხადებიათ, ვითომ იმიტომ, რომ გიორგი III ყველანი დაერწმუნებინა, რა წამს დემნა სრულასაკოვანი შეიქმნება, მეფობას დაეუთმობო. გიორგი მეფემ თავისი სიტყვა არ აასრულა და იმიტომ მოხდა ამბოხებაო.

მთელი ეს მოთხრობა იმ სახით, როგორც იგი სტეფანოს ორბელიანს აქვს ნაამბობი, ყოვლად შეუწყნარებელი რამ არის. ჯერ ერთი ის, რომ დავითს და დემეტრე I-გიორგის ისეთი უთანხმოება ჰქონიათ ერთმანეთში, რომ შეუძლებელია დავითს გიორგი თავისი ანდერძის აღმასრულებლად დაენიშნოს; მეორე ისა, რომ, როგორც დავინახეთ, გიორგი სამეფოს ტახტზე მისსავე მამამ დემეტრე I აიყვანა და დაავიკრგვინა. მესამე ისა, რომ დავითს მიმძლავრებულად თვლიდა მისივე მამა და გიორგი მიაჩნდა თავის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ. დასასრულ, რომ დემნა სამეფოდ არ ემზადებოდა, ეს ყველასათვის უნდა ცხადი ყოფილიყო, მითუმეტეს, ივანე ორბელისათვის, იმიტომ, რომ დემნას ცოლად ივანე ორბელის ქალი, მაშასადამე, ქვეშევრდომის და არა სამეფო გვარის ასული შერთეს. მაშინ სამეფოდ გამზადებული უფლისწულისათვის ეს შეუწყნარებელი საქციელი იყო (იხ. ჩემი „ქალი სამართლის ისტო-



რია“ – სახელმწიფო სამართლის კარი). ამას გარდა, რა დასაჯე-
 რებელია, რომ დიდებულებს ივანე ორბელითან ერთად გიორგი III
 დაგვირგვინების თანხმობა ვითომც იმიტომ გამოეცხადებინოთ, რაკი
 დამსწრენი გიორგის დაერწმუნებინოს, ჩემი ძმისწული სრულწლო-
 ვანი გახდება თუ არა, მაშინვე სამეფო ტახტს იმას დაულოცავო?
 ქართველი დიდებულები და ივანე ორბელი უსუსური ბალები ხომ
 არ იყვნენ, რომ ვერ მიმხვდარიყვნენ, როდესაც მეფის მოადგილე
 და აღმზრდელი თვით დაგვირგვინებას ბედავს, ის მომავალში მე-
 ფობის დამთმობი იქნებოდა, თუ პირიქით, საბოლოოდ მიმტაცებე-
 ლი?!“ (6,243).

სტ. ორბელიანის აღნიშნული ცნობებისადმი ასეთ მეტისმეტად
 კრიტიკულ დამოკიდებულებას ვერ გავიზიარებთ. ჩვენ გვკონია, რომ
 სასიკაძულო ისტორიკოსი თავისი დასკვნების გამოტანისას არ
 ითვალისწინებს იმ სიტუაციას, რომელშიც დავითის ანდერძი წარ-
 მოითქვა. დავით მეფე კვდება. ეს მანაც კარგად იცის და დამსწე-
 რებებმაც. მან რაღაც უნდა იღონოს, რომ თავის მცირეწლოვან
 შვილს – დემნას სიცოცხლე და ტახტი შეუნარჩუნოს. დავითმა
 ისიც მშვენივრად იცის, რომ მის ძმას, გიორგის, ტახტზე პრეტენ-
 ზიები აქვს, ნაწილობრივ სამართლიანიც. მას დემეტრე პირველი,
 ორივეს მამა, დავითთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა და
 ტახტსაც მას ჰპირდებოდა. დავითი გიორგის დაუნდობელ ხასიათ-
 საც კარგად იცნობს. თუ ამის შესაძლებლობა მიეცემა, დემნას სა-
 სიკვდილოდ არ დაინდობს. დემნასთვის სიცოცხლისა და ტახტის
 შენარჩუნება მომაკვდავი დავითის მიერ გატარებული იმ დიდი ღო-
 ნისძიების (დიდებულების შეკრება და ანდერძის წარმოთქმა) მთავა-
 რი მიზანი იყო. აი, ასეთი აზრებით შეპყრობილმა დავითმა წარმო-
 სთქვა ზემოთმოტანილი ანდერძი. ასეთ კაცს, თანაც მომაკვდავს,
 ალბათ, ეპატიება, თუ ღონისძიებების გატარებისას რაიმე შეცდომა
 დაუშვა. სიკვდილი აღარ აძლევდა აწონ-დაწონვის საშუალებას.
 მიუხედავად ამისა, დავითს გიორგი თავისი ანდერძის აღმსრულებ-
 ლად არ დაუნიშნავს, როგორც ი. ჯავახიშვილი წერს. ანდერძი იმ
 დიდებულების გასაგონად წარმოსთქვა, რომლებიც საგანგებოდ მოი-
 წვია. ისინი შემთხვევითი ადამიანები როდი იყვნენ. ჯერ კათალიკო-



სის იქ ყოფნა რად ღირს! სწორედ ამ ხალხს ეყრდნობოდა დემეტრეც, დავითიც და, შემდგომში, მისი მემკვიდრეც მათი შემწევობით იმეფებდა. ამ ადამიანებს ეკავათ უმაღლესი თანამდებობები ქვეყანაში, გამოჰყავდათ და ხელმძღვანელობდნენ ლაშქარს და ა. შ. აი სწორედ მათ თვალწინ განუცხადა დავითმა გიორგის „შენ, ძმაო ჩემო გიორგი, არარა გაქვს ნაწილი და რიცხვი საყდარსა ამასა“-ო. სამეფო და ტახტი კი თავის შვილს დემნას გადასცა. ანდერძის პირობების, ისევე როგორც მცირეწლოვანი დემნას დაცვა, უშუალოდ საქართველოს ერთ-ერთ გავლენიან პირს – ივანე ორბელს ჩააბარა. ეს აშკარად ჩანს.

ივ. ჯავახიშვილს აეჭვებს სტ. ორბელიანის ცნობა იმის შესახებ, რომ გიორგი საქართველოს დიდებულებისაგან თანხმობის მიღების შემდეგ ავიდა ტახტზე. მისი სიტყვით, „გიორგი სამეფო ტახტზე მისმავე მამამ დემეტრე I აიყვანა და დააგვირგვინა“.

მაგრამ როდის მოხდა ეს? ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ დემეტრე პირველი ბერად იყო აღკვეცილი. დავითის გარდაცვალების შემდეგ იგი მონასტრიდან წავიდა, ტახტს დაუბრუნდა და გიორგიც თანამოსაყდრედ გამოაცხადა. მაგრამ თანამოსაყდრედ გამოცხადება მეფედ კურთხევას არ ნიშნავდა, თუ ეკლესიაში მისი მირონცხება და სხვა საზემო რიტუალი არ ჩატარდებოდა. შეიძლება დემეტრემ მართლაც გამოაცხადა გიორგი თანამესაყდრედ, მაგრამ დავითის ანდერძის ერთგულმა ეკლესიამ და დიდებულებმა კურთხევაზე უარი უთხრეს. სწორედ მაშინ დასჭირდა გიორგის მათთან ხვეწნა-მუდარა მეფედ კურთხევის უფლება მომეცითო. თანაც განაცხადა (პირობა დადო), რომ სრულწლოვნად გახდომისთანავე დემნას მეფედ გახდიდა. ეს სტ. ორბელიანის ცნობით, დავითის გარდაცვალებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ მომხდარა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დემეტრეს მიერ გიორგის თანამესაყდრედ გამოცხადება და მისი მეფედ კურთხევაც ტახტისკენ მიმავალი ორი საფეხურია. ამასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული ეჭვი საფუძველს მოკლებულია.

ივ. ჯავახიშვილის მესამე შენიშვნასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ მართალია, დემეტრე პირველს დავითი მიმძლავრებლად



მიაჩნდა და გიორგის თავის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ თვლიდა, მაგრამ თავისი აზრი მან ცხოვრებაში ვერ გაატარა. უფრო მეტიც, იგი შეიღმა მონასტერში გამოკეტა. მისი აზრიც ისტორიას ჩაბარდა. გიორგის დავითის მოწამვლა რომ ვერ მოეხერხებინა, ვერც დემეტრე დატოვებდა დავით გარეჯის მონასტრის კედლებს და არც ის მეტისმეტად მწვავე მდგომარეობა შეიქმნებოდა ტახტზე, რამაც გიორგის გამეფების შესაძლებლობა მისცა.

ივ. ჯავახიშვილის შემდეგი შენიშვნით, რაკი დემნას ქვეშევრდომის — ორბელის ქალი და არა სამეფო გვარის შვილი შერთეს, ამიტომ მას სამეფოდ არ ამზადებდნენ. ეს ყველასათვის, მათ შორის ივანე ორბელისთვისაც, ცხადი უნდა ყოფილიყო. გიორგი, ალბათ, მართლაც არ ამზადებდა დემნა უფლისწულს მეფედ. მას შემდეგ, რაც გიორგიმ საქართველოს სამეფოს მესვეურებს ტახტზე ასვლის უფლება გამოსთხოვა, რაღა ანგარიშს გაუწევდა დემნა უფლისწულს. რატომ იზრუნებდა ადამიანზე, რომელიც მომავალში ტახტის აშკარა მოცილე შეიძლება გამხდარიყო? პირიქით, მისი ხასიათის კაცს დემნას გაზრდა-დავაჟკაცებისათვის ხელიც კი უნდა შეეშალა და ეს ასეც ხდებოდა. მაგრამ დემნას სხვა მზრუნველი ჰყავდა, რომელსაც მისი აღზრდა და, სრულწლოვანობის ასაკის მიღწევისას, ტახტზე ასვლის საქმის მოგვარება დავით V-გან ანდერძად ჰქონდა მიღებული. ეს იყო ივანე ორბელი, დიდი გვარის შვილი და საქართველოს ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი.

შეიძლება ითქვას, რომ მეფემ საგანგებოდ „მიანება“ თავისი ძმისწული ორბელებს. მას უნდოდა, რაც შეიძლება მეტად გათქვეფილიყო დემნა მათში, დასცილებოდა სამეფო გვარს და ამით „დამდაბლებულს“ ტახტზე პრეტენზიები აღარ ჰქონოდა. ივანე ორბელმაც ამით ისარგებლა და დემნა უფლისწული სიძედ მოიკიდა. გიორგის, ალბათ, სურვილი აუხდა — დემნამ სხვა ქვეყნის სამეფო გვარის შვილი კი არა, ქართველი აზნაურის ასული შეერთო ცოლად. მაგრამ თუ მას ეს მეტოქის ტახტისთვის ბრძოლიდან გამოთიშვად მიაჩნდა, ივანე ორბელი სხვანაირად ფიქრობდა. მას ეს რაიმე ხელის შემშლელად არ ეჩვენებოდა და სიძედ მოკიდებული დემნას წლოვანად გახდომას მოუთმენლად ელოდა. ასე ვითარებაში



ქართველი დიდებულის ასულზე დაქორწინებას დემნასთვის ტახტის დაკავებაში ხელი მაშინ შეეძლო შეეშალა, თუ ყველაფერი გიორგის სურვილით წარიმართებოდა. მაგრამ, როგორც ითქვა, ამ საკითხის სხვაგვარი გაგებაც არსებობდა, რაც კიდევ გამოაშკარავდა დემნას აჯანყებად ცნობილ დიდ მოვლენაში.

ივ. ჯავახიშვილის იმ აზრის გაზიარებაც გვიჭირს, თითქოს გიორგის განცხადებას, ოღონდ ახლა გამამეფეთ და დემნა უფლისწული სრულწლოვანი გახდება თუ არა, ტახტს მივცემო, დიდებულები არ დაიჯერებდნენ. უეჭველია, რომ გიორგი ჯვარ-ხატზე და სახარებაზე შეფიცავდა მათ. მისი სიტყვების ჭეშმარიტების დასადგენად, მაშინ სხვა რა საშუალება არსებობდა? არაფერი, ღმერთის თვალი (რასაც ჯვარი, ხატი და სახარება გამოხატავდა) და დიდებულთა საერთო ნება ანგარიშგასაწვეი ძალა იყო და ყველა მხედველობაში ღებულობდა მას. გიორგი III არაფრად ჩაავლო ისინი, მათი თანდასწრებით წარმოთქმული ფიცი გატეხა და კინალამ მიწასთან გაასწორეს. მაგრამ ეს იყო გვიან, როცა დიდებულთა დიდი ნაწილი, აჯანყებულ დემნას ამოუდგა მხარში და ხმალამოწვდილი, სახატეში მდგომი გიორგი მესამის შესაპყრობად გაეშურა. გიორგი მესამე შემთხვევით გადარჩა დაპატიმრებას და ტახტიდან ჩამოგდებას.

**„ესე უცხო იყო შესაძლებლად
კაცობრივისა კალისაგან“...**

ბეთანიის და ვარძიის ტაძრის კედლებზე დღემდე შემორჩენილ პორტრეტებზე გიორგი მესამე წარმოგვიდგება მაღალ, მხარბეჭიან, ჩაფსკენილ მამაკაცად. აქვს კისრამდე დაშვებული თმა, წაბლისფერი წვერი და მსხვილი, მკაცრი სახე. აღნაგობით ძალიან ჰგავს მამამისს, დემეტრე პირველს, რომლის გამოსახულება მაცხვარიშის ფრესკას შემოუნახავს. თუ ალლო არ მღალატობს, არც ის და არც მამამისი — დემეტრე, დავით აღმაშენებელს არ ჰგვანან. დავითი მა-

ღალი, ტანწორწუტი კაცია, სახე თხელი და მოგრძო აქვს, ფეხები
— ლურჯი.

გიორგი მესამე ნამდვილი მხედარია. მის ნაკრავ შუბს ძნელად
თუ გაუძლებდა ფარი თუ ჯავშანი, მახვილით კი ცხენ-კაცს გაპ-
კვეთდა და მიწასაც უწევდა. დიახ, მას მხედრის საუკეთესო მონა-
ცემები აქვს. მაგრამ ერთია აღნაგობა და მეორე — გული ან გამბე-
დაობა. შუა საუკუნეებში ბრძოლის საქმეს, მკლავის ძალასთან ერ-
თად, გულადობაც წყვეტდა და თუ კაცს გული მფრთხალი ჰქონდა,
წარმატებას ვერ მიაღწევდა.

გიორგი მესამეს კი მკლავიც უჭრიდა და გაუტყეხელი გულიც
ჰქონდა. თამარის კარის ისტორიკოსის დახასიათებით გიორგი მესა-
მე მსოფლიოში გამოჩენილი გმირების — ალექსანდრე მაკედონელის,
ქაიხოსროს, აქილევსის, სამსონის, ნებროთის, სპანდიარის, თაჰამ-
თას და სიანოშის ტოლი მეომარი იყო. ამათ გარდა იგი გიორგი მე-
სამეს იონათთან მშვილდ-კაპარჭოსანს, ჩუბინ უცდენელ მსროლელს
და ბერძენთა ნადირობის ღმერთ არტემიდს ადარებს. მას საქართვე-
ლოს მეფე გოლიათთა გოლიათად ეწველება და უფრო მეტ პატივს
მიაგებს, ვიდრე წმინდა გიორგის. მისი სიტყვით, თუ წმინდა გიორ-
გიმ „ერთი ვეშაპი, ამან კულა ბევრნი ბევრთა სახენი ასპიტთა და
იქედნეთანი სძლივნა უძღველმან მხედარმან“ (4,8).

ანისის აღებიდან რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ ქართველებსა
და მუსლიმ მებრძოლებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა გაი-
მართა. ამ ომში გიორგიმ გმირობის სასაწაულები მოახდინა —
„განვლნა რაზმნი და სუმპერაზმანი, განაწონნა კინენი მსგავსად
აფრიდოსისა მქონესა წყობისა მამტკიცებელისასა“ (4,9).

მისმა ასეთმა შემართებამ ისე შეაშინა სულთანი, რომ მასთან
პირისპირ ბრძოლას უფრთხოდა და ბრძოლის ველიდან გაურბოდა.
თამარის ისტორიკოსის ეს და სხვა არაერთი მსგავსი დახასიათება
ნათლად წარმოგვიდგენს გიორგის, როგორც გულადი და უებრო
რაინდის სახეს. მაგრამ იქნებ ვინმემ იფიქროს: ეს ისტორიკოსი
გიორგი მესამის ქალიშვილის თამარის ჟამთააღმწერელია და სა-
განგებოდ განადიდებს მისი მამის მოქმედებასო. მაგრამ ლაშა გიორ-
გის-დროინდელი შემატიანეც რომ ადიდებს? „დაჯდა მეფედ გიორ-



გი, უმაღლესი ყოველთა მეფეთასა, მძლევ და მორჭმული მტერთა და შეცოდებულთათჳს, კეთილმსახური ღმრთისა“-ო, - აღნიშნავს იგი (13,367).

გიორგი მესამის გმირულ ხასიათს უცხოელი ავტორებიც აღნიშნავენ. მაგალითად, სტ. ორბელიანი, რომელიც გიორგის მიერ დასჯილ ორბელთა შთამომავალია და მასზე განაწყენების მიზეზიც გააჩნია, აღნიშნავს: „იყო განმარჯვებული ყოველსა ზედა სიმხნისა საქმეთა და ფრიად ბრძენი“-ო (16,42).

„ხოლო გიორგიმ, - აღნიშნავს მეორე სომეხი მოღვაწე მხითარ გოში, - როდესაც მეფობა განიმტკიცა, მრავალი გაბედული საქმე გააკეთა, სხვადასხვა მხარეებში შეიჭრა, მრავალი ოლქი დალაშქრა და ბრძოლით დაიმორჩილა“ (15,48).

საქართველოს მეფის გმირული საქმიანობა, გაუტეხელი სული და რაინდისათვის დამახასიათებელი ბრძოლისუნარიანობა კარგად ჩანს აგრეთვე სომეხი მემატრიანეების ვარდან დიდის, კირაკოზ განდაკეცის, მათოს ურჰაეცის თხზულებებში. აგრეთვე არაბების იბნ ალ-ასირის, სადრ ად-დინ... ალ-ჰუსაინის და სხვათა ნაწარმოებებში. იმის წარმოსადგენად, თუ რა გავლენით სარგებლობდა იგი თავის თანამედროვეებში, მოვიტანოთ ცნობილი შირვანელი პოეტის ზაკანის პასუხი გიორგი მესამისადმი. ეს მასალა მოიძია, სპარსულიდან თარგმნა და გამოსცა პროფ. მ. თოდუამ. აი ისიც: „სახელი-სა ალლაჰისა მოწყალისა და შემწყნარებლისა“. მარად ცოცხლობდეს დიადი უზენაესობა; უფალი ქვეყნიერებისა; მეფე დროის მეუფეთა; აღზევებული აუგუსტოსი; უდიდესი ჰერაკლე; დიდებული პტოლემეოსი (ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავარი, ეგვიპტის ელინური დინასტიის (305-30) დამაარსებელი. მ. თოდუას განმარტება); უმართლმსაჯულესი ფილიპე (ალ. მაკედონელის მამა. მ. თოდუას განმარტება); სიდიადე ბრწყინვალე სახელმწიფოსი; თავანი ზვიადი ერისა; მპყრობელი დიდებული მონებისა; დუნიაზე სწორუპოვარი; ქრისტიანთა სულთანი; სულთნთა დამცველი; ქრისტეს მოწაფეთა მემკვიდრე; კეისართა წინამდგომი; ძლევამოსილი პტოლემეოსი; ირანის მეფეთა ნათესავი, ეპისკოპოსთა დამრიგებელი; მალაქანიათა შემწე; საქრისტიანოს მაცოცხლებელი; შვიდი კლიმა-



ტის უმართლმსაჯულესი; (უფლის) სამსახეობის საუკეთესოდ მცოდნე; უმცოდინარესი ქრისტეს მოწაფე; უდიდესი ჯვრის დამცველი; სრულუფლებიანი კეისარი; დამხმარე სამი მიმდინარეობისა; მთავალყურე სახარებისა და შემწე მისი; მახვილი მესიისა და დასტური მისი; გამოვლინება სამართლისა და გულუხვობისა; სიამაყე დავითის გვარისა (ე. ი. ბაგრატიონებისა. მ. თოდუას შენიშვნა); (ჩვენ) ღრრის ნომანი (ბაპრამ გურის თანამედროვე ლეგენდალური არაბი მეფე. მ. თოდუას განმარტება); თავშესაფარი მღვიმე ბაპრამის გვარისა („აქ არეკლილია შარვანშაჰთა სამეფო გვარის ბაპრამიანებთან, კერძოდ, ბაპრამ ჩუბინთან დაკავშირების ტენდენცია. მ. თოდუას შენიშვნა); ქვეყნის მპყრობელის დიდებულების განდიდებაში; ნების აღსრულების შემზადების მოგვარებასა და სამართლიანობის ზეობასა და მართლმსაჯულების განახლებაში; გამოცხადება ქრისტიანობის ნიშნებისა... განახლება განდევლობის რიგისა; აღზევებული მეფური პიროვნება, რომელიც ქრისტეს მემკვიდრეა და სულია ხორცშესხმული; აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეფენი, რომლისაგან სრულქმნას აღწევენ; ავი თვალის ვნებისაგან დაცული; ქვეყნისმპყრობელის ნათელი საწუთრო დიდების სხივების შუქით (აა) ნიშანდებული და ტახტისმპყრობელნი და გვირგვინოსანნი (მის) უმაღლეს ადგილს (არიან) თავშეფარებულნი და გოროზნი უფალია (იდიდოს მისი სახელი!) წალმართი გზით მატარებელი, მოძღვარი და მშველელი!“ (17,9-16).

ვინც პოეტ ხაკანის შემოქმედებას იცნობს, დამეთანხმება, რომ მას, როგორც კარის პოეტს, მეფეების და საერთოდ, მაღალი წრის წარმომადგენელთა განდიდება ახასიათებს. მისი ეს თვისება გიორგი მესამისადმი გაგზავნილ პასუხშიც ჩანს. მაგ., „უფალი ქვეყნიერებისა; მეფე ღრრის მეუფეთა“ და სხვ. მაგრამ წერილში შეტანილი ეპითეტები, ძირითადად სწორად ასახავს გიორგის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის წონას.

გიორგი მესამეს დიდ შეფასებას აძლევდა ვახუშტი ბატონიშვილი. მისი სიტყვით, „ესე გიორგი იყო მშვიდი, უხვ, მოწყალე, ქუ-

* ხაკანის პასუხი გიორგისადმი საკმაოდ დიდი მოცულობისაა. ამიტომ მხოლოდ მოტანილით დავაკმაყოფილებით, მითუქტეს, რომ დანარჩენი საქმიანი ნაწილია.

რიგ-ობოლთა შემწყნარე, ეკლესიათა მშენებელი, მკნე, ახოვანი მოისარ-მონადირე უდარო“ (18,166). ახლა გიორგი მესამის ივ. ჯავახიშვილისეულ შეფასებას გავეცნოთ. „1155-1156 წელს, - წერს იგი, - საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა დემეტრე I უმცროსი შვილი გიორგი III. თუ მის მამას გულადი მეომრის სახელი ჰქონდა, მითუმეტეს მამაცობა მას მიეკუთვნებოდა. როგორც აღნიშნული იყო, დემეტრე I უფრო რომ იცავდა თავისი დიდებული წინამორბედის დავით აღმაშენებლის ნაანდერძევ მემკვიდრეობას, გიორგი III კი კვლავ განაახლა საქართველოს საზღვრების გაფართოება. მისი სამხედრო მოქმედება განსაკუთრებით სამხრეთისაკენ იყო მიმართული და შაჰ-არმენსა და სხვა ამირებს, რომელსაც წინანდელი სომხეთის სამეფო მიწები ეჭირათ, აცლიდა ხელითგან სამფლობელოს, თუმცა მაჰმადიანი მმართველნი გიორგი III ერთსულოვან მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც მისი იყო. იგი კვალდაკვალ მისდევდა მტერს და მათს ქვეყნებს იპყრობდა“-ო (6,228).

ივ. ჯავახიშვილის ეს სიტყვები შეიძლება გიორგი მესამის მთელი სამხედრო მოღვაწეობის მოკლე მონახაზად გამოდგეს. ახლა დაწვრილებით ვილაპარაკებთ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც გიორგი მესამემ საქართველოს საზღვრების გასამტკიცებლად ჩაატარა თავისი მეფობის მთელ მანძილზე. მაგრამ სანამ ამ საკითხზე უშუალოდ დავიწყებდით ლაპარაკს, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი: გიორგი მესამე რომ ტახტზე ავიდა, საქართველოს საერთო მდგომარეობა სახარბიელო არ იყო. დემეტრე პირველის მეფობის ბოლო წლები, აგრეთვე დავით მეხუთის მთელი ექვსთვიანი მბრძანებლობა, ქვეყნის საზღვრების დაცვის ან გაფართოების საშუალებას არ იძლეოდა. დემეტრესა და დავითის ურთიერთბრძოლა ქვეყანას ასუსტებდა და მოწინააღმდეგე ქვეყნების გააქტიურებას იწვევდა.

ამას გარდა, დემეტრე პირველის მეფობის დასაწყისში საქართველომ რამდენიმე ისეთი ღონისძიება გაატარა, რომელიც პოლიტიკურ ინიციატივას უკარგავდა მას. მე მხედველობაში მაქვს დავით აღმაშენებლის დროს უშუალოდ შემოერთებული შირვანისა და ანი-



სის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დათმობა. მართალია, შირვანშაჰიცა და ანისის მფლობელიც ყმადნაფიცობის პირობით ლემეტრეს მორჩილად თვლიდნენ თავს, მაგრამ ეს მოწინააღმდეგეებისათვის მიანიც დათმობას ნიშნავდა.

გიორგი მესამე ასეთი ურთიერთობის წინააღმდეგი იყო და გამეფების შემდეგ მდგომარეობა განიმტკიცა თუ არა, საქართველოს საზღვრების გაფართოებას შეუდგა. ქვემოთ აშკარად დავინახავთ, რომ იგი მთელი ამიერკავკასიის მიწა-წყალზე მოქმედებს და დიდ წარმატებებსაც აღწევს.

გიორგი III მეფობაში იერუსალიმის მუსლიმთაგან განთავისუფლების საკითხი კვლავ გადაუჭრელი იყო. ევროპელი ჯვაროსნები ახლაც მონღოლებით ცდილობდნენ ქრისტეს საფლავის „ურწმუნოთა“ ხელიდან დახსნას, მაგრამ ჯერ-ჯერობით შედეგი არ ჩანდა. საქართველო, ისევე როგორც დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის მეფობაში, თანამორწმუნე ევროპელებს კვლავ თავის მოკავშირედ მიაჩნდათ. ეს არც არის გასაკვირი. გიორგი III არც ერთ დასახელებულ ქართველ მეფეზე ნაკლები სიკისკასით არ ებრძოდა მაჰმადიანებს და არც მათზე ნაკლებ იმსახურებდა ლეგენდარული ქრისტიანი ხელმწიფის, იოანეს სახელს.*

უნდა აღინიშნოს, რომ თამარის კარის ერთ-ერთ ისტორიკოსს დადასტურებული აქვს გიორგი III ჯვაროსნებთან უშუალო ურთიერთობა (19,23-24).

ყოველივე ზემოთაღნიშნული ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ხასიათისა და მსოფლმხედველობის პირი იდგა საქართველოს სამეფო საჯესთან 1156-1184 წლებში.

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი მესამე 1156 წელს ავიდა ტახტზე. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის თავისი მეფობის პირველი წლებში რა საქმიანობას ეწეოდა იგი. არ არის გამორიცხული, რომ იგი აწესრიგებდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობას, კერძოდ, ირიგებდა ან სპობდა დავით მეფის აშკარა მომხრეებს, ამავრებდა საქართველოს საზღვრებს, წვრთნიდა და მტკიცე ფეხზე აყენებდა ლაშქარს. 1160

* ლეგენდარული მეფე იოანეს შესახებ, იხ. შ. ბაღრიძე, საქართველო და ჯვაროსნები, თბ., 1973, გვ. 23-24.



წელს კი ერთი დიდი გამარჯვებაც იხეიმა — სასტიკად დაამარცხა არზრუმის ამირა. სომეხი მემატიანის მათეოს ურჰაეცის ცნობით, „ამირ მირანი, შვილი ამირა იბრეჰიმისა სუქმანის შვილისა, რომელიც იყო მპყრობელი მრავალი ქალაქისა და მხარისა, — ხლათში, არჭუმში, მანასკერტში“ ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს (20,425).

არზრუმის ამირას საქართველოს წინააღმდეგ ამხედრება გასაკვირი არ არის. გიორგი მესამე ისევე, როგორც მისი წინაპრები (დავით IV, დემეტრე), მიზნად ისახავდა ქრისტიანი მეზობლის, სომხეთის მიწა-წყლიდან მუსლიმანი მმართველების განდევნას, რასაც აქ დამკვიდრებული მოწინააღმდეგე დიდად განიცდიდა. ცნობილია, რომ დემეტრეს ცხარე ბრძოლა ჰქონდა დასახელებული საამიროს გამგებელთან იზ-ალ-დინ სალთუკთან და 1154 წელს ანისისათვის გამართულ ბრძოლაში ტყვედაც იგდო.

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საქართველოს სამეფოს მესვეურნი მხოლოდ თანამორწმუნე სომხების მუსლიმანთა ბატონობისაგან განთავისუფლების იდეით იყვნენ შეპყრობილნი და საკუთარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნები არ გააჩნდათ. თუ ისინი ამ მიზნებს საქვეყნოდ არ აცხადებდნენ, ეს იმდროინდელი ქართული დიპლომატიის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. სინამდვილეში ამ მხარეში გატარებულ ყოველ ღონისძიებას ღრმა საფუძველი ჰქონდა. ცნობილია, რომ საქართველოს სამხრეთით, სომხურ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მრავალი საერთაშორისო სავაჭრო და საქარავნო გზა გადიოდა. აქ მდებარე ქალაქებში კი ვაჭრობა და ხელოსნობა ყვაოდა. ასე რომ, ყოველი შემოერთებული ქალაქი, გზა და სხვ. საქართველოს შემოსავლის გადიდების წყარო იყო. ამას გარდა, ქრისტიანული მოსახლეობის ზრდაც მხედველობაში მიიღებოდა. ცნობილია, რომ ამ მოსახლეობიდან სხვადასხვა (მათ შორის საეკლესიო) გადასახადი იკრიფებოდა. ყოველივე აღნიშნული ჩვენს სამშობლოს სულ სამხრეთითა და სამხრეთით მიერეკებოდა. არზრუმის ამირას დამარცხების შემდეგ გიორგი მესამემ შაჰ-არმენის მფლობელობაში მყოფი კალზევანი შეიერთა.

შაჰ-არმენების სახელმწიფო სამხრეთით, სომხეთში მდებარეობდა/ მას ქურთული წარმოშობის დინასტია განაგებდა, რომელსაც მოქ-
ლი სომხური მიწების თავის მფლობელობაში თავმოყრის პრეტენ-
ზია ჰქონდა. ამიტომაც იგი მკვეთრად უპირისპირდებოდა ჩრდილოე-
თიდან თანდათან მოახლოებულ საქართველოს. კალზევანზე გიორგი
მესამის ლაშქრობის შესახებ ცნობას თამარის ისტორიკოსი გვაძ-
ლევს. მემატინანის სიტყვით, მან შეკრიბა იმერეთის და ამერეთის,
ზემოთა თუ ქვემოთა მხარეების ლაშქარი, გაემართა ქ. კალზევანზე
და აშორნიის მხარის კლდოვანი ხეობები და ქალაქები მოაოხრა
(3,5). ეს მიწები სწორედ შაჰ-არმენს ეკუთვნოდა. სამწუხაროდ, ამ
ლაშქრობის შესახებ სხვა რაიმე ცნობა დაცული არ არის.

მაგრამ გიორგი მესამის თვალი და ყური მაინც ქ. ანისისაკენ
იყო მიპყრობილი. თავის დროზე იგი მეფე დემეტრეს მუსლიმანებმა
წაართვეს და აიძულეს, იქ კვლავ ადგილობრივი ხელისუფლების
აღდგენაზე დათანხმებულიყო. ეს დიდი ხნის წინ, 1126 წელს მოხ-
და. დავით აღმაშენებელი რომ გარდაიცვალა, თურქებმა მონღოემ-
ბით შეუტიეს საქართველოს ფარგლებში უშუალოდ შემავალ
ქ. ანისს. დემეტრე პირველმა ერთხანს გაუძლო ამ გაუთავებელ
თავდასხმებს, მაგრამ ბოლოს ქალაქი დავით აღმაშენებლის მიერ
შეპყრობილ ამირა აბულ-ლ-ასვარ შავურ II-ის შვილს ფადლონს
(ფადლონ IV) გადასცა. სომეხი ისტორიკოსი ვარდანი გადმოგვ-
ცემს, რომ ეს ფადლონი დავით აღმაშენებლის მიერ ქ. ანისის აღე-
ბისა და მისი ოჯახის დაპატიმრების დროს ქ. ხორასანში იმყოფე-
ბოდა. მან „... დავით მეფის სიკვდილის ამბავი შეიტყო თუ არა,
მამისეული ქალაქის ანისის სათხოვნელად მოვიდა და თხოვნით მი-
მართა აბულეთსა (აბულეთი დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქის
მმართველად დანიშნული ქართველი სარდალი იყო) და ქალაქის
უზუცესებს და რაკი ქალაქი თურქთაგან დიდს გაჭირვებაში იყო,
ამიტომ აბულეთმა დაუთმო იგი (ფადლონს)“ (14,147).

ვარდანი იმასაც აღნიშნავს, რომ აბულეთმა ეს ადგილობრივი
ქრისტიანებისა და თავისი შვილის ივანეს ხსნის მიზნით გააკეთაო.
მაგრამ იმას კი არ ამბობს, მეფესთან ჰქონდა თუ არა ეს ნაბიჯი
შეთანხმებული. ვფიქრობთ, რომ სწორედ ასე უნდა ყოფილიყო,

რადგან დემეტრე პირველს ამის შემდეგ ქალაქის ძველი ფორმით მიერთება აღარ უცდია.

სანამ გიორგი მესამე ქ. ანისზე ილაშქრებდა, მას იქ შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაო ჩაუტარებია. საქმე იმაშია, რომ ანისის სომხური მოსახლეობა და მმართველი მუსლიმანური გვარი — შედადიანები, ერთმანეთის უკმაყოფილო იყვნენ. ამიტომ მათ შორის მუდამ დაძაბულობა სუფევდა. მაგალითად, 1155-56 წლებში ანისის ქრისტიანული მოსახლეობა აუჯანყდა ამირა შედადს და ქალაქი მის ძმას ფადლონს გადასცა. მაგრამ არც ფადლონი აღმოჩნდა ანისელთათვის სასურველი მმართველი. 1161 წელს ქალაქის სამღვდლოება ფადლონს აუჯანყდა, დაამარცხა იგი და ანისი საქართველოს მეფეს გიორგი მესამეს შესთავაზა. ცხადია, რომ ანისელთა პოლიტიკური გეზი საქართველოს მეფისაკენ შემთხვევით არ მიმართულა. უეჭველია, იგი იმ დაპირებებს უნდა განეპირობებინა, რომლებიც გიორგი მესამეს, პატრონად გახდომის შემთხვევაში, მათთვის უნდა აღეთქვა. მაგრამ მათ შესახებ არაფერი ვიცით და არც არავის უნდა გაუკვირდეს. ასეთი რამ საიდუმლო შეთანხმებების სფეროს განეკუთვნება და მათ წერილობითი ფიქსირება, ხშირად, არ ხდება. ასეა თუ ისე, 1161 წელს გიორგი მესამე ანისისაკენ გაემართა და სამი დღის ბრძოლის შემდეგ ქალაქი ხელთ იგდო. მისი მფლობელი ფადლონ შედადიანი გადაიხვეწა, ხოლო ანისი „ქელთ იგდო... ნებისასაებრ თვისისა და არა დამბრუნებელმან და შემტყობელმან დაიმჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად“ (4,6). ეს ცნობა თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან არის ამოღებული და ადასტურებს ჩვენს აზრს საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ სომხეთის მიწებისათვის ბრძოლის ეკონომიკური მიზეზების შესახებ. საყურადღებოა, რომ გიორგი მესამეს ქ. ანისი მისი სამეფო კარის ხარჯების ასანახლაურებლად გაუმწესებია. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ იგი უშუალოდ თავის დაქვემდებარებაში აიყვანა.

ქ. ანისს იმდენად დიდი ყურადღება ექცეოდა, რომ გიორგი მესამემ იგი საქართველოს ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს ივანე ორბელს ჩააბარა, ხოლო თანაშემწედ სარგის მხარგრძელი

დაუნიშნა. მათ ჯარის ნაწილიც დაუტოვა და თვითონ სამშობლოში დაბრუნდა.

განსხვავებული ცნობა დაუცავს არაბ მემატთანე ალ-ფარიკს. მისი გადმოცემით, ანისში შესულმა გიორგი მესამემ ქალაქის ამირად ვინმე საღუნი დანიშნა. მაგრამ სომეხი მემატთანე ვარდანი აღნიშნავს, რომ ამ საღუნს ქალაქის გამაგრება დაუწყია, რითაც გიორგის დაეჭვება გამოუწვევია. გიორგის იგი თანამდებობიდან გადაუყენებია. საღუნი ამაზე გაბრაზებულა და გიორგი მესამეს განდგომია. საქართველოს მეფეს იგი ხელთ უგდია და მისი სიკვდილით დასჯის ბრძანება გაუცია. როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. მ. ლორთქიფანიძე (21,269), გიორგი მესამეს სწორედ ამის შემდეგ უნდა ჩაებარებია ანისი ივანე ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესისათვის.

ქ. ანისის აღების ამბავი უცხოელ ავტორებსაც აქვთ დადასტურებული. არაბი იბნ ალ-ასირი წერს, რომ „თვესა შაბანს 556 წელს (ე. ი. 1161 წლის აგვისტოს) ქართველები თავიანთი მეფის წინამძღოლობით შეიყარნენ და ქალაქ ანისისაკენ, რომელიც არან-შია, გაემგზავრნენ. აიღეს იგი და დიდძალი ხალხი დახოცეს“-ო (22,108). აღსანიშნავია, რომ სომეხი მემატთანის მათეოს ურჰაეცის ცნობით, გიორგი მესამე ქ. ანისს ორშაბათ დღეს მიდგომია და ერთი დღის ბრძოლის შემდეგ აუღია კიდეც. მისი სიტყვით, სამშობლოში მიმავალმა საქართველოს მეფემ ქ. ანისში 2000-კაციანი გარნიზონი დატოვა (6,230).

ქ. ანისის დაკარგვა მაჰმადიანმა მმართველებმა ძალიან ახლოს მიიჩნეს გულთან. როგორც თამარის ისტორიკოსი წერს, ამის „ჯავრისაგან აღიძრა ნაღველ-ფიცხელობა და ქედმაღლობა აგარიანთა და ისმაიტელთა. და შარიარმან სულტანად მწოდებელმან თავისამან მაწვეველ იქმნა ყოვლისა შამისა, ჯაზირისა და დიარბაგისა თურქთა თანა გარდმანისათა: არდოხის ძე, რომელი ჰაპისა მისისაგან დიდგვართა კუზის ძე იყო, რომლისა მამამან, ლაშქრობათა შინა სპა-მრავლად სახელგანთქმულმან, გამოჩენილი ივანე აბულეთის ძე ლტოლვილი ყო; საღლუხ სელჩუკიანი, რომელი სულტანთა გუარსტომობდა სრულიად, მრავალთა დიდთა მეპატრონეთა და ფა-



დიშაჰთა სპარსეთისათა თანა, მსგავსად მკეცთასა აღმლესველი
 კბილთა, დიდითა და მიუწვდომელითა ძალითა და უჰამრავითა
 ლაშქრითა მოვიდა და მოადგა ანისსა, ყოველთა დღეთა კართა ზე-
 და მბრძოლი მაშქერებელი და მახეკერებელი ცხენთა და აბჯართა“
 (4,6).

მაშასადამე, ქართველთა მიერ ანისის აღების შემდეგ შედგა მაჰ-
 მადიანების ძლიერი გაერთიანებული ლაშქარი, რომლის ყველაზე
 ცნობილი ხელმძღვანელები იყვნენ შაჰ-არმენი ნასირ აღ-დინ სუქ-
 მან II, დიარბექირის მმართველი არდოხის ძე კოტბ აღ-დინ ილღა-
 ზი, არზრუმის მთავარი აღ-მალიქ სალდუხი. ლაშქარში მონაწი-
 ლეობდნენ მთელი სირიის, მესოპოტამიის, დიარბექირის და გარმიან-
 ნის თურქობა. მთელი ეს უზარმაზარი მხედრობა ანისს მიადგა და
 ბრძოლა დაიწყო მის ხელში ჩასაგდებად.

მოწინააღმდეგის ანისზე თავდასხმის ამბავი გიორგი მესამეს თა-
 ვის დასასვენებელ აგარაკზე, ნაჭარმაგვევში მოახსენეს. მან მაშინვე
 იხმო ლაშქარი. მაგრამ სანამ მთელი საქართველოს მხედრობა შეი-
 ყრებოდა, დრო იყო საჭირო. ანისის გარნიზონს კი, ალბათ, დიდად
 უჭირდა. ამიტომ გიორგი მესამემ მთელი ლაშქრის შეყრას აღარ
 მოუცადა და მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მხედრობით
 „შთავიდა შირაკად“. ლაშქრობაში თან ახლდნენ და „თანავაზირობ-
 დეს“ იოვანე მწიგნობართუხუცესი და სუმბატ ორბელი, იმჟამად
 უკვე ბერად აღკვეცილი, აგრეთვე, ამირახორი ლიპარიტ სუმბატის
 ძე, ბექა სურამელი, ქირქიშ აბულეთის ძე და სხვანი.

გამოჩენილი სარდალი სუმბატ ორბელი, აწ უკვე ბერი სვიმონი,
 რომელსაც სამხედრო საქმე ბრწყინვალედ ესმოდა, მეფეს ომში
 ჩაბმას უშლიდა „სიმცროსათვის სპათასა“, ე. ი. ლაშქრის სიმცი-
 რის გამო, მაგრამ გიორგი მესამემ მისი რჩევა არ მიიღო. მან
 გულმხურვალედ ილოცა, შემდეგ ცხენზე შეჯდა და მხედრობას ასე
 მიმართა:

„კაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთრჯულნო! თქვენ იცით, თუ
 რა კარგია სიკვდილი საღმრთო რჯულისა და ქრისტეს სახარები-
 სათვის. ჩვენ სამარადისოდ შევნატრით მათ, ვინც მისდევდნენ რა
 ქრისტეს კვალს, დაილუპნენ მისთვის. ხედავთ, რაოდენ უფრო სასა-



ხელთ ვაჟკაცურად სიკვდილი, ვიდრე ავადმყოფობით განდობა და განღევა, რადგანაც სახე და სახელი კეთილისა საუკუნოდ გავყვება. ძველ მემპტიანეთაგან შეგვიტყვია, თუ რა დიდი ბრძოლა გადაუტანიათ საღმრთო სჯულისათვის ებრაელ ხალხს არტაქსერქსეს წინააღმდეგ ბრძოლაში, ბერძნებს, რომელთაც გამოცდილი სარდალი თემისტოკლე ხელმძღვანელობდა, მსოფლიოს მპყრობელ არტაქსერქსესთან ომში, არტაქსერქსესთან, რომელმაც უომრად და მხედრობის გარეშე ზღვა დაიპყრო, მაგრამ იგი მარტოოდენ ქალაქმა ათენმა უკუაქცია. ახლა კი ჩემო ფრთიანო ლომებო! ხელი დასტაცეთ ლახვართ და პოროლთ და ჩვენთვის განლახვრულის (ე. ი. იესო ქრისტეს, ჯ. ს.) სახელით ებგურეთ ურწმუნოებს“ (4,6-8).

ამის შემდეგ მეფემ თავისთან მიიხმო მისი ამირახორი ლიპარიტ სუმბატის ძე ორბელი, ბექა სურამელი, ქირქიმ აბულეთის ძე და დიმილით უთხრა მათ: მოყმენო, მოდი ჩვენს შორის ყველაზე კარგი ვაჟკაცი ის იყოს, რომელიც პირველი მიეჭრება მტრის მედროშეს და ისე დაჰკრავს, რომ ძირს განართხობს, მისი დაცემით კი მტრის ბანაკს დავცემთო.

მერე მეგობრები ბრძოლაში შეიჭრნენ. გიორგი მესამემ ადვილად გააპო მტრის რაზმი და სუპერაზმი და პირველმა დასცა მახვილი მოწინააღმდეგის მედროშეს. მტერმა რომ თავისი დროშა ძირს განართხმული ნახა, პირი იბრუნა და გაიქცა. როგორც თამარის ისტორიკოსი წერს, გიორგიმ და მისმა თანამოლაშქრებებმა მტრის სისხლის ღვარი დააყენეს. მეფე გიორგი „ალექსანდრეს სუით (ე. ი. ბედით) და სიათვის მოყმეობით სდევდა მრავალგზის გამომცვლელი რაზმითა, სცემდა და იცემებოდა, სრვიდა და ისროლებოდა, და ბუმბერაზნი მისნი თანაშემწეობდეს“ (4,8-9).

ბრძოლის ბრწყინვალე სურათია დახატული. ყველაფერი ისე აღიქმება, თითქოს გიორგი მესამის მოქმედებას საკუთარი თვალთ უყურებდე. არ დაგვაიწყდეს: მტრის უზარმაზარ ლაშქარზე გიორ-

* თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების ამ ადგილზე აშკარად არტაქსერქსეზე ლაპარაკი, მაგრამ კ. კეკელიძის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანში არტაქსერქსე ქსერქსეთია შეცვლილი. ცნობილია, რომ თემისტოკლე, ათენის მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, ძვ. წ. 525-460 წლებში ცხოვრობდა და მართლაც, სპარსეთის მეფის არტაქსერქსე პირველის თანამედროვე იყო.



გი მესამემ მცირე მხედრობით მიიტანა იერიში. კაცს ჭეშმარიტად გაგიკვირდება: ისეთი რა მეომრები ჰყავდა?! მე მჩრვენება, რომ ეს ბრძოლა არაფრით ჩამოუვარდება ერწუხის ომს, რომელიც დავით აღმაშენებელმა ჩაატარა და დიდი სახელიც მოიხვეჭა.

... მწვავე ბრძოლა მხოლოდ მზის ჩასვლისას შეწყდა. დამარცხებული მტერი უკუქცეული იყო. როდესაც ქართველებმა მოწინააღმდეგის დევნას თავი ანებეს და უკან დაბრუნდნენ, მათ თვალწინ დაუდგათ მტრის გვამებით მოფენილი ველი. აქა-იქ დატყვევებული ხელმწიფე-დიდებულები, ყმები და მონები დაეგროვებინათ. იქვე ელაგა ნაირფერი სარაფარდაგები (ფარდაგებით მორთული კარვები) და კარვები, მრავალი თვალ-მარგალიტი, ოქროთი მოჭედილი და მოუჭედავი ნივთები. ნელა მიმოდიოდნენ აქლემები და ჯორები, ჭიხვინებდნენ რაშები. იმდენი სიმდიდრე იყო, რომ აღრიცხვა ჭირდა.

მეფემ მოიკითხა ნაომარი ვეზირები, სპასალარები, სხვადასხვა ხელისუფალნი, თავადები, დიდებულები თუ აზნაურები, უბრალო მოლაშქრენი. ყველა შეჰხაროდა მას. საოცარი ის იყო, რომ ხალხი, რომელთაც ხელში ჯერ კიდევ სისხლიანი მახვილები ეპყრათ, ასევე მტრის სისხლში ხელგასვრილ და კვლავ ჯავშ ნგაუხდელ მეფეს „მშვიდობას“ უსურვებდა. მოულოდნელი ცნობა! ქართველი კაცი, რა დიდი გამარჯვებაც არ უნდა მოეპოვებინა მას, ომს და სისხლისღვრას მუდამ მშვიდობას ამჯობინებდა. ეს იმით კი არ იყო გამოწვეული, რომ იგი სხვაზე ადამიანთმოყვარე იყო, არა. მაგრამ მან იცოდა, რომ პატარა ხალხის შვილი იყო, მისი სამხედრო შესაძლებლობანი შეზღუდული იყო და ხშირი ომები მიწიდან ალგვით ეშუქებოდა მას. თურქებს ან არაბებს კი იმდენი სამხედრო ძალა გააჩნდათ, რომ მათთვის მშვიდობა ამ ძალის დაუნჯებას ნიშნავდა და ისინიც არ აუნჯებდნენ. ასე რომ მოქცეულიყვნენ და მშვიდობა გაეფეტიშებინათ, უზარმაზარ იმპერიებსაც ვერ შექმნიდნენ.

... ომგადახდილი ქართველები ახლა თავისი ახლობლების ძებნას შეუდგნენ. რაოდენ ღამაზად და ხატოვნად აგვიწერს ამ სურათს ქართველი მემატრიანე! „შუებდეს ფრიად მპოვნელნი მამა ძისა და ძე



მამისა, ძმა ძმისა და თუსი ნათესავისა, პატრონი ყმისა და ყმა პატრონისა, გამარჯვებულნი და აღვსილნი ყოვლითურთ სინჯარულითა ილიმოდეს, ამბორს უყოფდეს ურთიერთსა“-ო - წერს იგი.

ამ დიდი გამარჯვების სამაგიეროდ გიორგი მესამემ ღმერთს დიდი მადლობა შესწირა. იგი „სიმდაბლითა დავარდა წინაშე უფლისა და ღმრთის საბოთისთა ძალთასა და ცრემლთა მიერ სულდართულ დაჯდა განსუენებად“. შემდეგ კი ნაალაფარისაგან თავისი წილი აიღო (4,9-10).

გიორგი მესამე ანისში სამ დღეზე მეტს არ გაჩერებულა. მოაწესრიგა ქალაქის საქმეები, გაუჩინა მას ამირა და თბილისისაკენ გასწია. ანისიდანვე გაგზავნა თბილისში მახარობელი, რათა სამეფო კარისათვის გამარჯვების ამბავი ეცნობებინა.

ანისისათვის გამართული ბრძოლის შესახებ საყურადღებო ცნობა აქვს დაცული არაბ მემატიანეს იბნ ალ-ასირს. მისი სიტყვით, 1161 წლის აგვისტოში „შაჰარმენი, იბრაჰიმის ძე სუკმანი, ხლათის მთავარი, მოწვეულ იქნა ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მან თავისი ლაშქარიც შეჰყარა და დიდძალი მოხალისეც შემოუერთდა. შაჰ-არმენი ქართველების წინააღმდეგ წავიდა. ისინიც დაუხვდნენ მას და დაამარცხეს. მუსლიმანები უკუქცეულ იქმნენ, უმრავლესნი მათგანი დაიღუპა და ბევრიც დაატყვევეს (ქართველებმა). დამარცხებული შაჰ-არმენი უკან დაბრუნდა და მტერს გადაურჩა მხოლოდ 400 მხედრითურთ“ (22,109).

რადგანაც იბნ ალ-ასირის მხრიდან საქართველოს მეფისადმი მიკერძოება გამორიცხვულია, მისი ცნობების ფასიც იზრდება. ჰოდა, რაა 400 კაცი იმ უზარმაზარი ლაშქრიდან, რომელიც შაჰ-არმენს „ყოველსა შამს, ჯაზირს და დიარბაგში“ შეუგროვებია?! ჭეშმარიტად საამაყო ჰქონდა გიორგი მესამეს. საქმის მცოდნენი ამ ბრძოლის წამოწყებას არ ურჩევდნენ, მაგრამ მან მაინც დაიწყო და, საკუთარ სამხედრო ალლოს დანდობილმა, დიდი გამარჯვებაც მოიპოვა.

სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის ცნობით, ანისის ბრძოლაში ხლათის მთავარს 80.000 მეომარი ჰყავდა. ქართველებს მტრისათვის 7000 კაცი მოუკლავთ, 2000 ყმა, 5 მთავარი და 150

დიდი ამირა კი ტყვედ წაუყვანიათ. უამრავი ცხენ-ჯორები და აქლემები კი დავლად უგდიათ. მისივე სიტყვით, ქ. ანისის მცხოვრებნი ამ ბრძოლიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგაც კი თურმე ბალახებში ჯავშნებს პოულობდნენ. აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ სუკმან მეორის ლაშქრის რიცხვი 40.000 უნდა ყოფილიყო, როგორც ამას სტ. ორბელიანი გვატყობინებს (6,232).

მათოს ურპაეცის ცნობით, გიორგი მესამემ ანისის მცხოვრებლებს, ეროვნების განურჩევლად 40000 დრაჰკანი აჩუქა, თანაც ქალაქიდან წაყვანილი ტყვეებიც გამოისყიდა (6,232).

ასე დამთავრდა ანისისათვის ბრძოლის ეს პირველი საფეხური. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქალაქმა ამის შემდეგაც არაერთხელ წაჰკიდა ერთმანეთს საქართველო და მისი მაჰმადიანი მოწინააღმდეგენი. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა და ორივე მხარისაგან ზღვა სისხლს ითხოვდა.

1161 წელს გიორგი მესამეს კიდევ ერთი დიდი გამარჯვება უხეიმა. იბნ ალ-ასირის ცნობით, „გამართა ბრძოლა ქართველებსა და არზან არ რუმის მეფობულ მეფე სალთიკს შორის, ქართველებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს და გაანადგურეს სალთიკის ლაშქარი. თვითონ სალთიკი შეიპყრეს და ტვეობიდან მხოლოდ მაშინ გაათავისუფლეს, როდესაც მისმა დამ შაჰ-ბანუვარმა, რომელიც ცოლად ჰყავდა ხლათის მპყრობელ შაჰ არმენ ბენ იბრაჰიმ ბენ სუკმანს, ქართველთა მეფეს ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა და მის გათავისუფლება სთხოვა (22,109).

მას შემდეგ, რაც ქ. ანისი უშუალოდ შეიერთა, გიორგი მესამემ უფრო სამხრეთით მდებარე მეორე სომხურ ქალაქ დვინზე ილაშქრა. უნდა აღინიშნოს, რომ თამარის ისტორიკოსს დვინის დაპყრობა ანისის დაპყრობაზე ადრე აქვს განხილული, რაც არ არის სწორი. უცხოელი ავტორები (მაგ., მათოს ურპაეცი, ვარდან დიდი, იბნ ალ-ასირი, სადრ ად-დინ ალ ჰუსაინი) დვინზე ლაშქრობას ანისის შეერთების შემდგომ მომხდარად თვლიან. ასევე მიაჩნია ივ. ჯავახიშვილსაც.

ქ. დვინის სტრატეგიული მნიშვნელობა დიდი იყო. თამარის ისტორიკოსის სიტყვით, იგი მდებარეობდა „არარატის ძირს“ და



არის „ზღუარი სომხეთისა და ადარბადაგანისა“. ამას გარდა, მსხვილი სახელოსნო და სავაჭრო ქალაქიც იყო და შუა საუკუნეების სომხეთის სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა. სომხეთის არშაკუნიანმა მეფეებმა მეოთხე საუკუნის 30-იან წლებში აქ ააშენეს ციხე-სიმაგრე და თავიანთი რეზიდენციაც იქ გადაიტანეს. სომხეთის სამეფოს დაცემის (428 წ.) შემდეგ იგი იქცა სპარსეთის სომხეთის ცენტრად. აქ ჩადგა მარზპანი. აღნიშნულ პერიოდში იგი წინა აზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრთაგანი იყო. ეს მნიშვნელობა მას არც არაბების ბატონობის ხანაში დაუკარგავს. XII საუკუნის 60-იან წლებში დვინი სომხეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქად ითვლებოდა.

ქ. დვინზე ლაშქრობა ანისთან მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის განადგურების შემდეგ შედარებით გაადვილებული იყო. გიორგი III-ს ისიც უნდა მიეღო მზედველობაში, რომ აჰდაბიანთა სამხედრო ძალების დამარცხების შემდეგ ქ. დვინი დაუცველი რჩებოდა (2,105).

ლაშქრობა წარმატებით დამთავრებულია. როგორც ჩანს, გიორგი მესამემ დვინთან ბრძოლაშიც რაღაც ხერხი იხმარა და მტერი განადგურა. აი, რას წერს თამარის ისტორიკოსი: „მდგომელმან წყობად და განმზადებულმან თუთ წინამსრობლობითა იკუმია კუეთება, რომელნი მოაწყუდიენ ქალაქს გარეთ. კუალად შემზახებელმან სპათა მისთამან გამოიღო და წარმოტყუენა ქალაქი“... ე. ი. მზად იყო რა ბრძოლისათვის და ელოდა რა მის დაწყებას, იგი, ყველაზე წინ მდგომი, პირველი დაესხა მათ თავს, რომელიც ქალაქგარეთ მოამწყვდია. შემდეგ მოუხმო რა თავის ლაშქარს, ხელთ იგდო ქალაქი (3,5). ყველაფერი ნათელი გახდება, თუ მათეოს ურჰაეცის შემდეგ ცნობას განვიხილავთ: „ამავ (1162-1163) წელს სახელოვანი ქალაქი დვინი აღებულ იქნა ქართველთა მეფის გიორგის მიერ. იგი, უცხო თესლთა უკუქცეულ ლაშქარს, რომელიც ქალაქიდან მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსულიყო, კვალდაკვალ მიჰყვა, ლტოლვილნი დახოცა, ხოლო გადარჩენილთ, რომლებიც ქალაქისაკენ გაბრუნდნენ, უკან გაჰყვა და ჯარითურთ, ქალაქის კარის გავლით, ქალაქში შეიჭრა. (ქართველებმა) ყველანი უწყალოდ ამოხოცეს, დაა-

ტყვევს და მათი მოსახლეობა აიკლეს. შემდეგ დიდი ტყვიით და
ალაფით თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ“ (6,233).

ახლა ყველაფერი ნათელი გახდა. გიორგი მესამე ქ. ღვინის მიღ-
გომია. მოწინააღმდეგე მის შესახვედრად ქალაქიდან გამოსულა და
საქართველოს ლაშქარს შებრძოლებია. ქართველებს უმარჯვით,
მტერი დაუმარცხებიათ და უკუქცეულს ქალაქში შეჰყოლიან. ბრძო-
ლის ბედიც ამას გადაუწყვეტია.

საყურადღებო ამბები აქვს აღწერილი იბნ ალ-ასირს. მისი სი-
ტყვიით, „557 წელს (ჰიჯრით) შაბანის თვეს (1162 წლის ივლისი-
აგვისტო) დიდძალი ქართველობა შეგროვდა (მეომართა რიცხვი
30000 აღწევდა) და მუსლიმანთა ქვეყანაში შეიჭრა და ადარბადა-
განში ქალაქ ღვინისაკენ გაემართა. ქართველთა ჯარმა ააოხრა იგი
და 10000 მოქალაქე და სანახების მცხოვრები ამოჟლიტა, თანაც
მრავალი ტყვე ქალი და კაცი წაასხა“-ო (6,233). იბნ ალ-ასირის
ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ქ. ღვინთან მისულ ქართველებს საკ-
მაოდ დიდი ლაშქარი (30000 კაცი) ჰყოლიათ და მართლაც დიდი
ზარალი მიუყენებიათ მოწინააღმდეგისათვის. ამ ზარალის შესახებ
ჩვენს მიერ მოტანილი ყველა წყარო ლაპარაკობს. მათეოს ურჰაე-
ცის და იბნ ალ-ასირის გარდა თამარის ისტორიკოსიც აღნიშნავს,
რომ „სიმრავლემან ტყვეთა და საუნჯეთამან დაფარა პირი ველთა
და მთათა“. თბილისში იმდენი ტყვე მიურეკიათ, რომ „აღივსო სა-
მეფო ქალაქი ტფილისი, რომელ ტყვესა თჳთო დრამად გინა ფუ-
კად (ნაფოტად, ე. ი. ნაფოტის ფასად) ყიდდნენ“-ო (4,5-6).

საქართველოს ამ დიდმა პოლიტიკურმა წარმატებებმა, ეტყობა,
დიდად შეაშფოთა მუსლიმანი მბრძანებლები. მათ პირი შეკრეს და
სამაგიეროს გადახდისათვის იწყეს მზადება. თამარის ისტორიკოსს
მშვენიერად აქვს გაცნობიერებული მუსლიმან მმართველთაგან განც-
დილი დანაკარგის მნიშვნელობა და იმ მზადების სერიოზულობაც,
რითაც ისინი გიორგი მესამისათვის სამაგიეროს გადახდას ვარაუ-
დობდნენ. მისი სიტყვიით, როდესაც „განისმა ამოწყუეტა შამისა და
ჯაზირისა, სომხითისა და არზრუმისა ლაშქართა, კელმწიფეთა და
დიდებულთა“ ხორასნისა და ერაყის სულთანმა, ხალიფამ და ათა-
ბაგმა შეჰყარეს მუსლიმანთა გაერთიანებული ლაშქარი და არანს



თავმოყრილებმა „მომართეს ქუემო კერძოსა ქუეყანასა სომხითისასა და მოადგეს ციხესა გავისასა. აიღეს იგი და მოაოკრნეს ყოველნი საზღვარნი“ (4,11). ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ის სულთანნი, რომელსაც საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა უკისრია, მუ'იზ ად-დინ არსლანი (1161-1176 წწ.) გახლდათ, ხოლო მოხსენებული ათაბაგი სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწე შამს ად-დინ ალდიგიუზი ანდა ილდეგიზი იყო. ეს შამს ად-დინ ილდეგიზი, ოდესღაც თურქი მონა, თავდაპირველად სელჩუკთა ვეზირის სიმირუმის სამსახურში იყო. შემდეგ სულთან მას'უდი იბნ მუხამმადის სამსახურში გადავიდა. სულთანმა მას არანის მმართველობა ჩააბარა. შემდეგ შამს ად-დინ ილდეგიზმა, იქორწინა რა სულთან თოღრილ II იბნ მუხამმადის ქვრივზე, მოახერხა ხელისუფლების მისი ვაჟის არსლანისათვის გადაცემა. ამან შამს ად-დინ ილდეგიზი სახელმწიფოს ფაქტიურ გამგებლად აქცია. მისი სამფლობელო შირვანისა და საქართველოს საზღვრამდე (ჩრდილოეთით) იყო გადაშლილი. აი, სწორედ ამ ძლევამოსილ ადამიანებს განუზრახავთ საქართველოს სამაგალითოდ დასჯა იმ ზარალისათვის, გიორგი მესამემ მათ ხელში მყოფი სომხური ქალაქების შეერთებით რომ მიაყენა.

მოწინააღმდეგის თავდასხმა გაიგო თუ არა, გიორგი მესამემ სასწრაფოდ შეჰყარა ლაშქარი და სულთნის წინააღმდეგ გაემართა. მიუახლოვდნენ თუ არა, თამარის ისტორიკოსის სიტყვით, „სულტანმან, ათაბამან და ყოველთა ფალავანთა და დიდებულთა მათთა თქუეს ვითარმედ: „არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმული გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა; მივრიდოთ თავი და ვეფაროთ!“ (4,11). მართლაც, დაჰყარეს ყოველგვარი ნაალაფარი და მდინარე კველევის გადალახვა იწყეს. მაგრამ ამ დროს ქართველთა მოწინავე ლაშქარიც მოიჭრა და მოწინააღმდეგის ჯარისკაცთა ზოცვა დაიწყო. თვითონ გიორგი მესამეც მოვიდა. მაგრამ ზოგიერთმა აზნაურმა, კერძოდ, ჰერეთის ერისთავმა ვარდან კოლონკელისძემ, მას ბრძოლის გაგრძელება აღარ ურჩია. ამ აზნაურთა განცხადებით, რაკი სულტანი მთელი ლაშქრით გარბის, „ნულარა აღზუავებულ მკადრებლობ ღმრთისა“-ო, ე. ი. ღმერთის ნამოქმედარზე



აღზევებსას ნულარ გაბედავო. მეფემაც დაუჯერა მათ და მტერს აღარ დაედევნა. თამარის ისტორიკოსი თვლის, რომ გიორგი მესამეს დევნა უნდა გაგვრძელებინა. მას მიაჩნია, რომ ასეთი რჩევა ერთმანეთის წარმატებების მოშურნე დიდებულებმა მისცეს მეფეს. ძნელია იმის თქმა, თუ რას ემყარება იგი, ამას რომ აცხადებს, მაგრამ აშკარაა, რომ საქართველოს ლაშქარმა გამარჯვება ხელიდან გაუშვა. მან მოწინააღმდეგეს მაშინ მიუსწრო, როცა იგი, მისი მისვლით დამფრთხალი, მდინარეზე დიდი გაჭირვებით გადადიოდა. „მსწრაფლსრბოლობამან და ჯარმან (შეაყენა ისინი), და ეწივნეს მწუერვალნი ლაშქართანი, დაუწყეს ჩამოყრა“-ო, ე. ი. აჩქარებამ და ერთად შეეგუფებამ შეაყოვნა მტერი და წამოწეულმა საქართველოს ლაშქრის წინა ნაწილმა მტრის შემუსვრა იწყო. ამას გარდა, მოწინააღმდეგეს თვით გიორგიც „მიეტევა სახედ მკეციისა“. თუ სურათი სწორად არის აღწერილი, ქართველებს საკმაოდ დიდი უპირატესობა ჰქონიათ ხელთ, მაგრამ ვერ გამოუყენებიათ. იქნებ რაღაც სხვა მიზეზის გამო აღარ იბრძოლეს ბოლომდე, იქნებ მოწინააღმდეგის დასამარცხებლად მდინარის მეორე მხარეს გადასვლა იყო საჭირო? თუ ასე იყო, დიდებულთა რჩევა შეიძლება მართალი აღმოჩნდეს. მტრის ლაშქრის იქით გადაყოლა ქართველებს თვითონ ჩააგდებდა ძნელ მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში როლები შეიძველებოდა. ასეა თუ ისე, ქართველებს მტერი უნახავთ, მისი ბოლო ნაწილისთვისაც დაურტყამთ, მაგრამ სრული ბრძოლისათვის თავი აურიდებიათ. ქართველ სარდლებს ჩაუთვლიათ, რომ მტერი ბრძოლის ველიდან გაიქცა.

ქართველი მემატიანის ცნობას მოწინააღმდეგის გაქცევის შესახებ სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდიც ადასტურებს. თანაც ამბობს, რომ მტერმა საჭურველი და ტყვეებიც კი მიატოვაო.

გავიდან მოწინააღმდეგის გაქცევაზე საუბარი სტეფანოს ორბელიანის თხზულებაშიც. მისი სიტყვით, „ხოლო დაღათუმცა მოსრულ იყო მეფე გიორგი, გარნა ესევე იყო მხოლოდ მძლეველ ბრძოლათა. კუალად ერთგზის მეოტყო დიდი ათაბაგი ელდკუზ ველსა გაგისასა, რომელიც მოსრულ იყო ასი ათასითა კაცითა გიორგის ზედა და ენება ყოვლითავე ღონითა და ახოვნითა სიმზნითა“



თა მოწყვედა ყოველთა ქართველთა და შეპყრობა მეფისა. ხოლო
 ევოდენტა იწროებათა შთავდებულყო იოვანემან (ორბელმაძე) და
 რომელ ღამე დაუტყვევს კარაენი და საჭურველნი და ყოველნივე
 იგი სიმდიდრენი თავისნი და ტვირთმზიდაენი და ივლტოდნენ მცი-
 რედ ძალითა“-ო (16,43).

განსხვავებული ცნობა აქვს დაცული სპარსელ ისტორიკოსს
 ჰამდალაჰ ყაზვინს. „არრანის მხარითგან, – წერს იგი, – აბხაზთა
 მეფე შეესია ისლემობის მიწა-წყალს, სულტანი არსლანი და ილ-
 დიგუზ ათაბაგი მის წინააღმდეგ საომრად წავიდნენ, გაგის ციხის
 საზღვარზე შეებრძოლნენ მას და გაიმარჯვეს. აფხაზები უკუქცეუ-
 ლი დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში. მუსლიმანებს ბევრი ტყვე ჩაუ-
 ვარდათ ხელში. არას დროს ისლემობას აბხაზებთან ასეთი ბრძოლა
 არ ჰქონიათ და ამოდენა დავლა არ დარჩენიათ. ამ ომის შემდგომ
 კუბას (სპარს. კუბან) ქვეყანაც ისლემობის მფლობაში გადავიდა“
 (6,235).

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ მოტანილ ცნობაში ლაპარაკი
 უნდა იყოს გაგის ციხის აღებისა და მისი მიდამოების აოხრების
 დროს მიყენებულ ზარალზე (6,235), მაგრამ ეს აზრი საეჭვო ჩანს.
 ჩემი აზრით, ჰ. ყაზვინს მხედველობაში აქვს სხვა ბრძოლა, რომე-
 ლიც თამარის პირველმა ისტორიკოსმაც კარგად იცის – იგი ლო-
 რესა და დმანისს შორის გაიმართა.

სანამ ამ ბრძოლას შევეხებოდეთ, მინდა აღვნიშნო, რომ სულთან
 მუ'იზზ ად-დინ არსლანსა და გიორგი მესამეს შორის ომი საკმაოდ
 გაჭინურდა და რამდენიმე მონაკვეთად უნდა გაიყოს. თავდაპირვე-
 ლად სულთანი მუიზზ ად-დინი გაგის მხარეში შეიჭრა და აიღო
 რა ციხე, მხარეც სასტიკად მოაოხრა. შემდეგ გიორგი მესამე მო-
 წინააღმდეგეს გაგშივე წამოეწია, მაგრამ მტერმა ბრძოლას თავი
 აარიდა და მათ შორის გადამწყვეტი ბრძოლა არ გამართულა. მთა-
 ვარი ამბები შემდეგ განვითარდა.

როდესაც სულთანი და მისი ლაშქარი საქართველოს ფარგლე-
 ბიდან გავიდნენ, გიორგი მესამემ გული დაიარხენა. მან ჯარი გაჰ-
 ყარა, თვითონ კი მცირე ლაშქრით ლორესა და დმანისს შორის
 მდებარე მთებში ნადირობა და დროს ტარება დაიწყო. ამ დროს

სულთანის გელუქანს ავიდა და აქედან ქ. ანისს დაესხა თავს. მას ეხმარებოდნენ შაჰ-არმენი და „ყოველი კელმწიფე არაბეთისა“ (თამარის პირველი ისტორიკოსი). სანამ ეს ამბავი გიორგი მესამის ყურს მიაღწევდა, მას მოწინააღმდეგემ მშვერავი მიუგზავნა და მეტად საჭირო ცნობები მიიღო. ქართველი მემატთანე წერს, რომ „მოციქული სულტნისა (იყო) კაცი მოგზ და ტრელი, მეცნიერი საქმისა, ამხილველი და გამომხილველი ლაშქართა დგომისა“-ო. მან, იხილა თუ არა საქართველოს მეფე „მცირედითა მდგომი“, ე. ი. მცირე ლაშქრით მყოფი, დაბრუნდა სულთანთან და განუცხადა: „აი, ჩვენი შურისძიების უამი დგას. თუ ახლა არ დაესხმით თავს, სხვა ასეთ ხელსაყრელ დროს ვეღარ გამოძებნით“.

ერთ ღამეს, განთიადისას, მტერი მართლაც გამოჩნდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ გიორგი მესამემ ძლივს მოასწრო იარაღ-საჭურვლის ასხმა და ამხედრება. მტერმა დასჯაბნა ქართველები. ამან, როგორც ჩანს, სასოწარკვეთილებაში ჩააგდო გიორგი მესამე. იგი თურმე წარმოუდგენელი თავდაუზოგარობით იბრძოდა და სულ ბრძოლის შუაგულისაკენ მიიწევდა. ეს კი შეიძლება მისი სიკვდილით ან დატყვევებით დამთავრებულიყო. მას ზომ მცირე ლაშქარი ახლდა თან! ივანე ამირსპასალარმა და სხვა დიდებულებმა ძალით მორარიდეს ბრძოლას. თან, რაც შეეძლოთ, მარცხის მნიშვნელობას უმსუბუქებდნენ.

— მეფეო, — უთხრეს, — ყველაფერს თავისი დროს აქვს — ომსაც და უკანდახვევასაც. ოდესღაც ალექსანდრე მაკედონელი, სამსონი და სოლომონ ბრძენიც კი დამარცხდნენ, თანაც ქალებთანო. სხვა მრავალი მაგალითიც მოუყვანეს. ზოგი ჭკუის სასწავლო აზრიც ითქვა. აი, ერთი მათგანი: „ნუთუ ჩვენ რამე ვაწყენინეთ ღმერთს, რომელიც მხარს უჭერს შენს მეფობას და რომელმაც მამაშვილურად დაგსაჯა შენ, საკუთარ ძესავით ამალღებული, ძე დავითისა? ისიც (დავითი), მეფე და წინასწარმეტყველი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რათა ღვთის შვილის მამა გამხდარიყო, საულისაგან დევნილი არ შეიქმნა? ახლა ეს დასჯა გულთან მივიტანოთ (ე. ი. გავიზიაროთ) და უკან გავბრუნდეთ დაიმედებულნი, რომ ის ძალა, რომელიც ჩვენ გვაქვს, კვლავ გაგვახარებს გამარჯვებებით“.



ბოლოს ყველაფერი დამთავრდა. გიორგი მესამე და მისი მსგავსეები სიბნელეს შერეივნენ. მტერი გამარჯვებას ზეიმობდა. ვაქცეულ ქართველებს უკან არავინ დასდევნებია. თამარის ისტორიკოსის სიტყვით, რაკი მტერმა მძინარე მეფეს ვერაფერი დააკლო, ამხედრებულისა და ველად გაჭრილის დევნა უაზრობად ჩათვალა.

როცა სამშვიდობოს თავი დაიგულეს, ქართველებმა დანაკლისი მოითვალეს და გაოგნდნენ: ერთი ჯვრისმტვირთველისა და ერთი უჩინო აზნაურის გარდა სხვა „ვარგი“, ე. ი. ცნობილი კაცი, არ დაკლებოდათ (4,14).

ასე დამთავრდა სულთან არსლანისა და გიორგი მესამის ურთიერთობის ეს ეტაპი. საქართველოს მეფემ, შეიძლება თავისი გაუფრთხილებლობით და იქნებ გადამეტებული თავდაჯერებულობით მოწინააღმდეგეს გარკვეული დროით ინიციატივის დაუფლების შესაძლებლობა მისცა. ამისი ყველაზე დიდი შედეგი ის იყო, რომ გიორგი მესამემ, ისევე როგორც თავის დროზე მამამისმა, ქ. ანისი „თუსსავე მემაბულეს“ უბოძა და „მოიყვანა თავისა თუსისა ყმად“ (თამარის ისტორიკოსი). მაგრამ ეს იყო გვიან და ლორესა და დმანისს შორის განცდილ მარცხს არ უკავშირდება. ქ. ანისის მუსულმანი მმართველისათვის დაბრუნება საქართველოს ლაშქრის მიერ მისი უშუალოდ შემოერთებიდან (1161 წ.) ოთხი წლის გასვლის შემდეგ, ე. ი. 1165 წელს მოხდა. ეს სომეხ ისტორიკოსს ვარდანს აქვს მოთხრობილი. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ქ. ანისის მოწინააღმდეგისათვის დაბრუნება, რამდენადმე, დმანისსა და ლორეს შორის განცდილი მარცხითაც იყო განპირობებული. როგორც ცნობილია, ქალაქის დაბრუნებას წინ უსწრებდა სულთანსა და გიორგი მესამეს შორის ზავის დადება. ამ საყურადღებო პოლიტიკური აქტის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით და ახლა აღარაფერს ვიტყვით.

ლორე-დმანისს შორის გიორგის დამარცხებასა და აღნიშნულ ზავს შორის საკმაო დრო გასულა. ნუთუ გიორგი მესამის ხასიათის კაცი იმ შემთხვევით განცდილ წარუმატებლობას შეურიგდა და მოწინააღმდეგეს ყველაფერი შეარჩინა? განა იმ მარცხმა, რომლის დროსაც ისე ცოტა ზარალი განიცადა, აიძულა იგი, რომ ანი-

სი მოწინააღმდეგისათვის დაებრუნება? ამ აზრის დაშვება საეკვლამე მჭევრება.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ თამარ მეფის ისტორიკოსის მიერ აღწერილი შემთხვევა (გიორგი მესამის მოულოდნელი დამარცხება) იბნ ალ-ასირის იმ ცნობით მტკიცდება, რომელშიც ლაპარაკია ათაბაგ შამს ად-დინ ელდიგუზის, შაჰ-არმენ იბნ სუჰმან ალ ხოტბის, აყსონყორის ძის და სხვათა მიერ 1163 წელს საქართველოს აოხრების შესახებ. მისი სიტყვით, „იბნ ალ-ასირისა და ქართველი ისტორიკოსის ცნობები მხოლოდ წვრილმანებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“ (6,237). იგი განსაკუთრებით იმას აქცევს ყურადღებას, რომ თამარის ისტორიკოსიცა და იბნ ალ-ასირიც ვიღაც ჯაშუშზე მოგვითხრობენ, რომელმაც გიორგი მესამის დამარცხებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ ამ ორი ომის სხვადასხვაობას. აი, იბნ ალ-ასირის ცნობა: დვინის ალების შემდეგ, როდესაც ქართველთა თავდასხმის ამბავი აზერბაიჯანის, ალ-ჯაბალისა და ისპაჰანის გამგებელმა შამს ად-დინ ილდეგიზმა შეიტყო, სასწრაფოდ ლაშქარი შეჰყარა. მას შეუერთდნენ ხლათის მფლობელი შაჰ-არმენი სუჰმან კუტუბის ძე, მარალის პატრონი აყსონყორის ძე, აგრეთვე სხვებიც და როგორც კი სამზადისს მორჩა, 50 000-იანი ლაშქრით საქართველოს ასაკლებად წამოვიდა. იბნ ალ-ასირის სიტყვით, „558 წლის საფარის თვეში (1163 წ. იანვარ-თებერვალი) ილდეგიზის ლაშქარი საქართველოს შემოესია, გაძარცვა იგი და დაატყვევა მრავალი ქალი, კაცი და ბავშვი. მის დასასჯელად გამოვიდა ქართველების ჯარი, გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა, რომელიც ერთ თვეს გაგრძელდა. ორივე მხარე თავგამებულად იბრძოდა, მაგრამ ბოლოს მუსლიმანებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს. დამარცხებული ქართველები უკუიქცნენ, მუსლიმანები მათ დაედევნენ და დიდად აზარალებდნენ. გამარჯვებული ილდეგიზი შინ გაბრუნდა და თან წაიღო აურაცხელი სიმდიდრე“ (22,110).

აი, აქ ამბობს იბნ ალ-ასირი: რომელიღაც ქართველი მუსლიმანთა მხარეზე გადავიდა, გამაჰმადიანდა და ილდეგიზს უთხრა, რომ „თუ ლაშქარს მანდობ, მე წავეყვან მას ჩემთვის კარგად ცნობილი



გზით და ქართველებს ისე წამოვადგები ზურგიდან, რომ ვერაფერი გაიგონო“ (22,110-111). ილდეგიზი ნდობია მას, ლაშქარი დაუტოვებ და დღეც დაუტოვებ, თუ როდის უნდა დასხმოდნენ თავს ქართველთა ბანაკს. „როდესაც ის დღე დადგა და მუსლიმანებმა შეტევა დაიწყეს, – ამბობს იბნ ალ-ასირი, – ქართველები ისე იოლად უსწორდებოდნენ მოწინააღმდეგეს, რომ გამარჯვება აუცილებლად მათ უნდა რგებოდათ, მაგრამ სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში ზურგს უკან გაისმა შემახილები „ალაჰი დიღია“ და მუსლიმანთა რაზმები მოღალატე ქართველის წინამძღოლობით ქართველებს ეკვეთნენ. ზურგში მუსლიმანთა მოულოდნელად გამოჩენამ ქართველთა რიგებში არეულობა გამოიწვია, ლაშქარი დაიფანტა და ბოლოს უკუიქცა... თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო გამარჯვებაში მტკიცედ დარწმუნებულ ქართველებს ღმერთმა გაუცრუა იმედი“ (22,110-111).

მოტანილი ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ლორე-დმანისის შორის მდგომი გიორგი მესამის დამარცხების ამსახველი თამარის ისტორიკოსისეული ფაქტები და იბნ ალ-ასირის მიერ მოტანილი მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ქართველი ისტორიკოსი სულ სხვა ომს აგვიწერს, არაბი კი – სხვას. ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ლორე-დმანისის შორის მდგომ გიორგი მესამეს ესტუმრა სულთნის მოციქული, ეშმაკი, მოგვივით მოხერხებული და თვალთმაქცი კაცი, მაგრამ ლაშქრის დაბანაკების საქმის მომთვალეირებელი და გამომძიებელი, ერთი სიტყვით, მოციქულის სახით მოვლენილი სამხედრო მზვერავი. თამარის ისტორიკოსის მიერ დახატული პირი პროფესიონალი ჯაშუშია. იბნ ალ-ასირის მიერ მოხსენიებული პირი, რომელმაც გიორგი მესამეს უღალატა და საქართველოს ლაშქრის დამარცხებაში ილდეგიზს დაეხმარა, ჩვეულებრივი ავანტიურისტი ადამიანია. იგი მტრის მხარეზე გადავიდა, თან გამაჰმადიანდა და თავისი მზაკვრული საქმე ჩაიდინა. სხვა რაიმე თვალშისაცემი ნიშან-თვისება მას არ გააჩნია.

ამას გარდა, თამარის ისტორიკოსის ცნობით, სულთნის მზვერავი გიორგი მესამის ბანაკში შედის და იქ ხვდება საქართველოს მეფეს მოციქულად წარმოდგენილი. იბნ ალ-ასირის მიერ მოხსენიებული მოღალატე, პირიქით, გიორგი მესამის ბანაკიდან თვითონ მიდის



მოწინააღმდეგის სადგომში და იქ გააცნობს მტერს თავის წინადადებას. ისიც უნდა ითქვას, რომ თამარის ისტორიკოსის ცნობით, გიორგი მესამეს ამ მარცხის დროს მცირე ლაშქარი ახლდა თან, იბნ ალ-ასირის მიხედვით კი — პირიქით. მისი სიტყვით, „თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო, გამარჯვებაში მტკიცედ დარწმუნებულ ქართველებს, ღმერთმა გაუცრუა იმედი“-ო.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ. მიგვაჩნია, რომ იბნ ალ-ასირის მიერ აღწერილი ბრძოლა თამარის ისტორიკოსმა არ იცის. ძნელი სათქმელია, რამდენად დასაშვებია ეს, მაგრამ აშკარაა, რომ მის შესახებ თავის თხზულებაში არაფერი შეუტანია. ეს აზრი შემდეგ უფრო დასაჯერებლად მოგვეჩვენება, როცა სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინის საყურადღებო ცნობებს გავეცნობთ.

სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინის თხზულება დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს მეცნიერულ ბრუნვაში შემოვიდა. მას ეწოდება „ახბარ ალ-დაულათ ას-სელჯუკიია (,„ზუბდათ ათ-თავარიხ ფი ახბარ ალ-უმარა ვა-ლ-მულუქ ას-სელჯუკიია“). მისი ცნობები თავის დროზე გამოიყენეს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გასაშუქებლად რ. კიკნაძემ, ნ. შენგელიამ, ზ. მ. ბუნიატოვმა და ამ სტრიქონების ავტორმა. სამწუხაროდ, ის ცნობა, რომელიც მე მაქვს მხედველობაში, ჩვენს ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არ აისახა. მაგალითად, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მესამე ტომში, რომელიც XI-XV საუკუნეებს მოიცავს და გიორგი მესამის საგარეო პოლიტიკაზე ვრცლად არის ლაპარაკი, დასახელებული არ არის. ახლა მოგვყავს თხზულების ის ადგილი, სადაც ლაპარაკია გიორგი მესამესა და შამს ად-დინ ილ-დეგის შორის გამართულ მიძიმე ბრძოლაზე.

„ათაბაგმა ილ-დეგიზმა გადაწყვიტა აზერბაიჯანში და არანში დაბრუნება, რადგანაც მან შეიტყო, რომ ქართველებს გადაუწყვეტიათ ისლამის ქვეყნებში შეჭრა და კიდევ გამარცხეს დვინი, ხელში ჩაიგდეს რა ის, ვინც იქ იმყოფებოდა, და ის (ელ-დეგიზი) დაბრუნდა აზერბაიჯანში.



... როდესაც ათაბაგი აზერბაიჯანში მოვიდა, ქართველებმა მას გაუგზავნეს წერილი*, რომელშიც შემდეგი რამ ეწერა: „ჩვენ გვკუთვნის ხარაჯა განჯიდან და ბაილაქანიდან, რაც ყოველწლიურად შედის (ჩვენი) მეფის ხაზინაში. მაგრამ აი, უკვე რამდენიმე წელია, რაც ხაზინაში შემოსვლა (ხარაჯის) შეწყდა, და ჩვენ გვსურს, რომ შენ შეიტანო ეს ფული“-ო. მან მათ შემდეგნაირად პასუხი მისცა: მე ერაყი მივატოვე და ამ ქვეყანაში მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ შევაგროვო ლაშქარი, მივაღვე თბილისს და ალყაში მყავდეს იგი მანამ, სანამ არ ავიღებ. თუ თქვენ ძალა გაქვთ, გამოიყენეთ იგი, რადგან მე თქვენს ქვეყანაში შევიჭრები. მე მოვედი თქვენთან ისეთი ლაშქრით, რომლისაგან ვერაფერი ვერ გიხსნით, გარდა ხმლისა და (შუბის) წვერის დარტყმებისა“.

სულთანი არსლან-შაჰ იბნ ტოღრული მამინ ჰამადანში იმყოფებოდა. ლაშქრის მდგომარეობა უფრო კარგი იყო, ვიდრე სულთან მასუდის დროს (მმართველობაში). ათაბაგმა ილ-დევიზმა სულთანს ქართველების წერილი გაუგზავნა და მისი შინაარსიც შეატყობინა. აგრეთვე (შეატყობინა) იმის შესახებ, თუ რა პასუხი გასცა მან მასზე და ამრიგად, აუხსნა წერილის (აზრი) და მისი პასუხი. მან სთხოვა სულთანს, მასთან მისულიყო. სულთანი არსლან იბნ ტოღრულიც ერაყიდან ისეთი ლაშქრით გაემგზავრა, რომელიც თვალს ახარებდა და გულს აღაფრთოვანებდა. თვითუღლი მეომარი ათასს, ზოგიერთი კი უფრო მეტსაც უდრიდა. ისინი აღზარდეს ომის ცხენებზე, ხოლო გამოკვებეს გამოცდის ძუძუებზე. ერაყში ჯერ არავის სმენოდა ასეთ რჩეულ ხალხთაგან შეკრებილ და სხვადასხვა დანიშნულების მქონე დანაყოფებისაგან შემდგარ ჯარზე.

სულთანმა მანამ იარა, სანამ ნახიჩევანში ათაბაგ ილ-დევიზს არ შეუერთდა. ნახიჩევანიდან ის გაემგზავრა და მიადწია განჯას, სადაც რამდენიმე დღე დაისვენა.

როდესაც ქართველების მეფემ გაიგო, რომ იგი მოვიდა და ცდილობს მათ ბრძოლაში შეხვდეს, მან გაუგზავნა ელჩი სულთანს და დაუწყო ხვეწნა: „მე უარს ვამბობ იმ მოთხოვნებზე, რაც წამოგიყე-

* ამ წერილის შესახებ იხ. წიგნის მეხუთე დანართი.



ნე. მე მეტს აღარაფერ ისეთს არ გავაკეთებ, რაც შენ ზიანს მტვირთავს. მე თანახმა ვარ იმაზე, რაც შენ გინდა, და მზად ვარ ყველაფერი შეგისრულო, რასაც შენ მოისურვებ“.

სულთნის ლაშქარს შეუერთდა შაჰ-არმენი სიოკმენ იბნ იბრაჰიმი, რათა მიეღო (შესაძლებლობა) ყოფილიყო სულთნის სამსახურში და წარმატებისათვის მიეღწია (თავი გამოეჩინა) ლაშქრის მრავალრიცხოვნობითა და იარაღის მრავალფეროვნების მეშვეობით. გამოცხადდა რა სულთნის სამსახურში, მან დაიმსახურა (მისი) კეთილგანწყობა და ქება, დიდება და განდიდება. სულთანი თავის მიმართვაში მას „უფროს ძმას“ (ეჩი-ს) ეძახდა.

როდესაც ქართველების ელჩი ათაბაგ ილ-დევგიზთან გამოცხადდა, მან ამის შესახებ სულთან არსლან-შაჰ იბნ თოღრულს შეატყობინა. სულთანმა შეჰყარა ყველა ამირა და შაჰ-არმენი. შეკრებაზე მონაწილეობდა აგრეთვე ათაბაგი ილ-დევგიზიც. მათ დაიწყეს თათბირი იმის შესახებ, თუ რა პასუხი გაეცათ საქართველოს მეფის ელჩისათვის. ყველამ ასე მიმართა ათაბაგ ილ-დევგიზს: საქმე შენი გადასაწყვეტია, შენ ყველაზე კარგად იცი შენი ქვეყანა. რას ფიქრობ ამაზე?“

მათ მოეჩვენათ, რომ ათაბაგი ზავისაკენ იხრებოდა. მაშინ ერაყის ემირები წამოშალნენ და როგორც სულთნის მსახურებმა, მას ასე მიმართეს: „ჩვენ მთელი ჩვენი ავლა-დიდება ლაშქრის შეიარაღებაზე დავხარჯეთ და ასე შევაგროვეთ არმია, რომელიც მთელი ქვეყნის ზურგზე აღარ ეტევა და მისი ფეხთა მტკვერი ყველას აიძულებს მოერიდოს მას. ამ არმიასთან ერთად ჩვენ აქ მოვსულვართ და ახლა ისე უნდა დავბრუნდეთ, რომ ისლამის მტრებს არ შევხვდეთ და არ ვაჩვენოთ მას ჩვენი ძალა, რომელიც ამოხაპული გვაქვს შურისძიების წყაროდან? არ ვაჩვენოთ ძალა, რომელიც მას დაცემასთან და დამორჩილებასთან მიიყვანს, არ ვაჩვენოთ ძლიერება, რომელიც ხელს ააღებინებდა მას სიძუნწეზე და ნება-სურვილზე, რომელიც ჩაუნერგავდა მას გულში შიშსა და მწუხარებას“. მათ ამ განცხადებას შაჰ-არმენიც დაეთანხმა და განაცხადა: ისლამის მტრებმა გაიმკაცრეს გულები მუსლიმების წინააღმდეგ, რა ჩაიძინეს გუშინ მათ, გაძარცვეს და გაანადგურეს რა დვინი, ტყვედ გაი-



რეკეს მრავალი მისი მცხოვრები! ყოველივე ეს მე თვალწინ მიდგას. მე ვიცი, რომ ჩვენ აქ იმიტომ შევიკრიბეთ, რათა შევხვდეთ მტერს და უკუვაგდოთ მისი ბოროტება და უბედურება. თუ მტერმა დაინახა, რომ ჩვენ მასთან უომრად დავიშლებით და სახლებში დავბრუნდებით, დავბრუნდებით ისე, რომ არ შევეჯახებით მას და არ ვიომებთ და ამას ჩავიდენთ მას შემდეგ, რაც ჩვენ დავხარჯეთ ის, რაც დახარჯული გვაქვს და იმოდენა ლაშქარი შევაგროვეთ, რამდენიც შეგვეძლო, (რა თქმა უნდა), მტრის სიძუნწე გაიზრდება და როდესაც სულთანი — დაე ალაჰმა საუკუნო გახადოს მისი ძალაუფლება! — დაბრუნდება ერაყში, მტერი თავისი ძალით ისლამის ქვეყნების წინააღმდეგ გაილაშქრებს, რადგან ეს ქვეყნები დამცველების გარეშე აღმოჩნდებიან. მაშინ მუსლიმანთ თავს დაატყდებათ პატივყარილობის სიმძიმე და დიდებულთა და ღარიბთა შორის მისი ბოროტება გავრცელდება.

როდესაც ათაბაგ ილ-დევგიზმა ეს სიტყვები გაიგონა და მიხვდა, რომ ხალხი მტერთან შებმას მოითხოვს, იგი ყველა ამირასთან სათითაოდ მივიდა და ეხვეოდა რა მათ, სახეზე ჰკოცნიდა და ეუბნებოდა: „ახლა მე უკვე გავიგე, რომ თქვენ გწყურიათ წმინდა ომი და მოითხოვთ ალაჰის მტერთან ბრძოლას! წინ ურწმუნობზე! შესწირეთ თქვენი სული ჯიჰადს ერთადერთი და ძლიერი ალაჰისათვის!“

მათ უკან გააბრუნეს საქართველოს მეფის ელჩი თავისი სამშვიდობო სიტყვებით და მაშინვე იმ ადგილიდან დაიძრნენ, სადაც იმყოფებოდნენ.

სულთანთან თურქმენების ისეთი რაოდენობა შეიკრიბა, რომ მათი რიცხვის განსაზღვრა არავის შეეძლო. ისინიც სულთანთან ერთად ქართველების ქვეყნის წინააღმდეგ გაემართნენ. როდესაც ქართველთა მეფემ გაიგო, რომ ისინი მის ქვეყანაში შეიჭრნენ, სასწრაფოდ მათ წინააღმდეგ გაემართა. იგი მოემზადა, შეიარაღდა, შეკრიბა გაფანტული და დაშლილი ლაშქარი და უხარმაზარი ჯარით და ალალით დაიძრა. არც ერთ ურწმუნოთა ლაშქარს არ შეუგროვებია ამდენი მეომრები და მოლაშქრე ხალხი, აგრეთვე

იარაღი, შუბ-სამკებილები, ჯიშინი ცხენები და შესანიშნავი ვალდებულებები, რამდენიც ამ ლაშქარს გააჩნდა.

ორივე მხარე ერთმანეთს მიუახლოვდა. ათაბაგმა ილ-დევიზმა თავისი ლაშქარი სამ ნაწილად გაჰყო. პირველი — მეფეს და მის ჯგუფს უნდა შეხვედროდა. მეორე ნაწილი შედგებოდა ერაყელების ჯარისაგან. მან უბრძანა ერაყელებს, რომ საფარში ყოფილიყვნენ მანამ, სანამ ცხენოსნები ცხენოსნებს არ შეებმებოდნენ და ქვეითები — ქვეითებს. მაშინ ხმლოსანი და შუბოსანი მეომრები მუსლიმანების დასახმარებლად მათ შორის შეიჭრებოდნენ, რათა თანამორწმუნეებისათვის გული გაემაგრებინათ, ხოლო ურწმუნოებისათვის გული გაეტეხათ თავიანთი მოსვლით. თვითონ ათაბაგი, თავისი ლულიამებით და მსახურებით, რომელთაც ომის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, რადგანაც მრავალი ბრძოლა გადაეხადათ, მესამე ნაწილში (ჯარის) დარჩა. მისი მსლებლები (ლულიამები და მსახურები) მრავალმხრივ გამოცდილი პირები იყვნენ და ომის საქმე, ცხადიცა და დაფარულიც, კარგად იცოდნენ.

ქართველთა მეფე მოვიდა და თავისი ლაშქარი საომრად მოაწყო — გამოჰყო მარჯვენა და მარცხენა ფლანგები, ცენტრი და ორი ფრთა. მათ წინ იდგნენ მუსლიმანების ლაშქარი. ქართველებმა დაიწყეს შეტევა მუსლიმანებზე, მაგრამ ისინი მტკიცედ იდგნენ და მათ შორის ომის ბორბალი დატრიალდა: ელვასავით მოლაპლაპე ხმლები ადამიანის ტანებს თავებს კვეთდნენ, მხრები კი მათი დარტყმისაგან იჩეხებოდა.

როდესაც მეომრები ომის ხანძარმა მოიცვა და სიკვდილის მწარე ფიალამ მათ რიგებში ჩაიარა, ქართველთა გროვა თავს დაესხა მუსლიმანებს. ისინი მხოლოდ ჯარის მეორე ნაწილმა შეაშინა, რომელიც ერაყელი ამირებისაგან შედგებოდა. მათ ისე გარემოიცივეს ისინი (თავისი ცხენოსნებით), თითქოს ღამის სიბნელე ან გადარეული დინება ყოფილიყვნენ და თავს დაასკდნენ რა (ქართველებს), თან ალაჰს ადიდებდნენ ბრძოლის სურვილით გაერთიანებულნი. ისინი შეუერთდნენ თავიანთ მუსლიმ ძმებს და დაესხნენ რა ალაჰის მტრებს თავს, ფანტავდნენ მათ რიგებს. ამით აიძულებდნენ მათ გულად მეომრებს გაქცეულიყვნენ და თავიანთი თავდაცვის ადგილები



დაეტოვათ. ამის მიუხედავად, ქართველები მტკიცედ იცავდნენ თავის
 განლაგებული იყვნენ რა თავისი მეფის წინ.

ასე მიდიოდა ბრძოლის საქმე, სანამ შუაღლე არ დადგა. მაშინ
 კი მათ წინააღმდეგ დაიძრა თვითონ ათაბაგი ილ-დევიზი თავისი
 თურქებით და თითქოს ბნელი ღამეაო, ხალხითა და იარაღით მათი
 თვალსაწიერი სულ დაფარა.

როდესაც ქართველთა მეფემ დაინახა რაზმებად დაწყობილი და
 ერთი მეორის მიყოლებით მომავალი მრავალრიცხოვანი ლაშქარი,
 (მან და მისმა ჯარმა) სამყოფი ადგილები დატოვეს, მაგრამ წინი-
 დანაც და ზურგიდანაც მათ მახვილები ეწეოდათ. ალაჰის მიმდევარ-
 თა — მუსლიმანთა — რიცხვი ჭარბი შეიქმნა ურწმუნოთა რიცხვზე
 და ბუგავდნენ რა მათ ცეცხლით, აიძულებდნენ ეცეკვათ და ეხტუ-
 ნათ. შუა ღლე არც კი დამდგარიყო, რომ მუსლიმანებმა მოიპოვეს
 გამარჯვება ალაჰის მიერ განადგურებული მტერზე. დაახლოებით
 ათი ათასი მათი გმირი და ბუმბერაზი ხმლით აკუსწეს და ველზე
 დაჰყარეს ნადირის და ფრინველების საჯიჯგანად.

ურწმუნო დიდებულების ერთი ჯგუფი ალყაში მოაქციეს და
 ტყვედ ჩაიგდეს. თითქოს დაწვამისჯილი დამნაშავენი ყოფილიყვნენ,
 ისინი ძალით მირეკეს იქ, სადაც სულთანი და ათაბაგი ილ-დევიზი
 იმყოფებოდნენ. მათ სახეზე შეიმჩნეოდა უღმერთობის მტკერი და
 დამარცხების სიმძიმე. ნაწილი, უკან ხელგაკრული, ნაწილი კი
 ყელზე თოკწაბმული მიჰყავდათ. ბევრი დაჭრილი და ნაგვემი იყო.

რაც შეეხება ქართველთა მეფეს, მან თავისი სული გაქცევით
 იხსნა და კმაყოფილი იყო იმითაც, რომ შინ დაბრუნდა, თუმცა
 უალაფოდ, ცარიელი ხელებით და დამარცხებული.

მუსლიმანები ისეთ დავლას დაუფლნენ, რომლის მსგავსი არა-
 ვის და არც ერთ ლაშქარს არ მოუპოვებია. მეომრები ველარ
 ერეოდნენ ნაალაფარ ქონებას: ცხენებს, მრავალრიცხოვან ნივთებს,
 ძვირფას კარებს და მარგალიტებით უბიწო მონებს. იმ ნივთებს
 შორის, რომლებიც ქართველთა მეფეს ეკუთვნოდა და (მუსლიმებს)
 ხელთ ჩაუვარდათ, იყო ვერცხლის სარწყულები, რომლითაც მის
 ცხენს წყალს ასმევდნენ და ჭურჭელი, რომელშიც უმზადებდნენ
 საჭმელს, მაგიდები, თევშები, სინები და სურები — ყველა ოქროს-



გან დამზადებული. მის საგანძურში ოპოვეს მრავალი ძვირფასი ქვა, ოქრო, მარგალიტი და მარჯანი — ყველაფერი იმას ჰგავდა, რაზეც ალაჰი-დიდება მას! — ლაპარაკობს ყურანში და რაც მან სა- მოთხის მცხოვრებთ ალუთქვა.

ეს ბრძოლა მოხდა 556 წელს.* დასვენებიდან რამდენიმე დღის შემდეგ (მუსლიმანთა) ლაშქარი შეიჭრა ქართველების ქვეყანაში, მოარბია იქაურობა და (მის მცხოვრებთ) აოხრება და სიკვდილი მოუტანა. (მუსლიმები) ატყვევებდნენ ხალხს და ანგრევდნენ სა- ცხოვრებელ სახლებს. მათ დატოვეს ქვეყანა, ააოხრეს რა იგი ისე, თითქოს ჯერ კიდევ გუშინ აყვავებული ქვეყანა არ ყოფილიყო. ალაფით დამძიმებული და ოცნებაში რომ წარმოედგინათ ისე გამ- დიდრებული ლაშქარი უკან დაბრუნდა“ (23,137-141).

აი, ამ ცნობებს ვგულისხმობდი. მკითხველი დამერწმუნება, რომ იბნ ალ-ასირიცა და სადრ ად-დინ... ალ-ჰუსაინიც ერთ დიდ ბრძო- ლაზე ლაპარაკობენ, რომელშიც როგორც ქართველებმა, ისე მუს- ლიმთა მხარემ ყველაფერი იღონა გამარჯვებისათვის. ბოლოს გა- მარჯვება მუსლიმებს დარჩათ. ეს უნდა იყოს 1163 წლის იანვარ- თებერვალში გამართული ბრძოლა. ამას რომ აღვნიშნავ, საკითხის საბოლოო გადაჭრას სულაც არ ვგულისხმობ. საქმე იმაშია, რომ იმავე იბნ ალ-ასირის ცნობით, ქართველებსა და მუსლიმანებს შო- რის 558 წ. შაბბანის თვეშიც (1163 წ. ივლისში) მომხდარა დიდი ბრძოლა. იბნ ალ-ასირი წერს:

„მათი (ქართველებისა) ქონებისაგან იმდენი ალაფი წაიღეს (მუსლიმანებმა), რომ მისი აღწერა ან დათვლა შეუძლებელი იყო, ხელში ჩაიგდეს მეფის საჯინიბოები, ბაგა, რაც ვერცხლისაგან იყო დამზადებული. ხელთ იგდეს მეფის მარანი ყველა მისი ნივთებია- ნად, მათ შორის დიდი ვერცხლის კასრები. ერთ-ერთი მათგანი სულთანს მიართვეს. სულთანმა ის თავის სახლში გააგზავნა სხვა ნადავლთან ერთად, რომლის ღირებულება ბრუნვაში მყოფ ორი ათას დინარს უდრიდა. მან ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებუ- ლი სასმელი ჭურჭელი ჰამადანის საჯარო (საყოველთაო) მეჩეთში

* ქრისტეანული წელთაღრიცხვით 1160-1161 წწ.

გაგზავნა, რათა ხალხს შეძლებოდა იმათი გამოყენება წყლის სიმის დროს.

მუსლიმანებმა წაიღეს უზარმაზარი რაოდენობის ალაფი* და ამოელიტეს ბევრი ხალხი. აფხაზთა (ე. ი. ქართველთა, ჯ. ს.) მეფე აიძულეს, გაქცეულიყო. იგი ხშირ ტყეში დაიმალა (23,236). შემდგომი კვლევა გამოავლენს იბნ ალ-ასირის მიერ აღწერილი ორი ბრძოლიდან, რომელ მათგანს ემთხვევა სადრ ად-დინ... ალ-ჰუსაინის აღწერილი ბრძოლა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სადრ ად-დინ... ალ-ჰუსაინის ომი 1160-1161 წლით აქვს დათარიღებული, რაც აშკარა შეცდომაა. სანამ ეს, სამხედრო თვალსაზრისით, დიდი პოლიტიკური შეჯახება მოხდებოდა, ქართველებს უკვე აღებული აქვთ ქალაქები და მათ შორის დვინი. ქ. დვინი კი აღებულ იქნა 1162 წელს. ქ. დვინის აღების შესახებ თვით სადრ ად-დინ ... ალ-ჰუსაინი ლაპარაკობს და ილ-დგვიზის და სხვა მუსლიმანთა საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა ამის საპასუხოდ მომხდარ აქტად მიაჩნია (23,137). აქედან აშკარად ჩანს მისი დათარიღების სიმცდარე.

ახლა გვინდა ერთ საკითხსაც შევეხოთ. საქმე ეხება საქართველოს ლაშქრის დამარცხებას მუსლიმანებთან გამართულ გადამწყ-

* მუსლიმანების მიერ საქართველოში ნაშოენი დიდი ალაფის შესახებ სხვა ავტორებიც ლაპარაკობენ. მაგალითად, ზაჰირ ალ-დინ ნიშაბური გადმოგვცემს, რომ „სულთნის დროშების ჩრდილქვეშ და (ელდიგუზ) ათაბაგის ხელმძღვანელობით და ძღვეამოსილებით ისლამის მხედრობა ურწმუნოთა ქვეყნისაკენ გაემართა... როდესაც განჯის საზღვრებს გასცდნენ და მათ მიუახლოვდნენ იარაღის ძალით, „ადათის“ მხარდაჭერით და ძღვეამოსილი ღმერთის შემწეობით სწრაფად მათ (ქართველებს) თავს დაესხნენ და მისი (ქართველთა მეფის?) ზაჰინა გამარცხეს და ოქროს ჯვარი და ვერცხლის ჭურჭელი მოლიანად ხელთ იგდეს. აბხაზთა (ე. ი. ქართველთა, ჯ. ს.) მეფემ, ფეხშიშველამ, უკანასკნელ წუთს ძლივს გაასწრო“-ო (24,222-223).

ისტორიკოსი რავანდი კი აღნიშნავს: „აბხაზთა მეფემ ისლამის ოლქებს სიხარბის თვალი დაადგა, თავისი რაზმებით დათარეშობდა და სურვილის ეყვანს აელარუნებდა:

„... დიდი ათაბაგის წინდახედულება და სიფრთხილე რომ არ ყოფილიყო, რომელმაც ისლამის ლაშქარს შეტევა (თავდასხმა) დაუშალა, არც ერთი მათგანი (ქართველთაგანი) არ გადარჩებოდა და აბხაზთა მეფე ტყვედ ჩავარდებოდა. მაინც ყველა (მათი) თეთრი დროშები, ოქროს ჯვარი, ვერცხლის ჭურჭელი, ზაჰინა და „სანადიმო სახლის“ (შარაბ-ხანე) მოწყობილობა გამარცხეს და იგი (აბხაზთა მეფე) უკანასკნელ წამს, ფეხშიშველი ცხენს მოახტა და გაქუსლა“ (24, 223).



ვეტ ბრძოლაში. იბნ ალ-ასირის, ჩვენს მიერ მოტანილ ცნობაში ლაპარაკია ერთ-ერთ ქართველზე, რომელიც მტრის მხარეზე გადავიდა, გამაჰმადიანდა და მათი ლაშქრით თანამემამულეებს ზურგიდან დაარტყა. ამ მოულოდნელმა შემოტევამ ქართველების რიგებში არევ-დარევა შეიტანა და ისინი დამარცხდნენ (22,110-111). ქართველთა დამარცხების იგივე მიზეზი სხვა წყაროებსაც აქვთ დასახელებული. მაგალითად, მხითარ გოშისა და იბნ-ხალდუნის თხზულებებს. ამათგან მხითარ გოში, XII-XIII საუკუნეების მიჯნის მოღვაწე სომეხი მწერალი, კონკრეტულ დამნაშავესაც ასახელებს. იგი წერს: როდესაც ილ-დევიზმა გაგის მხარე მოაოხრა, „მეფე გიორგიმ შეკრიბა დიდი ჯარი, მოვიდა, დაბანაკდა მის საპირისპიროდ და მოემზადა საბრძოლველად. მაგრამ მისმა მხედართმთავარმა ივანემ, სუმბატ ხალაგუჭკანის შვილმა, ფარულად უხმო და გააფრთხილა ათაბაგი და სულთანი, რადგანაც შეთქმული იყო მათთან და დაბრმავებული მათი საჩუქრებით. იმ ღამეს, როდესაც ემზადებოდნენ დილისათვის საბრძოლველად, ფარულად დატოვეს თავიანთი კარავი და გაიქცნენ“ (15,48-49).

სამწუხაროდ, მხითარ გოში არაფერს ამბობს ივანე ორბელის ჩანაფიქრის აღსრულებაზე. მისი სიტყვით, იგი ათაბაგს მოლაპარაკებით კი მოელაპარაკა, მაგრამ მუსლიმანებმა ბრძოლის წინა ღამეს თავიანთი ბანაკი დატოვეს და გაიქცნენ.

ივანე ორბელის მოღალატედ მიჩნევა გაჭირდება. არსად, არც ერთ ცნობაში, ივანე ორბელი მაჰმადიანად გამოცხადებული არ არის. ამას გარდა, ივანე ორბელი საქართველოს ამირსპასალარი (მხედართმთავარი, დღევანდელი გაგებით სამხედრო მინისტრი) და მანდატურთუხუცესი (დღევანდელი გაგებით შინაგან საქმეთა მინისტრი) გახლდათ. მისი თანამდებობის გამო იგი მუდამ მეფის თვალწინ ტრიალებდა, შედიოდა მის ვაზირთა შორის და მეფესთან ერთად ქვეყნის სამხედრო საქმიანობის წარმმართველი იყო. ამას გარდა, ბრძოლის დროს ლაშქრის ერთ-ერთ (სამიდან) ფრთას ხელმძღვანელობდა. განა დასაშვებია, რომ მუსლიმანებთან გახურებული ბრძოლის დროს იგი ქართველთა ბანაკში არ ყოფილიყო? ან ეს რომ მომხდარიყო, ამის შემდეგ იგი კიდევ შეინარჩუნებდა თავის

თანამდებობას? ხომ ცნობილია, რომ დემნას აჯანყებამდე იგი დასა-
ხელებულ სახელოებს ფლობდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1163 წლის იანვარ-თებერ-
ვალში ან ივლისში ივანე ორბელს გიორგი მესამესთან დაპირისპი-
რების მიზეზი არ გააჩნდა. თანამდებობებს ისედაც ფლობდა და
მისგან დემნა უფლისწულის გამეფების პირობაც აღებული ჰქონდა.
ასე რომ, მხითარ გომის აზრის გაზიარება არ შეიძლება. თუმცა იმ
მოღალატე ქართველის ვინაობის ძიება შემდეგშიც სასურველად
მიმაჩნია.

ვამთავრებ რა გიორგი მესამესა და სულთან არსლან-შაჰს შო-
რის ბრძოლის ამ ეტაპზე საუბარს, ორიოდე სიტყვით მინდა შევე-
ხო სადრ და-დინ... აღ-ჰუსაინის ცნობების მნიშვნელობას. მკითხვე-
ლი დამერწმუნება, რომ გიორგი მესამეს დროინდელი საქართველოს
სამხედრო საქმიანობის უკეთ წარმოდგენა გაძნელდება. მარტო იმ
წერილზე ლაპარაკი რად ღირს, გიორგი მესამეს რომ ილ-დევიზ
ათაბაგისათვის გაუგზავნია: განჯიდან და ბაილაქანიდან ჩვენ ხარკი
მოგვდიოდა ხოლმე, ახლა არ მოგვდის და შენ უნდა გადაგვიხა-
დოო. ეს ლიტონი სიტყვები არ არის. მეფე დემეტრე პირველის მე-
ფობაში ამიერკავკასიის უძლიერესი მუსლიმანური ქალაქი განჯა
(და, ეტყობა, ბაილაქანიც) ქართველთა მეფეს მართლაც უხდიდა
ხარკს. იგი თვით სულთანმა მისცა დემეტრე პირველს მისი ასუ-
ლის – რუსუდანის, შერთვის გამო.

ახლა საქართველოს ლაშქრის აღწერა რად ღირს? ურწმუნოთა
არც ერთ ლაშქარში არ ყოფილა იმდენი მეომარი, იარაღი, ჯიშია-
ნი ცხენები და ჯორები, რამდენიც გიორგი მესამემ შეკრიბაო. სადრ
ად-დინ... აღ-ჰუსაინის თხზულების, ჩვენს მიერ მოტანილი ნაწი-
ლის წაკითხვისას კაცს გული სიამაყით აევსება. მართალია, ქართ-
ველებმა ბრძოლა წააგეს და ზარალიც ნახეს, მაგრამ მარცხი შემ-
თხვევითი იყო. მოღალატე რომ არა, ქართველთა ლაშქარი იმარჯ-
ვებდა; მერე ვისთან – მუსლიმანების გაერთიანებულ ლაშქართან.
კიდევ ვამბობ: მერე რაა, რომ ბრძოლა წააგეს! იმიტომ კი არ წაა-
გეს, რომ ცუდად ომობდნენ, ან მათი სამხედრო გეგმა მოიკოჭლებ-
და. არა. ვილაცამ უღალატა. აბა ვინ იტყვის ამ მოღალატის ვი-



ნაობას? იქნებ ქართველი არ იყო? ისტორიის მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ქართველთა უკიდურესი გაჭირვების ჟამს სწორედ ქართველები გადადიოდნენ ხოლმე მტრის მხარეზე. ჩვენს ისტორიას ამის არაერთი მაგალითი აქვს შემონახული.

სადრ ად-დინ... ალ-ჰუსაინის ერთი საოცარი სურათი აქვს დახატული. აი, მუსლიმანთა მთელი მხედრობა საქართველოს საზღვართან დგას. ლაშქრის ხელმძღვანელებმა სულთანმა, ათაბაგმა ილ-დევგიზმა და სხვებმა თათბირი გამართეს. მათ საქართველოს მეფის წერილის პასუხი უნდა შეედგინათ. ყველა იქ დამსწრეს მოეჩვენა, რომ ილ-დევგიზი გიორგი მესამესთან ომზე თავს იკავებდა. ეს იმიტომ ხდება, რომ ილ-დევგიზმა კარგად იცის: შეიძლება ახლა, ამ ბრძოლაში საქართველოს ლაშქარი დაამარცხოვნ, მაგრამ როდესაც შორეული მხარეებიდან მოწვეული მუსლიმანები უკან გაბრუნდებიან, აზერბაიჯანი ისევ საქართველოს პირისპირ დარჩება. ამიტომაც ფიქრობდა, ალბათ, ქართველებთან მშვიდობიან მოლაპარაკებაზე.

მაგრამ სწორედ მოწვეულმა მოკავშირეებმა არ მისცეს მას ამის უფლება. ჩვენ, — აცხადებდნენ ისინი, — მთელი ჩვენი ქონება ამ ლაშქრის მომზადებას მოვანდომეთ და ახლა აქედან უომრად არ წავალთ, თუ მტერს ჩვენ ძალას არ ვაჩვენებთო. მაგრამ თათბირის ყველა მონაწილემ იცოდა ომის კანონი. ომში წასვლა მუდამ უბედურება როდია. ხანდახან შეიძლება მთელი სიმდიდრე მოგიტანოს მან. ჰოდა, მათ არც გაუშვიათ ხელიდან ეს შესაძლებლობა. აკი აღნიშნავს კიდევ სადრ ად-დინ ... ალ-ჰუსაინი: მუსლიმანებს რომ სიმდიდრე ჩაუვარდათ ხელში, ალაჰის მიერ სამოთხეში მოხვედრილთათვის აღთქმულ სიმდიდრეს ჰკავდაო.

რამდენ სხვა საყურადღებო რამეს ვგებულობთ მოტანილი ცნობიდან! რაც მთავარია, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ XII საუკუნის 60-იანი წლების საქართველო ღირსეულ მეტოქეობას უწევდა მუსლიმანური ქვეყნების გაერთიანებულ ლაშქარს.

ამის შემდეგ როგორღა იქცეოდა გიორგი მესამე, ხომ არ გატეხა წელში მაჰმადიანებთან განცდილმა მარცხმა? არა, ეს არსაიდან



არ ჩანს. იგი შემდეგაც მტკიცედ ინარჩუნებდა ქვეყნის საზღვრებს.
მტერმა ქ. ანისიცი კი ვერ წაართვა მას.

1165 წლის ბოლოს და 1166 დასაწყისში იგი აზერბაიჯანისაკენ დაიძრა და მისი მიწები დაიკავა განჯამდე. იბნ ალ-ასირი წერს: „561 წელს ქართველთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი მუსლიმანების სამფლობელოში შეიჭრა და დაიკავა აზერბაიჯანი განჯამდე. (ქართველებმა) მრავალი მუსლიმანი მოკლეს, ბევრი დაატყვევეს, ქვეყანა გაძარცვეს და უთვალავი სიმდიდრით უკან გაბრუნდნენ“ -ო (22,111).

აი, ასეთი კაცი იყო გიორგი მესამე. ხომ უღალატეს, მარცხიც აწვნიეს, მაგრამ მთავარ-მთავარი თავისი მოწინააღმდეგის სამფლობელო და „ჯავრი არ ჭამა მტრისა“.

გიორგი მესამე კბილებით იცავდა თავისი მოღვაწეობის დასაწყისში შეერთებულ ქალაქ ანისს. ვარდანს აღნიშნული აქვს, რომ იმ ოთხი წლის განმავლობაში ქ. ანისს ქართველები რომ ფლობდნენ, მოწინააღმდეგის იერიშებისაგან მას მოსვენება არ ჰქონდაო. გიორგი მესამესაც თანდათან უძნელდებოდა ანისის დაცვა. მაგრამ არც მეზობელი მაჰმადიანი მმართველები იყვნენ კარგ დღეში. გიორგი მესამე მოსვენებას არ აძლევდა მათ. ეტყობა მუდმივმა დაძაბულობამ ბოლოს და ბოლოს ორივე მხარე დაღალა და თანდათან შეიქმნა აზრი ზავის აუცილებლობის შესახებ. მშვიდობის დამყარების ინიციატორად თვითონ ათაბაგი შამ სად-დინ ილ-დგეიზი გამოსულა. იგი შუაგადაც „ჩამოდგა შუა სულთანსა და (ქართველთა) და ითხოვა ზავი“. საქართველოს მხრიდან შერიგების მომხრედ გამოვიდა გიორგი მესამის და რუსუდანი, რომელიც სულთან ყიიას აღ-დინ მას'ულის (1134-1152 წწ.) ქვრივი გახლდათ. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იგი საქართველოში მობრუნდა და დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში.

ორი მოწინააღმდეგის სამშვიდობო განწყობამ თავისი შედეგი გამოიღო - „შეიქმნა მშუდობა და ზავი ჟამ რაოდენიმე“ (4,15). ამ ზავის მთავარი პირობა ქ. ანისის მუსლიმანი მმართველებისათვის დაბრუნება იყო. მართლაც, საქართველოს მეფემ „უბოძა ანისი თვისისა ყმად“. პირი, რომელსაც გიორგი მესამემ ქალაქი დაუბრუ-

ნა, გახლდათ მაჰმუდ შედადიანის შვილი არსლანი. ეს მოხდა 1164-1165 წლებში.

თამარის ისტორიკოსის სიტყვით, სულთანთან ზავის დადების შემდეგ გიორგი მესამე ნადირობას და დასვენებას შეუდგა. ხან ლიხთ-იმერეთში იყო, ხან პონტოს (შავი) ზღვის პირზე, ხან კი კასპიის ზღვისპირეთში. თამარის კარის ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ მშვიდობას და უომრობას საქართველოს დიდებულები და უმაღლესი სამხედრო პირები ძალზე შეუწუხებია. ერთ დღეს მათ მეფეს განუცხადეს: „არ არის ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა“-ო (4,15).

მეფემ მოუსმინა მათ და მუსლიმანური ქვეყნების წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა. საოცარი ის იყო, რომ საქართველოს ლაშქარი ყველა მხრიდან შეესია მოწინააღმდეგეს. ტაოელებმა, კლარჯებმა და შავშელებმა ოლთისისა და ბანას მხარე მოაოხრეს, მესხებმა და თორელებმა – კარისა და აშორნის. ამირსპასალარმა თავისი ქვემო ქართლელებით – განძის დასამხრისი მოაფორიაქა. რაც შეეხება მეფის მხლებელ რჩეულ ლაშქარს ანუ ხასაგიანთ, მათ ლიხთ-იმერლებთან და ქართლელებთან ერთად განჯის ქვემოთ, ხლათამდე, მტკვრის იქითა და აქეთა მხარეების მორბევა დაევა-ლათ. ჰერ-კახელებმა კი ალაზნის შესართავიდან ვიდრე შარვანამდე არსებული მხარეები მოარბიეს. მემატიანე მეფის ამ ღონისძიებას „უცხო ლაშქრობა“-ს უწოდებს. როგორც სამართლიანად აღნიშნავს მ. ლორთქიფანიძე, ეს ლაშქრობები დავლა-ალაფის შოვნის გარდა, ბრძოლებით მტრის ზურგის დაზვერვასაც ისახავდა მიზნად (21,279-280; 25,133). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ლაშქრობების ხასიათის სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს (26,304; 27,80-89; 28,130-131).

ამრიგად, 1164-1165 წლებში სულთანთან დადებული ზავი გიორგი მესამემ თვითონ დაარღვია. ომიანობის განახლებას, რა თქმა უნდა, საქართველოს საგარეო ურთიერთობის გაუარესება მოჰყვებოდა. მაგრამ არ ჩანს, რომ მეფე ან მისი ლაშქარი ამას ძალიან განიცდიდნენ. პირიქით, როგორც ითქვა, ისინი თვითონ გახდნენ ზავის დარღვევის ინიციატორნი.



მუსლიმანებთან საომარი მდგომარეობის მიუხედავად, 1174 წელს მღე ქ. ანისი მათ ხელში დარჩენილა. ამ წელს კი გიორგიმ ილაშქრა მასზე, დაატყვევა ქალაქის ამირა, თავისი ყმადნაფიცი არსლან შეღადიანი და გამგებლობა საქართველოს ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცეს ივანე ორბელს ჩააბარა. ეს იყო ანისის კვლავ უშუალოდ შეერთება.

ანისის ქართველებისაგან უშუალოდ შეერთებას მუსლიმანთა მხრიდან საპასუხო ლაშქრობა მოჰყვა (1174/5 წწ.). სულთანი არსლან-შაჰი და ათაბაგი ილ-დევგიზი ქ. ანისს თავს დაესხნენ, შირაქის მხარე მოარბიეს, თუმცა დამარცხდნენ და უკუიქცნენ. მაგრამ ისინი ვერც ამის შემდეგ ურიგდებოდნენ ქალაქის უშუალოდ ქართველების ხელში ყოფნას.

ალ-ფარიკის ცნობით, 571 წ. მუჰარამში (22. VII-20. VIII. 1175 წ.) სულთანი არსლან-შაჰი, შამს ად-დინ ელდიგუზი, მისი ვაჟი ფაჰლავანი და შაჰ-არმენი ნახჭევანიდან საქართველოსაკენ გაემართნენ. თან მიჰყავდათ ჰამადანის, აზერბაიჯანისა და დიარ-ბაქრის ჯარები. მათ გაიარეს გელაქუნის მხარე და დმანისისა და ლორეს ველებს მიუახლოვდნენ. ამის შემდეგ გაემართნენ აკ-შაჰრისა და თრიალეთისაკენ.

პროფ. გ. ჯაფარიძის დაკვირვებით, „არაბი მემატიანის ინფორმაციიდან უფრო ისა ჩანს, რომ მუსლიმებს აკ-შაჰრი და თრიალეთი აინტერესებდათ“ (2,113). მისივე აზრით, აკ-შაჰრი ქ. ახალქალაქია (2,113).

ამ ბრძოლის საბოლოო შედეგი მუსლიმების მიერ ქ. ახალქალაქისა და ჯავახეთის აოხრება იყო.

ალ-ფარიკის ცნობით, იმ დროს, როდესაც კოალიციური ლაშქარი საქართველოს სამხრეთ მხარეებს არბევდა, გიორგი III არტაანის ერთ-ერთ გაუვალ ტყეში იყო დაბანაკებული, მაგრამ საბრძოლველად არ გამოსულა. ქვეყნის მოოხრების შემდეგ სულტანი დეინს გაემართა, ხოლო შაჰ-არმენი 1175 წლის 29.IX დიარ-ბაქრის ლაშქრითურთ ხლათში დაბრუნდა და დიდი ზარ-ზეიმით იქნა მოსახლეობისაგან მიღებული (2,114).



სულთან არსლან-შაჰისა და მისი ჯარის მიერ საქართველოს სამხრეთ რაიონებში განხორციელებულ ამ ლაშქრობას უნდა აღწერილიყოს ლაშა გიორგის-დროინდელი მემკატიანე, როდესაც აღნიშნავს, „და მოვიდა ილღუხი (ე. ი. ილდიგუხი) დიდი ლაშქრითა სპარსეთისათა, დაარბია შავშეთი, კლარჯეთი“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 367).

მაჰმადიანთა გაერთიანებულ ლაშქართან განცდილმა მარცხმა 1175 წელს, აგრეთვე 1177 წელს დაწყებულმა დემნა უფლისწულის აჯანყებამ აიძულა საქართველოს სამეფო კარი, რომ ქ. ანისი კვლავ ადგილობრივი მფლობელი შედადიანებისათვის დაებრუნებინა. ერთი სომხური ქრონიკის ცნობით, ეს სომხური წელთაღრიცხვით ოიე წელს მომხდარა. ეს კი 5. II. 1176-4. II. 1977 წელს შეესაბამება (ა. აბდალაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესწავლისათვის.—მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №2, 1974 წ., გვ. 141).

ამრიგად, 1176-1177 წლიდან ქ. ანისი შედადიანი მმართველების ხელშია. 1198-1199 წლებშიც კი ქალაქს შედადიანი ამირა განაგებს. ეს ჩანს ანისის ტერიტორიაზე მიკვლეულ ერთ-ერთი წარწერიდან, სადაც ამირა ქეი-სულთან შედადიანი იხსენიება.

თუ სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით საქართველოს არამყარი საზღვარი ჰქონდა, აღმოსავლეთის მხრიდან საფრთხე არ ემუქრებოდა. შირვანი — ჩვენი აღმოსავლელი უშუალო მეზობელი ქვეყანა — მეგობრულად იყო განწყობილი საქართველოსთან. არც არის გასაკვირი, შირვანში ხომ დავით აღმაშენებლის შეილიშვილი აღსართან (ახსიტან) I (1149-1203 წწ.) მეფობდა. აღნიშნული რომ უფრო გასაკები გახდეს, აღვნიშნავ შემდეგ:

* ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დემნა უფლისწულის აჯანყება 1176 წლის 11 აპრილს დაიწყო და 1177 წელს დასრულდა (იხ. ა. აბდალაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესწავლისათვის.—მაცნე. ისტ., არქ., ეთნოგ. და ხელოვნ. ისტორიის სერია. №2, 1974, გვ. 142).

** წარწერაში აღნიშნულია: მე, ქეი-სულთან ბენ მაჰმუდ ბენ შავურ ბენ მანუჩიპრ შადადმა ჩემი წინაპრების და შთამომავლობის დღევრძელობისათვის ვბრძანეთ... წელსა ხუთას ოთხმოცდათხუთმეტსა“ (29, 633).

1120-1149 წლებში შირვანის ტახტზე იჯდა დავით აღმაშენებლის/ქალიშვილის თამარის მეუღლე მანუჩეჰ II. მან თავისი ძლიერების ილი სიმამრის – დავითის დახმარებით, თავისი ქვეყნის საზღვრებიდან თურქ-სელჩუკები განდევნა და მდგომარეობა განიმტკიცა. 1129-1130 წელს, მეფე დემეტრე პირველის მეფობაში, საქართველო-შირვანის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა. შირვანის ქვეყანა ორად გაყვეს. მის აღმოსავლეთ ნაწილში შარვან-შაჰის ხელისუფლება აღდგა, დასავლეთი ნაწილი კი უშუალოდ საქართველოს შეუერთეს. საქართველოსა და შირვანს შორის საზღვარი ქ. შამახის ახლოს, მდ. თეთრწყალზე (ახლანდელი აყსუ) დაიდო (30,257). აღსართან I – მანუჩეჰ II-ისა და თამარის ვაჟი, მჭიდრო ურთიერთობაში იყო თავის ბიძაშვილ გიორგი მესამესთან, ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე მას, გაჭირვებისას დასახმარებლად უხმობდა და, ალბათ, თვითონაც ეხმარებოდა.

თამარის ისტორიკოსს მშვენივრად აქვს გააზრებული გიორგი მესამისა და შირვანშაჰ აღსართან პირველის ურთიერთობის არსი და მას განსაკუთრებულ სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს აძლევს. მისი სიტყვით, გიორგის აღსართანი „უჩნდა ვითარცა შვილ-ყოფად ვითარცა ერთი დიდებულთა მისთავანი“. ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობა კიდევ უფრო კარგად აქვს გამოხატული ლაშა გიორგის-დროინდელ მემატიანეს. მისი სიტყვით, აღსართანი ვალდებული იყო, გიორგი მესამის ბრძანების თანახმად, იმდენი მეომარი მიეწოდებინა მისთვის, „რაოდენი ათასი კაცი უბრძანის“. ყოველივე აღნიშნული უჩვენებს, რომ შირვან-შაჰი აღსართანი გიორგი მესამის ყმადნაფიცი იყო. სხვათა შორის ეს ურთიერთობა შესანიშნავად ჩანს ძლიერების ხანის საქართველოს მეფეების ტიტულატურაშიც. გიორგი მესამე არის მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა. ე. ი. იგი თავის თავს შირვანის უზენაეს გამგებლადც მიიჩნევს.

1173 წელს გიორგი მესამეს დარუბანდზე გალაშქრება მოუხდა. საქმე იმაშია, რომ დარუბანდის მელიქი ხშირად არღვევდა შირვანთან მშვიდობიან ურთიერთობას და მის საზღვრებს აოხრებდა. დასახელებულ წელსაც ასე მოხდა – დარუბანდელეები შირვანში

შეიჭრნენ. მაშინ აღსართანმა გიორგი მესამეს მტერთან ბრძოლაში შემწეობა სთხოვა.

შარვანშაჰ აღსართან პირველის თბილისში მოსვლა ბიზანტიის საიმპერატორო გვარის, მომავალ იმპერატორ ანდრონიკე კომნინოსის საქართველოში ყოფნას დაემთხვა. მეფე გიორგიმ „მიმცემელმან ქალაქთა და ციხეთამან კმასაყოფელთამან დაუდგნა საჯდომნი (ანდრონიკეს) სიახლესა საყდრისა თუსისა, პირისპირ მამის დისწული-სა მისისა აღსართანისასა, რომელი მეფე იყო შარვანისა და ზღუც პირისა დარუბანდით ხირხალამდის“ (4,17).

დარუბანდის მხარეში ლაშქრობა წარმატებით დამთავრდა. საქართველოს მეფე თავისი ლაშქრით მივიდა „ვიდრე კართამდის დარუბანდისა“. თანაც „მოაოკრა ქვეყანა მუსკურისა და შარაბამისა, და აიღო ქალაქი შაბურანი... და უბოძა ქალაქი იგი“ შარვანშაჰ აღსართანს (4,17).

შარვანსა და საქართველოს შორის მსგავსი ურთიერთობა თამარის მეფობაშიც შენარჩუნებული იყო. ცნობილია, რომ შამქორის ომში საქართველოს ჩაბმის ერთ-ერთი მიზეზი ათაბაგ აბუ-ბაქრის ხელყოფისაგან აღსართანის მიწა-წყლის (ე. ი. შირვანის) დაცვა იყო.

როგორც ითქვა, გიორგი მესამემ დარუბანდის საამიროზე ილაშქრა და მისი ყველაზე მდიდარი ოლქები მოარბია. აიღო ქ. შაბურანიც და შირვანშაჰს გადასცა. თამარის ისტორიკოსს ეს ლაშქრობა უემოციოდ აქვს მოთხრობილი. მაგრამ გიორგის, როგორც სამხედრო მოღვაწის ბიოგრაფიაში, იგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტად უნდა ჩაითვალოს. ამ ქალაქზე ლაშქრობა ყველა ეპოქისა და ყველა სარდლისათვის დიდ სიმძნელედ ითვლებოდა და გიორგი მესამემ ამ მხრივაც თავი გამოიჩინა.

ტერიტორიულად დარუბანდის საამირო დიდი არ იყო. ვერც ქალაქი დაიკვივნინდა თავისი გრანდიოზულობით, მაგრამ მისი თავდაცვითი უნარიანობა გასაოცარი იყო. უზარმაზარი კედლები, მრავალრიცხოვანი კოშკები, ბრწყინვალე ნავსადგური დიდ სიმტკიცეს ანიჭებდა მას. ციხე-ქალაქის კომენდანტის გარეშე ჩრდილოეთ კავ-

კასიიდან — სამხრეთით და სამხრეთიდან ჩრდილოეთით — კაციშვილი ვერ გააღწევდა.

დარუბანდის შენება ჯერ კიდევ აქემენიანების სპარსეთმა დაიწყო. შემდეგ მას თანდათან ემატებოდა და ემატებოდა კედლები, კოშკები... ამ მხრივ განსაკუთრებით დიდად იღვაწა შაჰმა ხოსრო ანუშირვანმა (531-679). რა თქმა უნდა, მშენებლობა არც მერე — არაბებისა და თურქ-სელჩუკების ხანაში შეწყვეტილა. აქ ჩრდილოეთიდან ამიერკავკასიაში გარდამავალი გზაც გაივლიდა. ამ გზას კი მუდამ ნაირ-ნაირი დამპყრობლები მოსდევდნენ ხოლმე. ამიტომ მისი საიმედოდ ჩაკეტვა სამხრეთის ცივილიზებული ქვეყნებისათვის აუცილებელი იყო.

დარუბანდის უზარმაზარი კედლების, კოშკების, ნავსადგურის თუ სხვა ნაგებობების კვალი დღესაც კარგად არის შემორჩენილი და მეცნიერთაგან აღწერილი (იხ. ვ. პახომოვის, ვ. მინორსკის, კ. ვ. ტრევერის, პ. სპასკის და სხვათა შრომები).

დარუბანდის საამირო მცირე მიწა-წყალს ფლობდა. ყველაზე ნაყოფიერი ადგილები მის სამხრეთით, მდ. სამურის ხეობაში და თანამედროვე კუბის რაიონში მდებარეობდნენ. ისტორიულ წყაროებში ეს მხარეები შაბარანისა და მასკატის ოლქებში ერთიანდებოდნენ. არსებობდა ქ. შაბარანიც. აღნიშნული ოლქები დარუბანდის საამიროსა და შარვანს შორის საცილობელ მხარეებად ითვლებოდნენ.

1173 წელს გიორგიმ და აღსართანმა რომ დარუბანდზე ილაშქრეს, საამიროს ბეკ-ბარს ბენ მუზაფარი მართავდა (24,134-137). იგი დემეტრე პირველის ქალიშვილის ქმრის — მუზაფარ ბენ მუჰამედის ვაჟი იყო. ამირა - მუზაფარ ბენ მუჰამედი მოხსენიებული ჰყავს XII საუკუნის ცნობილ არაბ ისტორიკოსს ალ-ფარიკს. დემეტრეს ამაღლაში მყოფმა ალ-ფარიკმა 1154/5 წლებში, დარუბანდში მისვლისას, ინახულა იგი და ყურადსაღები ცნობაც დაგვიტოვა დემეტრესა და მას შორის ურთიერთობის შესახებ. ალ-ფარიკი იუწყება, რომ დემეტრეს და მის თანმხლებ ლაშქარს რამდენიმე დღე დარუბანდში გაუტარებიათ. მუზაფარ ბენ მუჰამედი სიმამრს ხლებია თავისი პატივისცემის დასადასტურებლად და მეფისათვის სამსახურის გასაწევად. იმავე ისტორიკოსის სიტყვით, დემეტრე მე-



ფეს დარუბანდის ციხეში დამწყვედელი ჰყოლია დიდგორის ბრძოლის მონაწილე ერთი მაჰმადიანი პირი (ვ. მინორსკი). ამ ცნობებზე საფუძველზე მკვლევრები (ვ. მინორსკი, პ. თოფურია, მ. ლორთქიფანიძე და სხვ.) ასკვნიან, რომ დარუბანდის ამირა დემეტრეს ქვეშევრდომი ყოფილაო.

მუზაფარ ბენ მუჰამედი 1172 ან 1173 წლამდე იყო ამირად. იმავე წლებში დარუბანდს უკვე მისი ვაჟი ბეკ-ბარს ბენ მუზაფარი განაგებს (1222 წლამდე). სამწუხაროდ, უცნობია იგი დემეტრეს ასულის ხელში იყო გაჩენილი თუ არა. ვფიქრობთ, დემეტრეს შვილი-შვილი რომ ყოფილიყო, ბეკ-ბარს ბენ მუზაფარი თავის ბიძას, გიორგი III-ს ისეთ პრობლემას არ შეუქმნიდა, რომ საქართველოს მეფეს მის წინააღმდეგ ლაშქრობა მოეწყო.

ახლა, რაც შეეხება ლაშქრობის შედეგს. თამარის ისტორიკოსის ცნობით, გიორგი „მივიდა ვიდრე კართამდე დარუბანდისათა. მოაოხრა ქუეყანა მუსკურისა და შარაბანისა და აიღო შაბურანი“. მოტანილი ცნობიდან არ ჩანს, რომ გიორგი მესამეს ქ. დარუბანდიც აეღოს, მაგრამ პოეტ ხაკანის ერთი ცნობის საფუძველზე სხვა აზრის გამოთქმის საშუალება არსებობს.

ხაკანი ერთ ხანს დარუბანდის ამირა მუზაფარ ბენ მუჰამედის კარზე ცხოვრობდა და ხოტბაც კი მიუძღვნა მას. ხაკანი შირვანშაჰ აღსართანსაც დიდ პატივს სცემდა და არც ის დაუტოვია ქების გარეშე. თავის ლექსებში იგი დიდად აქებს შირვანშაჰს ხაზართა, რუსთა და ალანთა რაზმების დამარცხების და დარუბანდისა და შაბარანის დაპყრობის გამო (პ. თოფურია). დასახელებულ ხალხთა შემოჭრა დარუბანდის მხრიდან 1173 წელს მოხდა. სწორედ მათგან შეწუხებული აღსართანი მოვიდა გიორგი მესამესთან დახმარების სათხოვნელად. მაშ, პოეტს გიორგისა და აღსართანის ერთობლივი ლაშქრობა ჰქონია მხედველობაში.

ზოგიერთ მეცნიერს ხაკანის ცნობა აღსართანისა და გიორგი მესამის მიერ დარუბანდის აღების შესახებ გაზვიადებული ეჩვენება. იქნებ არც ტყუის? მაგრამ იმისი დაჯერებაც ჭირს, რომ კარის პოეტს მეფისათვის ასეთი მტკნარი სიცრუე უკადრებინოს, თუნდაც ქების სახით. ყოველ შემთხვევაში, გიორგის მიერ დარუბანდის მხა-



რეში ლაშქრობა, მისი ოლქების მოთარეშება და ქ. შაბურანის აღება საეჭვო არ არის. ეს, საქართველოს მეფეს, როგორც სამხედრო მოღვაწეს, შარავანდელით მოსაავს. იგი ხომ თვითონ ქალაქის კარამდე მისულა (თამარის ისტორიკოსი). დასაჯერებელია, რომ მას, თავისი მძლავრი მარჯვენით, შუბი არ ეტყორცნოს ქალაქის დარკინული კარისათვის?! ეს დიდ დავით აღმაშენებელსაც არ გაუკეთებია. თუმცა მანაც ილაშქრა დარუბანდის საამიროს ქ. შაბურანზე.

დარუბანდიდან გიორგი სამხრეთ-დასავლეთში გაემგზავრა და ბასიანის მხარე მოარბია. მემატიანე ამიერკავკასიის ერთი უკიდურესი კუთხიდან მეორეში ლაშქრობას ადამიანის ძალისათვის შეუძლებელ ამბად თვლის. „ეს უცხო იყო შესაძლებელად კაცობრივისა ძალისაგან“-ო, აცხადებს იგი (4,17). ჭეშმარიტად ასე იყო! განა მართო ეს ლაშქრობა იწვევს აღტაცებას? სხვებიც საოცრად დიდ სიძნელებებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ გიორგი თავს ართმევდა მათ. ამიტომაც დავასათაურეთ მისი სამხედრო მოღვაწეობა მემატიანის ახლადმოტანილი სიტყვებით.

გიორგიმ თავისი დიდი პაპის, დავითის, თითქმის ყველა სამხედრო საქმე გაიმეორა. შედეგიც საოცარი იყო. ლაშა გიორგისდროინდელი ისტორიკოსის სიტყვით, მაჰმადიანი მბრძანებლები, შორს მყოფნი და ახლოს მყოფნი, მეძღუენედ და მოხარკედ მისდა იყვნეს და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშად ჰქონდეს (13,367). ეს კარგად აქვს შენიშნული ლ. სანიკიძესაც (31,125). დარწმუნებული ვართ, რომ ისეთი ნიჭიერი მემატიანე, როგორიც ზემოთ მოტანილი სიტყვების დამწერია, ბევრ სხვა მეფეზე ვერ იტყოდა ამას.

მაგრამ რატომ ვერ დატოვა ისტორიაში დავით აღმაშენებლის მსგავსი სახელი, რა აკლდა ამისათვის გიორგის? უპირველეს ყოვლისა, კაცთმოყვარეობა.

ეს, ზემოთ მიმოხილული ამბების გარდა, ქვემოთ მონათხრობშიც კარგად გამოჩნდება.

დაპითის აჩრდილი

მუხლჩაუხრელად იღვწოდა გიორგი მესამე. ხან ანისთან იქნედა ხმაღს, ხან დეინში ატრიალებდა შუბს, ხან დარუბანდის კარს დასჭყიოდა, ხანაც ბასიანის მხარეს აოხრებდა. განჯა მისი შიშისაგან თრთოდა, თრთოდა ყველა მისი მტერი. მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო, საზეიმო სუფრაზე თუ სიმშვიდის ჟამს, როცა აღარ ისმოდა ხმაღთა ჩახაჩუხი, ცხენთა ჭიხვინი და დაჭრილთა კვნესა, მას თან სდევდა დავითის — თავისი გარდაცვლილი ძმის, აჩრდილი. იგი, დავითი, მისი მოკლულიც იყო. როგორ არ შეაწუხებდა სინდისი და სინდისზე მეტად მომაკვდავი დავითის მუდართ სავეს თვალები, რომლებიც უკანასკნელ შუქს გამოსცემდნენ, რათა მისთვის, ძმის ტახტთან მდგომი გიორგისათვის, თავი დაემახსოვრებინათ! და აი, ის თვალები წამოეფეთებოდნენ ხოლმე აწ უკვე სახელგანთქმულ გიორგის მოსვენების ჟამს და მუდამ ერთსა და იმავეს სთხოვდნენ: დაუბრუნე ჩემს ვაჟს ტახტიო. მაგრამ გიორგი ისეთი კაცი არ იყო, რომ დამიწებული კაცის აჩრდილის ან გახსენებისა შეშინებოდა. აი, მისი ვაჟი დემნა კი თვალში ეკლად ესობოდა.

რაც დრო გადიოდა, გიორგის თანდათან უნდა შესძულებოდა იგი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ოდესღაც მისი მეტოქე ძმის შვილი იყო. იგი ის არსება იყო, ვის გამოც ღმერთსა და საქართველოს დიდებულებს ფიცის გაუტეხელობის პირობა მისცა. მაგრამ საქმე ისე მიდიოდა, რომ ეს ფიცი აუცილებლად დაირღვეოდა. აი, ეს მისი ძმისშვილი ცოცხალი რომ არ ყოფილიყო... კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა მოხდა მეფე დავითის უკანასკნელ დარბაზობაზე. დავითმა შეატყო თავს, რომ კვდებოდა, შეკრიბა დიდებულები, თავისი ძმა გიორგი, ვაჟი დემნა და სახარების, ჯვრისა და მთავარი ხატის წინ განაცხადა ანდერძი: ტახტს ჩემს ვაჟს გადავცემ, მაგრამ რადგანაც იგი ჯერ მცირეწლოვანია, სრულწლოვანად გახდომამდე ქვეყანა გიორგიმ მართოსო, ოღონდ ტახტთან ხელი არ აქვსო. თავისი ანდერძის დაცვა და ვაჟის სიცოცხლე კი საქართველოს უძლიერეს დიდებულს, ივანე ორბელს ჩააბარა.



დავითის სიკვდილიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ გიორგიმ გადაიბირა საქართველოს გავლენიანი ადამიანები და მათ გვირგვინის დადგმის ნებართვა გამოსთხოვა. ასე შეიქმნა მეფედ. მაგრამ იმავე დროს იბულებული გახდა კვლავ განეცხადებინა, რომ დემნა სრულწლოვანი გახდებოდა თუ არა, ტახტს დაუთმობდა. აი, ამიტომ ვამბობ: მეფე გიორგის ძალიან გაეხარებოდა, რომ ერთ დღეს გაეგო, დემნა მოკვდაო. მაგრამ ეს არ ხდებოდა. გიორგიმ მირონცხებული დავით მეფის გზიდან ჩამოცილება მოახერხა, მაგრამ დემნა ვერ დაასამარა. არა იმიტომ, რომ ეს არ სცადა. ვინ დაიჯერებს ამას? დემნა, რომელიც მამის გარდაცვალებისას ალბათ, ერთი წლისა მინც იქნებოდა, სრულწლოვანი დაახლოებით 1171-1172 წლებში შეიქმნებოდა. ანისის, ღვინის, დარუბანდისა და სხვა ბრძოლებში გართულ გიორგის სულ მალე გაუფრინდებოდა ეს წლები ხელიდან. ჰოდა, ამიტომაც ცდილობდა დემნას თავიდან მოცილებას. ეს ლიტონი სიტყვები არავის ეგონოს. სტეფანოს ორბელიანი აცხადებს: „ხოლო იოანე (ორბელი, ჯ. ს.) ამას ყოველსა იქმოდა და მრავალსა კეთილის-ყოფასა და დიდთა საქმეთა აჩვენებდა მეფესა, და იგიცა ამის ლიქნითა აღამაღლებდა მას. ხოლო გულსა შინა მარადის ეშინოდა მისგან ყრმისა მისთვის, რომელი შევედრებულ იყო მისდა და ეძიებდა ჟამსა მარჯვესა მზაკვრობით ფარულად წინააღმდეგობად ყოვლითა ღონითა და ვერა პოვებდა. ხოლო გულსა უწყოდა თვისსა ესე იოანე“-ო (16,43).

ღიახ, ივანე ორბელი და მთელი მისი გვარი იცავდა უფლისწულს. იცავდნენ გულწრფელად, შუასაუკუნებრივი რაინდისა და მამაკაცების ერთგულებით. განსაკუთრებით სახელგანთქმული ივანე ორბელი აღნებოდა ზედ, მამამძუქე მისი, ყველა იმ ცოდნისა და გამოცდილების მიმცემი, რომელიც საერთოდ დემნას გააჩნდა. იგი იყო დემნას მამის შემცველი, მას უნდა შეესწავლებინა მისთვის ყველა „მამაკაცური ზნე“ და ცხოვრების ხრიკები. ივანე ორბელს განსაკუთრებული ადგილი ეკავა მის ცხოვრებაში. მომაკვდავმა მეფემ, დავითმა, საქართველოს დიდებულთა თვალწინ ჩააბარა მას თავისი შვილის ხელი და მომავალი. შეიძლება ითქვას, ივანე ორბელი სამაგალითო აღმზრდელი აღმოჩნდა. როდესაც დემნას დასჭირდა, მან

დაუფიქრებლად დაულაგა მას ფეხთით საკუთარი სიცოცხლეც, ძმების, ძმისწულების და საერთოდ მთელი გვარის ბედიც და თავისი როგორც ისტორიული პირის, სახელიც. ივანე ორბელი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სარდალთაგანი იყო. იქ, სადაც გიორგი მეფე იბრძოდა, მისი ხმალიც ელავდა. მეფე უსმენდა მის რჩევას და დემნას აჯანყებამდე დიდადაც აფასებდა მას. მაგრამ ჩვენს ისტორიაში მას მხოლოდ წყველით მოიხსენიებენ, რადგან თავისი აღზრდილი უფლისწულის ერთგული მეფეს აუჯანყდა და უდროოდ დაღუპული დავითის ანდერძის შესასრულებლად ბოლომდე იბრძოდა. ასეა თუ ისე, მხოლოდ ივანე ორბელს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ობოლმა დემნამ სრულწლოვნობის ასაკს მიაღწია და რამდენადმე კიდევ გადააჭარბა. აჯანყება რომ არც მოეწყო, სხვა საბაბიც რომ არ მიეცა, ბიძამისი მაინც ჩამოიცილებდა მას გზიდან. ამაში დარწმუნებული ვართ და ქვემოთ შევეცდებით სხვებიც დავარწმუნოთ.

1171 თუ 1172 წელს დემნა უფლისწული სრულწლოვანი გახდა. დადებული პირობის თანახმად, გიორგის მისთვის ტახტი უნდა დაებრუნებინა, მაგრამ ეს არ მომხდარა. გამორიცხულია, რომ მათ, ვისაც დავით მეფის ანდერძის მოსმენა მოუხდათ და გიორგის პირობაც ახსოვდათ, მეფისათვის დემნას სრულწლოვნობის ასაკის დადგომა არ გაეხსენებინათ. ივანე ორბელი ამის მოვალეც იყო. ალბათ, კიდევ შეახსენეს ყველაფერი, მაგრამ გიორგი ტახტიდან არ გადამდგარა, დემნა არ გაუძეფებიათ. რატომ? სამწუხაროდ, ის, ვისაც ამაზე უნდა ელაპარაკა, თამარის ისტორიკოსი მყავს მხედველობაში, დუმს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან იგი მოგვიანო ხანის მოღვაწეა და გიორგის დროინდელი სამეფო კარის ყველა წვრილმანი (ხშირად მსხვილმანი) არ იცის. ამას გარდა, ცნობილია, რომ გიორგიმ საგანგებოდ მოასპობინა ორბელთა შესახებ არსებული ცნობები.

„და ამისათვის აღმოიღო სახლისაგან ქართლისა სახელნი მათნი (ე. ი. ორბელთა) და ბრძანა აღმოხოცად სახსენებელი ნათესავისა ორბელიანთასა ცხოვრებისაგან მათისა და ეკლესიასგან დასცა აღწერად წიგნისა და განდგომილებისა. არა, ვითარცა იყო, ეგრე ჭეშმარიტი მიზეზი, არამედ თვისისაებრ ნიშატიისა დიდ-დიდთა ცილის-



წამებათა მათ ზედა და შეამზადნა, განაწესა შერვენება, რაითა არა კულად მოხსენებულ ყოს სახელნი მათნი და არა დაუტეონ მათგან ვინმე ქვეყანასა ქართლისასა, და დადვა ანდერძი ბოროტი საუნჯეთა თვისთა“-ო. ამას აღნიშნავს სომხეთში დასახლებული ორბელიანის შთამომავალი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი (6,51-52). რა გასაკვირია, რომ მას დემნასა და იქნებ მისი მამის შესახებ არსებული საბუთებისთვისაც იგივე დაემართა?!

მიუვბრუნდეთ ჩვენს მიერ დასმულ კითხვას — რატომ არ გადადვა გიორგი? ჩვენ გვეჩვენება, რომ ისტორიკოსები არ უღრმავდებიან სამეულის — დემეტრეს, დავითის და გიორგის ურთიერთბრძოლებს. მიიჩნევენ რა დემეტრე პირველის მიერ უმცროსი შვილის გამეფების ცდას დასაშვებად, იმთავითვე ყოველგვარ უფლებას ართმევენ ტახტზე დავითს, დემნას მამას. დემეტრეს ამ ნაბიჯის განხილვა როგორც არაკანონიერის, წეს-ჩვევების დამრღვევი საქმისა, კვლევის სრულიად სხვა გზაზე გვაყენებს. ამას გარდა, ჩვენს ისტორიკოსთა ნაშრომებში უგულვებელყოფილია სტეფანოს ორბელიანის ის მნიშვნელოვანი ცნობა, რომელშიც დავითის მიერ ანდერძის დატოვებაზეა ლაპარაკი. ყურადღების გარეშეა დატოვებული გიორგის გამეფების სტეფანოს ორბელიანისეული ვერსია, კერძოდ, მისი პირობა — გამეფების ნებართვის სამაგიეროდ დადებული. ჩემი დამოკიდებულება ამ უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი ადრეც გამოძისატავს და წინამდებარე ნაშრომშიც გამოვხატავ. ამიტომ კიდევ ერთხელ ვსვამ კითხვას: რატომ არ გადადვა გიორგი, როდესაც დემნა სრულწლოვანი გახდა? შეიძლება ასეც ვუპასუხოთ: იმიტომ, რომ 1171-1172 წლებისათვის გიორგი უკვე სახელგანთქმული მოღვაწეა. საქართველოს ფარგლები არა მარტო შენარჩუნებული აქვს, კიდევაც გააფართოვა. ახლა იგი თავის თავში დარწმუნებული ხელმწიფეა. თანაც კათალიკოსისა და დიდებულების ნებართვით არის ტახტზე ასული. რაც მთავარია, მირონცხებულია. ასეთ შეფესთან 16 წლის დემნას ან მისი წარმომადგენლების გამოცხადება ტახტიდან გადადგომის წინადადებით ძნელი წარმოსადგენია.

მაგრამ დემნას საქმე ხელთ უდევს არა ხელმწიფეს, არა მირონცხებულს, ოღონდ სახელგანთქმულ ივანე ორბელს — საქართველოს



ამირსპასალარს და მანდატურთუხუცესს. მისი ძმა ლიპარიტ სუმბატის ძე ქართლის ერისთავია, ქავთარ ივანეს ძე კი — მეჯინიძეთუხუცესი. ასეთ კაცი კი, ალბათ, შეძლებდა და პირობის შესრულებას მოსთხოვდა გიორგის. მაგრამ გიორგი მესამე 1184 წლამდე საქართველოს გვირგვინოსანი მეფე იყო. აშკარაა, რომ 1171-1172 წლებში მას ტახტი არ დაუთმია. მაშ, დადებულ პირობაზე უთქვამს უარი.

მაგრამ იქნება დემნასა და გიორგის შორის რაღაც შეთანხმება დაიდო, ანდა ტახტის დაბრუნების დრო გადაავადეს? თუ ასე არ იყო, რატომ მაშინვე არ ააფრიალეს აჯანყების დროშა დემნამ და ივანე ორბელმა, 1178 წელს ხომ შეძლეს ეს, რას უცდიდნენ მთელი ექვსი წელიწადი?

მოვიგონოთ ერთი, შეიძლება სხვისთვის ნაკლებმნიშვნელოვანი, ჩემი კვლევისათვის კი უძვირფასესი ფაქტი. გიორგი მესამეს ხომ არც 1171-1172 წლებში და არც შემდეგ ვაჟი არ ჰყოლია. მეფეს მემკვიდრე ვაჟი არ ჰყავდა! ეს იმდენი ტრაგედია იყო მეფისათვის, ცა და დედამიწა რომ შეეჯვრებინა, საქმეს ვერ გამოასწორებდა. დაასრულებდა მეფობას და ტახტი მის შვილს კი არა, სულ სხვას გადაეცემოდა, შეიძლება სხვა გვარის შვილსაც კი. 'გიორგის ქალიშვილი (თამარი) კი ჰყავდა, მაგრამ ქალის გამეფება არ შეიძლებოდა. ასე, რომ ყველა ხედებოდა: გიორგის სიკვდილი დემნას გამეფებას ნიშნავდა. ამიტომ ვიკითხე: ხომ არ მიუთითა მეფემ თავის ოჯახურ მდგომარეობაზე და ამით ხომ არ დაამშვიდა უკვე სრულწლოვანი დემნა უფლისწული. თუმცა მას — რომ არ მიეთითებინა, გიორგის მდგომარეობას განა ივანე ორბელი კი ვერ ხედავდა? გიორგის გასაჭირი მას მერე უფრო ცხადი შეიქმნა, რაც მას ხარჭასთანაც ქალიშვილი გაუჩნდა. ეს იყო მისი სასოწარკვეთილი მოქმედება. მეფე არ დაერიდა ეკლესიის მამებთან კონფლიქტსაც კი, ხარჭა, ე. ი. უკანონო ცოლი დაისვა და შვილიც გააჩინა მასთან — რუსუდანი. ვაჟის ძიების სურვილმა მას ათი მცნება დაარღვევინა — შვილი გააჩინა არაცოლთან.

რუსუდანი თამარზე გაცილებით უმცროსი იყო. ჰოდა, როგორ არ დამშვიდდებოდა დემნა და მისი აღმზრდელი ივანე ორბელი,



როცა მეფის ეს ღონისძიებაც უშედეგოდ დამთავრდა! უფლისწულის უფლება ჰქონდა მშვიდად დალოდებოდა ბიძის გარდაცვალებას.

მაგრამ, შემდეგ, 1178 წელს რატომღა აჯანყდა იგი, რამ დააჩქარა მოვლენათა მსვლელობა, ვინ გვეტყვის ამას? უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანაში მოლაპარაკებები, ხშირად, ზეპირ ხასიათს ატარებდა და მხარეები საქვეყნოდ როდი აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. ყველაფრის ჩაწერის უფლებას კარის ისტორიკოსსაც არ აძლევდნენ ხოლმე. გიორგი მესამეს კი კარის ისტორიკოსიც არ ჰყოლია (ყოველ შემთხვევაში ასეთი პირის არსებობა ისტორიამ არ იცის. არც რაიმე თხზულება ჩანს, გიორგის თანამედროვე ავტორის მიერ რომ იყოს დაწერილი). ამიტომ ისევ ჩვენს ალლოს უნდა ვენდოთ და მივდიოთ.

ჩვენ გვგონია, რომ დემნას აჯანყება გამოიწვია გიორგი მესამის გადაწყვეტილებამ თამარის გამეფების შესახებ. ეტყობა, გიორგიმ აშკარად გამოთქვა თავისი სურვილი, რითაც მომავალში თავის გამეფებაში აშკარად დარწმუნებული დემნა გააღიზიანა. ეს იყო დემნას გვემის უეცარი კრახი. გიორგის სურვილი თავზარს სცემდა არა მარტო დემნას ან მის აღმზრდელ ივანე ორბელს, არამედ მთელ ქართულ საზოგადოებას. სულის შემარყვევლი ის იყო, რომ გიორგი იმას აკეთებდა, რაც არავის გაეკეთებინა – ქალის გამეფებას აპირებდა.

გიორგის სურვილის გამოაშკარავება იმიტომაც აღიქმოდა ასე მძაფრად, რომ უშუალოდ ორბელთა გვარის ინტერესებს ეხებოდა. ეხებოდა კი არა, მთლიანად აქარწყლებდა. ეს ინტერესები კი ძალზე მჭიდროდ უკავშირდებოდა საქართველოს სამეფო ტახტს. აჯანყებისას დემნას უკვე ცოლი ჰყავდა. ეს გახლდათ ივანე ორბელის ასული. ასე რომ, დემნას გამეფება ივანე ორბელის შვილობილისა

* ს. ორბელიანს და ლაშა გიორგის-დროინდელ მემკვიდრეს ეს აჯანყება 1177 წლით აქვს დათარიღებული. ეს თარიღი ჩანს გიორგი მესამის ერთ-ერთ სიგელშიც (თ. ბარნაველი, უფლისწულ დემნას ამბოხების თარიღისათვის. საქ. სახ. მუხ. „მოამბე“, XIX-XXI. თბ., 1957, გვ. 107-111). მაგრამ დავით ქობაიძის „მოსახსენებელში“ (გ. მაისურაძის თარგმანი) აჯანყების თარიღად 1178 წელია დასახელებული. ამ აჯანყებას 1178 წლით ათარიღებს აკ. ნ. ბერძენიშვილიც. ჩვენ, სხვადასხვა მოსაზრებათა გამო, 1178 წელს ვუჭერთ მხარს.

და აღზრდილის გამეფებას, ხოლო ქალიშვილის გადედოფლებას ნიშნავდა. მათი შვილის ძარღვებში კი თუ სუფთა ორბელური სისხლი არა, ნახევარი მაინც იჩუხჩუხებდა. ამ შესაძლებლობის დაკარგვა ძალზე დიდი ზარალი იქნებოდა ივანესათვის.

შეიძლება თქვან: აჯანყების ასეთი გაგების საფუძველი წყაროებს არ დაუცავთო. წყაროებს სხვაც ბევრი რამ არ დაუცავთ, ორბელთა გვართან დაკავშირებული ცნობები კი გაანადგურეს. ამაზე ზემოთ ვილაპარაკეთ. იმასაც ვიტყვი, რომ დემნას აჯანყების ჩახშობის შემდეგ გიორგი მესამემ, უპირველეს ყოვლისა, თამარი თანამეცადრედ გამოაცხადა. ამით მან დაამთავრა იმ გვემის განხორციელება, რომელიც მას დემნას აჯანყების წინ უნდა დაეწყო. დაამთავრა ხმალსისხლიანმა, მაგრამ თავისი ძმის, დავითის აჩრდილზე სამუდამოდ გამარჯვებულმა.

ახლა შევაჯამოთ ნათქვამი: დემნა რომ სრულწლოვანი გახდა, მისმა აღმზრდელმა და სიმამრმა ივანე ორბელმა მეფე გიორგის დადებული პირობა შეახსენა და, ალბათ, მისი შესრულებაც მოითხოვა, მაგრამ მისგან უარი მიიღო. ამ უარს დემნა და ივანე ორბელი არ გაუბოროტებია — არ აჯანყებულან, ან სხვა რამ არ ჩაუდენიათ. გული საგულეში ჰქონდათ, რადგან მეფეს საკუთარი ვაჟი არ ჰყავდა და ტახტი, ბოლოს და ბოლოს, მაინც დემნას უნდა დარჩენოდა.

მაგრამ მოულოდნელად გამომჟღავნდა გიორგის სურვილი — ტახტზე თავისი ქალიშვილი დაესვა. ამან დემნას მომავალი შეუცნობელი გახადა და ხელისუფლების ძალით დაბრუნების მიზნით, მის ერთგულთა წრეში აჯანყების მომზადება დაიწყო.

ვინ აღწერს იმ მწუხარებას, რომელსაც ბიძამისის პასუხით სასოწარკვეთილი ღებნა უნდა მოეცვა? მას, ფაქტობრივად, ხაზი გადაუსვეს, მთელი მომავალი წაართვეს. ადამიანისათვის, რომელსაც ბავშვობიდან ჩასწიწინებდნენ, საქართველოს მომავალი მეფე ხარო, ეს ძალზე დიდი დარტყმა უნდა ყოფილიყო. შეიძლება ღებნას ასაკში მყოფ კაცს შექმნილ მდგომარეობასთან შერიგების სურვილი გასჩნდოდა. იმდენად დიდი იყო გიორგი მესამის ავტორიტეტი საქართველოში, იმდენად დიდი საქმეები გააკეთა მან, რომ მის წინაშე ბრძოლა შეიძლება ვერ გაეგლო გულში. ასე ჩაითუთქებოდა ის სიმართლე, რომელიც ღებნას მხარეზე იყო და იხეიმებდა უხეშობა, უკანონობა და ტრადიციების უპატივისმცემლობა. მაგრამ ჩვენ არ ვიცით მართლა დაემორჩილა თუ არა ღებნა გიორგის სურვილს. იქნებ სასოწარკვეთის ნაცვლად სიბრაზემ შეიპყრო და ხელი ხმლის ვადისაკენ გაექცა. რა გასაკვირია? ღებნა სრულიად ახალგაზრდა იყო და სისხლი უდუღდა. ათწლეულობით ნალოლიავები იმედის უეცარ დამსხვრევასთან შერიგება კი ძალზე ძნელია. არადა, ვინ შეარიგებდა? მისი აღმზრდელი და სიმამრი ივანე ორბელი ის კაცი იყო, ვისაც მომაკვდავი დავით მეფისათვის მიცემული პირობის შესრულება აუცილებლად მიაჩნდა. მოგვიანებით, ლორეს ციხეში ჩაკეტილმა, საქართველოს მეფესა და დიდებულთ, მისგან ღებნას გადაცემას რომ ითხოვდნენ, ასეთი პასუხი გასცა წერილზე: „აღმოვიკითხე წიგნი სწავლისა თქვენისა, გარნა არა ვარ თავსმდებ მაგ ზრახვისა, რომელ გეწერათ ამა წიგნსა ზე. კაცი სიცოცხლისათვის მოცთუნდეს, დაუტეოს სარწმუნო უფალი, აღთქმისა გამტეხ თვით იქმნეს, მიიღოს ნაწილი უარისმყოფელისა, წარუალისა გენიისა სატანჯველი და მოდასე იქმნეს ეშმაკთა. მე წარმავალი კაცი, მოკვდავი, ვერ ძალმიც დათრგუნვად აღთქმის დებისა დლისა ამისთვის ცხოვრებისა საპატიოსა, არა ვეცრუო ფიცსა მას საზარელსა, დაუტეო ცხოვრება დღეინდელი, წარვიდე უფლისა ჩემისა გულის სათქმელისა, მივილო აღთქმული გამოუთქმელი, რომელ არავისგან მიიღებოდეს“ (16,48-49).

ამას გვატყობინებს ს. ორბელიანი, დემნას აჯანყების მცოდნე. ივანე ორბელისთანა კაცი მოკვდებოდა და მიცემული ქმის დაცვაზე უარს არ იტყოდა. აკი არც უთქვამს კიდევ. იგი უდრტივნიველად შეეწირა დემნას ერთგულებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთ მშვენიერ დღეს იგი დეზების წკარუნით შევიდოდა დემნა უფლისწულის დარბაზში და განუცხადებდა: „შეიბ მახვილი, დემნა! სხვა გამოსავალი აღარ არისო“. მართლაც, სხვა გზა აღარ იყო. თუ სურდა დაემტკიცებინა, რომ დემეტრე პირველის უფროსი ვაჟის, დავითის შვილი იყო, დემნა უნდა დათანხმებოდა სიმამრს. მაგრამ მან, ალბათ, კარგად იცოდა, რომ ტახტისაკენ მიმავალი მისი გზა თანამემამულეების სისხლის ზღვაზე გადიოდა და მას, განათლებულ ჭაბუკს, როგორც თამარის ისტორიკოსი აღნიშნავს, ასეთ გზაზე სიარული, ალბათ, შეაკრთობდა. სამწუხაროდ, სხვა გამოსავალი არ იყო. მას, ასე ჭოჭმანში მყოფს, უხალისოდ, ოხვრით უნდა გადაეცვა მხარზე ხმლის ყაწიმი და ასევე ოხვრით უნდა ჩაეჩურჩულებინა: ღმერთო, მაპატიე, თუ მცდარ გზას ვადგებო. მის ტვინში, ალბათ, ზარივით რეკდა ბავშვობიდან შესისხლხორცებული სიტყვები: „არა კაც ჰკლაო“.

ივანე ორბელი კი სამხედრო პირი იყო. თექვსმეტი წლიდან ომებში მონაწილეობდა. სისხლსაც შეჩვეული იყო და სიკვდილსაც. ამიტომაც მოუწოდებდა დემნასაც ასე გაბედულად — შეიბ მახვილიო. მას თითქმის ამოვარდნილი ჰქონდა გონებიდან მცნება: ვინც მახვილს აიღებს, მახვილითვე მოკვდებაო. ალბათ, იმდენი სისხლი დაეღვარა, რომ კაცის კვლა აღარაფრად მიაჩნდა, გინდაც თანამემამულე ყოფილიყო.

დემნა უღიმღამოდ უნდა ჩაბმულიყო ამ ომში. მკითხველმა მისადმი მიკერძოებად რომ არ ჩამოგვართვას, აღვნიშნავ: ქართულ ისტორიოგრაფიას თითქმის ასე ესმის ეს საკითხი. ყველგან, ყველანაშრომში ხაზგასმულია, რომ დემნა უფლისწული ივანე ორბელმა ააჯანყა. ზოგი ისტორიული წყარო ასეთი აზრის გამოტანისაკენ აშკარად გვიბიძგებს. ასე მაგალითად, ლაშა გიორგის-დროინდელი ისტორიკოსი აღნიშნავს: „ამის დავითის შვილი და გიორგის ძმისწული დემეტრე დარჩა, და ოდეს ორბელნი უკუ-დგეს გიორგი მე-



ფესა, იგი თანაუკუიტანეს და ღორეს შედგეს. მუნით გამოასხნა
 ორბელნი მეფემან, იყრნა და დაკოცნა. და დემეტრე კლდეგართა
 დასუეს, უკანის თუალნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარ-
 ხეს“-ო (13,367).

სომეხი მემატიანე დავით ქობაირელიც ხაზს უსვამს, რომ
 „ორბელებმა – ივანე სპასალარმა, მისმა ძმამ ლიპარიტმა, მათმა
 შვილებმა და ნათესავეებმა – გადაიბირეს იმავე მეფის (გიორგის მე-
 სამის) ძმისწული, მოიყვანეს და აგარაკის სიმაგრეში გაამეფეს“-ო
 (32,262-263).

ეს აზრი შეიძლება მთლად სწორი არ აღმოჩნდეს. ივანე ორბე-
 ლი დემნას აღმზდელი იყო და მას მართლაც შეეძლო დემნასთვის
 აჯანყებისაკენ ებიძგა. აბა, რომელ აღმზრდელს არ გაენარდება მი-
 სი აღზრდილის სამეფო ტახტზე ხილვა. მითუმეტეს, რომ ჩვენ
 საქმე გვაქვს შუასაკუნების აღმზრდელის ტრადიციებით გაჟღენ-
 თილ დიდებულთან, ივანე ორბელთან. ისტორიული ლიტერატური-
 დან არაერთი ცნობილი გმირის სახელი ვიცით, თავისი აღზრდი-
 ლის სიცოცხლეს მტლად რომ ედებოდა. მარტო „შაჰნამეს“ როს-
 ტომი რად ღირს? ივანე ორბელი არანაკლები ერთგულებით ემსა-
 ხურებოდა დემნა უფლისწულს და მისი გამეფების საქმეს შეეწირა
 კიდევ. არ დაგვავიწყდეს: ივანე ორბელი დემნას სიმამრიც იყო.
 აქედან ცხადი ხდება დემნას საქმის უკეთ წარმართვის რაოდენ დი-
 დი სურვილი უნდა ჰქონოდა მას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ივა-
 ნე ორბელი, ალბათ, დემნას აჯანყებისაკენ წამქეზებული იყო, მაგ-
 რამ დემნას რომ არ ნდომებოდა, აჯანყება არ მოხდებოდა. გადაბი-
 რება, წაქეზება და, მითუმეტეს, სისხლიან სამოქალაქო ომში და-
 ლით ჩაბმა, შეიძლება არასრულწლოვანის. დემნა კი აჯანყების და-
 წყებისას, 1178 წლის აპრილში, დაახლოებით 22-23 წლისა უნდა
 ყოფილიყო. მას შეეძლო უარი ეთქვა აჯანყებაზე. მაგრამ დემნამ ეს
 არ გააკეთა. უნდა გვახსოვდეს, რომ ჭაბუკ დემნას, ალბათ, მთელი
 სიცოცხლის განმავლობაში ამზადებდნენ, როგორც მამამისის ან-
 დერძისა და მისეული ტახტის ერთგულს. ჰოდა, რა გასაკვირია,
 რომ მას ყოყმანით, მაგრამ მაინც მახვილი ეხადა თავისი უფლების
 დასაცავად?

დემნა უფლისწულის ამ აჯანყებისადმი დამოკიდებულების უკვე გასაგებად საჭიროა თამარის ისტორიკოსის თხზულების ის ადგილი მოვიტანოთ, სადაც იგი, როგორც ადამიანია დახასიათებული. მემპტიანე წერს: „ამას ესევითარსა და სრულყოფასა ყოვლისა სოფლისასა და საწუთროთა გემოთა საწაფელთასა მოიწიფა ძმისწული მისი (გიორგი მესამის), შვილი დავით ძმისა მისისა უხუცესისა, სახელით დემეტრე, სახე-კეთილი და ყოვლისა კელითა მარჯუე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა“-ო (4,18).

თუ წყაროთა ნაწილი დემნას აჯანყებას ორბელებს აბრალებს (33,123-124), ნაწილი ამ საქმეს ქართველი დიდებულების მიერ ჩადენილად თვლის. თვით გიორგი მესამე საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელში, რომელიც 1178 წლით არის დათარიღებული, აღნიშნავს, რომ „შეითქუნეს ვიეთნიმე მეფობისა ჩუენისა დიდებულნი და აზნაურნი ორგულობისა ჩუენისათჳს და ძმისწული ჩვენი გაგუიყენეს და მრავალი ჭირი და განსაცდელი აღგუიდგინეს“-ო (34,24).

დემნას თანამონაწილეთა შესახებ ლაპარაკისას სხვადასხვა ფეოდალებზე საუბრობს თამარის კარის ისტორიკოსიც. ასე რომ, ორბელთა გვარის ასე ხაზგასმით წინ წამოწევა და მთელი აჯანყების მათთვის გადაბრალება გაუმართლებლად გვეჩვენება. ამ დიდი მოვლენის ორბელთა აჯანყებად გამოცხადებაც, ალბათ, დემნას როლის მეტისმეტად დამდაბლება იქნებოდა. აჯანყებისას დემნა უკვე ვაჟაკი იყო და მის პიროვნებას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

აჯანყების ძირითადი მიზეზი იყო დემეტრე პირველის ხელშეწყობით დარღვეული ტახტის მემკვიდრეობის წესის აღდგენა. ეს სამეფო ხელისუფლების ისეთ მოწყობას გულისხმობდა, როცა დემეტრეს უმცროსი ვაჟი და მისი შთამომავლობა ტახტს ჩამოსცილდებოდა, მათ ადგილს კი კანონიერი მემკვიდრის, დავით მეხუთის ვაჟი, დემეტრე (იგივე დემნა) დაიკავებდა. ფეოდალთა დიდი ჯგუფის მონაწილეობა დემნას მხარეზე, რაც განსაკუთრებით აჯანყების დასაწყისში გამოჩნდა, დავით მეფის ანდერძისადმი მათ ერთგულებაზე მიუთითებს. დავით მეხუთის გარდაცვალებისას მათ მომაკვდავი მეფის ანდერძის შესრულების მიმდინარეობის კოლექტიური



კონტროლი იკისრეს. ახლა კი, გიორგი მესამის ძღვევამოსილების მიუხედავად, კოლექტიურად დაუპირისპირდნენ პირობის გამტყუებელს.

ზემოთ ჩვენ დემნას აჯანყების თარიღად 1178 წელს მივიჩნით. თანაც აღვნიშნეთ, რომ დასახელებულ წელს, 1177 წელთან შედარებით, სხვადასხვა გარემოებათა გამო ვანიჭებთ უპირატესობას. მე მხედველობაში მქონდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. კერძოდ, ერთ ქართულ ქრონიკაში აჯანყების თარიღად სწორედ 1178 წელია დასახელებული. აი ისიც: „ქკს ტუ: დასაბამითგან: ხლპბ: აქა დემეტრე გაადგა და ორბელნი დახოცნეს“ (11,260). მაგრამ ამ თარიღის სისწორე უფრო აშკარად ჩანს დავით ქობაირელის შემდეგი ცნობიდან.

„1179 წლის (როცა ეს თხზულება დაიწერა) წინა წელს, აპრილის თვეში, ახალ კვირიაკეს, პირველ საათზე, დაბნელდა მზე და შფოთის ნიშნებიც გვეჩვენა – გაიპო მეფის კარავი და აჯანყებაც დაიწყო“... (32,262-263).

დ. ქობაირელის ამ თხზულების ქართულად მთარგმნელი და გამომცემელი გ. მაისურაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ მწერალს თავისი ნაშრომის დაწერიდან ერთი წლის წინ მომხდარი ამბავი არ დაავიწყდებოდაო. მისივე სიტყვით, 1178 წლის აპრილში მზის დაბნელება მართლაც მომხდარა (32,261). აქ აჯანყების თარიღი ისეთი სიზუსტით არის მოცემული, მისი იმდენი თანმხვედრი დეტალებია დასახელებული, რომ მის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა ძნელია. ამიტომ მიგვაჩნია იგი მისაღებად. ასე რომ, გიორგი მესამის ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა – დემნას აჯანყება 1178 წლის აპრილში დაიწყო.

რა ძალებმა მოიყარა თავი დემნას ირგვლივ? რა თქმა უნდა, ამ ძალების სისრულით წარმოდგენა ძნელია. თამარის ისტორიკოსის მიხედვით ესენი არიან: ივანე ორბელი – საქართველოს ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, მისი ძმა – ლიპარიტ სუჰბატის ძე, ქართლის ერისთავი, ქავთარ ივანეს ძე – მეჯინბეთუხუცესი, სარგის მხარგრძელი თავისი შვილითა და ძმისწულითურთ, ჰერეთის ერისთავი გრიგოლ ასათის ძე, ივანე ვარდანისძე, შოთა ძე ართავა-



ჩოს ძისა, ანანია დვინელი (4,18-19). სტეფანოს ორბელიანის¹ მხედვეთ, დემნას ბანაკში იყვნენ: ქართლის ერისთავი, ყორყორელი (მესხები), ჯავახები, კახელები, გამრეკელი დიდი, მემნა ჯაყელი, ტაშირელი და კაენელი ჰასან, ანელი გრიგოლ აპირატიანი (16,45-46). დასახელებულ პირთაგან ყველა დიდებული იყო და გიორგის წინააღმდეგ ბრძოლაში, ალბათ, საკუთარი რაზმებით ჩაებმებოდნენ.

აჯანყებულებს საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში მოუხშიათ აგრეთვე ლეკები და ქისტები. აჯანყებულ დემნას სულ 30000 კაცი ამოსდგომია მხარში (ს. ორბელიანი). დასახელებული რიცხვი დემნას ბანაკის სიძლიერეზე ლაპარაკის საკმაო საფუძველს იძლევა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საჭიროების ჟამს საქართველოში 90000 მეომარი გამოჰყავდათ ხოლმე. სავარაუდოა, რომ დანარჩენი 60000 კაცი მეფის მხარეზე დადგებოდა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ დემნას მომხრეთა ძალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყო გაფანტული, რის გამოც გიორგის ლაშქარს გამარჯვების მათზე მეტი შესაძლებლობა ჰქონდა. ამას გარდა, დემნას ბანაკი ხანგრძლივი ომის წარმოებას არ ვარაუდობდა და, ეტყობა, ამისათვის არც ემზადებოდა. ეს აზრი ნათლად იგრძნობა ს. ორბელიანის შემდეგ ცნობაში: „ხოლო ასაკონობასა ჭაბუკობისა დიმიტრისასა მჯდომარე იყო იოვანე ძმითა და ძითურთ თვისით აგარაკად, სახელდებულსა მას დარბაზს, და მხიარულ იყვნენ ერთობით. და მოვიდნენ მისა დიდთა დიდებულთაგანნი და მოვიდა დიმიტრიცა (ე. ი. დემნა) და ეტყოდეს მას: მოიხსენე, იოვანე, ალექსანდრე შენი და ფიცვი, რომელ ეფუცე მეფისა დავეთს და ნუ თანა-წარხდები ალექსანდრესა, რამეთუ აჰა მოწვეულ არს ჟამი მეფობად ყრმისა დიმიტრისა, და გიორგი მჯდომარე არს სახატესა* კაცთა მიერ მცირეთა და ჩვენ ყოველნი მტკიცე ვართ ფიცსა მას ზედა, რომელ ვეფუცეთ მამასა ამისსა“ (16,44-45).

* სტ. ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ქართული თარგმანის A ვარიანტში მეფე მცხეთაში მჯდომარედ იხსენიება, B ვარიანტში კი – სახატეში. ვარდან დიდის ცნობითაც ივანე ორბელმა და მისმა მოკიდებულებმა, მეფის შეპყრობა რომ გადაწყვიტეს, იგი სახატეში იდგაო. აკად. ნ. ბერძენიშვილს დადგენილი აქვს, რომ



მოტანილი ამონაწერიდან ირკვევა, რომ ივანე ორბელის აგარაკში ზე, რომელსაც დარბაზი ერქვა, ღემნას საქმის ერთგულებს თავი მოუყრიათ და გაუმართავთ მსჯელობა უკვე სრულწლოვანი ღემნას გამეფების შესახებ. მათ სცოდნიათ, რომ მეფე თავის აგარაკ სახატეში იმყოფებოდა და თან მცირე ამაღლა ახლდა. იქ მყოფთ წინადადება წამოუყენებიათ, რომ თავს დასხმოდნენ მეფეს, მოეკლათ იგი და ტახტზე ღემნა დაესვათ. გიორგის მოკვლის წინადადება ივანე ორბელს უარყვია. ს. ორბელიანის სიტყვით, მას განუცხადებია: „ნუ იყოფინ ჩვენდა ეგე, რათა უზრახოთ მოკვლად ცხებულისა მის მეფისა, არამედ ფიცისათვის ჩვენისა და აღთქმისა შევიპყრათ გიორგი, ვიდრე მეფედ ვყოთ ღმიტრი და გამოვართვათ აღთქმა და ფიცი და ხელით-წერილი, რათა მორჩილ იქმნეს ძმისწულისა თვისისა. და შემდგომად განუტოთ იგი, რამეთუ დაადგრეს და დაჯდეს ნაწილსა სამკვიდრებელსა თვისისა, რომელი-იგი მისცა მამამან მისმან“ (16,44-45). აი, რა ღონისძიების გატარებას აპირებდნენ. გვემა მარტივი, მაგრამ ადვილად შესასრულებელი იყო.

დავით ქობარიელი იმასაც წერს, რომ ორბელებმა და სხვა დიდებულებმა ღემნა აგარაკის სიმაგრეში მიიყვანეს და გაამეფესო. მისი სიტყვით, ეს იმიტომ ჩაიდინეს, რომ „ვერავის შესძლებოდა მათი საქმისთვის ხელის შეშლა“. მაგრამ ღემნას გამეფება შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო, კერძოდ, მეფე გიორგის თბილისში ჩაკეცვის შემდეგ.

ამრიგად, 1178 წლის აპრილში, ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ სახატეში მყოფი გიორგი მესამე შეთქმულებს უეცარი თავდასხმით ხელთ ეგდოთ და მისთვის თავისი სურვილი მოეხვიათ თავს. კოჯორში ანუ აგარაკში იარაღ-საჭურველში მჯდომი რაზმი ბრძანებას ელოდა, რომ მეფის შესაპყრობად ცხენები დაესხლიტა. ღემნაც მათთან ერთად უნდა ყოფილიყო. მას, ალბათ, საქმე დასრულებულად ეჩვენებოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. რამდენიმე ხნის შემდეგ ისეთი რამ მოხდა, რა-

სახატე დღევანდელი ნადარბაზევია და მდებარეობს ტაბახმელასა და შავნაბადას შუა (საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 330-331). რაც შეეხება ორბელების აგარაკს, იგი ზემო ტაბახმელას (კოჯორს ანუ აგარაკს - დარბაზს) შეესაბამება (35, 330-331).



მაც მთლიანად შეცვალა მდგომარეობა. თურმე შეთქმულთა თათბირი ერთმა ადამიანმა მოისმინა, არც აცივა, არც აცხელა და მაშინვე მეფესთან გაიქცა.

თუმცა სჯობს მოვლენებს დინჯად მივყვეთ, რათა მკითხველმა უკეთ იგრძნოს ყველაფერი.

მიზანს აცდენილი დარტყმა

შეთქმულები სახატის სამეფო სასახლეში შეიჭრნენ და გოცე-ბისაგან ერთ ადგილზე გაქვავდნენ – იქაურობა ცარიელი იყო. ენაჩავარდნილები, ალბათ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა მოხდაო. ივანე ორბელი კი ტყუილად დარბოდა სენაკიდან სენაკში და მეფეს ეძებდა, მაგრამ იგი აღარსად ჩანდა. მას თან წაუყვანა ცოლიც, შვილიც და მსახურებიც.

რა მოხდა, როგორ შეიტყო მეფემ მათი განზრახვა? სამწუხაროდ, თამარის კარის ისტორიკოსს ამის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი. სამაგიეროდ, შესანიშნავი ცნობა დაუცავს სტეფანოს ორბელიანს. მისი გადმოცემით, ივანე ორბელის აგარაკზე თავშეყრილ შეთქმულთა თათბირს (გიორგის დაპატიმრებისა და გადაყენების შესახებ) ყური მოჰკრა ერთმა დაბალი წარმოშობის ახალგაზრდამ. იგი ღამით გაიქცა და ყველაფერი მეფეს შეატყობინა („ხოლო ესმა განზრახვა ესე შეურაცხსა ერთსა, ესმა ყრმასა და წარვიდა ღამე და ამცნო მეფესა“). მეფე მაშინვე თბილისისაკენ გაიქცა, შევიდა ქალაქში და იქ გამაგრდა („ხოლო იგი ამხედრდა ცხენსა და ივლტოდა მყის, და შევიდა ტფილისს და მუნ მტკიცე იქმნა“ (16,45).

აი რაში ყოფილა საქმე! იმიტომ დახვდათ სახატის სამეფო დარბაზი ცარიელი. მაშ, მეფე გიორგი იმ უცნობ ჭაბუკს გადაურჩენია. დიდი საქმე კი ჩაუდენია! ის რომ არა, მთელი ამ ხანის საქართველოს ისტორია, ალბათ, სულ სხვა გზით წავიდოდა. გიორგის შეიპყრობდნენ და გადააყენებდნენ, დემნა უფლისწული მეფე



გახდებოდა, თამარ გიორგის ასული, რომელიმე სხვა სახელმწიფოს დედოფალი შეიქმნებოდა. ყოფილი მეფე, გიორგი, სიცოცხლეს თავის საუფლისწულო მამულში დაასრულებდა. მაშინ, იქნებ, შამქორის, ბასიანის თუ სხვა დიდ ბრძოლებს აღარ დაემშვენებინა საქართველოს ისტორია, მაგრამ, სამაგიეროდ, ალბათ აღარც უცხო მეფეები – იური ბოგოლიუბსკი და სოსლანი მოხვდებოდნენ მის ფურცლებზე. მოკლედ რომ ვთქვათ, გიორგი მესამის შემდგომი ხანის საქართველოს ისტორია, უცილობლად განსხვავებული იქნებოდა.

ისევ მეფის მხსნელ ჭაბუკზე საუბარს მინდა მივუბრუნდე. ნუთუ თამარის კარის ისტორიკოსმა, რომელიც გიორგისა და მისი ოჯახის უერთგულესი პირია, მისი სახელი არ შემოგვინახა? იქნებ კიდევ შემოგვინახა, მაგრამ ჩვენ, დღევანდელმა ისტორიკოსებმა ვერ მივაკვლიეთ მას, ვერ გამოვარჩიეთ ამ მემატნიანის მეტისმეტად ზეამალღებული ენით ნაწერ თხზულებაში? მე სწორედ ასე მგონია. ვფიქრობ, რომ ის ჭაბუკი, რომელმაც ასეთი დიდი სამსახური გაუწია გიორგი მესამის ოჯახს, აფრიდონი იყო. ეს ის აფრიდონია, რომელსაც გიორგიმ რაღაც დამსახურების გამო, საქართველოს კარის ერთ-ერთი დიდი თანამდებობა – მსახურთუხუცესობა უბოძა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დროზე გაფრთხილებულმა მეფე გიორგიმ სასწრაფოდ დატოვა აგარაკი სახატე და თბილისს შეაფარა თავი.*

ქალაქში ჩაკეტილი გიორგი მესამე, რა თქმა უნდა, გულდამშვიდებული ვერ იქნებოდა. მართალია, მან საშიშროებას თავი დააღწია, მაგრამ მოწინააღმდეგეს თვითონ დედაქალაქზე იერიშის მიტანაც შეეძლო. მას ჯარი თან არ ახლდა და ასეთი საფრთხე სრულიად რეალური იყო. სტაფანოს ორბელიანი ამბობს: „მეფე გიორგი მარტოდ იყო ტფილისს თუნიერ სპათა“-ო (16,46).

საყურადღებო ცნობას გვაწვდის დავით ქობაირელიც. მისი სიტყვებით, თბილისში მყოფმა გიორგიმ „მოიწვია სათათბიროდ მისი ერთგულნი. მათთან თათბირის შემდეგ გადაწყვიტა, დამსახურების

* აფრიდონის შესახებ დაწვრილებით ვსაუბრობ წიგნის ბოლოში დართულ პირველ დამატებაში.



მიხედვით გაუყოს ოქროსა და ვერცხლის განძეული და საპატიო სამოსლები იმ ნარევი ქვეითი მეომრების ბრბოს, დეალეთისა და ქართლის მხარის საზღვრებში რომ არიან. შემდეგ ყველა ესენი, ქვეითი მეომრები, ერთ ადგილას შეაგროვა და მხედართუფროსის მამულ მხარეში (მამულში) წავიდა“ (25,263). სტეფანოს ორბელიანიც აღნიშნავს, რომ ჯარის გარეშე თბილისში მყოფმა გიორგიმ მოიხმო ყივჩაყი ყუბასარი, რომელმაც მას მიუყვანა 500 მეომარი თანამეჭომე (16,46-47).

როგორც ვხედავთ, გაჭირვებაში ჩავარდნილ გიორგის დიდი საზრიანობა გამოუჩენია: ერთგულები შეუკრებია, მთიელი (ჩრდილოეთკავკასიელი) მეომრები მოუწვევია და მათ ძვირფას საჩუქრებსაც შეპირებია. გვერდში ამოუყენებია ყივჩაყთა მცირე (500 კაცი) ნაწილიც. წყაროებში ამაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მხარში ამოიყენებდა აგრეთვე თბილისელ მოქალაქეებს (ხელოსნებს, ვაჭრებს და ა. შ.). რაც შეეხება აჯანყებულებს, მათ მოქმედების მცდარი გზა აირჩიეს — მიზნად ქ. თბილისში შესვლა კი არ დაისახეს, არამედ მისგან მეფის გარეთ გამოსვლას დაუწყეს ლოდინი. (ისინი „არა წარვიდნენ მას ზედა, არამედ უმზირდეს გამოსვლასა მისსა მუნ“ (16,46).

რაკი მეფის უეცარი შეპყრობის გეგმა არ გამართლდა, შეთქმულებს შორის განხეთქილება დაიწყო. ზოგიერთმა დიდებულმა დემნას ბანაკი მიატოვა და გიორგის მხარეზე გადავიდა. ასე მოიქცნენ, მაგალითად, დიდი გამრეკელი, გრიგოლ ანელი, ცოტა მოგვიანებით სარგის მხარგრძელი და სხვ. სტეფანოს ორბელიანი აღნიშნავს, რომ მათ მსგავსად „იწყეს სხვათაცა თვითოეულთა ფარულად და განპარვით წარსვლად მეფისა თანა“-ო.

მეფე გიორგი მის მხარეზე გადასულებს ორბელების სიმდიდრესა და მამულების მიცემას ჰპირდებოდა. „რომელნიცა მოვიდოდეს გიორგისა, დიდითა პატივითა შეიწყნარებდა და უზომოთა ნიჭითა მხიარულ ყოფდა და ყოველთა სიმდიდრეთა და მამულთა ორბელიანთასა აღუთქმიდა მიცემად მათდა“-ო, — აღნიშნავს სტეფანოს

* ყუბასარის ეროვნული და სოციალური კუთვნილების შესახებ დაწვრილებით იხილეთ წიგნის მეექვსე დანართი.



ორბელიანი (16,46-47). ამან ისეთი კარგი შედეგი გამოიღო, რომ გაძლიერებულმა გიორგიმ ჩქარა ქალაქის კედლები მიატოვა და ალყა შემოარტყა რეთ გავიდა. მას მოწინააღმდეგის შიში აღარ ჰქონდა და კიდევ შეუტია მას. „წარვიდა დიდითა მომზადებითა მათ ზედა“-ო, - წერს სტეფანოს ორბელიანი. პირველად მან სომხითის მთაზე მდგომ აჯანყებულთ მიაყენა მარცხი და აოტნა ისინი. შეშინებულმა ივანე ორბელმა მთელი მისი „მონაგები“ ქონება სამშვილდის ციხეში შეინახა (ეს ციხე უბევლესი დროიდან მათი გვარის განმსაცავად ითვლებოდა), თვითონ კი სამხრეთისაკენ დაიხია. თამარის კარის ისტორიკოსიც, ს. ორბელიანიც და დავით ქობაირელიც გვაუწყებენ, რომ უკან დახეულმა ივანე ორბელმა ლორეს ციხეს მიაშურაო. აქ შეუყვანია მას თავისი შვილები, ცოლი და მთელი სახლელი (დავით ქობაირელი).

გალადებული მეფე ივანე ორბელის საზაფხულო აგარაკს მიადგა და იქ მდებარე ციხეს ალყა შემოარტყა. უნდა აღინიშნოს, რომ სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ივანე ორბელს სამშვილდის გარდა განძი აგარაკშიც ჰქონდა შენახული და ახლა მისი დაკარგვის საფრთხე შეიქმნა. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, აგარაკის ციხის ალყა ოცდასუთ დღეს გრძელდებოდა. განსხვავებული ცნობა დაუცავს დავით ქობაირელს. მისი სიტყვით, „ალყა ორთვენახევარს გაგრძელდა. აჩქარებდა (მეფე) ზღუდეებისა და შიგნითა სასახლეების მანქანებით დანგრევას. ციხის შიგნით მყოფნი ბრძოლაში გამოცდილები იყვნენ, მაგრამ რადგანც წყლის გზაც მოჭრილი ჰქონდათ, შეწუხდნენ წყურვილითა და ადამიანებისა და პირუტყვითა მძორის სუნიით. უნებლიეთ ჩამოვიდნენ და დაუთმეს სიმაგრე“ (32,265). დემნა, რომელიც ახლა უკვე გვირგვინს ატარებდა და მეფედ იწოდებოდა, ივანე ორბელის ძმამ, ლიპარიტმა, კაიანის მიუდგომელი ციხე-სიმაგრისაკენ წაიყვანა, მაგრამ „მეფის ბრძანებით მას დაედგნა კეთილმსახური თბილისის ამირთმთავარი ქურდი, დაეწია მათ ვიწრო გზაზე თავის საკუთარ მხარეში, რომელსაც მაჰკაბერდი ეწოდა. დასცა მათ ბრძოლის ყიჟინა და უკანვე გამოაქცია, დაედევნა და წამოიღო იმ ჯარის დავლა და ალაფი. მხოლოდ ცხენოსნებმა დააღწიეს თავი და ლორეს სიმაგრეში მოვიდნენ, ყველა



აჯანყებული ერთ ადგილას შეჰყარეს (შეიყარნენ)“, — ამას მოგვითხრობს დ. ქობაირელი. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი წარმატების შემდეგ მეფეს კაიანში გამაგრებული მოწინააღმდეგეები და ციხის ახლომახლო მცხოვრებნი დამორჩილდნენო.

განსაკუთრებით დიდი ბრძოლა გაიმართა ჰერეთში. აქ აჯანყებულების ინტერესებს ამ მხარის ერისთავი გრიგოლ ასათის ძე იცავდა. მას დასახმარებლად მოწვეული ჰყავდა ლეკები და ჩეჩნები. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მისული მეფის ლაშქარი შედგენილი იყო მესხების, თორელების, ქართლელების და სომხითარებისაგან. მათ მეთაურობდა საქართველოს მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი.*

ბრძოლა სასტიკ ხასიათს ატარებდა. მეფის მოლაშქრეებმა „გააქციენეს ჰერნი, დიდებულნი აზნაურნი, და ლეკნი. შეიპყრნეს (...) და გრიგოლ ასათისძე, ფიცხლა დაიკარგა ომსა შინა, თუთ კრმლის დაკოდილობითა და გამოკლვითა ცხენისათა, შეიპყრეს ივანე ვარდანის ძე... და თანა შოთაცა, ძე ართავაჩოსძისა“. დასახელებული პირები, როგორც ქვეყნის მოღალატეები, მეფეს მიჰგვარეს (4,19).

აჯანყებულთა საქმე უკვე წაგებული ჩანდა. მათ ერთი დიდი ბრძოლაც კი ვერ მოიგეს, ერთი დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტიც კი ვერ შეინარჩუნეს. მეფე გიორგი აშკარად სჯობნიდა მხედართმთავარ ივანე ორბელს სამხედრო საქმეშიც, ორგანიზატორობაშიც და პირად ვაჟკაცობაშიც. მეფის ყოველ ნაბიჯს გეგმაზომიერი მოქმედების ნიშანი ედო, ივანე ორბელი კი ან დარტყმას აგვიანებდა, ან თავისა და ქონების გადარჩენაზე ზრუნავდა. თვით ის რად ღირს, რომ მეფემ პირველი დარტყმა მიაყენა თუ არა სომხითის მთასთან, დაჰკრა ფეხი და უშორეს ლორეს ციხეში გაიქცა. ერთი გადამწყვეტი ბრძოლაც კი ვერ გამართა.

მაგრამ აჯანყებულთა დამარცხებასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მათი სამოქმედო გეგმა მეფის უეცარ ხელთგდებაზე იყო გათვლილი და გაჭიანურებულ ომს

* ჭიაბერმა ეს თანამდებობა ღეშნას დამარცხებისა და ორბელთა გვარის განადგურების შემდეგ მიიღო. ჭიაბერამდე მეჯინიბეთუხუცესი იყო ქავთარ ივანეს ძე ორბელი.

არ ითვალისწინებდა. ამიტომაც ასეთი ომისათვის ისინი მზად არ იყვნენ. ამას გარდა, ვერ მოასწრეს და, ალბათ, მეფემ არ მისცა იმის საშუალება, რომ მთელი ძალები გაეერთიანებინათ და ისე დაპირისპირებოდნენ მოწინააღმდეგეს.

აჯანყებულთა უმთავრესი მიზანი — გიორგის ტახტიდან ჩამოგდება, იმდროინდელი საქართველოს საზოგადოების ყველა ფენისათვის გაუგებარი და ნაკლებმიმზიდველი იყო. გლეხობისათვის და ხელოსნებისათვის იმიტომ, რომ მთელი ოცდაორი წელი გიორგი საქართველოს საზღვრებში მტერს არ აჭაჭანებდა და მათ მშვიდობიანი მოღვაწეობის საშუალებას აძლევდა. ვაჭრებს, უცხო ქალაქების და მხარეების შემოერთებით, სამოქმედო ასპარეზი გაუფართოვა, წვრილ და მსხვილ აზნაურებს ხშირი ომები აწარმოებინა და სიმდიდრე (და მამულები) აშოვნინა, ამოძირკვა მეკობრეობა — ავაზაკობა, ქვეყანაში წესრიგი დაამყარა. ვინ გაილაშქრებდა ასეთი მეფის წინააღმდეგ თუ არა დავით მეხუთის ანდერძის მეტისმეტად ერთგული ადამიანი? დავით მეხუთის სიკვდილიდან ძალზე დიდი დრო იყო გასული და ახლა მისი ანდერძი უკვე სხვანაირად აღიქმებოდა. გიორგი გამოცდილი მეომარი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. მას შეეძლო საზოგადოების ყველა ფენისათვის სასურველი პირობების შექმნა. დემნა რას იზამს? ამ კითხვას, უტყობა, ხალხი აშკარად სვამდა და თავის დამოკიდებულებას მისდამი აშკარადვე გამოხატავდა — დემნას საქმეს უგულოდ ეკიდებოდა. თავისი უფლებებისათვის ამდენი ხნის გასვლის შემდეგ აჯანყებას ხალხი ქვეყნისა და მის წინაშე დამსახურებული მეფის წინააღმდეგ არასამართლიან ომად განიხილავდა. გიორგის ენერგიული მოქმედება (ხმლით თუ სიტყვით) ხალხს მოწინააღმდეგე ძალების პოზიციათა სამართლიანობის გარკვევის საშუალებას არ აძლევდა. იგი მოწინააღმდეგეს მიერეკებოდა და ხალხსაც გვერდით მიიყოლებდა. აჯანყებულებს დაკარგული ძალების აღდგენა აღარ უხერხდებოდათ. პირიქით, რაც დრო გადიოდა, თანამოლაშქრენი აკლდებოდათ და აკლდებოდათ (ეხოცებოდათ, უფრო მეტიც, ბანაკიდან ეპარებოდათ). ბოლოს ერთ ციხეში რომ ჩაიკეტებიან, იმდენილა დარჩნენ.

ივანე ორბელი ლორეს ციხეში 1178 წლის 19 ივლისს შევიდა.* თამარის კარის ისტორიკოსის ცნობით, მას აქვე ჰყავდა ცოლ-შვილი და დემნა. რამდენიმე ხნით ადრე ივანე ორბელმა თავისი ძმა — ქართლის ერისთავი ლიპარიტი და მისი ორი ვაჟი (ელიკუმი და ივანე), აგრეთვე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე და ანანია დვინელი დახმარების სათხოვნელად „ზოგი შაჰარმენთან, ზოგი ელდიგუზის შვილებთან“ გაგზავნა. ს. ორბელიანის სიტყვით, ლიპარიტი და მისი ორი ვაჟი მივლენილ იქნენ ათაბაგ ელდიგუზთან, რაც არასწორია. ათაბაგი შამს ად-დინ ილდეგიზი 1176 წელს გარდაიცვალა და საქართველოში სამოქალაქო ომის მიმდინარეობის დროს ათაბაგად ნუსრათ ად-დინ ფაჰლევან მუჰამმადი იყო (მმართველობდა 1176-1187 წლებში).

დ. ქობაირელის ცნობით, კი ივანე ორბელმა „ჯერ კიდევ მეფის (ლორეში) მოსვლამდე გაგზავნა თავისი ძმა ლიპარიტი სამი შვილით და თავისი უმცროსი შვილიც გააყოლა სპარსთა მხედართმთავარ ხიზილთან, რათა ან ჯარით გაემართა ხელი, ანდა თვითონ მოსულიყო, განედევნა მეფე და მისი სამფლობელო დაეპყრო“ (32,265-266). ეს ხიზილი ათაბაგ ნუსრათ ად-დინ ფაჰლევან მუჰამმადის ძმა მუზაფფარ ად-დინ ყიზილ-არსლან უსმანია, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გახდა ათაბაგი (1187-1191 წწ.).

გიორგი მესამე შუუფერხბელივ იკავებდა აჯანყებულთა მხარეზე მყოფ სოფლებსა და ქალაქებს. ბოლოს, როდესაც ყველაფერი ხელთ იგდო, ციხე-სიმაგრე ლორეს მიადგა და ალყაში მოაქცია იგი. მან, ჯერ კიდევ ალყამდე, გამართა ივანე ორბელთან მოლაპარაკება წინააღმდეგობის შეწყვეტის თაობაზე, მაგრამ ვერაფერს გახდა. ივანე ორბელი იმ შემთხვევაში აპირებდა იარაღის დაყრას, თუ მეფე ქვეყნის ნახევარს დემნას გადასცემდა (32,265). რა თქმა

* ს. ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ქართული თარგმანის A ვარიანტით ივანე ორბელი ლორეს ციხეში 19 ივლისს ჩაიკეტა და 3 მარტამდე დაჰყო, B ვარიანტით კი 13 სექტემბრიდან მარტის ხუთამდე იმყოფებოდა შიგ.



უნდა, გიორგი ამაზე არ დაეთანხმა. ახლა ციხეში ჩაკეტილ ივანე
 ორბელს კვლავ იმავე წინადადებით მიმართა. დ. ქობაირელი წერს,
 რომ მეფემ ეს არაერთხელ გაიმეორაო. ივანე ორბელი დავით მეხუ-
 თისაღმი მიცემული სიტყვის ერთგული იყო და მის გატეხვას ვერ
 ურიგდებოდა. ეს აშკარად განაცხადა წერილში, რომელიც ალყაში
 მოქცეულმა გიორგის ბანაკში მყოფ დიდებულთა წერილის პასუხად
 დაწერა: მე საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესების გულისთვის
 აღთქმულ ფიცს ვერ გავტეხო (16,49).

მე მგონია, რომ ალყაში მოხვედრილ ივანეს დამხმარე ძალის
 იმედი ჰქონდა და იმიტომაც იჩენდა ასეთ სიმტკიცეს. გამორიცხუ-
 ლი არ არის, მას ევარაუდა: ლორეში მოსული ათაბაგი ან შაჰ-არ-
 მენი ალყად მდგომ გიორგის ზურგიდან დაარტყამს, მეც ციხიდან
 გამოვიჭრები და დავამარცხებთო. მისი იმედი უსაფუძვლო როდი
 იყო. მემატყინეები (თამარის კარის ისტორიკოსი. დ. ქობაირელი,
 ს. ორბელიანი) ერთხმად აღნიშნავენ, რომ ათაბაგის ლაშქარი
 მართლაც წამოვიდა აჯანყებულთა დასახმარებლად. იქნებ ივანე
 ორბელის ძნელადსახსნელი თვითგამოკეტვა ლორეს ციხეში რა-
 დაც სამხედრო ფანდი იყო და ამ სიმაგრის მეფის ხაფანგად ქცე-
 ვას გულისხმობდა?

ალყა გაჭიანურდა. ზაფხულის თბილ დღეებს შემოდგომის წვი-
 მიანი და ზამთრის თოვლიან-ყინულიანი დღეები მოჰყვა. ცხოვრების
 პირობები კიდევ უფრო დამძიმდა. ბევრი აზნაური გაჭირვებას ვე-
 ღარ უძლებდა და ციხიდან გაპარული, მეფესთან მიდიოდა. ერთ
 დღეს მეფის ბანაკში მყოფმა ივანეს ახლობელმა დიდებულებმა მას
 ისარზე შებმული წერილი შესტყორცნეს. წერილში ეწერა: „დიდო
 ივანე ორბელიანო, მკნეო, ძლიერო, მიუღრეკელო, რომელი ხარ
 ქვეყანისაგან ჯენისა, ტომო თვითმპყრობელისა მეფისაო, მოსრულო
 ქვეყნად ამა ქართლისა, პოვნიერო პატივისა უსაზომოსა, ებგურო
 და თავო სახლისა მეფისასა და სპასალარო გიორგისო, უკეთუ

* დიდებულების წერილი ლექსად ყოფილა დაწერილი. ისიც და მასზე ივანე ორ-
 ბელის პასუხი, ასევე ლექსად დაწერილი, სტ. ორბელიანს ხელთ ჰქონია. მას
 ისინი ქართულიდან სომხურად უთარგმნია და პწკარულების სახით თავის თხზუ-
 ლებაშიც ჩაურთავს (იხ. „ს. ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქარ-
 თული ვერსიები“, გვ. 48-50).



განსასვენებელი შენი გწადს, ცხოვრება და პატივი გულის სათქმელი და მამული უსაზომო, რომელ არს ნახევარ უფროს ქართლსა, დაუტყვე შენ ფიცი პირველი, აღთქმა და ანდერძი დავითისა მის. მოვედ მორჩილებად გიორგისა, ქართველთა დიდ-ძლიერისა მეფისა. მოილე და შესწირე ძღვენი კეთილი — დიმიტრი, ყრმა ძე დავითისა, რომელ გექმნა შენ მიზეზ ბოროტ და მრავალთა ამა ქვეყნისათა“—ო (16,48-49).

ივანე ორბელმა უპასუხა: „ჰოი დიდებულნო, საყვარელნო ჩემნო, დიდნო და ძლიერნო მთავარნო კეთილნო, მე, იოვანე ორბელიანმან, აღმოვიკითხე წიგნი სწავლის თქვენისა, გარნა არა ვარ თავს-მდებ მაგ ზრახვისა, რომელ გეწერათ ამა წიგნსაზე. კაცი სიცოცხლისათვის მოცთუნდეს, დაუტეოს სარწმუნო უფალი, აღთქმისა გამტეხ თვით იქმნეს, მიიღოს ნაწილი უარისმყოფელისა, წარუალისა გენისა სატანჯველი და მოდასე იქმნას ეშმაკთა, მე, წარმავალი კაცი, მოსიკვდიდი, ვერ ძალ-მიც დათრგუნვად აღთქმის დებისა დღის ამისთვის ცხოვრებისა საპატიოსა, არა ვეცროუ ფიცსა მას საზარელსა, დაუტეო ცხოვრება დღეინდელი, წარვიდე უფლისა ჩემისა გულის სათქმელისა, მივიღო აღთქმული გამოუთქმელი, რომელი არავისგან მიიღებოდეს“—ო (16,49-50).

მკითხველი, ალბათ, ადვილად მიხვდა, თუ რაზეა ლაპარაკი მოყვანილ წერილებში. დიდებულები ურჩევდნენ ივანე ორბელს, რომ მეფისათვის დემნა დავითის ძე ჩაებარებინა და ყველა სიკეთეს შეინარჩუნებდა. ივანე ორბელი კი სასტიკ უარზე იდგა. მას დავითისათვის მიცემული ფიცის გატეხვა ვერ წარმოედგინა. ფიცის გამტეხი ეშმაკის მოდასე ადამიანად მიაჩნდა. მისი სიტყვით, თუ იგი ამ ფიცის ერთგულებას შეეწირებოდა, უფლისაგან იმ ქვეყანაში იმდენ დიდებას მიიღებდა, რომ „არავისგან მიიღებოდეს“—ო.

როდესაც დიდებულებმა (რომლებიც, ალბათ, გიორგი მესამის დავალებით წერდნენ ივანე ორბელს წერილებს) ასეთი პასუხი მიიღეს, ციხეზე ბრძოლა უფრო გამკაცრდა. ისინი და, ალბათ, მეფეც მიხვდნენ, რომ ივანე ორბელს ვერაფრით დაიყოლიებდნენ და იერიშები გაახშირეს. ს. ორბელიანის ცნობით, „მაშინ დემნა უგუნურებითა თუსითა შეშინდა, გამოვიდა ღამე, ზღუდელ გარდმოეკიდა, მი-

ვიდა ბიძასა თუსსა თანა და ფეხ ქვეშ მოექნა და ევედრებოდა მხოლოდ სიცოცხლისათვის“ (16,50-51).

ახლა თვითონ მკითხველმა წარმოიდგინოს გიორგი მესამის სახის გამომეტყველება, როდესაც ღამით, მოკრძალებით გააღვიძებდნენ მას და სიხარულით აუწყებდნენ: „მეფეთ-მეფეო, დემნა თავისი ფეხით მოგივიდათო!“ მკითხველმა წარმოიდგინოს აგრეთვე ციხეში დარჩენილი ივანე ორბელიც, რომელსაც დღლით, რომელიღაც თანამოლაშქრე ძლივს გაუბედავდა თქმას: ბატონო, წუხელ დემნა ციხიდან გაპარულაო!

როგორ უნდა შეხვედროდა მეფე მის ბანაკში მისულ დემნას? — ალბათ, დამცინავი ღიმილით, იქნებ, ამაზრზენი ხარხარით? შეიძლება ცხელ გულზე მას სიკვდილითაც დაემუქრა, მაგრამ ჩქარა ყოველივე სიბრაზე უნდა უარეყო და თავი კეთილ ბიძად მოეჩვენებინა. ეს ყოვლად აუცილებელი ჩანდა. ციხე ჯერ კიდევ ასაღები იყო და დემნას მკაცრი მიღება ივანესა და მის თანამებრძოლებს ბრძოლის გაგრძელებისაკენ უბიძგებდა. ამასობაში შეიძლება ივანე ორბელის მოკავშირე მუსლიმანთა ლაშქარიც გამოჩენილიყო. მარტი იწყებოდა და ლაშქრობებისათვის საჭირო დრო სწორედ ახლა დგებოდა.

სანამ მეფის მიერ ივანე ორბელის ხელთგდებაზე ვილაპარაკებდეთ, გვინდა ერთ საკითხს შევეხოთ. როგორც ითქვა, ს. ორბელიანის სიტყვით, დემნა იმიტომ ჩაბარდა გიორგის, რომ მას ბრძოლის სიმწვავის შეეშინდა. თავისთავად, საქმის ასე წარმოდგენა, სინამდვილეს დაცილებული არ უნდა იყოს. რა გასაკვირია, რომ 22-23 წლის დემნას ალყაში მოქცეული ციხის ძნელი პირობებისათვის ვერ გაეძლო? მაგრამ მე სხვა რამე მგონია. აგერ უკვე შვიდი თვე იყო, დემნა ციხეში ცხოვრობდა და თავისი თვალთ ხედავდა, როგორც ეწირებოდა მისი გამეფების საქმეს ათასობით ადამიანი. ციხის კედლებს იქითაც ხომ ზღვა სისხლი დაიღვარა. საკმარისი იყო დემნა ბიძამისს ჩაბარებოდა, რომ სისხლისღვრაც შეწყდებოდა. დემნა ბიბლიის იდეებზე აღზრდილი ჭაბუკი იყო და, თავისი აღმზრდელისა არ იყოს, საიქიოში ღმერთთან შეხვედრაზეც ფიქრობდა. როგორ წარუდგებოდა ასეთი დიდი ცოდვებით დატვირთული კისრით

მას? სინდისს უნდა ვეპარნახა მისთვის ბიძამისთან გაპარვა, რათა საკუთარი თავის მისთვის ჩაბარებით ციხეში გამოკეტილი დანაშაუნი ადამიანები სიკვდილისაგან ეხსნა. ეს იყო კეთილშობილი ჭაბუკის თითქმის წმინდანის დონემდე აყვანილი გმირობა. დემნა ისეთი გულუბრყვილო არ ჩანს, რომ არ სცოდნოდა, რა ნაბიჯს დგამდა. მაგრამ მაინც იქით გასწია და აკი კიდევ მიაღწია საწადელს – ბრძოლა შეწყდა. ციხის კედლებს გველეშაპივით შემოხვეული ბიძამისი დაწყნარდა. ღებნას ხელთგდება – მისი უმთავრესი მიზანი, უკვე მიღწეული იყო.

დემნას ხელთგდებით გახარებულმა გიორგიმ ივანე ორბელს მოციქული გაუგზავნა და შეუთვალა: „რომლისათვისცა შენ მებრძოდი, აჰა, მოვიდა ჩემდა. აწ ვისთვისღა ურჩობ? მოვედ ჩემდა“-ო (16,50).

ივანე ორბელს მეტი რაღა დარჩენოდა. დემნას გაპარვამ მის მოქმედებას მიზანი წაართვა. მართლაც, რისთვისღა ებრძოლა? ახლა ათასი ათაბაგი და შაჰარმენი რომ მოსულიყო, გიორგის ხელიდან დემნას ვეღარ იხსნიდა. მეფის მოციქულისათვის მიცემულ მის პასუხსაც სწორედ ეს დიდი სევდა ატყვია.

„ჭეშმარიტი არს, რასაც იტყვი“ – განუცხადა მან გიორგის მოციქულს, – გარნა (გიორგიმ) შემომფიცოს მე, რათა არა რა მავნოს და მე მივალ მასთან“-ო.

და შეფიცა გიორგიმ და „შეიკრა მასთან აღთქმითა დიდისა პირობითა, რომლისათვის იკადნიერა ივანემან და მივიდა მეფესთან“ (16,50-51). ეს იყო 1179 წლის 3 თუ 5 მარტს. ივანე ორბელი და მისი თანამებრძოლები მეფეს დანებდნენ.

ივანე ორბელისა და გიორგის შეხვედრა დამარცხებული და გამარჯვებული მტრების დაპირისპირების კლასიკურ მაგალითად გამოდგება. მართალია, არც ერთ წყაროში ეს სურათი აღწერილი არ არის, მაგრამ რა ძნელი წარმოდგენა უნდა? გიორგი, საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი, ტახტზე მჯდომი, ყველა სამეფო ნიშნებით შემკული, მხიარული დიდებულებით გარშემორტყმული, ივანე – გამხდარი, თალხ ტანსაცმელში გამოწყობილი, კისერზე ხმალდაკიდული და თავზე მტვერწაყრილი. მას ძალით განართხამდნენ მე-

ფის წინ და მიწას რამდენჯერმე აკოცნიებდნენ. გიორგი, ალბათ, დასცინოდა, დამამცირებელ კითხვებს აძლევდა, ივანე კი უსმენდა ბაგეებზე მტვერდადებული. ასეთ მიღებას მოჰყვებოდა გამარჯვებულია და დამარცხებულს შორის შერიგება. მაგრამ როგორც დრომ დაამტკიცა, მეფის გულის მოღობა დროებითი იყო და ეს თვალთმაქცობა გიორგის დანარჩენი ორბელების ხელთგდებისათვის სჭირდებოდა. ის პირველი პატივისცემა, რომელიც მეფემ ივანე ორბელს შერიგების მერე მიაგო, ცოტა ხნის შემდეგ სულ ძმრად აღინა ცხვირიდან. ამ საკითხების ბრწყინვალე მცოდნე ს. ორბელიანი აღნიშნავს: მეფესთან ივანეს გამოცხადების შემდეგ გიორგიმ „განიხარა დიდად ფრიად და პირველისაებრ შეიწყნარა სიყვარულით და პატივ-სცა დიდითა პატივითა, ვიდრე ხელთ ივლო ყოველნი ძენი და ნათესავი ტომნი მისნი. მერე კი, — აგრძელებს ისტორიკოსი, — გატეხა გიორგიმ თავისი ფიცი და აღთქმა და თვალები დათხარა მასო (16,51-52).

მაგრამ ივანეს დასჯა ცოტა მოგვიანებით მოხდა. ჩვენც ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით მას, ახლა კი სხვა რამეზე ვილაპარაკებთ.

ივანე ორბელის ასე სამარცხვინო დამარცხება დემნას დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ივანე ორბელს, როგორც შემდეგ გამოჩნდა, უცხო ძალის დახმარების იმედი ტყუილად არ ჰქონია. დემნას, ალყაში მყოფ ციხეში შექმნილი მდგომარეობისათვის რომ ბოლომდე გაეძლო, დამხმარე ძალა ლორესთან მდგომ გიორგის ლაშქარს აუცილებლად დიდ სიძნელეს შეუქმნიდა. ეს ლაშქარი მართლაც შეიკრიბა და საქართველოსკენაც გამოსწია. ამის შესახებ ს. ორბელიანის გარდა, თამარის კარის ისტორიკოსიც ლაპარაკობს, მაგრამ იგი უშედეგოდ გაბრუნებულა უკან. „უქმადვე უკუნ აქცია მართლმსაჯულობამან ქრისტესმან“-ო, — წერს ქართველი ისტორიკოსი.

ს. ორბელიანის ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ამ ლაშქრის უკან უშედეგოდ გაბრუნებას თავისი მიზეზი ჰქონია. იგი აღნიშნავს: ლიპარიტი, რომელიც აზერბაიჯანის ათაბაგთან იყო წასული ჯარის სათხოვნელად, დიდი ლაშქრით (60000 კაცი) თავისი ძმის დასახმარებლად მოდიოდა. მაგრამ როდესაც მეფისაგან ციხის აღებისა და ივანეს და დემნას ხელთგდების ამბავი გაიგო („მაშინ ესმა მას



ბოროტის შემთხვევის მათისა“), იფიქრა: უბრალო ქრისტიანებმა რა დამიშავეს, მათ მოსასპობად რომ გავემართო, მათ კი, ვინაიდან უბრალო მიუძღვით, სადღა ვნახავ, რომ ხელთ ვივლოო. ამის გამო იგი ლაშქართან ერთად უკან გაბრუნდაო (16,53).

ლიპარიტ ორბელის მიერ საქართველოსაკენ წამოყვანილი ლაშქრის გიორგისთან შეტაკება კიდევ უფრო მეტი სისხლისღვრის შესაძლებლობას იძლეოდა. იქნებ ამან უფრო აუფორიაქა დემნას სული და ბიძამისთან შესარიგებელ გზაზე დააყენა. თავიც გასწირა, ივანე ორბელიც, მაგრამ ახალი სისხლისღვრა კი არ დაუშვა.

ლიპარიტ ორბელის მიერ თანამემამულეთა დანდობა გასაკვირი არ არის. თუ ლორეს ციხე მართლაც უკვე დაცემული, ხოლო დემნა და ივანე დაპატიმრებულები იყვნენ, ლიპარიტის მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის აოხრება, ისიც მაჰმადიანთა ლაშქრით, ზნეობრივად გაუმართლებელი იყო. ლიპარიტს ჩაუცხრია გულში შურისძიების ცეცხლი, არ გაბოროტებულა და მოყვანილი ჯარიც უკან გაუბრუნებია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მიწაწყლის აოხრებას, ალბათ, თვით ლაშქრის მუსლიმანი ხელმძღვანელებიც მოერიდებოდნენ. საქართველოში სამოქალაქო ომი უკვე 'დამთავრებული იყო და ახლა გამარჯვებული. გიორგი მოწინააღმდეგეს უპასუხოდ არ დატოვებდა.

სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს დავით ქობაირელის ერთი საინტერესო ცნობა. მისი სიტყვით, ივანე ორბელმა, ჯერ კიდევ ალყაში მოხვედრამდე, „გაგზავნა თავისი ძმა ლიპარიტი სამი შვილით და თავისი უმცროსი შვილიც გააყოლა სპარსთა მხედართმთავარ ხზილთან, რათა ან ჯარით გაემართა ხელი, ანდა თვითონ მოსულიყო, განედევნა მეფე და მისი სამფლობელო დაეპყრო. მართლაც, იგი, თხოვნისამებრ, მრავალრიცხოვანი ჯარით წამოვიდა და მეფის საზღვრებს მიაღწა. მაგრამ როცა თვალთ იხილა ის ლაშქარი, მისი სიმრავლისაგან თავგზაბნეული ჩუმად უკან გაბრუნდა“-ო (25,266). ასე იყო თუ ისე, მთავარი მოსახდენი უკვე მოხდა – საქართველოს მეფემ ხელთ იგდო აჯანყებული დემნაც, აჯანყების სულის ჩამდგმელი ივანე ორბელიც და მისი ახლობლე-

ბიჯ. სამოქალაქო ომი დამთავრდა, მაგრამ სისხლისღვრა ჯერ კიდევ არ იყო შეწყვეტილი. მინდორ-ველებში შეწყდა ხმლების ტრიალი, სამაგიეროდ სამეფო ციხე-ჯურღმულებში აკვნესდნენ ადამიანები...

სისხლიანი განაჩენი

ვიორგი მესამემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ორბელი ეგდო ხელთ. მათი ჯავრი ჰქონდა მეფეს, რადგან ძმისწულის აჯანყებას აბრალებდა და მთელი გვარის ამოგდებას აპირებდა. ბოლოს, ვისზეც ხელი მიუწვდა, ყველა დაატყვევდა და მათი განკითხვაც დაიწყო. კიდევ ერთხელ ვიტყვი: გიორგის, მიცემული ფიცისა და პირობის არ სწამდა. არც უცხოელებთან და არც შინაურებთან აღთქმულ სიტყვას არ იცავდა. მან ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე დაარღვია 1164-65 წელს მუსლიმანებთან დადებული ზავი და მეზობლებს თავისი ლაშქარი მიუსია. არც სამეფო ტახტთან დაკავშირებით დადებული ფიცი თუ აღთქმა დაიცვა. ახლა დემნასა და ივანე ორბელისათვის მიცემული სიტყვაც გატეხა — ხელშეუხებლობა აღუთქვა და მკაცრად კი დასაჯა. ივანე ორბელს თვალები დასთხარა. დახოცა ივანეს ვაჟი ქავთარი* — საქართველოს მეჯინბეთუხუცესი, მისი ვაჟი სუმბატი და ძმისწული. „ყოველი ტომ-ნათესავი მისი და ყოველივე ყმა-წული და დედანი თანასწორად აღხოცნა და წარსწყმინდა, რომელნიმე მოშთიბითა და რომელნიმე წყალთა შთაგდებით და რომელნიმე კლდეთა გარდატეხვებით“ (15,51). ეს სიტყვები ორბელთა გვარის შთამომავალს, ისტორიკოს ს. ორბელიანს ეკუთვნის და ნათლად წარმოგვიდგენს მისი წინაპრების ტრაგიკულ ბედს. მაგრამ გიორგიმ მარტო ეს როდი

* სტ. ორბელიანი ქავთარს ივანეს უმრწემეს ძმად მიიჩნევს, თამარის კარის ისტორიკოსი კი მას ივანეს ვაჟად თვლის (იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 19). ქავთარი ივანე ორბელის ვაჟად მიაჩნია დ. ქობაირელსაც (იხ. ვ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 265).



აკმარა ამ გვარს. „ბრძანა ახოცა სახსენებელისა ორბელიანთა გვარისა მოთხრობათა საქართუელოსთა. მერმე უბრძანა ეკლესიელთა აღწერა ჰამბისა ამისა არათუ ნამდვილისა, არამედ სიცრუვისა და სხვა და სხვა მიზეზით ბრალდებისა, რაიცა ბოროტ ქცევასა ამისა ჰნებავდა“ (16,51-52).

„შემდგომად, — აგრძელებს ისტორიკოსი, — განაწესა შიგვენებაცა, რათა არღარა მოიხსენონ სახელნი მათნი და არა დაუტეონ მათგანი საქართველოსა შინა, და დასდვა ანდერძი იგი ბოროტისა საუნჯესა თვისსა“-ო (16,51-52). მაგრამ გიორგი მესამის შურისძიებას რამდენიმე ორბელი მანც გადაურჩა ცოცხალი.

უკვე ითქვა, რომ ივანე ორბელმა თავისი ძმა ლიპარიტი და მისი ორი ვაჟი — ელიკუმი და ივანე, დამხმარე ლაშქრის მოსაყვანად ათაბაგ ნუსრათ აღ-დინ ფაჰლევან მუჰამმადთან გაგზავნა. მას შემდეგ, რაც აჯანყება დამარცხდა და ივანე ორბელი თავის აღზრდილთან ერთად მეფის ხელში აღმოჩნდა, უცხოეთში მყოფმა ლიპარიტმა სამშობლოში ველარ შემობედა და იქ ჩარჩა. მაგრამ მოგვარე-ნათესავთა ამოწვევით გამოწვეული დიდი მწუხარებისაგან ჩქარა გარდაიცვალა. მისი ერთი ვაჟი ელიკუმი იქვე დარჩა, ხოლო მეორე, ივანე, განძის ამირას შეეკედლა და მისგან „მრავალი დიდება და პატივი პოვა“ (16,533). თამარის დროს ივანე ისევ დაბრუნდა საქართველოში და თავისი მამული ორბეთიც დაიბრუნა. შემდგომი პერიოდის ორბელები მისი შთამომავალნი არიან (35,77).

მაგრამ გაჩნდნენ სომეხი ორბელებიც. სომხეთში მცხოვრებ ორბელების ანუ ორბელიანების გვარს სათავე ლიპარიტ ორბელის უფროსმა ვაჟმა ელიკუმმა დაუდო. ელიკუმი, რომელიც ერანში იმყოფებოდა, ათაბაგმა ქ. ჰამიანიით დაასაჩუქრა. თანაც „დაუმტკიცა მას მამული წიგნითა ჭეშმარიტითა და განცხადებულითა“. მას რეის, ისპაჰანისა და ყაზვინის ამირობაც ჩააბარა. შემდეგ ელიკუმი ქ. ნახჩევანის, ალინჯის ციხის, ჭაპუკის და სხვა ადგილების გამგებლად დაინიშნა. აქ მან ცოლად შეირთაო სომეხი ქალი, სივნიეთის ეპისკოპოსის, სტეფანოსის დისწული ხათუნი. მათ ერთი ვაჟი გაუჩნდათ, რომელსაც ლიპარიტი დაარქვეს. ელიკუმი ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა. მის ვაჟს ლიპარიტსაც სომეხი ქალი ჰყავდა

ცოლად, რომლისაგან ხუთი ვაჟი შეეძინა. ესენი იყვნენ: ელიკუმი, სუმბატი, იოვანე, ფახრადულა და ტარსაიჭი. აი, ასე ჩამოყალიბდა სომხეთში ორბელიანების გვარი, რომლის სათავეს დამდები ივანე ორბელის ძმის ლიპარიტის შვილი ელიკუმ ორბელი იყო.

გიორგიმ ორბელების მიმართ მეტისმეტი მრისხანება გამოიჩინა. მე მხედველობაში მაქვს მის მიერ ბავშვებისა და ქალების ამოჟლეტა. დემნას ისეთი სიმკაცრით დასჯის შემდეგ ივანე ორბელის დასჯაც კმაროდა და ამდენი სისხლის დაღვრა საჭირო აღარ იყო. მას ამ გვარის სიმდიდრე ხომ არ შურდა, ხომ არ ხედავდა მასში ბაგრატიონთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეტოქეს?

ორბელთა გვარი იმდროინდელი საქართველოს ყველაზე ძლიერი გვარი იყო. მის წარმომადგენლებს საქართველოს ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის, ქართლის ერისთავის, საქართველოს მეჯინიბეთუხუცესის და სხვა თანამდებობები ეკავათ. ფლობდნენ დიდ მიწებსაც. გავიხსენოთ რას წერდნენ ქართველი დიდებულები ლორეს ციხეში ჩაკეტილ ივანე ორბელს: შენი მამული ნახევარ ქართლზე დიდიაო. ასეთი გვარის შვილი, რა თქმა უნდა, ადვილად არავის დაუდებდა თავს და მათ შორის მეფესაც.

სტეფანოს ორბელიანი გვაუწყებს, რომ ხმები ყოფილა გავრცელებული, თითქოს ორბელებს თვითონ სურდათ მეფობაო („ენებათ დიდება თავთა თვისთათვის და მოღება მეფობისა“). ისტორიკოსი უარყოფს ამ აზრს, მაგრამ მგონი გავრცელებულ ხმას მაინც რაღაც საფუძველი ჰქონდა. ივანე ორბელი დემნას აღმზრდელი იყო. თურქული სამყაროს ნომენკლატურით თუ ვიმსჯელებთ, იგი საქართველოს ათაბაგია. მეზობელ ერაყის სასულთნოში ყოფილი თურქი მონა ილ-დეგიზი, რომელიც თავისი ჭკუითა და მოხერხებით ათაბაგი გახდა, ქვეყნის შეუზღუდველი პირი შეიქმნა. ათაბაგის გავლენამ თანდათან სულთნის ავტორიტეტიც კი დაფარა. რატომ არ უნდა ეოცნება ივანე ორბელს ილ-დეგიზის გავლენაზე? გიორგის ტახტიდან გადაგდება რომ მოეხერხებინა, ივანე ორბელი, ალბათ, ილ-დეგიზის გზას დაადგებოდა.

ივანე ორბელის, როგორც საქართველოს ამირსპასალარის მიწე-ბი, განუწყვეტლივ იზრდებოდა. ყოველი შემოერთებული მხარიდან



მას თავისი წილი ჰქონდა და თანდათან დიდძალი ქონებაც დააგროვებდა. ვეიქრობ, გიორგი მესამე შურით შეჰყურებდა თავისი დიდმოსხელის სამფლობელოს. ახლა, როცა ორბელთა გვარი მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში დემნას მიემხრო, გიორგის ამ სამფლობელოს ხელში ჩაგდების შესაძლებლობა მიეცა. სახელმწიფო მოღალატის მიწა-წყალი ზომ მეფის საკუთრებად ცხადდებოდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მეფემ მთელი გვარი დაუნდობლად გაჟლიტა.

სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ივანე ორბელის და მისი მოგვარეების მიწები მეფემ „განუყო... რომელთაჲმე მტერთა მათთა და შემასმენელთა და ზოგი მისცა ყივჩახსა, რომელსა ეწოდა ყუბასარ, რომელი ზემორე ვახსენეთ და მიანიჭა ადგილი მთავრობისა მათისა და დაადგინა სპასალარად ყოველსა ზედა ქართლსა“ (16,54).

მოტანილ ცნობაში ზედმიწევნით სწორედ არის ასახული გიორგის ღონისძიებების სისწორე. სხვა წყაროებითაც დასტურდება, რომ მეფეს ორბელთა მიწებით პირველ რიგში ისინი დაუსაჩუქრებია, რომლებიც ამ გვარს მტრებად გაუხდნენ, ან გადამწყვეტ ჟამს მეფესთან დაასმინეს. განსაკუთრებით დიდი პატივი მიუგია ყუბასარისათვის, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანი მიუვიდა სახატედან თბილისში გაქცეულ გიორგის.

სტეფანოს ორბელიანის ეს განცხადება თამარის კარის ისტორიკოსის ცნობითაც დასტურდება. მისი თხზულებიდან ჩანს, რომ ყუბასარი მართლაც იმ თანამდებობებს ფლობს, რომლებიც ივანე ორბელს ეკავა — ამირსპასალარობას და მანდატურთუხუცესობას. მისივე ცნობით, ყუბასარს ეკავა ივანე ორბელისეული ქალაქი ლორეც.

დიდი თანამდებობა — მსახურთუხუცესობა — მიიღო აფრიდონ-მაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფრიდონი სწორედ ის ყმა უნდა იყოს, რომელმაც ივანე ორბელისა და სხვა შეთქმულთა განზრახვა მეფეს შეატყობინა და მტრის ხელში ჩაგდებასაც გადაარჩინა. მეფეს მისთვის მიუცია ქ. თმოგვი და სხვა ციხეები თუ მხარეები. ორბელთა მიწა-მამულების ნაწილი სარგის მხარგრძელმაც მიიღო.



როგორც აღვნიშნეთ, თამარის მეფობაში ივანე ორბელის ერთი ძმისშვილი ივანე ლიპარიტის ძე კვლავ სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მას მხოლოდ სოფელი ორბეთი და დაუბრუნეს.

ორბელთა მიწა-მამულებისა და თანამდებობების უგვარო, მაგრამ მეფის ერთგულთათვის გადაცემა აკად. ივ. ჯავახიშვილს სახელმწიფო აპარატის იმგვარივე რეფორმად მიაჩნია, როგორც 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე დავით აღმაშენებელმა მოახდინა. მისი სიტყვით, „როგორც მაშინ ქართული ეკლესიის მღვდელმსახურთა დემოკრატიზაცია მოხდა, ისევე ახლაც, საქართველოს დარბაზის კარსა მდგომ მოხელეთა დემოკრატიზაცია იქმნა განხორციელებული. პირად ღირსებას ამ შემთხვევაშიც წოდებრიობის წინაშეც უპირატესობა მიენიჭა და ისეთი მაღალი თანამდებობის პირნი, როგორც საქართველოს სახელმწიფოს სათავეში მდგომი ვაზირთა საბჭოს წევრები და მათი თანაშემწენი იყვნენ, წინანდელი წესის მიხედვით დიდგვარიან აზნაურთა წრითაგან კი არ იქნენ შერჩეულნი და მათი შთამომავლობისა და წოდებრივი მიკუთნილობის გამო კი არ იყვნენ დანიშნულნი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პირადი ღირსებისა და სამსახურით მოპოვებული უფლების წყალობით. ამას საქართველოს სახელმწიფო წყობილებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“ (36,367).

გიორგი მესამემ მკაცრად დასაჯა დემნა უფლისწულიც. ს. ორბელიანის ცნობით, დემნა დააბრმავეს და დაასაჭურისეს. თამარის ისტორიკოსს ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერი ცნობა არ შემოუნახავს. სამაგიეროდ, ლაშა-გიორგის დროინდელი ისტორიკოსი აცხადებს, რომ აჯანყების ჩახშობის შემდეგ დემნა ჯერ „კლდეკართა დასუეს, უკანის თუაღნი დასწუნეს და მოკუდა“-ო (13,366).

დარწმუნებული ვარ, რომ დემნა კიდევ დააბრმავეს და კიდევ დაასაჭურისეს. თუ გიორგის მიზანს გავითვალისწინებთ, მოესპო არა მარტო საკუთარი მეტოქე, არამედ თავისი შვილისა და შვილიშვილების მეტოქეებიც, უნდა ვაღიაროთ დემნას დასაჭურისების უმჭველობაც. დემნას ასაკში დაბრმავება სიკვდილზე ნაკლები სასჯელი როდი იყო. რაც შეეხება დასაჭურისებას, ეს ნამდვილ სიკვდილს უდრიდა. ამ ასაკში დასაჭურისება ძალზე ძნელი გადასატა-



ნია. დასაჭურისებულები გიჟდებიან ან კვდებიან. მაგრამ შეშლაც პოლიტიკური მოღვაწისათვის იგივე სიკვდილია. დემნა გავიჟებულა — მომკვდარა და დაუსვენია. ასე გადარჩენილა ცოცხალ სიკვდილს — სიგიჟეს.

დასრულდა დემნას სიცოცხლე და დავით მეხუთის ოჯახის ისტორიაც. ბედის უკუღმართობაა, რომ მამაცა და შვილიც — დავითი და დემნა, ერთი კაცის ხელით დაიღუპნენ. მაგრამ ის კაცი გადამთიელი როდი იყო, დავითის უმცროსი ძმა გიორგი გახლდათ. რა ზნეობა გვიჩვენა ამ დიდმა კაცმა? ნუთუ გიორგის არც „მოყვასი უყვარდა“, არც ვინმეს „პატიება“ იცოდა, არც საქვეყნოდ აღიარებულ მცნებას — „არა კაც ჰკლას“ იწყნარებდა? მაგრამ იქნებ იმიტომაც დაიმსახურა მან ისტორიკოსის ასეთი დიდი ყურადღება, ამ კეთილშობილურ დოკუმებს რომ გვერდი აქცია? ე. წ. „დიდ ადამიანთა“ უმრავლესობა ხომ სწორედ ისე იქცევა, როგორც 800 წლის წინანდელი ეს ჩვენი წინაპარი მოიქცა?

ისტორიის ცოდნა იმ საოცარ ჯამს ჰგავს, გრძნეული მზეთუნახავი რომ შიგ იხედება და დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭულს ხედავს. ამ ჯამში აშკარად ჩანს დემნას სისხლით მორწყული ბილიკი, რომელზედაც შემდეგ თამარმა გაიარა და ტახტთან მივიდა. დემნა კი, უსამართლოდ დასჯილ-დასახიჩრებული, აგერ უკვე 800 წელია შველას ითხოვს — სამართალს ელოდება. მაგრამ სიტყვაძვირობენ ისტორიკოსები, თუმც მისი გამასამართლებელი საბუთები, საკმაოდ შემორჩენილან.

ამრიგად, სისხლიანი განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. დავით მეხუთის სახლი მთლიანად აღმოიფხვრა, სამაგიეროდ მისი ძმის სახლი გალადდა. გიორგის თეორიული მოწინააღმდეგეც კი აღარ დარჩა. მეტოქის გარეშე დარჩა მისი ქალიშვილი თამარიც. გიორგი მესამემ უკვე მერამდენედ შეცვალა ბედის გადაწყვეტილება. ახლა დადგა დრო, როცა ბედისმწერლისათვის ყველაზე დიდი დარტყმა უნდა მიეყენებინა. მაგრამ, სანამ გიორგის მორიგ გამარჯვებაზე ვისაუბრებდეთ, გვინდა ორიოდ სიტყვით შევეხოთ დემნას აჯანყების მნიშვნელობას. ამ მოვლენას, ალბათ, სახელმწიფოებრივი და ზნეობრივი მხრიდან უნდა მივუდგეთ. სახელმწიფოებრივი თვალსაზრი-

სით იგი, რა თქმა უნდა, უარყოფით შეფასებას იმსახურებს, რადგან დიდ სამოქალაქო ომად იქცა და ქვეყანა დიდი ხნით სისხლისწვიმებში ჩაახრჩო. დაიხოცა მრავალი ადამიანი, დაიწვა ან დაინგრა სოფლები, ქალაქები, სასახლეები და ციხე-სიმაგრეები. ზარალი აუნაზღაურებელი იყო. რაც არ უნდა მართალი ყოფილიყო, სჯობდა დემნა მუდამ უფლისწულად დარჩენილიყო და ამდენი ზარალი არ მოეტანა ქვეყნისთვის. მისი გამეფება ამდენ მსხვერპლად არ ღირდა.

მაგრამ არსებობს ამ აჯანყების ზნეობრივი შეფასების შესაძლებლობაც. დემნა უფლისწულს (რომლის ბედი ძალიან ჰგავს დანიელი უფლისწულის - ჰამლეტის ბედს), მცირეწლოვანობაშივე მამა მოუკლეს. შემდეგ ტახტიც წაართვეს. შეჰპირდნენ: სრულწლოვანი გახდები თუ არა, ტახტს დაგიბრუნებთო, მაგრამ ეს დროც დადგა და დემნას არაფერი მისცეს. რა ექნა, არ ებრძოლა სამართლიანობის აღსადგენად? ის საკუთარ სამშობლოს კი არა, ბიძამისს აუჯანყდა. ამ უკანასკნელს აჯანყების წინ მაინც რომ გადაედგა დამთმობი ნაბიჯი და უმემკვიდრეოს ტახტი დემნასათვის დაეთმო, აჯანყება არ მოხდებოდა. მან თავისი ტირანული ქცევით დემნა წონასწორობიდან გამოიყვანა და ხელში იარაღი ააღებინა. საკითხავია, ვის უფრო მეტი წვლილი მიუძღვის აჯანყების მიზეზების მომზადებაში - გიორგის თუ დემნას. ეს მკითხველმა განსაჯოს.

დალოცეს და მიჰყვოდ დასვენს...

გიორგი მეფის სურვილი - გაემეფებინა თავისი ქალიშვილი, ალბათ, ეკლესიასაც კარგად ეცოდინებოდა. საქვეყნოდ აღიარებული იყო, რომ ეკლესიის ნებართვის გარეშე გამეფება არ შეიძლებოდა. მეფედ კურთხევის საკითხი ხომ სახელმწიფო და საეკლესიო-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით წყდებოდა (36,369).

ამრიგად, თუ მიზნის მიღწევა სურდა, გიორგის ეკლესიის მეთაურთათვისაც უნდა მიემართა და თამარის გამეფებაზე მათი თანხმობაც მიელო.

ეკლესიის მესვეურთ კარგად გაუთვალისწინებიათ მეფის მდგომარეობა და თამარის გამეფებაზე დასტურის ნაცვლად მისგან დიდი შეღავათების დაცინცვლა მოუწადინებიათ. ეს კარგად ჩანს გიორგი მესამის მიერ გაცემულ ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელიდან, სადაც აღნიშნულია: „... მოვიგონეთ ეკლესიათა სამეფომსა ჩუენისათა ყოვლისა ბეგარისა უსამართლომსათა და დაჭირებული-საგან ხსნამ და განთავისუფლება.

და ამისვე მიზეზისათვის შეკრბეს ყოველნი სამეფომსა ჩუენისა მონაზონნი და ებისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზი, მოძღუარი და ყოველნი მეუღაბნონი და მათა გვიბრძანეს და მოგუახსენეს დაჭირებულება ეკლესიათამ და განრყუნამ სასჯულოთა საქმეთა“ (34,24-25).

სიგელიდან ისე ჩანს, თითქოს ეკლესიის ყველანაირი ბეგარისაგან განთავისუფლება მეფეს თვითონაც სდებოდეს გულში, მაგრამ იმავე სიგელიდან ისიც ირკვევა, რომ ეკლესიის მესვეურნი თვითონ მოსულან გიორგისთან საკუთარი პრეტენზიებით. სწორედ მათ „უბრძანებიათ“ და „მოუხსენებიათ“ მეფისათვის ეკლესიის გაჭირვებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ხაზინა ამით საკმაო დიდ შემოსავალს ჰკარგავდა, საქართველოს მეფე იძულებული გახდა, მათ სურვილს დაჰყოლოდა. მან საქართველოს ეკლესიას საგადასახადო შეუვალობა უბოძა. მკითხველისათვის ამ ნაბიჯის მნიშვნელობა რომ უფრო ნათელი გახდეს, აღვნიშნავთ შემდეგს: შეუვალობის წყალობით საეკლესიო სოფლებში და, საერთოდ, ყმებში მეფის მოხელეებს საქმიანობა აკრძალული ჰქონდათ. ვერც გადასახადს აკრეფდნენ და ვერც პოლიციურ-ადმინისტრაციულ საქმიანობას აწარმოებდნენ. ყოველივე ამ საქმეს ეკლესია თვითონ ასრულებდა. ასე რომ, ეკლესიისათვის შეუვალობის მინიჭებით საქართველოს სამეფო ხაზინას დიდი შემოსავალი დააკლდა. სამაგიეროდ, ამ ძლიერი ორგანიზაციის მესვეურთა გულები მოგებულნი იყო. გიორგიმ მათი

* გიორგი მესამე იძულებული გახდა მისი ოჯახის დიდი ერთგულის ნიკოლოზ გულაბერიძის კათალიკოსობიდან გათავისუფლებასაც შერიგებოდა. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი მიქაელ მირიანისძე შეიქმნა.

მხარდაჭერა მოიპოვა და დაუყოვნებლივ გამოიყენა კიდევ — თამარის
რი თანამესაყდრედ გამოაცხადა.

როგორ ჩატარდა თამარის გამეფების ზეიმი? სამწუხაროდ, მის
ისტორიკოსებს ამ საკითხზე მწირი ცნობები დაუცავთ. საქმის გა-
საიოლებლად შეიძლება „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი თინათინის
გამეფების სურათი გამოგვადგეს. მკითხველს მოვაგონებ, რომ თინა-
თინიც, თამარისა არ იყოს, მამის ერთადერთი შვილი იყო და მა-
საც თანამოსაყდრედ აცხადებენ.

„თანათინ მიჰყავს მამასა, პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი, დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.
ქალი მზეებრ სჭვრეტს ყოველთა ცნობათა ბრძნად მხედველითა.

უკუდგეს და თაყვანის-სცეს მეფემან და მისთა სპათა
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგანთ სხვათა,
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს მათთა ხმათა.
ქალი ტირს და ცრემლებს აფრქვევს, ხრის ყორნისა ბოლო-
ფრთათა“ (37,15).

თამარი, რა თქმა უნდა, თინათინი არ არის. არც გიორგია არა-
ბეთის მეფე როსტევეანი, მაგრამ შოთა რუსთაველმა თავის გმირებ-
ში რომ მისი თანამედროვე საქართველოს მესვეურთა სულები ჩა-
დო, ეს ცხადია და აღიარებულიცაა.

ახლა თამარის კარის ერთ-ერთ ისტორიკოსს მოვუსმინოთ:
გიორგი მესამემ, — წერს იგი, — ნაჭარმაგვეს შეკრიბა შვიდივე სა-
მეფოს დიდებულები, მოიწვია საკუთარი მეუღლე ბურდუხანი და
ასული თამარი „ნათელი და ბრწყინვალეობა თვალთა მათთა, და მა-
ნიაკი ყოველთა მეფეთა, და გვრგვნი ყოველთა კელმწიფეთა“. მერე
საერო თუ საეკლესიო დიდებულების, აგრეთვე უმაღლესი სამხედ-
რო პირების თანადგომითა და რჩევით თამარი მეფედ გამოაცხადა:
ტახტზე მჯდომმა მარჯვენა მხარეს მოისვა, მერე თავზე იაგუნდით,
ზურმუხტით და სმარაგდით შემკული ბაჯალლო ოქროს გვირგვინი



დაადგა. ისტორიკოსის სიტყვით, საზეიმოდ გამოწყობილი თამარის შემკული და შემოსილი იყო ფერად-ფერადი ოქროქსოვილი ფესქებით (გრძელკალთიანი სამოსი) ბისონითა და ზეზით.

ამ დროს „მდიდარნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა, — წერს ისტორიკოსი, — და თუთ მეფე (ე. ი. გიორგი), მაფიცებელი ერთგულობისა და ერთსულობისა მისისათჳს და ცრემლით მლტოლველი და შემვედრებელი ღმრთისა, მაკურთხეველ ექმნა აბრამიანთა ისაკისადმდე, და ისაკიანთა იაკობისადმე, და იაკობიანთა ვიდრე იოსებიანთამდე, რომელი ჩანს ვითარ მზე უღრუბლო ჰაერისა მოდღვეანდლად დღემდე...“ (4,20-22).

გიორგის მიერ თამარის თანამესაყდრედ გამოცხადების ასეთი დიდი ზეიმით აღნიშვნა ძალზე ბუნებრივია. შუა საუკუნეების საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც ტახტზე ახალი მეფის ასვლა მუდამ საზეიმო ვითარებაში ხდებოდა. თამარის ისტორიკოსი არაფერს გვეუბნება, თორემ იმ დღეებში ნაჭარმაგვეში დაახლოებით ისეთი ამბები უნდა მომხდარიყო, როგორიც თინათინის გამეფების დღეს ხდებოდა. შოთა რუსთაველის სიტყვით, მეფე როსტევეანმა თავის მოხელეებს

„უბრძანა: წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია! ამილახორო, მოასხი რემა ჯოვი და ცხენია!“
 მოიღეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.
 ღარსა ხვეტლიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.

ალაფობლის საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა,
 მას ტაიჭსა არაბულსა, ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა,
 და დაარჩენს ცარიელსა არ ყმასა და არცა ქალსა...

დღე ერთ გადახდა. პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა.
 ნაღიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა...“
 (37,17).



ამრიგად, 1179 წელს გიორგი მესამემ თავისი ქალიშვილი თამარი თანამესაყდრედ გამოაცხადა. თამარი უკვე მეფე იყო. მეტოქე სურვილია დარჩა გიორგის? — არაფერი, — მშვიდი სიბერე, შვილიშვილების დაბადება და მათი ჟღერტულის სმენა. მთავარია, რომ მის ქალიშვილს მეტოქე აღარ ჰყავდა და არც ეყოლებოდა. დემნა, ვის საფუძველზეც შეიძლებოდა მოწინააღმდეგე ამოზრდილიყო, სასტიკად დასახინრებული სიკვდილს ებრძოდა. გიორგის გული საგულეში უნდა ჰქონოდა. მაგრამ ამ ჭკვიანმა და მამაცმა კაცმა ვერ გაითვალისწინა, რომ თამარი მაინც ქალი იყო. აბა, ის რა მეფე იყო, ვინც ბრძოლის ველზე ცხენით ვერ გაიჯირითებდა, საკუთარი თვალთ ვერ ნახავდა ერთგული, მისთვის თავდადებული მეომრების გმირობას და სისხლდათხეულთ თუ გამორჩეულთ შესაფერის ჯილდოს არ მისცემდა. აბა, რა მეფე იყო, თუ თვითონ ვერ გაუძღვებოდა ლაშქარს ბრძოლაში, პირველი არ მიეჭრებოდა მტრის ციხე-ბურჯს და მისკენ შუბსა თუ ისარს არ გასტყორცნიდა. თვეობით არ გაატარებდა ლაშქრობაში, ნადირობისას სასიკვდილოდ არ ჩასცემდა შუბს ტახსა თუ ქორბუდა ირემს, საათობით არ ატრიალებდა ხელში ჩოგანს უცხო ქვეყნის მობურთალებთან შეჯიბრში. დიახ, მრავალი ნაკლი ჰქონდა თამარს, როგორც შუა საუკუნეების ხელმწიფეს. ეს ბუნებრივი ნაკლია და მისი გამოსწორება შეუძლებელი იყო, მაგრამ თუ ღმერთმა მას მამაკაცის გამძლეობა, ძლიერი მკლავი და სხვა თვისებები არ მისცა, სამაგიეროდ, ბუნებრივი ნიჭი, შემწყნარებლობა, პატიოსნება, ღვთისმოშიშობა და ბევრი ისეთი რამ უწყალობა, რამაც იგი თავისი დროის გამოჩენილ მოღვაწედ აქცია. მის მეფობაში ქართველმა მეომრებმა მტრის არანაკლები ციხე-სიმაგრეები შელევწეს, ვიდრე ძლევა მოსილი გიორგის დროს.

თამარი მსოფლიო მნიშვნელობის ადამიანი გახდა. ძნელია იმის თქმა, როგორი მეფე იქნებოდა დემნა. შეიძლება მასაც ღირსეულად ეტარებია საქართველო სიძლიერისა და გამარჯვებისაკენ, მაგრამ ამის შესახებ შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ. თამარმა კი ჩვენი ქვეყანა მართლაც მოიყვანა სიძლიერის მწვერვალამდე.

გიორგი მესამის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, სურათის დასახატად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ღონისძიებების გათვალისწინებას, რომლებსაც იგი ქვეყნის ეკონომიკის განსამტკიცებლად ატარებდა. დიდი საეკლესიო ხასიათის სამშენებლო საქმიანობის (მაგ., ვარძიის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის დაწყება)* გვერდით სახელოვანმა მეფემ სავაჭრო-საქარავნო გზების, ხიდების, ქულბაქების თუ ქარვასლების ასაგებადაც ბევრი რამ გააკეთა. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასამტკიცებლად ეს ღონისძიებები ყოვლად აუცილებელი იყო. ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოს ფულადი შემოსავლის ერთ-ერთ ძლიერ წყაროს წარმოადგენდა და გიორგიც, ალბათ, ძალ-ღონეს არ იშურებდა მისი სიუხვის გასაზრდელად. თუ „ვეფხისტყაოსანში“ ასახული ვაჭრული ცხოვრების მაღალი დონე ნაწილობრივ მაინც შეესაბამება საქართველოს სინამდვილეს, აშკარა ხდება, რომ ამ გარემოს შექმნაში გიორგი მესამეს დიდი როლი უთამაშია.

ვაჭრობა-ხელოსნობას, სავაჭრო ქარავანთა მისვლა-მოსვლას სიმშვიდე და უსაფრთხოება ესაჭიროებოდა. მაგრამ გიორგი მესამის მეფობის ხანა, ისევე როგორც მთელი XII საუკუნე, თავისუფალ მიწათმოქმედთა საბოლოოდ დაყმევების ეპოქა იყო, რასაც მრავალი ადამიანის გაღატაკება თუ გაავაზაკება-გაყაჩაღება მოჰყვა. გაღატაკებულთათვის მეკობრეობა-ყაჩაღობა თავის დარჩენის ერთადერთი საშუალება იყო. თუმცა მდიდარი საპალნით დატვირთული ქარავნები თუ ქარვასლები გაბატონებული წრის წარმომადგენელთა ხარბთვალსაც არანაკლებ იზიდავდა. ეს უფრო ნათელი გახდება თუ გავიხსენებთ, რა განუცხადა ლაშქარმა (უმაღლესმა ოფიცრობამ) გიორგი მესამეს, როცა მან მუსლიმანებთან ზავი დადო და მათი ძარცვა-რბევა შეწყდა – ლაშქრობის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლიაო. ასეთი მოლაშქრეები, რა თქმა უნდა, საქართველოს გზებზე

* ვარძიის სამონასტრო ანსამბლი ძირითადად 1156-1203 წლებში შეიქმნა. აკურთხეს თამარის მეფობაში 1185 წლის 15 აგვისტოს, მაგრამ მისი მშენებლობა შემდგომ ხანაშიც, კერძოდ, XIII-XIV საუკუნეებშიც გრძელდებოდა.

მოსიარულე უცხო თუ ადგილობრივ ვაჭართა ქარავნებსაც დაინდობდნენ.

განუკითხაობას ვაჭრობის ჩაკვდომა და სახელმწიფო ხაზინის გაღარიბების გამოწვევა შეეძლო. ეს გიორგი მესამემ კარგად გაითვალისწინა და ამ ჭირის აღმოსაფხვრელად საგანგებო ღონისძიებები გაატარა. სომეხი მემატიანე ვარდან დიდი წერს: 1180 წ. (სომხური წელთაღრიცხვით 629 წელს) გიორგი მეფემ „მპარავი და მეკობრე მოსპო, რადგან ყოველთა ლაშქართა თანადგომითა სჯულად დასდო მცირისა და დიდისა საქმისათვის უწყალოდ ყოვლისა კაცისა ძელზე აღბმა“. ქურდობა-ავაზაკობისათვის ჩამოხრჩობილის გვერდით ძელზე მის მიერ მოპარულ ნივთებსაც ჰკიდებდნენ. ახრჩობდნენ პირუტყვებსაც კი, ძაღლსა და თაგვსა, ყველას შიშის ზარი დაეცა და დამყარდა დიდი მშვიდობიანობაო (14,163).

მპარავთა მკაცრად დასჯა ადრეც ხდებოდა. შიო მღვიმის მონასტრისადმი 1170 წელს მოცემულ მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელში გიორგი მესამე ბრძანებს: „თუ მრავალჯერ ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუნთა ჩენილთა, ანუ გაპატიჟონ, და თუ გარდაიხუეწოს სხუაგან, სდევდენ ჩვენნი ჩენილნი“-ო (38,12). რა თქმა უნდა, ეს წესი არც 1170 წელს შემოღებულია. იგი ადრეც იქნებოდა. ვარდან დიდის მიერ ხაზგასმული კანონი კი მპარავებთან ერთად მეკობრეების სიკვდილის დასჯასაც ითვალისწინებდა, რაც 1170 წ. სიგელთან შედარებით სიახლეა.

გიორგი მესამის მიერ 1180 წელს მიღებული კანონი თამარის მეფობაშიც მოქმედებდა (4,81, 141) და გაცილებით გვიან, მონღოლთა ბატონობის დროსაც (13,230). ეს ამ კანონის საჭიროებაზე მეტყველებს.

* ვარდან დიდს ამ კანონის მიღების თარიღად 1180 წელი (სომხური წელთაღრიცხვით 629 წ.) აქვს დასახელებული. ი. ჯავახიშვილი თავის „ქართული სამართლის ისტორიაში“ ამ თარიღს შეცდომად თვლის და მიაჩნია, რომ 629 წლის ნაცვლად თავდაპირველად ვარდანს 619, ე. ი. 1170 წ. უნდა წერებოდაო. მაგრამ „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომში მკვლევარი უკვე სხვა თარიღს – 1178 წ. იძლევა. ვფიქრობთ, ვარდანის დათარიღებაში ეჭვის შეტანა უსაფუძვლოა. უკვე შენიშნულია, რომ 1170 წ. სიგელსა და ვარდანის მიერ დასახელებულ კანონს შორის არსებითი განსხვავებაა (მ. ლორთქიფანიძე) და გიორგი მესამის ეს ბოლო ღონისძიება 1180 წლით უნდა დათარიღდეს.

დრო მიდიოდა. გიორგი მესამეს წლები და ჭაღარა ემატებოდა. ბევრი მისი თანამედროვე ცოცხალი აღარც იყო. და აი, 1180 წელს მას თავს დაატყდა აუტანელი მწუხარება — გარდაეცვალა მეუღლე ბურდუხან დედოფალი. „და მიიცვალა დედოფალი, — წერს თამარის კარის ისტორიკოსი, — დედა თამარისი, სწორი ძისა ღმრთისა დედისა“—ო და ხმამაღლებით შესძახებს: რა ენამ გამოსთქვას ის მწუხარებანი, რაც დედოფლის სიკვდილმა გამოიწვიაო.

მეუღლის დაღუპვა გიორგის გვეუთში გაუგია. დამწუხრებული თურმე თმა-წვერს იგლეჯდა და თვალთაგან ცრემლის ნაკადს ღვრიდა. მწუხარების ნიშნად თავზე თმაც კი გადაუპარსავს. თავის ქალიშვილ თამართან შეყრისას მამა-შვილი ერთმანეთს ეხვეოდნენ და ცხარე ცრემლს ღვრიდნენ.

ბოლოს მან გამოიგლოვა მეუღლე, მიაგო შესაფერისი პატივი და ჟამი რომ გამოხდა, „დაავდო ქართლი და მიჰმართა ჩაჰლმართ“. „ვითარცა წესი იყო, — წერს თამარის კარის ისტორიკოსი, — რა გარდახდა ჟამი ამის ვამისა და მოსაწვერისა მოქცევისა, კუალად იშუებდა მონადირე მთათა და ბართა, ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და (დასავლეთისა), ჩრდილოსა და სამკრისა“—ო (3,22-23). იქნებ მართალიც იყოს თამარის ისტორიკოსის ეს სიტყვები, იქნებ იგი მართლაც ძველებური ეშხით ნადირობდა მთებსა თუ ველებში? მაგრამ მაინც დაჭრილი იყო, ცალი ფრთა მაინც მოტეხილი ჰქონდა — მეუღლე აღარ ჰყავდა. ამას გარდა, წლებიც მოსძალებოდა. უკვე იმ ასაკში იყო, პაპამისი და მამამისი რომ გარდაიცვალნენ. ახლოვდებოდა მისი უკანასკნელი ბრძოლის ჟამიც. მას უნდა გადაეხადა ომი, რომლის მსგავსი არასოდროს წარემართა — ომის სიკვდილთან. და ეს ბრძოლა მართლაც შედგა კახეთის ერთ-ერთ სოფელ სტაგირში. აქ შეჰყრია გიორგი იმ მძლეუთა-მძლე ძალას და ვაი, რომ უშედეგოდ უქნევია მახვილი — დამარცხებულია. აქვე დაუღევია სული. ის კი არ გვიკვირს, რომ გიორგიმ ბრძოლა დათმო, არამედ ის — ხმლის ტრიალსა და ციხე-კოშკების ლეწვავში დაბერებულ კაცს აქამდე რომ არ მისწვდა მისი მსახვრალი ხელი.

გიორგი მესამე გარდაიცვალა „სტავირს კახეთისასა, თუვისა მარტსა ოცდაშვიდსა სამშაბათსა ვნებისასა“. ეს ცნობა დატყუილ აქვს ლაშა გიორგის-დროინდელ ქართველ მემატიანეს (13,36). თამარ მეფის ისტორიკოსიც აღნიშნავს: მეფე გიორგი „მასვე მსგეფსსა (ე. ი. შვიდეულს) მის (ე. ი. იესო ქრისტეს) ვნებისასა ივნო“ (4,24).

ლაშა გიორგის-დროინდელ ისტორიკოსს ისიც აქვს ნათქვამი, რომ გიორგიმ „იმეფა ოცდარვა წელი და მიიცვალა“-ო (13,367). მართალია, თამარის კარის ისტორიკოსს გიორგის მეფობა ოცდაცამეტი წლით აქვს განსაზღვრული, მაგრამ სწორი არ არის. აკად. ივ. ჯავახიშვილს გამოკვლეული აქვს, რომ იგი 1184 წლის 27 მარტს გარდაცვლილა. ამ თარიღს არაერთი სხვა წყაროც ადასტურებს (მაგ., ვარდან დიდის, ს. ორბელიანის თხზულებანი, რამდენიმე ქართული კვკლოსი, სომხური ეპიგრაფიკული ძეგლი).

გიორგის გარდაცვალების ამბავი თამარს თბილისში, კერძოდ, ისანში გაუგია. იგი ძაძებში შემოსილა და დიდი გლოვის ნიშნად თმის გლეჯა და ღაწვების ხოკვა დაუწყია. ცრემლთან ერთად სისხლის ნაკადი სდიოდა.

პატრიარქმა და სხვა დიდებულებმა სამშვილდიდან გიორგის დაიდგოფალი რუსუდანი მოიყვანეს. ერთად შეყრილი თამარი და რუსუდანი – მისი გამზრდელი, ერთმანეთის ხვეწნითა და სისხლნარევი ცრემლის ღვრით შევიდნენ სასახლეში. აქ კი, თამარის მშობლებისაგან დაცარიელებულ სახლში, იხილეს მიქაელ პატრიარქი, ეპისკოპოსები, ვაზირი ანტონი, ამირსპასალარი ყუბასარი, ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი და სხვ. აქვე ელაგა უპატრონოდ დარჩენილი სამეფო პორფირი, გვირგვინი, სკიპტრა და იარაღ-საჭურველი (4,24).

ღარბაზში მყოფთ თვალში ხვდებოდათ კედლებზე დახატული მეომრები, რაზმები, სპები, მონასპები, ქალაქები და ციხეები დანგრეული და აოხრებული გიორგისაგან. და ბოლოს, ნახეს ისიც, გიორგი მესამე „ტანითა გორგასლიანითა და მკლავითა აქილიანითა და პირითა მნათობიერთა“. თამარის კარის ისტორიკოსი გულისტკივილით შესძახებს: რა ენამ გამოსთქვას ის გლოვანი და თავში

ცემანი, ვაებანი, სისხლნარევი ცრემლის ღვრა და მოთქმანი, რაც იქ, განსვენებულის გვამის ახლოს, ხდებოდაო (4,24).

ჩვენ გვჯერა, რომ მართლაც ასე იქნებოდა, რადგან გარდაიცვალა დიდი ადამიანი. მთავრდებოდა ერთი ეპოქა — ეპოქა გიორგი მესამისა და იწყებოდა მეორე — ეპოქა ჯერ კიდევ უცნობი და არაფრისმთქმელი. ხალხმა დაჰკარგა დიდი მესაჭე — სიმშვიდის ფარი, ჯარმა — უებრო სარდალი, ხოლო თამარმა — უერთგულესი მამა.

საგლოვი ჰქონდა საქართველოს...

პოლოსიტყვა

აი, დავამთავრეთ წერა, ჩვენი სათქმელი უკვე ვთქვით. ახლა, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ვცადოთ, შევეთ გიორგის, როგორც ადამიანის და სახელმწიფო მოღვაწის შეფასება. ამის აუცილებლობა აშკარაა, რადგან დარწმუნებული ვართ წიგნის ბოლომდე ჩამკითხველს მთავარი გმირის კონკრეტული წარმოდგენაც მოესურვება. სურათი, რომელიც ჩვენს ცდას უნდა მოჰყვეს, ალბათ, მშვენივრად აირეკლავს გიორგის მთელ საქმიანობას, ხოლო თავისთავად აღებული გიორგის საქმიანობა მისი პორტრეტის დახატვის კარგ შესაძლებლობას იძლევა.

გიორგის პირადი ხასიათის კვალი ისე ღრმად ამჩნევია მისი მმართველობის მთელ ხანას, რომ ჩვენს მიერ ამ ეპოქის ზემოთ ჩატარებული ანალიზის შემდეგ, მისი პორტრეტის დამახასიათებელი შტრიხების ამოცნობა ადვილდება. აი, როგორც წარმოვიდგენთ ჩვენ მას.

როგორც ადამიანი: ნიჭიერი, მიზანსწრაფული, ცბიერი, გონიერი პიროვნებაა. წონასწორობას გამოუვალ მდგომარეობაშიც ინარჩუნებს. ამასთან ერთად მეტად დაუნდობელია, აღთქმულ სიტყვას და



პირობას არ იცავს. მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას ხმარობს, მათ შორის სიკვდილსაც. საკუთარი ოჯახისა და მის თათართა ერთგული და მოყვარულია. რელიგიურ დოგმებს დიდ ანგარიშს არ უწევს, როგორც მხედართმთავარი — ბრწყინვალეა. მის მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციები გამოირჩევა დიდი შედეგიანობით. მოქმედებს პრინციპით: „მოწინააღმდეგე მუდამ შიშში იყოლიე“.

ლადი, რაინდული ბუნების კაცია. თავისი ლაშქრობების სიმორთითა და სიძნელით თანამედროვეების გაოცებას ცდილობს. შეუძლია ამიერკავკასიის ერთი უკიდურესი წერტილიდან მეორეში ილაშქროს ან რამდენიმე მოწინააღმდეგე ქვეყანას ერთდროულად შეუტოს. ქვეცნობიერად დავით აღმაშენებელს ბაძავს და ხშირად კიდევ აჭარბებს მას.

ბრძოლაში პირადად იბრძვის და დიდ გმირობასაც სჩადის. მასში კარგი მხედართმთავრისა და მეომრის მონაცემებია შერწყმული.

გიორგის საშინაო პოლიტიკა: სამშობლოს ერთგული და მისი გაძლიერებისთვის მებრძოლი კაცია. ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას. სასტიკად ებრძვის ქურდ-ავაზაკებს. დაუნდობელია ქვეყნის ერთიანობის და სიმშვიდის დამრღვევთა მიმართ. თავგასულ დიდებულებს ფიზიკურად სპობს და მათ მიწებს თუ თანამდებობებს თავის ერთგულებს ურიგებს. არ ერიდება უგვარო, მაგრამ ერთგულ და ნიჭიერ პირთა დაწინაურებას. კარგი ურთიერთობა აქვს ეკლესიასთან. მას სხვადასხვა პრივილეგიებს აძლევს, სამაგიეროდ, მისი მხარდაჭერითაც დიდად სარგებლობს.

საგარეო პოლიტიკა: ატარებს ძალზე აქტიურ საგარეო პოლიტიკას. თუ ამის შესაძლებლობა აქვს საქართველოს საზღვრებს განუწყვეტლივ აფართოებს. დამორჩილებულ მხარეს ადგილობრივი წარმომადგენლის მმართველის ხელში კი არ ტოვებს, უშუალოდ იერთებს (თავის მოხელეს აბარებს), მოქმედებს პრინციპით — შეტევა საუკეთესო თავდაცვაა. მოწინააღმდეგეებთან მშვიდობიან ურთიერთობას დიდხანს ვერ გულობს.

ასეთია, ჩვენი წარმოდგენით, მეფე გიორგი. შეიძლება ეს დახასიათება სრული არ იყოს — რაიმე აკლდეს ან შემთხვევით ზედმე-



ტი რამ ჰქონდეს მიწერილი. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ჩვენამდე გიორგის შესახებ არსებულმა წყაროთა ნაწილმაღა მოაღწია. მრავალი ფაქტი სამუდამოდ დაიკარგა და მასთან ერთად გიორგისათვის დამახასიათებელი წვრილმანი თუ მსხვილმანი მონაცემი არ ვიცით. თუ მომავალში რაიმე მნიშვნელოვანი ცნობა აღმოჩნდება, მისი პორტრეტიც აუცილებლად დაიხვეწება.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ჯ. სტეფნაძე, დემეტრე პირველი. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1990 წ.
2. გ. ჯავარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995.
3. ჯ. სტეფნაძე, თამარის მამიდა რუსუდანი, „მნათობი“, თბ., 1987, №7.
4. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
- 4¹. ჯ. სამუშია, ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. წ. I, თბ., 1999.
5. ჯ. სტეფნაძე, რუსუდანი – თამარის და, „მნათობი“, თბ., 1985, №8.
6. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1948.
7. ლ. დავლიანიძე, დავით V სომხურ საისტორიო მწერლობაში, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1974, №2.
8. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტება-თა ლექსიკის საბიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1993.
9. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
10. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საბიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.
11. თ. ჟორდანიას, „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, ტ. I, ტფ., 1892.
12. ე. სიხარულიძე, აღ-ფარიკი საქართველოში. „სემიოლოგიური ძიებანი“, ტ. II, თბ., 1985.
13. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
14. Вардан Великий. Всеобщая история. пер. Н. Эмина, М., 1861.
15. ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“, კრ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, თბ., 1968.
- 15¹. მხითარ აირივანეცი. ქრონოგრაფიული ისტორია. ძველი სომ-

ზურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო
ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1990.

16. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქარ-
თული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად
მომზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა,
თბ., 1978.

17. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III. ტექსტი გამოსცა, თარგმნა
და კომენტარები დაურთო მაგალი თოდუამ, თბ., 1979.

18. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი. „აღწერა
სამეფოსა საქართველოსა“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი
ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

19. შ. ბაღრიძე, საქართველო და ჯვაროსნები, თბ., 1973.

20. მ. ურჰაელი, ქრონოგრაფია, ვალარშაპატი. 1898 (თარგმანი
ლ. დავლიანიძისა).

21. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკუ-
რი ვითარება XII ს-ის მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასა-
წყისამდე. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III, თბ.,
1979.

22. ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი
საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. კრ. „საქართველოს რუს-
თაველის ხანაში“, თბ., 1966.

23. Садр ад-Дин Али... ал-Хусайни. Ахбар ад-даулат ас-сельд-
жукийя (зубдат ат-таварих фи ахбар ал-умара ва-л-мулук ас-
сельджукийя). (Сообщения о Сельджукском государстве.
Сливки летописей, сообщающих о сельджукских эмирах и го-
сударях). Издание текста, перевод, введение, примечания и
приложения З. М. Бунятова, М., 1980.

24. პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერ-
თულები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975.

25. М. Лордкипанидзе, История Грузии XI-начала XIII века
(научно-популярный очерк), Тб., 1974.

26. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965.

27. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური
გაერთიანება და საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობათა განვი-
თარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.

28. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბ.,
1979.

29. Гюзальян Л. Т., Персидская надпись Кеи-Султана Шедади
в Ани. Академия наук СССР академику Н. Я. Марру, М.-Л.,
1935.



- 30. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966.
- 31. ლ. სანიკიძე, დედა ისტორია. ნაკვ. I. ოქროს საწმისიდან ბაზალეთამდე, თბ., 1992.
- 32. გ. მაისურაძე. ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ. კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966.
- 33. რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973.
- 34. საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.
- 35. ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII ს. საქართველოში. „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. III, თბ., 1966.
- 36. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.
- 37. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957.
- 38. მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.

დასასრულები



აზრიდონ მსახურთ-უხუცესის სოციალური წარმოშობისა

და აღზემების მიუხედავად შუახვევ*

დემნა უფლისწულის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მეფე გიორგი III (1156-1184 წწ.) მის ერთგულებს სასტიკად გაუსწორდა – წაართვა თანამდებობები, საკარგავეები თუ მამულები. განსაკუთრებით მკაცრად მოექცა ორბელთა გვარს. ივანე ორბელს – დემნას სიმამრს და აჯანყების სულისჩამდგმელს – თვალები დასთხარა, დანარჩენები წყალში დაახრხო ან კლდიდან გადაიჩხა. მხოლოდ ივანეს ძმა ლიპარიტი და მისი ვაჟები – ელიკუმი და ივანე – გადაურჩნენ სიკვდილს. სამხედრო დახმარების სათხოვნელად ისინი უცხო ქვეყნებში იყვნენ წასულნი და გიორგი III მათი ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა.

დასჯილი და დამდაბლებული დიდებულების ნაცვლად მეფემ თავისი ერთგული ადამიანები დააწინაურა. მათ შორის ზოგი ისეთი იყო, რომელიც არც აზნაურულ გვარს ეკუთვნოდა და არც რაიმე დამსახურებით გამოეჩინა თავი. წყაროები რამდენიმე ასეთ პირს ასახელებენ. ესენია: ყუბასარი, აფრიდონი და ჭიაბერი. სამივე სამეფო კარის დიდმოხელეთა შორის შეიყვანეს და მეფის წინაშე გამოჩენილი დამსახურებისათვის მიწა-მამულებით დააჯილდოვეს. ამჟამად ჭიაბერზე და ყუბასარზე საუბარს შეგნებულად თავს აგარიდებთ. ახლა აფრიდონის სოციალური წარმოშობისა და დამსახურების გარკვევას ვაპირებთ და მხოლოდ მასზე ლაპარაკით შემოვიფარგლებით.

ვინ იყო, ან რა დამსახურებისათვის დააწინაურა მეფემ აფრიდონი? ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ გიორგი III-მ მას საქართველოს მსახურთ-უხუცესობა უბოძა, რაც დიდი თანამდებობა იყო. მსახურთ-უხუცესს ექვემდებარებოდა სამეფო საღარო, სამეფო საწოლი და მისი გამგე მესაწოლეთ-უხუცესი, მეფის კერძო მეურნეობა და სხვადასხვა საფარეშონი (1,163).

* სტატია პირველად დაიბეჭდა გორის დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტის შრომების პირველ ტომში.

ამ ტიტულით იხსენიებს მას თამარის პირველი ისტორიკოსი თავის თხზულებაში. აღწერს რა მეფე გიორგის გარდაცვალებას, აღნიშნავს, რომ „სამეფო ტაძარში“ (ე. ი. სასახლეში) შესულმა თამარმა და მისმა მამიდა რუსუდანმა „იხილეს პატრიარქი ყოველთა ებისკოპოზითურთ მდგომი, და ვაზირი ანტონი, და ამირსპასალარი ყუბასარი, და სხუანი ჳელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთ-უხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარახი. ჳიანბერი მეჯინბეთ-უხუცესი, აფრიდონ მსახურთ-უხუცესი...“ (2,24-25).

იგივე ისტორიკოსი კიდევ ერთხელ წარმოგვიდგენს მას თავის თხზულებაში. ეხება რა დიდებულთა მიერ თამარისადმი წაყენებულ მოთხოვნას დაბალი წრიდან აღზევებულ მოხელეთა დამდაბლებას რომ გულისხმობდა, აღნიშნავს: თამარმა კარგად იცოდა ყიფნალი ყუბასარის დამსახურება მეფე გიორგის წინაშე და „თუნიერ ჳელისუფლებისა და ლორისაგან კიდევ არა რა დააკლო და ვერეცა სიყვარულითა დიდითა და პატივითა დაიჭირა დღემდე მიცვალებისა“. ე. ი. თანამდებობისა და ქ. ლორის გარდა არაფერი დააკლო მას. თანაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით შეინახა იგი გარდაცვალებამდე“ (2,30).

ამის შემდეგ აფრიდონის დამდაბლებასაც აღნიშნავს.

„კუალად აფრიდონ, – აგრძელებს მემატთანე, – აზნაურის ყმობისაგან ღმერთის მობაძაობით კაც-ქმნილი, მიიწია მსახურთ-უხუცესობამდის, თმოგვისა და სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონამდის აღზევებული, მოიშალა და დაიმკო ნებითა და თნევითა ლაშქართათა“ (2,30).

XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ს. ორბელიანის* დახმარებით ყუბასარის აღზევების მიზეზი კარგად არის ცნობილი. მისი სიტყვით, როდესაც დემნას ერთგულებისაგან დაპატიმრებას შემთხვევით გადარჩენილი მეფე გიორგი თავის აგარაკ სახატედან ქ. თბილისში გაიქცა და შიგ ჩაიკეტა, მან „მოუწოდა თავისად ყიფნაყსა ერთსა ყუბასარ სახელდებულსა და მოიპოვა კაცნი ვითარ ხუთას ოდენ“** და სხვა არავინ აქუნდა შემწე ვინმე“ (3,45-46).

* სტევანოს ორბელიანი სომხეთში დამკვიდრებული ელიკუმ ორბელის (ივანე ორბელის ძმის, ლიპარიტის ვაჟის) შთამომავალია.

** ს. ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანების A ვარიანტში 500 კაცია დასახელებული, B ვარიანტში კი – 5000.



თბილისში ჩაკეტილი მეფე დიდ გასაჭირში იყო ჩავარდნილი. სახატედან სასწრაფოდ გამოქცეულს ქალაქის კედლებიდან იწვარავდა. არც ჯარი გააჩნდა და არც იმედი იყო, რომ ჩქარა შეაგროვებდა მას. ქალაქის შემოგარენი და, საერთოდ, სამხედრო უპირატესობა იმუამად მთლიანად აჯანყებულების მხარეზე იყო. გიორგი, ალბათ, დღე-დღეზე ელოდა ქალაქზე თავდასხმას. აი, ამ გაჭირვებისას მიუყვანა ყუბასარმა მას დასახელებული რაოდენობის მეომრები (ალბათ, ყივჩაყები). საფიქრებელია, რომ ყუბასარი, სამოქალაქო ომის მთელ სიგრძეზე, კვლავაც ერთგულად ემსახურებოდა მეფეს და კარგადაც დაუფასდა. გიორგიმ მას ივანე ორბელის ორივე თანამდებობა – ამირსპასალარობა და მანდატურთ-უხუცესობა უწყალობა. ამ თანამდებობების თანდართვით იხსენიებს მას თამარის კარის პირველი ისტორიკოსი (2,30). თუმცა, მეორე ადგილზე, მხოლოდ ამირსპასალარის თანამდებობით იხსენიებს (2,25). მაგრამ ეს შემთხვევითია. იგი ივანე ორბელსაც ასე ექცევა ხოლმე.

უჩვენებელია, რომ სწორედ ამ დიდი დამსახურების გამო მიიღო ყუბასარმა ის მიწა-მამულებიც, რომლებზეც ს. ორბელიანი ლაპარაკობს. მისი სიტყვით, „ხოლო განდევნისა ორბელიანთასა განუყო მამული მათი მეფემან გიორგი რომელთამე მტერთა მათთა (ე. ი. ორბელების, ჯ. ს.) და შემასმენელთა და ზოგი მისცა ყივჩახსა, რომელსაც ეწოდა ყუბასარ, რომელი ზემოთ ვახსენეთ და მიანიჭა ადგილი მთავრობისა მათისა და დადგინა სპასალარად ყოველსა ზედა ქართლსა“ (3,54).

ამრიგად, აფრიდონისაგან განსხვავებით, ყუბასარის აღზევების მიზეზი ცნობილია.

აფრიდონ მსახურთ-უხუცესის ვინაობის გასარკვევად შეიძლება თამარის კარის პირველი ისტორიკოსის ის ცნობა გამოვადგეს, რომელიც ზემოთ უკვე მოვიყვანეთ. ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით ის ნაწილი იმსახურებს, რომელშიც მის სოციალურ მდგომარეობაზეა ლაპარაკი. ავტორის სიტყვით, აფრიდონი იყო „აზნაურისა ყმობისაგან ღმრთის მობაძაობითა კაც-ქმნილი“, ე. ი. ღმრთის სწორის (მეფის, ჯ. ს.) მიერ აზნაურის ყმობისაგან კაცად ქცეული.

იმ დროს, როდესაც თამარის ისტორია იწერებოდა, აზნაური გაბატონებული წრის უმაღლეს საფეხურზე მდგომთა აღსანიშნავად აღარ იხმარება. მართალია, აზნაური ახლაც თავისუფალი პირია, მაგრამ უკვე სხვაზე – მეფეზე, დიდებულზე ან დიდ კვლესიაზეა დამოკიდებული. ასე რომ, აფრიდონის „აზნაურის



ყმობა“ აშკარად მიუთითებს მის დაბალ წარმოშობაზე, აზნაურის ყმობაზე. გამორიცხული არ არის, რომ იგი თავის პატრონს, ე. ი. აზნაურს მსახურის პატივში ჰყავდა აყვანილი, მაგრამ მსახურები გლეხის წრიდან გამოდიოდნენ. ასე რომ, აფრიდონი გლეხი ან გლეხის ოჯახიდან გამოსული მსახური უნდა ყოფილიყო. ისტორიკოსის თხრობის კილოც ამაზე უნდა მიუთითებდეს. მისი სიტყვით, აფრიდონი „კაცად“, ე. ი. ფეოდალური საზოგადოების სრულფასოვან წევრად მეფემ აქცია. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც იგი „კაცქმნა“, ე. ი. დიდება (თანამდებობა) და მიწები აჩუქა. აზნაურის ყმა-გლეხი ან მსახური კი მას „კაცად“ არ მიაჩნია. ისტორიკოსის თხრობის კილოში აშკარად შეინიშნება საზოგადოების ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი აფრიდონის მსახურთ-უხუცესობამდე, თმოგვისა და სხვა ციხე-ქვეყანათა პატრონობამდე აღზევებით გაკვირვება.

აფრიდონის სოციალური წარმოშობის გარკვევის შემდეგ ჩვენს ყურადღებას იქცევს ს. ორბელიანის ერთი ცნობა. მასში აღნიშნულია, რომ დემნას მომხრე დიდებულები ივანე ორბელის აგარაკზე შეიკრიბნენ და აჯანყების გეგმაზე დაიწყეს მსჯელობა. ბოლოს გადაწყვიტეს: მოულოდნელად თავს დასხმოდნენ მეზობელ სოფელ სახატეში მცირე დამცველი რაზმით მდგომ მეფეს, შეეპყროთ იგი, ტახტიდან გადაეყენებინათ და მის ნაცვლად დემნა დაეთითს ძე გაემეფებინათ, მაგრამ ყველაფერი ჩაიშალა. ს. ორბელიანი გვაუწყებს: „ესმა განზრახვა ესე (ე. ი. დიდებულთა თათბირის გადაწყვეტილება, ჯ. ს.) შეურაცხსა ყრმასა ერთსა, წარვიდა ღამესა მას და აუწყა მეფესა. მაშინ ამხედრდა იგი ცხენსა და მეყსეულად ღტოლვითა შევიდა ტფილისში და მუნ გამაგრდა (3,45).

არ შეიძლება კაცი არ დააფიქროს ს. ორბელიანის გამოთქმამ, „შეურაცხი ყრმა“. XIII-XIV საუკუნეების მიჯნის ისტორიკოსი ს. ორბელიანი ქართველი დიდებულების – ორბელების შთამომავალია და სოციალური ფენების ღრმა შეგრძნება აქვს. სიტყვა „შეურაცხი ყრმაც“ ზუსტად გამოხატავს მის სათქმელს. „შეურაცხი“ „უმნიშვნელოს“, „არად ჩასაგდება“, „უბრალოს“, „დაბალი წარმოშობის“ აღსანიშნავადაც იხმარებოდა (2,617). მაშასადამე, ს. ორბელიანის ცნობით, დემნას აჯანყების საქმეზე მოთათბირენი ერთი დაბალი წარმოშობის, არადჩასაგდებ ახალგაზრდას გაუცია.

როგორ გადაუხადა მეფე გიორგიმ თავის მხსნელს ეს დიდზე დიდი დამსახურება? სამწუხაროდ, წყაროები ამაზე არაფერს



ლაპარაკობენ. ეს კიდევ უფრო მეტად გვიბიძგებს კითხვისკენ: თამარის კარის პირველი ისტორიკოსის „აზნაურის ყმა“ და ს. ორბელიანის „შეურაცხი ყრმა“ ერთი და იგივე პირი ხომ არ არის? არ შეიძლება მეფე გიორგის თავისი მხსნელი არ დაეწინაურებინა. ხომ არ არის იგი აფრიდონი – აზნაურის ყოფილი ყმა და მეფისაგან მსახურთ-უხუცესობამდე აღზევებული?

ამასთან დაკავშირებით ხელახლა უნდა მივუბრუნდეთ ს. ორბელიანის იმ ცნობას, რომელშიც დასჯილი ორბელთა მამულების განაწილებაზეა ლაპარაკი. ს. ორბელიანი წერს: მეფე გიორგიმ მათი მამული გაუყო „რომელთამე მტერთა მათთა და შემასმენელთა და ზოგი მისცა ყიფჩახსა, რომელსა ეწოდა ყუბასარ...“ (3,54).

აქედან ცხადად ჩანს, რომ ორბელთა მამულები მეფეს სამი რიგის ხალხზე გაუნაწილებია: ორბელთა გვარის მტრებისათვის, ორბელთა დამბეზღებლებისათვის და ყიფჩაღ ყუბასარისათვის. ის „შეურაცხი ყრმაც“, რომელმაც შეთქმულთა გადაწყვეტილება მეფეს შეატყობინა და იგი ტახტიდან გადაგდებას (იქნებ სიკვდილსაც) გადაარჩინა, ამ ხალხში ხომ არ იგულისხმება? ვუიქრობთ, რომ ასეა. განა აშკარად არ არის მითითებული, ორბელთა მიწები მათი გვარის მტრებს, ყუბასარსა და ამ გვარის მეფესთან დამბეზღებლებს („შემასმენელთა“) მიეცაო.

„შეურაცხი ყრმა“ – არაღჩასაგდები კაცი – ორბელთა გვარის მტრად ვერ ჩაითვლება. ორბელთა გვარის მტრობა, პირველ რიგში, მისადმი ეკონომიკურ მეტოქეობას გულისხმობს და მათსავეთ ძლიერ, ქონებითა და გავლენით ცნობილ ოჯახებს შეეფერება. საქართველოში ასეთი გვარები ბევრი იყო და მათ კიდევ მიიღეს განადგურებული გვარის ქონების ნაწილი. ასე რომ, „შეურაცხი ყრმა“ – ეს არაღჩასაგდები, მსახური ან გლეხის შვილი (სხვა ვინ შეიძლება ყოფილიყო ივანე ორბელის აგარაკზე – ვაჭარი, ხელოსანი?), ორბელთა გვარის მტრად არ ჩაითვლება. ფეოდალური საზოგადოების ღვიძლი შვილი, ს. ორბელიანი ასეთ კვალიფიკაციას არც მოახდენდა. რაც შეეხება ყიფჩაღ ყუბასარს, მისი ვინაობაც ვიცით და დაწინაურების საფუძვლებიც. მას სულ სხვა დამსახურებისათვის მიანიჭა მეფემ პატივი და დიდება. ამაზე ზემოთ ვილაპარაკეთ და ახლა აღარ შევხებებით. ვუიქრობთ, რომ ყუბასარისა და შეთქმულების გამცემის იდენტურობის შესახებ ფიქრის დაშვებაც კი გამორიცხებულია.

ასე რომ, განადგურებული ორბელთა გვარის მიწის ნაწილი იმ „შეურაცხ ყრმასაც“ უნდა მიეღო, რომელმაც ივანე ორბელინი და მისი სხვა მოგვარენი თუ თანამოაზრენი (დემნას გამეფების საკითხში) მეფე გიორგისთან „შეასმინა“ ანუ დააბეზლა.

ზემოთ ჩვენ გამოვთქვით აზრი იმის შესახებ, რომ ს. ორბელიანის მიერ დასახელებული „შეურაცხი ყრმა“ – შეთქმულთა საიდუმლოების გამცემი, თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებით კარგად ცნობილი აფრიდონი უნდა ყოფილიყო. ახლა კი იმასაც დავამატებთ, რომ აფრიდონმა მსახურთ-უხუცესობის თანამდებობა, აგრეთვე ქ. თმოგვი, ორბელთა მიწის ნაწილი და სხვა ციხენი თუ მხარეები დემნა უფლისწულის მომხრე ფეოდალთა საიდუმლო გადაწყვეტილების მეფე გიორგისათვის შეტყობინების სამაგიეროდ მიიღო.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
2. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, ტვ., 1928.

თამარის მამიდა რუსუდანი*

XII ს. საქართველოში მრავალი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ცხოვრობდა. საკმარისია დავასახელოთ დავით აღმაშენებელი, დემეტრე, გიორგი III, თამარი, დავით-სოსლანი და სხვ. მათ შორის ღირსეული ადგილი უჭირავს თამარის მამიდას – რუსუდანს.

საქართველოს მეფეს, დემეტრე პირველს, ხუთი შვილი ჰყავდა: აქედან ორი ვაჟი იყო, სამი კი – ქალი. ვაჟები საქართველოს მეფეები შეიქმნენ და ისტორიაში კარგად ცნობილი პირები გახდნენ. ქალთაგან მხოლოდ ერთის – რუსუდანის სახელი ვიცით. რაც შეეხება ორ დანარჩენს, კიევის რუსეთისა და დარუბანდის დედოფლებს, მათი სახელები უცნობია.

დაახლოებით 1135-1136 წლებში დაბადებული რუსუდანი ჯერ კიდევ ბავშვი იყო ერაყისა და დასავლეთ ირანის სულთან ყიას ად-დინ მასუდზე რომ დაწინდეს. დაახლოებით 1149-1152 წლებში, სრულწლოვანად გახდომის შემდეგ კი, გაათხოვეს. რუსუდანისა და მასუდის შეუღლება რომ მართლაც 1148 წლის შემდეგ მომხდარა, კარგად ჩანს XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის მხითარ გოშის ერთი ცნობიდან. 1148 წლის ამბებთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ დემეტრეს „ქალიშვილი სულთნის ცოლი უნდა გამხდარიყო – სახელად რუსუდანი და (სასიძოს მისთვის) ქ. განძაკი ჰქონდა მიცემული, როგორც მისაგებელი“ (148).

სამწუხაროდ, რუსუდანის მეუღლეს დიდხანს არ უცოცხლია. იგი 1152 წელს გარდაიცვალა და უდროოდ დაქვრივებული მისი ახალგაზრდა მეუღლე სამშობლოში დაბრუნდა. რუსუდანსა და მასუდს შვილი არ ჰყოლიათ.

სულთნის ცოლობა დიდ პატივად ითვლებოდა. ეს თვით რუსუდანსაც ძალიან ეამაყებოდა და შესაძლებლობის შემთხვევაში, ყოველთვის აღნიშნავდა, რომ „დიდთა სულთანთა რძალი“ იყო (2,102-103).

* სტატია პირველად დაიბეჭდა 1987 წელს ჟურნალ „მნათობის“ მეშვიდე ნომერში.

საქართველოში დაბრუნებული რუსუდანი ერთგვარ პრივილეგიურებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს არამარტო მისი „სულტანთა რძალყოფილობით“ იყო განპირობებული, არამედ იმითაც, რომ იგი ამ ქვეყნის მმართველი დინასტიის წარმომადგენელი იყო. მისი ეს მდგომარეობა მშვენიერად აქვს გაგებელი თამარის ერთ-ერთ ისტორიკოსს. იგი წერს: რუსუდანი „სძალყოფილი დიდთა სულტანთა შამირამეთი და დედოფალი ყოვლისა ხურასნელთა უფლებისა... სიქურიეისათჳს თჳსადეჲ მამულად მოყვანებული დედოფლად დაჯდა ქართველთად, უფროსლა დიდებად სახლისა თჳსისად და ყოვლისა ამის სამეფოსა“ (3,115).

რუსუდანს გარს მრავალი ნათესავი ეხვია. მაგალითად: მამა – დემეტრე, ძმები – დავითი (შემდეგში საქართველოს მეფე) და გიორგი (საქართველოს მეფე 1156-1184 წლებში), ძმისშვილები, რძლები და სხვ. მან მმართველ ელიტაში იმთავითვე ღირსეული ადგილი დაიკავა და ეს მდგომარეობა მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა.

რა საქმიანობას ეწეოდა სამშობლოში მობრუნებული რუსუდანი?

სამწუხაროდ, კარგა ხნის განმავლობაში იგი წყაროებში არ ჩანს, მაგრამ ეს მისი პასიური ცხოვრებით როდია გამოწვეული. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდის საქართველოს სამეფო კარის ისტორია, რომელიც თავის დროზე ფილოსოფოს იოანე ჭიჭინაძემს ჰქონდა დაწერილი, დაკარგულია და, თავისთავად ცხადია, რუსუდანზე არსებული ცნობებიც არ შემორჩენილა. მაგრამ დაახლოებით 1165 წელს იგი უეცრად ჩნდება ისტორიის ფურცლებზე. თანაც ისე მასშტაბურად წარმოგვიდგება, რომ ცხადი ხდება, აქამდეც სისხლჭარბი ცხოვრება უნდა ჰქონოდა.

გიორგი III-მ გამეფებისთანავე ხანგრძლივი ომი წამოიწყო თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ. მან აიღო მოწინააღმდეგის ხელში მყოფი სომხური ქალაქები – დვინი, ანისი და სხვ. საქართველოს მეფის საქმიანობით შემოფოთებული მაჰმადიანი მმართველები შეერთებული ძალით აღდგნენ მის წინააღმდეგ. საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას თვით სულთანი ხელმძღვანელობდა. გაჭიანურებულმა ომმა ორივე მხარე დაღალა. ბოლოს, გიორგი III იძულებული გახდა, ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. მან. კ. ანისი, რომლის დაკარგვამ ყველაზე მეტად გააღიზიანა მტერი, მისსავე მფლობელს, შედადიანთა გვარის შვილს არსლანს დაუბრუნა. მაგრამ არსლანმა საქართველოს მეფის ყმად აღიარა თავი. მოშულარ მხარეთა შორის მშვიდობის დამყარება ერთობ



დიდი საქმე იყო. იმ ეტაპზე საქართველოს ნამდვილად შესაძლებლობდა შესვენება და მისი მოპოვება ქართული დიპლომატიის წარმატებად უნდა ჩაითვალოს. აქ ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ მის ორგანიზებაში გადამწყვეტი როლი რუსუდან დედოფალს უთამაშია. აი, რას წერს თამარის პირველი ისტორიკოსი: „შემდგომად ამისა უბოძა ანისი თვისსავე მემამულესა და ითაყუნა თავისა თვსად ყმად. და თვით შემოეხუეწა ელდიგუზ ათაბაგი და ჩამოდგა შუა სულტანსა და ქართველთა, და ითხოვა ზავი. აქათ დედოფალი რუსუდან, დაჲ მათი (გიორგი III), სულთნის ცოლყოფილი ჩამოდგა, და შეიქმნა მშვიდობა და ზავი ჟამ რაოდენმე“ (3,15).

ილ-დეგიზ ათაბაგი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა და მისგან ასე რთულ სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობა გასაკვირი არ არის, მაგრამ რუსუდანისათვის კი ძალზე საპატიოა. ეს მის დიპლომატიურ ნიჭზე ლაპარაკობს, რაც მან შემდგომშიც არაერთხელ გამოამჟღავნა. რუსუდანს, როგორც სულთნის საცოლეს, ალბათ, ბავშვობიდანვე საგანგებოდ მოამზადებდნენ სადედოფლოდ. შეისწავლიდნენ საჭირო ენებს (არაბულს, სპარსულს, თურქულს), ზნე-ჩვევებს, ისტორიას. გააცნობდნენ აღმოსავლური მეცნიერებისა და ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა ნაწარმოებებს. როგორც ჩანს, გიორგი III გაითვალისწინა თავისი დის საერთო განათლების დონე, სიახლოვე სულთნის კართან და საქვეყნო საქმეც ამიტომ მიიანდო. როგორც ითქვა, არც შემცდარა. ზავი დაიდო.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსუდან დედოფალმა, როგორც დიპლომატმა და სახელმწიფო მოღვაწემ ღირსეულად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მისიას, რითაც ხელი შეუწყო საქართველოს პოლიტიკური ძლიერების შენარჩუნებას.

სანამ რუსუდანის შემდგომ საქმიანობაზე ვილაპარაკებდეთ, გვინდა მის აღმზრდელობით მოღვაწეობაზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. თამარის ისტორიკოსთა თხზულებიდან ირკვევა, რომ ამ დიდებულ ქალს საქარველოსათვის სულ მცირე ორი ცნობილი მოღვაწე აღუზრდია. ესენი არიან: თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით-სოსლანი. თამარი რომ რუსუდანის გაზრდილია, ეს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორს არაერთგან აქვს ნათქვამი (3,24,29). იგი ასევე ხშირად ლაპარაკობს რუსუდანის მიერ დავით-სოსლანის აღზრდის შესახებაც. ერთგან, მაგალითად, წერს: „იყო სახლსა შინა დედოფალისა რუსუდანისსა მოყმე ეფრემის ძეთაგან (იგულისხმება

დავით-სოსლანი), რომელ არიან ოვსნი, კაცნი მძღენი და მძღიერნი ბრძოლასა შინა. ესე დედოფალს რუსუდანს, ვინათგან თუს ეყვოდა მამის დისა მისის დავითის ასულისა ოვსეთს გათხოვილისა მიზეზითა, მოეყვანა საზრდელად სახლსა შინა მისსა“ (3,46). რუსუდანის მიერ დავითის აღზრდის შესახებ თხზულების სხვა ადგილებზეც არის ლაპარაკი (3,47,57).

დავით-სოსლანს რუსუდანის გაზრდილად თვლის ბასილი ეზოსმოძღვარიც. მისი სიტყვით, „იყო უკუე შვილი ოვსთა მეფისა, გაზრდილი რუსუდან დედოფლისა, ყრმა ფრიად მშვენიერი ასაკითა“ დავით-სოსლანი და ქართველმა დიდებულებმა მისი თამართან შეუღლება გადაწყვიტეს (3,121).

რას ნიშნავს გაზრდა, რა წვლილი შეიტანა რუსუდანმა საქართველოს ამ ორი მოღვაწის ჩამოყალიბებაში? დედოფალ რუსუდანის სასახლე, ისევე როგორც სხვა დიდებულთა, განსაკუთრებით კი სამეფო კარი, კულტურის, ფეოდალურ ზნეობათა სწავლებისა და გავრცელების კერასაც წარმოადგენდა. ასეთ ადგილებში თავშეყრილი დიდებულთა შვილები სამხედრო საქმეში, მაღალ საზოგადოებაში თავის დაჭერისა და კარის ეტიკეტის ცოდნაშიც ოსტატდებოდნენ. რაც შეეხება განათლებას, წიგნიერი ცოდნის მიღებას, ამ საქმეს საგანგებო დაწესებულებანი ემსახურებოდნენ. იმდროინდელ საქართველოში ყველა სახის სასწავლებელი არსებობდა. როგორც ჩანს, არც კერძო ოჯახებში განათლების მიღებაზე ამბობდნენ უარს. ერთ-ერთ ასეთ კერად რუსუდან დედოფლის კარი გვევლინება. რუსუდანისთანა ნიჭიერი ქალისაგან ასეთი საქმიანობა მოულოდნელი არ არის. ტყუილად არ ამბობდა მის შესახებ ისტორიკოსი, რომ დავითისა და თამარის ქორწილში „... დედოფალი რუსუდან ყოველითა სიბრძნითა სავსე მოქმედებდა: აქათ ბაგრატიანი ბაგრატიანითა გუარ-ზეობითა აწყობდა რიგთა სახლისათა, და ქუემოთ ხუარასნისა და ერაყისა სულტანთა სძლობითა გამეცნიერებული, ბუნებრივითა სახიობითა და შუებითა მოქმედებდა“-ო (3,47).

როგორ აღზრდას ღებულობდნენ რუსუდანის კარზე? თამარის პირველმა ისტორიკოსმა თითქმის სრული ცნობა შემოგვინახა იმ დარგებზე, რომლებიც დავით-სოსლანს აღზრდის პროცესში შეუსწავლია. ესენია მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, ცურვა, ასპარეზობა და რაც მთავარია, მწიგნობრობა. აი, მისი სიტყვები: „ესე დავით წელიწადსა მოქცევამდე ესრეთ წამეჯობინა ყოველსა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა და მცურავსა, მოასპარეზესა, მწიგნობარსა და ყოველსა ნასწავლსა ჰელითა სიკეთითა,

ვითა დღეს ჩანს, რომელ შინათ ვინ ყოვილა მოსრულ ვერავინ სადა გამოჩენილა მისებრი“ (3,48).

მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ რუსუდანის აღსაზრდელი ვაჟები მშვილდოსნობას, ცხენოსნობას, ცურვას, ასპარეზობასა (ე. ი. ცხენბურთსა, ჯირითსა და სხვ.) და მწიგნობრობაში (ე. ი. სხვადასხვა მეცნიერების სწავლაში) ხელოვნდებოდნენ. ცხადია, განსხვავებულ ცოდნას მიიღებდნენ ქალები. აღნიშნული მეცნიერების გარდა, ისინი, ალბათ, სპეფიციკურ ქალურ საქმეებსაც შეისწავლიდნენ. წყაროებიდან ცნობილია, რომ თამარმა მშვენიერი ქსოვა იცოდა. აღსანიშნავია, რომ მან თავისი ხელით მოქსოვილი კვართ-ფილონებით თორმეტი მღვდელი შემოსა. მემატიანე იმასაც აღნიშნავს, რომ იგი თავის გამოსაკვებ ხარჯს ხელსაქმის გაყიდვის შედეგად აღებული ფულით ფარავდა, სამეფო შემოსავალს კი არაფერს აკლებდა (3,48). თამარს ეს სიძუნწით როდი მოსდიოდა. იმავე ისტორიკოსის სიტყვით, იგი სულის ცხონებაზე ფიქრობდა და, იმდროინდელი გაგებით, ღარიბ-ღატაკთა ან ღვთის მსახურთა გაკითხვა, სხვისი შრომის გამოუყენებლად ცხოვრება ამის უებარი საშუალება იყო. თამარმა მშვენიერი ხელსაქმე რომ იცოდა, ეს, რა თქმა უნდა, რუსუდანის სკოლის დამსახურება იყო.

კარგი აღზრდის კვალი ემჩნევა თამარის ყოველ სიტყვას თუ წერილს. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს საეკლესიო კრებაზე წარმოთქმული მისი სიტყვა. ამ პირველმა სახალხო გამოსვლამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ, ბასილი ეზოს-მოძღვრის ცნობით, აღთროვანებული ეკლესიის მესვეურნი „მადლობდეს ღმერთსა და თან მეფესა ღმრთივგაბრძნობილსა“ (3,118). დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს სულთან რუქნადინის წერილის მისეული პასუხიც.

რუმის სასულთნო თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა და საკმაოდ ძლიერ ქვეყნად ითვლებოდა. მისი ახალგაზრდა სულთანი რუქნადინი საქართველოს დაპყრობას აპირებდა და სალაშქროდ გამზადებულმა უკმეხი ტონით შეთხზული წერილი გამოუგზავნა თამარს. რუქნადინის (1196-1204 წწ.) წერილი დაცულია თამარის კარის ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში. ამ დამამცირებელ და გამაღიზიანებელ წერილზე თამარმა შედარებით მშვიდი, აუჩქარებელი,



მაგრამ თავის თავსა და ლაშქრის ძლევამოსილებაში დარწმუნებული ხელმწიფის შესაფერი პასუხი გაუგზავნა. აი, ისიც: ლისა შემძლე ღმერთის ძალას მინდობილმა და მარად ქალწული მარიამის მეედრებელმა და პატიოსანი ჯვრის სასოებით მოსავემა წაეკითხე ღვთის განმარისხებელი შენი წერილი, ჰოი ნუქარდინ, და მიეხვედი შენს სიცრუეს, რომლის განმსჯელი დაე, ღმერთი იყოს. განა არ ვსმენია „ღვთის სახელის ყოველი ცრუდ მოფიცარი, მის მიერ ამოიძირკებაო“

შენ, ღვთის განგების უცოდინარი, ოქროთი დატვირთული ვირების გამრეკების ბრბოს მინდობილხარ, მე კი - არც სიმდიდრეს, არც ჩემი ჯარის სიმრავლეს, არც სხვა რამ ადამიანურს არ ვენდობი. მე მხოლოდ ყოვლის მპყრობელი ღვთის ძალისა და შენგან დაგმობილი ქრისტეს ჯვრის დახმარების მოიმედე ვარ. როგორც შემოგეთვალა, ვგზავნი ქრისტეს მოსახელე ჩემს მხედრობას, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ თავყვანი გცენ, არამედ რათა შენი სითაყხედე და ამპარტავანი გული დაამხო, თანაც ღვთის სახელის პატივისცემა გასწავლონ. დაე, აღსრულდეს ღვთის ნება და არა შენი, სამართალი მისი და არა შენი. მსმენია შენი მსახურების სიზარმაცის ამბავი და ამიტომ ჩემსას გიგზავნი, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოგართვან ჩემი პასუხი და თან გაგაფრთხილონ: ჩემი სპა უკვე კარს მოვდგომია“ (3,134-135).

მეტს არაფერს ვიტყვი. დაე, ამ ორი პატარა მაგალითით იმსჯელოს მკითხველმა თამარის განსწავლულობასა და იმ სასწავლებლის დონეზეც, სადაც ასეთი მოღვაწეები იზრდებოდნენ.

თამარის ისტორიკოსის ერთი ცნობით, დედოფალ რუსუდანს სხვა მოწაფეებიც ჰყოლია. დავით-სოსლანის ნიჭიერების წარმოსახენად იგი წერს: ერთი წლის განმავლობაში მან ისე გაუსწრო ყველა მშვილდოსანს, ცხენოსანს, მოცურავეს, მოასპარეხეს, მწიგნობარსა და ყველა ნასწავლს თავისი ხელმარჯვეობით, რომ ვერც ისინი, ვინც მას ასწავლიდნენ და მასთან ერთად სწავლობდნენ და ვერც უცხო ქვეყნებიდან (საქართველოში) მოსული განსწავლულები მას ვერ შეედრებოდნენ (3,48).

ამრიგად, რუსუდან დედოფლის ოჯახში სხვა პირებსაც მიუღიათ განათლება. ამათგან ერთ-ერთი თამარის და რუსუდანი უნდა ყოფილიყო. დიპლომატიური სარბიელისა არ იყოს, თამარის მამიდას ამ დარგში მოღვაწე სხვა პირებს შორის საპატიო



ადგილი უნდა დაეუთმოთ. ბოლოს და ბოლოს, მისი სკოლის სა-
დიდებლად ორი ჭკვიანი მეფის აღზრდაც კი კმარა. ახლა,
კვლავ რუსუდანის სახელმწიფო მოღვაწეობას მიეუბრუნდეთ.

1184 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, ახალგაზრდა თა-
მარი სახელმწიფოს ერთადერთ საჭეთმპყრობელად იქცა. მაგრამ
მის წინაშე მაშინვე მრავალმა საკითხმა მოიყარა თავი. რომელი
ერთი დავასახელოთ? მამამისის პოლიტიკით უკმაყოფილო სა-
ზოგადოების დაშოშმინების აუცილებლობა, საქართველოს
საზღვრებთან მოახლოებული მტრის უკუგდება... იმასაც ხომ შე-
რიგება უნდოდა, რომ იგი თავისი ბიძაშვილის – დემნას სისხ-
ლით მორწყულ ტახტზე უნდა მჯდარიყო! ამ რთულ ვითარებაში
თამარი ისეთი დაბნეულ ჩანს, რომ ტახტის დაკავებისაც კი ეში-
ნია და მამის სიკვდილით გამოწვეულ სამგლოვიარო დროს
აჭიანურებს. დიდებულები შფოთავენ. პატრიოტული ძალები
ქვეყნის მდგომარეობის განმტკიცებას ითხოვენ და ამისათვის
საგანგებო ღონისძიებებს სახავენ. აი, სწორედ ამ არეულობის
ჟამს ამოუდგა მხარში თამარს მისი მამიდა რუსუდანი და რო-
გორც შესძლო, ჭაპანი შეუმსუბუქა. რა საქმიანობას ეწეოდა რუ-
სუდანი, სანამ სახელმწიფო ასპარეზზე ხელმეორედ გამოჩნდუ-
ბოდა? მის აღმზრდელიობით საქმიანობაზე უკვე ვილაპარაკეთ.
სხვა რა იტაცებდა, რა უჩქროლებდა გულს მას? ამაზე დაწერი-
ლებით ლაპარაკის საშუალებას წყაროები არ იძლევიან, მაგრამ
საფიქრალია რომ, ისიც, ისევე, როგორც მაშინდელი მთელი სა-
ქართველო, შეძრული იყო დემნას აჯანყებითა და მისი ტრაგი-
კული დასასრულით. განა საფიქრელი არ არის, რომ რუსუდანს
რაიმე ელონოს უდროოდ დაღუპული ძმის, დავითის ნაშვირის
დემნას გადასარჩენად? დავითი ისეთივე ძმა იყო რუსუდანის,
როგორც გიორგი. მართალია, ბედმა ისე მოაწყო საქმე, რომ
ვერც ის დამკვიდრდა ტახტზე და მისი ვაჟი დემნაც მამისეული
სკიპტრის ძიებას შეეწირა, მაგრამ მერე რა, განა ბედისაგან და-
ჩაგრული ძმისა და ძმისშვილის დატირება რუსუდანის მოვა-
ლეობას არ შეადგენდა? თითქოს დემნას ასე მკაცრად დასჯისა-
თვის ღმერთმა სამაგიერო გადაუხადა გიორგი III-ს, ჯერ ცოლი
წაართვა და შემდეგ თვითონაც იმ ქვეყანას გაუყენა. რამდენი
ცრემლი უნდა დაეღვარა რუსუდანს? სიბერის გზაზე მდგომს
თითქმის ყველა ნათესავი დაეღუპა, მაგრამ, სამაგიეროდ, ცის

ტატნობზე ახლა იწყებდა ამობრწყინებას მისი აღზრდილი
რის ვარსკვლავი.

მეფე გიორგი რომ გარდაიცვალა, რუსუდან დედოფალი სამშვილდეში იმყოფებოდა. იქ მოუტანეს ეს საზარელი ამბავი და ისიც ძმის დასატირებლად გაემგზავრა. გზაში თამარს შეეყარა და ერთმანეთის მხარდამხარ, სისხლნარევი ცრემლებით მიეახლნენ ახლობელი ადამიანის გვამს. ისტორიკოსი ბრწყინვალედ აღგვიწერს მგლოვიარე სასახლეს და იქ გამეფებულ მდგომარეობას. რუსუდანმა და თამარმა „მიმოიხილეს გარემო და იხილეს მიქელ პატრიარქი ყოველთა ეპიზკოპოზითურთ მდგომი, და ვაზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარი, და სხუანი ჴელისუფაღნი: ყუთღუ-არსლან მეჭურჭლეთ-უხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარეხი, ჴიაბერი მეჯინბეთ-უხუცესი, აფრიდონ მსახურთ-უხუცესი, ივანე... და დიდებულნი, აზნაურნი, მონანი და მოყმენი, თანა პორფირი და გურგუნი სკიპტრითა და საჭურველთა იხილეს კედლებიცა სრისა სავსე მეომართა, რაზმები, სპები, მონასპები, ქალაქები და ციხეები აწყვედილი და ოხერ-ქმნილნი“ და იქვე იწვა მიცვალებულიც (ახლა თვით მკითხველმა წარმოიგვინოს რუსუდანისა და თამარის მდგომარეობა. ჩვენ კი თხრობა განვაგრძოთ).

გავიდა ხანი, დამთავრდა გლოვისათვის განკუთვნილი დრო და ცხოვრება კვლავ თავისი გზით წარიმართა. სახელმწიფოს ინტერესები უმოქმედობისა და უმეფობის ხანის სასწრაფო ლიკვიდაციას ითხოვდა. მაგრამ თამარი გამეფებას სრულიადაც არ ჩქარობდა. მაშინ, – წერს თამარის პირველი ისტორიკოსი, – საქართველოს დიდებულებმა დედოფალ რუსუდანს განუცხადეს: დღეს შენ ხარ თამარის მშობელთა ნაცვალი. უთხარი, თავი დაანებოს გლოვას და ტახტი დაიკავოსო. რუსუდანმა თამარს დიდებულთა დანაბარები გადასცა. თამარიც, როგორც იქნა, დაემორჩილა რუსუდანს (3,26).

ნუთუ მრავლის მნახველ რუსუდანს არ აკრთობდა მისი აღზრდილის ასეთი პასიურობა. განა ცოტა რამ ხდებდა, როცა ტახტი უპატრონოდ რჩება? მაგრამ იგი ისეთი ქალი არ ჩანს, ტყუილი ეჭვებით რომ თავი გაეწამებინა. მან იცოდა, რომ თამარი ტახტის ერთადერთი მემკვიდრელი იყო და დიდებულებსაც, დღეს თუ ხვალ, მისთვის უნდა ეთხოვათ პატრონობა. განა მართლაც

ასე არ მოხდა? ეს ტაქტიკა რუსუდანის მოფიქრებული ჩანს. თამარს თავი ისე დაატყერინა, თითქოს ტახტზე უარს ამბობსო და დიდებულებს შიში გაუჩინა, ვაითუ, უმეფოდ დავრჩეთო. უმეფობა კი მართლაც დიდი უბედურება იყო: განუკითხაობა, უწესრიგობა, ურთიერთისათვის მიწა-მამულების მიტაცება, ლაშქრობების მოშლა, თავდამსხმელისათვის ორგანიზებული პასუხის გაუცემლობა და სხვა უბედურებანი ყველას, მათ შორის, დიდებულებსაც აკრთობდათ. სწორედ ამიტომ ითრევედა ფეხს თამარი და ტახტზე ასვლას აჭიანურებდა. მისმა ჭკვიანმა მამიდამ კარგად იცოდა, რომ სანამ ბაგრატიონი თამარი არსებობდა, ტახტს სხვა გვარის კაცი ხელს ვერ დააკარებდა. გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, მან თვითონ დიდებულები გამოიყვანა თამარის გამეფების ინიციატორად. ამით ხალხს დაანახვა, რომ მეფე გიორგის ქალიშვილს გულშიც კი არ გაუვლია ტახტზე დაჯდომა, მაგრამ დიდებულებმა აიძულესო. ასეთი გამართლება თამარს ნამდვილად სჭირდებოდა. ჯერ ერთი – ქალი იყო, რაც მის გამეფებას უჩვეულო ხასიათს აძლევდა. მეორეც, დემნა უფლისწულის მომხრეები, ალბათ, მასაც უზურპატორად თვლიდნენ. მას შემდეგ, რაც ქვეყნის დიდებულებმა თამარს თვითონ შესთავაზეს ტახტი, გიორგი III-ის ქალიშვილს ეს ბრალდებები მოეხსნა. მანაც ტახტი დაიკავა და მმართველობას შეუდგა, მაგრამ უაღრესად ძნელი აღმოჩნდა მეფობა. მეტისმეტად რთული პრობლემების გადაჭრა იყო საჭირო და თამარისა და რუსუდანისაგან აუჩქარებლობასა და გონებამახვილობას ითხოვდა. თუნდაც ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა რად ღირს? მეფე თამარს დაუპირისპირდა თავის მიზანში საკმაოდ კარგად გარკვეული ფეოდალთა ჯგუფი, რომელიც ჩანაფიქრის განხორციელებისათვის არც სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაზე ამბობდა უარს. საკმარისი იყო ერთი გაუთვალისწინებელი ნაბიჯი, რომ ქვეყანაში სამოქალაქო ომის ცეცხლი დანთებულიყო, მაგრამ სწორედ ეს საბედისწერო შეცდომა არ იქნა დაშვებული. თამარმა და რუსუდანმა მოჯანყენი მშვიდობიანად ჩააშოშმინეს. ქვეყანა გადარჩა ზედმეტ სისხლისღერას, მაგრამ ახლა თამარის გათხოვების საკითხი წამოიჭრა.

როდესაც გიორგი III-მ დემნა უფლისწული დაასაჭურისა და დააბრმავა, ვერ გაითვალისწინა ერთი რამ, რაც მას აუცილებ-



ლად მხედველობაში უნდა მიეღო. საქმე იმაში იყო, რომ დედნა ერთადერთი მამაკაცი იყო ბავრაციონთა გვარში და მისი დაღუპვა სავალალო შედეგებს მოუტანდა ქვეყანას. მას ტახტის თავისი ქალიშვილისათვის გადაცემა გადაეწყვიტა, მაგრამ ის ხომ ქალი იყო, გათხოვდებოდა და, უნებლიედ, საქართველოს ტახტზე ვიღაც გადამთიელსაც მოისვამდა. მაშინდელი წესის თანახმად, საქართველოს მეფის შვილები – ვაჟებიცა და ქალებიც, უცხო მეფეთა შვილებს უნდა შეუღლებოდნენ.

წყარობიდან ჩანს, რომ თამარის გათხოვების საქმე ერთობ საჩქაროდ იყო მიჩნეული. ისტორიკოსის სიტყვით, ქვეყნის ბედზე მზრუნველი დიდებულები თამარს „უშვილობასა მოაქსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფობასა დერტვინავდეს, წინამძღვარსა სპათასა ითხოვდეს“ (3,120).

დიდებულთა მოთხოვნა გამართლებული იყო. როგორც ჩანს, იმდროინდელ საქართველოში თამარის ტახტზე ასვლა მაინც დროებით მოვლენად მიაჩნდათ და მემკვიდრის გაჩენას საქმის გამოსწორებად თვლიდნენ. ამიტომაც წუხდნენ მემკვიდრის თაობაზე. თუ ეს ასე არ გავიგეთ, მემატინის სიტყვების მნიშვნელობა ჩვენთვის აუხსნელი გახდება. რაღა თამარის შვილს ეძიებენ, როცა ის სრულიად ახალგაზრდაა და ტახტიც ეს-ესაა დაიკავა. თამარის ისტორიკოსი მართალია, რომ აღნიშნავს, დიდებულები მხედართმთავარს ითხოვდნენო. დიდებულებში უმაღლესი სამხედრო პირები შედიოდნენ და მათ კარგად იცოდნენ საქართველოს საზღვრებთან შექმნილი რთული მდგომარეობის შესახებ. კაცი-მეფის არარსებობის გამო სარდლები ხელფეხშეკრულნი იყვნენ და მტერიც გააქტიურდა. ამრიგად, თამარისა და რუსუდანის წინაშე ისეთი საკითხები წამოიჭრა, რომელთა დროზე გადაუჭრელობა არ შეიძლებოდა.

წყარობიდან ჩანს, რომ თამარის საქმროს შერჩევის სადავეები მთლიანად რუსუდანის ხელში იყო. შერჩეული პირის – ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟის იურის ყიფჩაღეთიდან საქართველოში მოსაყვანად შექმნილი დელეგაციის გამგზავრების დასტურიც მან მისცა. ისტორიკოსი გვაუწყებს: „და შემოკრბეს (დიდებულეუბი) წინაშე რუსუდან დედოფლისა და განზრახვითა ყოველთათა წარაველინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ“ (3,119).



იური ბოგოლიუბსკი რომ თბილისში მოიყვანეს, დიდებულები კვლავ „შეკრბეს წინაშე დედოფლისა“ და მომავალ ქორწილზე დაიწყეს მსჯელობა. სამწუხაროდ, რუსუდანისა და სხვა ქართველი დიდებულების არჩევანი მცდარი გამოდგა. შესახედავად მიმზიდველი რუსი უფლისწული აუტანელი ხასიათის კაცი აღმოჩნდა. მისი ნაკლის შესახებ თვითონ თამარი აღაპარაკდა და მასთან გაყრაც კატეგორიულად მოითხოვა. რუსუდანს დაშვებული შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა მიეცა და მაშინვე გამოიყენა იგი. მემატიანის სიტყვით, „... რუსუდან დედოფალმან და ყოველთა მთავართა საწყალობლად განაძეს“ იური საქართველოდან (3,121).

დიდებულებმა კვლავ დაიწყეს დაპარაკი თამარის გათხოვების აუცილებლობაზე „რამეთუ თამარს ხედვიდეს უშვილოდ და მარტოსა მკუდრად სახლისა თუსისა“ (3,121).

თამარის ხელის მთხოვნელთა შორის თანდათან გამოიჩინა პირი, რომელსაც, ალბათ, ყველა კარგად იცნობდა, ვინც რუსუდან დედოფალთან დაახლოებული იყო. ეს გახლდათ მისი გაზრდილი სოსლანი, იგივე დავითი, ოსეთის მეფის შვილი. თავისთავად ცხადია, რომ თამარისა და დავითის შეუღლების ინიციატორი რუსუდანი იქნებოდა. სხვათა შორის, თვით თამარსაც არ უჭოჭმანია, როცა დავით-სოსლანზე გათხოვება დაუპირეს. ისტორიკოსის სიტყვით, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ თამარი იცნობდა დავითს (3,122).

წყაროებიდან ჩანს, რომ, ისევე როგორც პირველ, მეორე შემთხვევაშიც, თამარის გათხოვების საქმეს რუსუდანი წარმართავდა. სწორედ მან აუწყა თამარს, რომ დიდებულები შენს საქმროდ დავით-სოსლანს ითხოვენო. მანვე გატეხა თამარის მოჩვენებითი წინააღმდეგობა, რაც ქორწინებაზე საერთოდ თავის შეკავებაში მდგომარეობდა და საქმრო დიდებულებში მოიყვანა. იქვე შედგა ქორწილიც. ადვილი წარმოსადგენია რუსუდანის ბედნიერება! ჯვარს მისი ორი გაზრდილი იწერდა, ერთი – უკვე მეფე, მეორე კი მისი მომავალი ნახევარი და ასევე მეფე, დავითი. იმ დიდებული ქორწილის ორგანიზება, რომლის ბრწყინვალეობა საუკუნეების განმავლობაში არ დაავიწყდა ქართველ ხალხს, რუსუდანის დამსახურება იყო. მემატიანე გვაუწყებს, რომ ქორწილზე „დედოფალი რუსუდან ყოვლითა სიბრძნითა



სავსე მოქმედებდა: აქათ ბავრატონთა გუარ-ზეობითა აწყობდა რიგთა სახლისათა, და ქუემოთ ხუარასნისა და ერაციისა სველ ტანთა გუარ სძლობითა გამეცნიერებული, მუნებრივი სახიობითა და შუებითა მოქმედებდაო“.

თამარისა და დავით-სოსლანის შეუღლებისას რუსუდან დედოფალი უკვე 60 წელს მიღწეული იყო და ახლა შეეძლო, საკუთარ სიმშვიდეზეც ეფიქრა – რომელიმე მონასტრისათვის შეეფარებინა თავი, როგორც ეს მან შედარებით გვიან გააკეთა. მაგრამ იგი წყნარი, დუნე ცხოვრებისათვის გაჩენილი არ იყო. მას საერო ცხოვრება ჯერ არ ეთმობოდა და ახალგაზრდული ვნებით ტრიალებდა მის შუაგულში. მისი ბიოგრაფიიდან მოვიყვანოთ კიდევ ორიოდე ფაქტი: ცნობილია, რომ 1191 წელს თამარის პოლიტიკით უკმაყოფილო ზოგიერთმა დიდებულმა განდევნილი იური ბოგოლიუბსკი საქართველოში დააბრუნეს და კვლავ ტახტზე დაუპირეს აყვანა. თამარისა და აჯანყებულების ლაშქრებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლები დაიწყო. ბოლოს, აჯანყებულები დამარცხდნენ. ბრძოლაწაგებულმა ღიხთიქითელმა დიდებულებმა შენდობა ითხოვეს და სიცოცხლის უსაფრთხოების მიზნით თავიანთ ბანაკში დედოფალ რუსუდანისა და თამარის ზოგიერთი ერთგული დიდებულის გამოცხადება მოითხოვეს. რუსუდანმა ახლაც წარმატებით შეასრულა თავისი მოვალეობა – მათ ბანაკში გამოცხადდა და აჯანყებულთა მეთაურები თამარს მის საზაფხულო რეზიდენციაში – ნაჭარმაგევში მიუყვანა (3,54).

მეორე ამბავი კი ასეთი იყო: დაახლოებით 1195 წელს საქართველოს ორი საპატიო სტუმარი ეწვია. ესენი იყვნენ: შარვანშაჰი აღსართანი და მისი სიძე ამირ-მირმანი – ირანის აზერბაიჯანის ერთი ნაწილის მფლობელი. აღსართანი საქართველოს მეფის ყმადნაფიცი იყო და ამირ-მირმანს საგანგებოდ ჩამოჰყვა თბილისში. მას სურდა სიძის საქართველოს მეფისათვის წარდგენა და მისთვის დახმარების აღმოჩენის თხოვნა. საქმე იმაში იყო, რომ აზერბაიჯანის ათაბაგმა თავისი ძმა ამირ-მირმანი სამფლობელოდან გამოაგდო და აღარც სიმამრთან შეხიზნულს აძლევდა მოსვენებას. ერთ-ერთ ბრძოლაში მან სიძე-სიმამრი სასტიკად დაამარცხა. საქართველოს ფარგლებში შემოსული საპატიო სტუმრების რაზმს თამარი და დავითი აგარის ჭალაში



შეეგებნენ. ამ საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად მათ „აწვეეს და მოიწვეეს დიდითა ზარითა და პატივითა დედოფალი რუსუდან“ (3,64).

ამ დროს რუსუდანი 65 წელს გადაცილებული უნდა ყოფილიყო და მისი იქ ყოფნა მაინცდამაინც აუცილებელი არ ჩანს, მაგრამ მადლიერი შეილობილები – თამარი და დავითი, ყურადღებას არ აკლებდნენ მას. გამორიცხვად არ არის, რომ მაჰმადიან სტუმრებთან შეხვედრასა და მოლაპარაკებაში მათ წარმატებით გამოეყენებინათ რუსუდანისა ის დიპლომატიური ნიჭი და უნარი, რომლითაც ერთხელ უკვე ისარგებლა გიორგი III-მ. საერთოდ, ცნობილია, რომ აღსართანსა და ამირ-მირმანთან მოლაპარაკებაში წარმატებით ჩაიარა და დიდი შედეგიც მოუტანა საქართველოს.

სად ან რა პირობებში გაატარა თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები რუსუდან დედოფალმა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ერთობ ძნელია. წყაროებში ისეთ ხელნაწილებს ვერ ვპოულობთ, სასურველ საიდუმლოს რომ გავგიცხადებთ. მაგრამ თამარის ისტორიკოსს ბასილი ეზოსმოძღვარს ერთგან ისეთი რამ აქვს ნათქვამი, აშკარა ხდება, რომ რუსუდან დედოფალი მონაზვნად აღკვეცილა. რუსუდანის დაქვრივებასა და საქართველოში მის დაბრუნებაზე ლაპარაკისას ავტორი წუხს, რომ საშუალება არ აქვს ვრცლად ილაპარაკოს მის სილამაზესა და მანამდე მცხოვრებ დედოფლებთან შედარებით უპირატესობაზე. ბოლოს აცხადებს: „ვიკადროთ რამე, რამეთუ ოთხმოცისა წელიწადისა დღეთამან შეიყუარა მტკიცედ ქალწულება, სიწმინდე და სიკეთე დიდად სრული“, ე. ი. გაკადნიერდები და იმას მაინც ვიტყვი, რომ ოთხმოცი წლისამ შეიყვარა ქალწულება და სიწმინდეო.

რა უნდა იგულისხმებოდეს გამოთქმაში, ოთხმოცი წლის ასაკის რუსუდანმა ქალწულება შეიყვარაო? ვფიქრობთ, აქ ჩვეულებრივ ქალწულობაზე – შეუუღლებლობაზე არ არის ლაპარაკი. ბასილმა კარგად იცის, რომ რუსუდანი თავის დროზე გათხოვილი იყო და მის მიმართ ასეთი გამოთქმის ხმარება სინამდვილედ არ ჩაითვლებოდა. როგორც ჩანს, იგი სულ სხვა ქალწულობას გულისხმობს. ცნობილია, რომ მონაზონი ქალები ქრისტეს სასძლოებად ითვლებოდნენ. მონაზონთა უმეტესი ნაწი-



ლი ქალწული, გაუთხოვარი ქალებისაგან შედგებოდა. ისე რომ მონაზნობა ქალწულობის სინონიმად შეიძლება ჩაითვალოს. ამგვარად, მოტანილ ამონაწერში ბასილი ეზოსმოდვარი ოთხმოც წელს მიღწეულ რუსუდანის მონაზვნად აღკვეცაზე უნდა ლაპარაკობდეს. სწორედ ამიტომ თელის იგი რუსუდანის ამ ნაბიჯს შესანიშნავად.

აშკარაა, როგორ ძველებია რუსუდანს სიცოცხლე, როგორ გაძნელება თავის შეიღობილებთან – თამართან და დავითთან განშორება, მაგრამ დაახლოებით მე-13 ს. ათიან წლებში, როდესაც მას დაბადებიდან ოთხმოცი წელი უნდა შესრულებოდა, აღარც დავითი იყო ცოცხალი და, შესაძლოა, აღარც თამარი. პოდა, მონაზვნობაც მაშინ გადაუწყვეტია.

თუ ყოველივე ზემოთ ნათქვამს გავითვალისწინებთ, ჩვენს თვალწინ წარმოდგება XII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს უმნიშვნელოვანესი მოღვაწის გრანდიოზული ფიგურა. მას იმდენი რამ აქვს გაკეთებული პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების ასპარეზზე, რომ თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ თამარის ეპოქის საქართველოს ერთ-ერთ მესაჭედ და შემოქმედად. ვფიქრობთ, მისი როლის გაუთვალისწინებლობა ბევრ რამეს დააკლებს ჩვენი ისტორიის კვლევის საქმეს.

მითითებული ლიტერატურა:

1. ლ. დავლიანიძე, მხითარ ვოშის „ალბანეთის ქრონიკა“, წიგნში: ქართული წყაროთმცოდნეობა, თბ., 1968.
2. Археологическое путешествие по Гурии и Адчарии, Д. Бакрадзе, СПб., 1878.
3. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

ისტორიული რომანი და ისტორია

(გ. ვერმიშევის რომანის „ამირსპასალარის“ გამო)*

ჩვენ, რა თქმა უნდა, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ისტორიული რომანის ავტორმა წერის პროცესში მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული ფაქტებით ილაპარაკოს, როგორც ამას ისტორიკოსები აკეთებენ და გასაქანი არ მისცეს თავის ფანტაზიას, მაგრამ მაინც გვკონია, რომ ისტორიული რომანი პირველ რიგში ისევ ისტორიული უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ რომანისტმა მხატვრული ხერხებით და ფერების მოშველიებით ისევ და ისევ იმ წყაროებისა და ფაქტების გაცოცხლება უნდა სცადოს, რომლებიც მის მიერ სამუშაოდ აღებულ ეპოქას ეკუთვნის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხატვრული ხერხებით გაცოცხლებული ეპოქის აღწერის ნაცვლად, ჩვენ მივიღებთ სინამდვილეს მოწყვეტილ თხრობას, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ გართობისა და გულის გადაყოლების ამოცანა თუ ექნებოდა.

ისტორიული რომანის ავტორისათვის ფაქტებისა და წყაროების ცოდნა განსაკუთრებით მაშინ ხდება აუცილებელი, როცა იგი მეზობელი ხალხის ამა თუ იმ ხანის ცხოვრების აღწერას ცდილობს. ამ შემთხვევაში ის იძულებული ხდება კვალდაკვალ მისდიოს ისტორიულ წყაროებს, რათა ამ ხალხის ჭეშმარიტი ისტორია არ გააყალბოს. ამას მოითხოვს მეზობელი ხალხებისადმი პატივისცემის ვრძნობა.

ჩვენს მიერ სარეცენზიოდ აღებული გ. ვერმიშევის რომანი „ამირსპასალარი“, რომელიც საკმაოდ დიდი ტირაჟით (65 000) საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გამომცემლობამ გასულ, 1968 წელს გამოსცა რუსულ ენაზე, ჩვენი

* ეს ნაშრომი ჟურნალ „ცისკრის“ 1969 წლის მეორე ნომერში უნდა დაბეჭდილიყო. ავწყო კიდევ. მაგრამ უკვე მზა ნომრიდან ცენზურამ ამოიღო. ცენზურის აზრით, სომეხ მწერალ გ. ვერმიშევთან ჩემი კამათი სომეხებს გაანაწყენებდა. სამწუხაროდ, არც ცენზურა და არც სხვა პირი თუ დაწესებულება ჩვენი სამშობლოს ისტორიის დამახინჯებას არაფრად აგდებდა და ძმობა-მეგობრობის ყალბი იდეით შეპყრობილნი, საქართველოს ისტორიის დამცველთ, ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ.

იმავლე ნომრიდან ამოღებულ იქნა აგრეთვე ა. ბაქრაძის რეცენზია გ. ვერმიშევის დასახელებულ რომანზე (ავტორი).



აზრით, სრულიადაც არ აქცევს ყურადღებას ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის შესახებ წერის დროს ამ ქვეყნის ისტორიულ წყაროების გამოყენების აუცილებლობას და ნაცვლად მხატვრულ ფერებში წარმოჩენილი ეპოქის ჭეშმარიტი სურათისა, გვაძლევს რაღაც არარასებულ, სინამდვილის საწინააღმდეგო სურათს. ისე რომ, სრულიად ირღვევა ისტორიული სინამდვილე. ამასთან ერთად, მკითხველის თვალში მდაბლდება ერთი ხალხი, მისი წარსული და კულტურა და შეუსაბამოდ განდიდებულად წარმოგვიდგება მეორე ხალხი. სამწუხაროდ, დამდაბლებულის როლში ქართველი ხალხი ჩანს. ძირითადად მაინც ამ გარემოებამ გვაიძულა, აღნიშნული წიგნის ირგვლივ ჩვენი შენიშვნები გამოგვეთქვა.

რომან „ამირსპასალარის“ მთავარი მოქმედი პირი, როგორც თვითონ სათაურიც მიუთითებს, ზაქარია ამირსპასალარია. ეს ის ზაქარიაა, რომელიც თამარ მეფის მოხელე იყო და თავისი კარგი სამხედრო ნიჭის წყალობით ბევრი რამ გააკეთა საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისათვის.

იმის გამო, რომ წიგნის მთავარი მოქმედი პირი სინამდვილეშიც და წიგნის მიხედვითაც XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწეთაგანია, ცხადია, ავტორი იძულებული იყო, თავის რომანში გარკვეული ადგილი დაეთმო იმ ქვეყნისა და ხალხისათვის, სადაც და რომელთა შორისაც ზაქარია მხარგრძელს მთელი თავისი მოღვაწეობა უხდებოდა.

ზაქარიამ ამირსპასალარობა გამრეკელ-თორელის შემდეგ, 1191 წ. მიიღო. ამ დროსაც საქართველოს ჯარის უმაღლეს მთავარსარდლად მეფეთ-მეფე ითვლებოდა, ხოლო თამარის მეორე ქორწინების შემდეგ, 1189 წლიდან, რაკი თამარს, როგორც ქალს, არ შეეძლო სამხედრო ოპერაციების უშუალო ხელმძღვანელობა, უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობა ნაწილობრივ თამარისავე მეუღლის – დავით-სოსლანის (ბაგრატიონის) ხელში გადავიდა, თუმცა თამარს ამ დიდი მოვალეობისაგან ხელი არ აუღია. დავითი უშუალოდ სარდლობდა ყველა დიდ ლაშქრობას, ზაქარია კი ამ საქმეში მისი პირველი თანაშემწე იყო. ამრიგად, საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური წარმატებანი XII-XIII სს. მიჯნაზე დაკავშირებულია არა მარტო ზაქარიას სახელთან, როგორც ეს გ. ვერმიშევს წარმოუდგენია, არამედ უმთავრესად თამარ მეფის, დავით-სოსლანის, გამრეკელ-თორელის, ზაქარიას,

Ֆալգա ახალციხელის, ივანე ახალციხელის და მრავალი სხვა სარდლებისა თუ გმირი მეთომრების სახელებთან.

გ. ვერმიშევის არაჯანსაღმა მიდგომამ საქმისადმი საქართველოს იმდროინდელ ისტორიასთან დამოკიდებულებაში იჩინა თავი. თავისი არასწორი და, ხშირ შემთხვევაში, ცალმხრივი მიდგომით მისი „ამირსპასალარი“ უდავოდ შეაშფოთებს XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიაში გათვითცნობიერებულ მკითხველს.

პირველ რიგში, მოკლედ გვსურს გავახსენოთ მკითხველს ზოგი რამ XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველოს სახელმწიფოს შესახებ, რადგანაც მწერალს სწორედ იგი ამოუღია მიზანში და ცდილობს ჩრდილი მიაყენოს ქართული სახელმწიფოებრიობის ამ ბრწყინვალე ეპოქას.

XII საუკუნის დასაწყისიდან, კერძოდ, დავით აღმაშენებლის დროიდან, ბიზანტიელებისა და თურქ-სელჩუკების მიერ პოლიტიკურად და ეკონომიურად დასუსტებული სომხეთის ტერიტორიების გარკვეული ნაწილი შირაქის სამეფოს დედაქალაქ ანისითურთ საქართველოს სახელმწიფოს უშუალო შემადგენლობაში შემოვიდა.¹ საქართველოს ლაშქარი ამიერკავკასიაში გაბატონებულ თურქ-სელჩუკებს თანდათან ატოვებინებდა ძველ პოზიციებს და სამხრეთისაკენ ერეკებოდა. სომხეთის მიწა-წყლის საქართველოს ფარგლებში შემოსვლა სწორედ ამის შედეგი იყო. დავით აღმაშენებლის გარდაცვალების (1125 წ.) შემდეგ სომხეთისათვის ბრძოლა საქართველოსა და თურქ-სელჩუკებს შორის მწვავე ხასიათს ღებულობს. საქართველო, როგორც ქრისტიანი ქვეყანა, პოლიტიკურად მოშლილი მეზობლის – სომხეთის მფარველობას იჩემებდა და მისი ტერიტორიისათვის იბრძოდა, ხოლო თურქ-სელჩუკები ამიერკავკასიაში ძველი პოზიციების აღდგენას ცდილობდნენ. ამის გამო იყო, რომ ყოფილი შირაქის სამეფოს დედაქალაქი – ანისი და სხვა ტერიტორიები თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი საქართველოს მეფის გიორგი III-ის დროს (1156-1184) ხელიდან ხელში გადადიოდა.²

¹ История армянского народа, ч. I, Аипетрат, Ереван, 1951, стр. 159. შეად. Очерки истории СССР, IX-XIII вв., стр. 602 и др.
² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, თბ., გვ. 228-239; შეად. История армянского народа, ч. I, გვ. 159-160.

გიორგი III წარმატებით იბრძოდა აგრეთვე სომხეთის სხვა ქალაქებისათვისაც. ასე მაგალითად, XII საუკუნის 60-იან წლებში მან აიღო სომხეთის ცნობილი ქალაქი დვინი³ და საქართველოს ფარგლებს შემოუერთა იგი.

თამარის მეფობაში სომხეთის მიწების დიდი ნაწილი უკვე საქართველოს ფარგლებში შემოდის. თამარ მეფის ჯარები სომხეთის ისეთი უკიდურესი სამხრეთის ქალაქების ხელში ჩაგდებას ლაშობენ, როგორებიც არის ხლათი და არჭეში.

1208-1209 წწ. საქართველოს ჯარმა ქ. არჭეში აიღო,⁴ ხოლო მას შემდეგ ქ. ხლათს შემოარტყა ალყა. თუმცა, როგორც ცნობილია, ხლათის ოპერაცია, საქართველოს მსახურთუხუცესის ივანე მხარგრძელის ტყვედ ჩაეარდნის გამო, წარუმატებლად დამთავრდა.⁵

ასე რომ, თამარ მეფის გარდაცვალების წინ სომხეთის სამეფოს ტერიტორიების დიდი ნაწილი უშუალოდ შემოდოდა საქართველოს ფარგლებში. მათგან მხოლოდ უკიდურეს სამხრეთში მდებარე ზოგიერთ მაჰმადიან მმართველთა სამფლობელოს შემოერჩინა პოლიტიკური არსებობა, თუმცა ისინიც იძულებული იყვნენ, საქართველოს გარკვეული გავლენის ქვეშ ყოფილიყვნენ. საქართველოს ფარგლებში შემომავალი სომხური მიწები უშუალოდ უერთდებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს. სომხეთს არავითარი დამოუკიდებელი პოლიტიკური სახე აღარ გააჩნდა.⁶ მისი პოლიტიკური ცენტრი თბილისი იყო, ხოლო პოლიტიკური უფალი – საქართველოს მეფე. ესაა XII-XIII საუკუნეების მიჯნის სომხეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ტექნიკური სურათი, იმდროინდელი წყაროების მონაცემთა ზედმიწევნით გათვალისწინების შედეგად შექმნილი. გ. ვერმიშევი თავის „ამირსპასალარში“ სრულიად საწინააღმდეგო სურათს იძლევა. მართალია, სომხეთის ტერიტორიების საქართველოს ფარგლებში შემოსვლას გარკვეულ დრომდე ვერც ის უარყოფს, მაგრამ სრულიად განსხვავებულად აქვს მას წარმოდგენი-

³ Всеобщая история Вардана Великого, пер. Эмина, М., 1861, стр. 166. შეად. მათე ურპაელი, ისტორია, იერუსალიმის 1869 წ. გამოც. გვ. 546-547.

⁴ M. Defremery, Fragments de geographes et historiens arabes et persians... jurnal Asiatigue de memoire d'extraits et de notices relatif à j histoire...), tome III, Paris, გვ. 517-518.

⁵ Всеобщая история Вардана Великого, пер. Эмина, 1861, стр. 181-182. შეად. M. Defeemery, Frag. გვ. 520-521.

⁶ ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ განცხადების დროს მხედველობაში არ ვღებულობთ კილიკიის სომხურ სამთავროს, რომელიც 1198 წლიდან უკვე სამეფოდ იქცა.

ლი XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველო-სომხეთის კოლიტიკური დამოკიდებულების ფორმა. მისი აზრით, ამ დროის სტრუქტურით შაქარია მხარგრძელის ხელმძღვანელობით ადგილობრივი სახელმწიფოებრიობა აღდგა. ახლა იგი საქართველოს უშუალო შემადგენლობიდან გამოვიდა და ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. საქართველოს მასთან ამის შემდეგ მხოლოდ ფედერაციული ურთიერთობა აკავშირებდა.⁷

უნდა აღინიშნოს, რომ აზრი XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველოს ფეოდალური მონარქიის ფარგლებიდან სომხეთის სახელმწიფოს გამოყოფისა და მათ შორის რაღაც ფედერაციის მსგავსი კავშირის დამყარების შესახებ გ. ვერმიშევს არ გამოუთქვამს პირველად. ამ აზრს ბევრი სომეხი ისტორიკოსი იზიარებს.⁸ ქართველმა ისტორიკოსებმა სომეხ მეცნიერთა ამ შეხედულებებს კარგა ხანია უკვე კრიტიკული თვალთ შეხედეს და ასეთი აზრის საწინააღმდეგოდ თავიანთი კატეგორიული სიტყვაც თქვეს.⁹

მართლაც, არის თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ გ. ვერმიშევმა ან რომელიმე სხვამ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე რაღაც საქართველო-სომხეთის გაერთიანებულ სახელმწიფოზე ილაპარაკონ? ჩვენი აზრით, ასეთი შეხედულებებისათვის საფუძველი არ არსებობს.

იმდროინდელი საქართველო, რომელიც საკმაოდ დიდ ტერიტორიებს ფლობდა, თავის ფარგლებში, ქართულის გარდა, მრავალ არაქართულ მიწებსაც აერთიანებდა. მათ რიცხვში, როგორც უკვე ითქვა, იყო სომხეთის ტერიტორიებიც.

იმდროინდელი საქართველოს განაპირა მხარეები იყოფოდნენ ცალკეულ სამმართველო ერთეულებად, ანუ სანაპიროებად, რომლებსაც სანაპიროს გამგებელი-მონაპირე უდგებოდა სათავეში. ქართული სანაპიროები თავისი მნიშვნელობით სრულიად ემ-

⁷ Г. Вермишев, Амирспасалар, 1968, М., стр. 343 и др.

⁸ შუაღ. Манандян Я. А., О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1954, стр. 266; История армянского народа, ч. I, 1944, Ереван, стр. 176-178; История армянского народа, ч. I, 1951, Ереван, стр. 165; Атлас Армянской ССР, Ереван, Москва, 1961, стр. 206; Советский Союз географическое описание в 22 томах, "Армения", М., стр. 71 и др.

⁹ ჩვენ მხედველობაში გვაქვს პროფ. ვ. დონდუას წერილი, Некоторые замечания на коллективный труд "История армянского народа, ч. I, под редакцией Б. Н. Аракеяна и А. Р. Иоанесяна, Ереван, 1951 г.", რომელიც ჯერ კიდევ 1953 წელს დაიბეჭდა (იხ. „მიომხილველი“, 1953 წ., თბ., №3, გვ. 307-321).



თხვეოდნენ ევროპულ სამარკგრაფობებს.¹⁰ სანაპიროს გამგებელი – მონაპირე მოვალე იყო ქვეყნის საზღვრის უზრუნველყოფას უზრუნა და მტრისათვის თვალყური ედევნებინა. დარბაზი ხშირად მათ დიდი მასშტაბის სამხედრო ოპერაციებსაც ავალებდა ხოლმე. მათ საკმაოდ დიდი უფლებები ჰქონდათ. იმდროინდელ საქართველოში ცხრა ასეთი სანაპირო ერთეული იყო. ესენი იყვნენ: ჰერეთის, კამბეჩიანის (ქიზიყის), გაგის, ტაშირისა და ზორაკერტის (სომხითი), თმოგვის და თორის, სამცხის ანუ არტაანის და შავშეთ-სპერის ანუ ფანასკერტის სანაპიროები.¹¹ ისინი ძირითადად სამხრეთ-საზღვრისაკენ – მთავარი საფრთხის საწინააღმდეგოდ იყვნენ მიმართულნი.

ზაქარია მხარგრძელი, რომელიც გ. ვერმიშევს უკვე სომხეთის დამოუკიდებელ მმართველად წარმოუდგენია, ქართული წყაროების მიხედვით მეტი არაფერი არ არის, თუ არა საქართველოს ერთ-ერთი ასეთი სანაპიროს – ტაშირისა და ზორაკერტის გამგე. მემბტიანე ამის შესახებ წერს: „ამოღმართ (სანაპირო, **ჯ. ს.**) ზორაკერტი იყო და ტაშირი, სადათ ზაქარია და ივანე დაიწყეს პირველად ბრძოლა ლომურად ზემოთ, და ქვემოთ, და ყოველსა ადგილსა“.¹² გარდა იმისა, რომ ზაქარია მხარგრძელი მონაპირე მოხელეა და რის გამოც მას ტაშირ-ზორაკერტი აქვს ჩაბარებული სამმართველოდ, იგი საქართველოს მხედართმთავარიც (ამირსპასალარი, **ჯ. ს.**) იყო, რის გამოც მას, სამხედრო საქმეების გამგებელს,¹³ საქართველოს სახელმწიფოს ყველაზე ძნელად დასაცავი მხარე – სომხეთი ჰქონდა ჩაბარებული. მხოლოდ და მხოლოდ მისი საქართველოს ამირსპასალარობით იყო გამოწვეული, რომ იგი ყოფილ შირაქის სომხეთის სამეფოს დედაქალაქ ანისში იჯდა და ამ მხარეების დაცვას ხელმძღვანელობდა. ყველა სხვა პირი, რომელიც საქართველოს ამირსპასალარი ხდებოდა, ასევე ანისში – როგორც საქართველოს სახელმწიფოს ყველაზე საშიშ და სამხრეთისაკენ წაწეულ პუნქტში ჯდებოდა და მის დაცვას ხელმძღვანელობდა. აქ იჯდა ხოლ-

¹⁰ ქ. ჩხატარაიშვილი, უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. იხ. კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, 1960, თბილისი, გვ. 176. შენ. 68.

¹¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, II, გვ. 129-130; შეად. საქართველოს ისტორია, I, დამხმ. სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 212.

¹² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 129.

¹³ იგულისხმება საქართველოს მეფის შემდეგ.

მე საქართველოს ამირსპასალარი ივანე ორბელიც. რამდენჯერაც არ დაეუფლა გიორგი III ანისს, ამირსპასალარი ორბელიც მაშინვე იქ გადადიოდა ხოლმე, ხოლო, როდესაც საქართველოს ჯარი უკან იხევდა, ივანე ორბელიც ანისიდან ლორეში გადმოდიოდა. ასევე მოიქცეოდა სხვა ამირსპასალარიც. ამ მხრივ ნიშანდობლივია თამარის ერთ-ერთი ისტორიკოსის ცნობა. როდესაც „ისტორიათა და აზმანთა“ ავტორი ყუთლუ-არსლანის აჯანყებაზე ლაპარაკობს, იქვე გვაცნობებს, რომ თამარმა, ბოლოს „შეიპყრა ყუთლუ-არსლანი, მეჭურჭლეთუხუცესი და აწ თავისა თვისსა ამირსპასალარად და სომხითის სომეხთა მეფისა ადგილსა ლორეს დაჯდომად განმზადებული“.¹⁴ ე. ი. ის პირი, რომელიც საქართველოს ამირსპასალარი გახდებოდა, საჯდომად ღებულობდა ხოლმე ლორეს, ყოფილ კვირიკიან სომეხთა მეფის დედაქალაქს, მაგრამ ეს იყო გარკვეულ დრომდე, – სანამ საქართველოს ხელში ანისი შემოვიდოდა. მაშინ საქართველოს ამირსპასალარების საჯდომად, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ანისი იქცეოდა ხოლმე. ყუთლუ-არსლანი ამ შემთხვევაში იმიტომ ცდილობს ლორეს დაკავებას, რომ მისი აჯანყების დროს, 1184-1186 წლებში,¹⁵ ანისი ჯერ კიდევ არაა საქართველოსთან საბოლოოდ შემოერთებული.¹⁶ საქართველოს მთავრობამ იგი მხოლოდ 1199 წელს შემოიერთა.¹⁷ სწორედ ამის გამო იყო, რომ ზაქარია მხარგრძელი, იმდროინდელი საქართველოს ამირსპასალარი, ამის შემდეგ ანისში ზის. საქართველოს ამირსპასალარებს ისეთი ადგილი ეძლეოდათ ხოლმე საჯდომად, საიდანაც არა მარტო მტრის ყველაზე დიდი თავდასხმა იყო მოსალოდნელი, არამედ მოწინააღმდეგეზე თავდასხმის ყველაზე კარგი შესაძლებლობა არსებობდა.

გ. ვერმიშევს აღნიშნულ ვითარებაზე, როგორც ჩანს, არც უფიქრია. იგი ვერ ერკვევა საქართველოს წარსულის ელემენტარულ საკითხებში და ცდილობს ყველაფერი „მარტივად“, საკუთარი „გობერიე-ტენდენციური“ საზომით გადაწყვიტოს. მას ჰგონია (თუ ეს უფრო აძლევს ხელს), რომ ზაქარია ამირსპასალარმა საქართველოს სამეფო ხელისუფლების დაუკითხავად მოახ-

¹⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 31.

¹⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, თბილისი, გვ. 252-263.

¹⁶ А. Т. Гюзальян, Персидская надпись Кеи-Султана Шеддади в Ани, сб. "Академия наук СССР – Академику Н. Я. Марру", М.-Л., 1935, стр. 629-641.

¹⁷ Всеобщая история Вардана Великого, пер. Н. Эмина, М., 1961, стр. 169.

დინა ლორედან ანისში თავისი საჯდომი ადგილის გადატანა.¹⁸
მან არ იცის, რომ ასეთი რამ მხოლოდ და მხოლოდ საქართველო
ლოს საგარეო პოლიტიკური კურსით იყო გამოწვეული.

სანაპიროთა გამგეებს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, საკმაოდ დიდი უფლებები ჰქონდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც საქართველოს სახელმწიფოს ბრძანებათა მორჩილნი იყვნენ. როგორც თამარ მეფის ერთ-ერთი ისტორიკოსი წერს: „ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თვინიერ თამარისსა რაიმე ქმნილი იყო ვისგანაც, არამედ ესრედ განიგონე: მონაპირეთა მონახიან საქმე; ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანნი მოსარბეველი, მოახსენიან თამარსა და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის“. თუ საქმე სერიოზული იყო, სამეფო ხელისუფლება შესაფერის საჭირო ღონისძიებებს მიიღებდა.¹⁹ წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სურვილი განუხორციელებელი რჩებოდა. ასე რომ, ზაქარია, როგორც საქართველოს ერთ-ერთი სანაპირო ერთეულის გამგე, ისევე როგორც სხვა ასეთი ერთეულების გამგეები, საქართველოს მთავრობისაგან მტკიცედ შეზღუდული იყო.

ახლა, რაც შეეხება ზაქარია მხარგრძელის მეორე სახელოს – ამირსპასალარობას.

ამირსპასალარი საქართველოში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მოხელე იყო. მას საკმაოდ ვრცელი უფლებები ჰქონდა,²⁰ მაგრამ მისი ძირითადი საქმიანობა მაინც ქართული ლაშქრის ხელმძღვანელობაში მდგომარეობდა.²¹ მიუხედავად ამისა, საქართველოს უმაღლეს მხედართმთავრად ყოველთვის მეფე ითვლებოდა, ამირსპასალარი კი – მისი უპირველესი თანაშემწე იყო.²² ამიტომ იყო, რომ საქართველოს ტახტზე ამავეალ მეფეს ყოველთვის მისი ძღვევამოსილებისა და მხედართმთავრობის სიზბოლოს – ხმალსაც შემოარტყამდნენ ხოლმე, თუნდაც ეს უკანასკნელი ქალი ყოფილიყო. თამარის ერთ-ერთი მემკვიდრის სიტყვით, ტახტზე ასული თამარი სრულყოფილ „მოკვლეთა სჯანთა

¹⁸ Г. Вермишев, Амирспасалар, стр. 358.

¹⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 130.

²⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, 1928, თბილისი, გვ. 140-151.

²¹ იქვე.

²² იქვე.

და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, საღირის-ძეთა და ამანელის-ძეთა მოღება და დადება კრმილისა“.²³

მართალია, თამარის მეფობაში, გარკვეულ დრომდე მაინც ამ სახელოს (ამირსპასალარობას) თავისი უფლების გადიდებისათვის თითქოს კარგი პირობები შეექმნა, რადგანაც თამარი, როგორც ქალი, სალაშქრო საქმეებს ძალაუნებურად უნდა ჩამოშორებოდა, მაგრამ საქართველოში ჯერ გიორგი რუსის, ხოლო საქართველოდან მისი განდევნისა და თამარის მეორედ ქორწინების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ზაქარია საქართველოს ამირსპასალარი საქართველოს მეფეთ-მეფის თამარისა და მისი მეუღლის დავით-სოსლანის, ბაგრატიონის ხელის შემყურე გახდა. ახლაც, ისევე როგორც თამარის გამეფებამდე, საქართველოს ამირსპასალარი მეფის პირველი თანაშემწე იყო. მოვიყვანოთ ამის შესახებ მათ თანამედროვეთა მითითებანი. როდესაც ტახტის მემკვიდრე გიორგი ლაშა დაიბადა, საქართველოს მთავრობამ ეს აზერბაიჯანის ერთ-ერთ დიდ ქალაქზე, ბარდავზე გალაშქრებით აღნიშნა. ამის შემდეგ ერთ თვესაც არ გაველო, რომ დავით ბაგრატიონის ხელმძღვანელობით ქართულმა ლაშქარმა არზრუმზე გაილაშქრა და უზარმაზარი ბრძოლები ჩაატარა.²⁴

დავით-სოსლანი ხელმძღვანელობს ქართულ ლაშქარს მაშინაც, როცა იგი გელაქუნზე, სპარსი – ბაზარზე ჭა გორალუქზე ლაშქრობს.²⁵

დავით-სოსლანი იყო აგრეთვე შამქორის ომისთვის ლაშქრის მომზადების როგორც ორგანიზატორი, ისე სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელიც. ამის შესახებ მემატიანე აღნიშნავს: „და წარემართა დავით ... შემყრელი დროშისა სჯანად მოხმარებული-სა, ბაგრატიონურისა და უფროსთა გორგასლიანურისა... მოვიდეს სიახლესა შამქორისასა“.²⁶ ამასვე უჩვენებს მემატიანის შემდგომი განცხადებაც: „ვითარცა ცნა მეფემან (იგულისხმება დავითი) და სპათა მისთა, შარვანშა და ამირ-მირმან და ლაშქართა მათთა“ (რომ მტერი ასე ახლოს იხილეს) „დაეცა განკვირვება“.²⁷ აღსანიშნავია, რომ ომში დამარცხებული შამქორე-

²³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 27.

²⁴ იქვე, გვ. 58-59.

²⁵ იქვე, გვ. 60.

²⁶ იქვე, გვ. 68.

²⁷ იქვე.

ლები მხოლოდ დაეითს, და არა სხვა ვინმეს, აბარებენ კლიტებს,²⁸ რადგანაც იგი იყო შამქორის ომის მონაწილე ქართული ჯარის უფროსი და ხელმძღვანელი. ზაქარია მხარგრძელი ამ ოპერაციებში მონაწილეობს, მაგრამ როგორც საქართველოს მეფის პირველი თანაშემწე.

დაეით-სოსლან ბაგრატიონი სარდლობდა აგრეთვე ქართველთა ლაშქარს ბასიანის დიდ ომშიაც.²⁹ ასე რომ, მთელი ის დიდება, რაც დაეით ბაგრატიონმა მოიპოვა ზემოთ დასახელებულ ბრძოლებში, გ. ვერმიშემა, სრულიად უსამართლოდ, ზაქარია მხარგრძელს მიაწერა.

რომ ზაქარია მხარგრძელი სამხედრო საქმიანობაში თამარსა და დაეით ბაგრატიონზე იყო დამოკიდებული, შესანიშნავად ჩანს ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვიდანაც. როდესაც ქართულ ლაშქარს კარის აღება ძალიან გაუჭირდა, მაშინო — აღნიშნავს ბასილი, „თამარმა განიზრახა კეთილისა გონებითა და წარაუღინა დაეით ზემოთ ლაშქრითა. წარატანა ზაქარია და ივანე და უბრძანა, რათა დადგნენ მუნ და ძლიერად ეომონ“.³⁰ ამასვე უჩვენებს იმავე მემატეანის შემდეგი განცხადებაც: როდესაც მონაპირეები რაიმე საქმეს შეიგულეებდნენ, ისინი თამარს მოახსენებდნენ ამის შესახებ. თუ თამარი საჭიროდ ჩათვლიდა ღონისძიების მიღებას, მაშინ იგი უბრძანებდა „ზაქარიას და ივანეს შეყარნიან ლაშქარნი, თვით დაეით მეფე წავიდის და არა სადათ შემოქცეული ცუდად“.³¹ ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ლაშქრის უზენაესი ხელმძღვანელი არის საქართველოს მეფე თამარი, ბრძოლის ველზე ჯარებს უშუალოდ სარდლობდა დაეით-სოსლანი, ხოლო ამირსპასალარი მისი თანაშემწე იყო.

ამრიგად, ვერც საქართველოს სანაპიროს გამგის და ვერც საქართველოს ამირსპასალარის თანამდებობა ზაქარია მხარგრძელის დამოუკიდებელ მმართველად გადაქცევას ვერ დაადანტურებს. იგი საქართველოს ერთ-ერთი მოხელეთაგანი იყო და ასევე დარჩა თვით სიკვდილამდე.

ზაქარია მხარგრძელი საქართველოს ისეთივე ფეოდალი იყო, როგორც იყვნენ დადიანები, თორელები, ჯაყელები, ასპანისძე-

²⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 72-75.

²⁹ იქვე, გვ. 95-98.

³⁰ იქვე, გვ. 143.

³¹ იქვე, გვ. 130.

ბი, ტაოსკარელები და სხვ. ყველა ეს ფეოდალი გახელმწიფება-გამთავრებისათვის იბრძოდა და თავისი სამმართველო ქვეყნისთვის საგადასახადო სასამართლო შეუვალობის მოპოვებას ცდილობდა.³² სრულიადაც არ იყო გასაკვირი, რომ რომელიმე მათგანს თავის საგამგეო ერთეულში გამეფებისთვის დაეწყო ბრძოლა. მაგრამ ერთია მიზნისათვის ბრძოლა და მეორე – ამ მიზნის მიღწევისათვის ხელშემწყობი პირობები.

ზაქარია მხარგრძელს, რომელიც გიორგი III და თამარის წინაშე დამსახურებისათვის ამ უკანასკნელთა მიერ გადაცემულ ტაშირ-ზორაკერტს ფლობდა ფეოდის სახით, ხოლო ანისში – საქართველოს სახელმწიფო მიწაზე მხოლოდ მისი ამირსპასალარობის გამო იჯდა, ძნელად თუ შეეძლო მხოლოდ თავის ფეოდში სომხური სამეფო აღედგინა. იგი (ტაშირ-ზორაკერტი), უძველესი ქართული ტერიტორია, ამ დროისათვის საქართველოსთან უკვე ყოველმხრივ მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ზაქარიამ ეს მიწები მიიღო როგორც ქართული მიწის ერთი ნაწილი.

გ. ვერმიშევი კი ცდილობს მრუდედ დაგვიხატოს მაშინდელი ვითარება. მას ჰგონია, რომ საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს მოხელემ – ამირსპასალარმა ზაქარიამ – მისთვის საგამგეოდ მიცემულ მიწა-წყალზე სომხური სამეფო შექმნა! ეს, რა თქმა უნდა, ტყუილია.

ზაქარიას მიერ „სომხური სამეფოს“ აღდგენა იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებაში შეუძლებელიც იყო. აზერბაიჯანის ათაბაგები, შაჰ-არმენები და სხვა ძლიერი მაჰმადიანური პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, რომ საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე შეემუსრათ, „სომხურ სამეფოს“ უმაღვე ბოლოს მოუღებდნენ. მერე კი თითქოსდა „დაშლილ“ საქართველოს შეუტევდნენ. ეს კარგად ესმოდათ XII ს. სომეხ პროგრესულ მოღვაწეებსაც. ესმოდათ, რომ სომეხი და ქართველი ხალხები მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულების წინააღმდეგ ერთად უნდა გამოსულიყვნენ და გამოდიოდნენ კიდევ. ეს ბრძოლა მაშინ ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჰეგემონიით მიმდინარეობდა და ყოველგვარი პოლიტიკური სეპარატიზმი „საქრისტიანო“ ბანაკში წამგებიანი იყო. სამწუხაროდ, ის, რაც XII ს. სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეებს ესმოდათ, არ ესმით ვერმიშევს და მის ახლანდელ მეცნიერ-კონსულ-

³² საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 219.



ტანტებს. თამარის დროინდელი ქართული სახელმწიფო ერთ-ერთი უძლიერესთაგანი იყო მახლობელ აღმოსავლეთში და თქმა უნდა, იგი მაშინვე აღაგმავდა მსხვილი ფეოდალის გამთიშველურ ცდებს, რომ ასეთებს მართლაც ადგილი ჰქონდათ. პირიქით, საქართველოს სამეფო ხელისუფლება სომხური ტერიტორიების უფრო ღრმა შემომტკიცებისათვის იბრძოდა. ამასთან კავშირში არ შეიძლება არ მოვიგონოთ საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ 1204 წელს ქ. თბილისში გამართული საეკლესიო კრება.³³ კრება ქართულ და სომხურ ეკლესიათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხს განიხილავდა და გასაგებია, რომ მას ყველა გამოჩენილი სომეხი და ქართველი რჯულთმეცნიერი ესწრებოდა. სომხეთის მხრიდან მასში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა მეცნიერმა მხითარ გოშმა.³⁴

მემატიანის მიერ თბილისში გამართული კრების შესახებ შემონახული ცნობა ნათლად მიუთითებს იმის შესახებ, რომ მაშინ სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არსებობდა. მართლაც, განა წარმოსადგენია, რომ სომხეთში საქართველოსთან დამოუკიდებელ, მხოლოდ ფედერაციულ კავშირში მყოფი სახელმწიფოს არსებობის მომენტში, ქართველებისაგან შევიწროებული სომხები თავიანთი სარწმუნოების პრესტიჟის დასაცავად თბილისში მოვიდოდნენ! როგორც ჩანს, სომხეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთდამოკიდებულების საქმე ამ დროის საქართველოს სამეფოს თავის საშინაო საქმედ მიაჩნდა. ამიტომაც, რომ ეს კრება მისი სრული მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა.³⁵ სხვანაირადაც არც იყო მოსალოდნელი.

მაინც რაში ჩანს, რომ ე. წ. „ზაქარიანთა“ დროის სომხეთში ადგილობრივი სახელმწიფოებრიობა აღდგა? იმაშიო, — გვახსახობს გ. ვერმიშევი (და აქაც, ისევე როგორც სხვაგან, სომხური ისტორიოგრაფიის აზრს იმეორებს), რომ სომხეთში შეკრებილი გადასახადები მთლიანად მხარგრძელის ხაზინაში შედიოდაო. ე. ი. „ზაქარიანთა“ სომხეთი საქართველოს სასარგებლოდ არავითარ ხარკს“ არ იხდიდაო.³⁶ ამას გარდაო, აღნიშნავს იგი, სომ-

³³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, თბილისი, გვ. 272; შეად. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ენობა, თბ., 1928, გვ. 222.

³⁴ ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 222.

³⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 83-90.

³⁶ Г. Вермишев, Амирспасалар, стр. 343.

ხური ქალაქები საქართველოსაგან სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, რადგანაც ისინი მხითარ გოშის სომხურ მართლის მიხედვით აწარმოებდნენ მართლმსაჯულებასაო; ვინა დაპირ უნდა ითქვას, ამ მოტივებით სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ლაპარაკი სრული შეცდომაა.

იმას, ვინც XII-XIII საუკუნეების მიჯნის სომხეთს საქართველოსაგან დამოუკიდებელ სამეფოდ თვლის, უსათუოდ ავიწყდება შემდეგი: წყაროებში სომხეთის მიერ საქართველოსათვის გადახდილი ხარკის შესახებ ლაპარაკი არაა, მაგრამ ეს იმით კი არ აიხსნება, რომ ამ დროის სომხეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, არამედ იმით, რომ არსებობდა საქართველოს სახელმწიფოსადმი სომხური მიწა-წყლის დამოკიდებულების თავისებური ფორმა. ეს იყო უშუალო შემოერთება, როცა სომხეთის სახელმწიფო გაუქმებული იყო. ამიერიდან სომეხი ხალხი ხარკს კი არ იხდიდა, არამედ საქართველოს სამეფოსადმი ვალდებული იყო, ეხადა ისეთივე ბეგარა-გადასახადები, როგორც ქართველ ხალხს ეკისრა. სომხური მოსახლეობა ქართველი მოსახლეობის მსგავსად, გადასახადს თვით ადგილობრივ, საქართველოს მიერ შეწყობულ ფეოდალებს უხდიდა. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამის გამოა, რომ წყაროები სომხეთის მიერ საქართველოს სასარგებლოდ გატანილი ხარკის შესახებ საერთოდ არაფერს არ გვეუბნებიან.

გ. ვერმიშევი და სხვანი ფიქრობენ, რომ სომხურ ქალაქებში მხითარ გოშის სამართლის არსებობა მაშინ სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას ნიშნავდაო. არც ეს არის სწორი.

მხითარ გოშის სომხური სამართალი, შესაძლებელია, მართლაც იხმარებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობაში შემავალ სომხურ ქალაქებში, მაგრამ განა ეს უფლებას გვაძლევს სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობაზე ვილაპარაკოთ?

საქვეყნოდ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ თურქსელჩუკების მიერ სომხეთის დაპატრონებამდე, სომეხი მოსახლეობა უკვე მთელ დედამიწის ზურგზე იყო მიმოფანტული.³⁷ ისინი, როგორც

³⁷ Г. Вермишев, Амирспасалар, стр. 343.

³⁸ Н. Марр, Кавказский культурный мир и Армения, СПб., 1915, стр. 47. შეად. მისივე "Аракуи" монгольское название христиан, в связи с вопросом об армянах-халкедонитах, СПб., 1905, стр. 49-54.

ვაჭრობისა და ხელოსნობის მიმდევარნი, ყველა ქვეყანაში პრო-
ლობდნენ თავშესაფარს. მათ, რომელიმე ქვეყანაში შესულებს
რა თქმა უნდა, თან მიჰქონდათ თავიანთი წესები, სამართალი,
კულტურული ჩვევები და სხვ. ადგილობრივი მმართველები მათ
გარკვეულ პრივილეგიებსაც აძლევდნენ ხოლმე. ასე რომ, ისინი,
რუსეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე დასახ-
ლებულნი, ხშირად თავიანთი სამართლით სჯიდნენ. ამის გამო,
სრულიადაც არ არის ვასაკვირი, რომ საქართველოს მფლობე-
ლობაში შემომავალ სომხურ ქალაქებსაც ასევე მხითარ გომის
სამართალი გამოეყენებინათ.

ეს უკანასკნელი გარემოება რომ სომხეთის დამოუკიდებელ
სახელმწიფოს არსებობაზე მიუთითებდეს, მაშინვე ჩვენ შეგვეჭ-
ლო გველაპარაკა იმ ადგილებში ასეთივე სომხური სახელმწი-
ფოს არსებობაზე, სადაც ეს სამართალი მოქმედებდა. ასეთი ად-
გილები კი ცოტა როდი იყო (გალიცია, ყირიმი, ასტრახანი, ახა-
ლი ნახიჩევანი და სხვ.). რომ ამა თუ იმ ხალხის დამოუკიდებელ
სახელმწიფოებრიობას მისი საკუთარი სამართლებრივი ნორმე-
ბით სარგებლობა განსაზღვრავდეს, მაშინ იმის გამო, რომ რუ-
სეთის იმპერიაში შემავალ მაჰმადიანურ ხალხებს გარკვეულ
დრომდე თავისი სამართალი — შარიათი ჰქონდათ, მათ სახელმ-
წიფოზე ანდა მათსა და რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოებ-
ზე უნდა გველაპარაკა. მაშინ მივიღებდით რუსეთ-აზერბაიჯანის,
რუსეთ-ყაზანის, რუსეთ-ასტრახანის და სხვა სახელმწიფოთა ფე-
დერაციულ სახელმწიფოს, რაც, რა თქმა უნდა, სრული უაზრო-
ბაა.

გ. ვერმიშევი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ XII-XIII სს. მიჯ-
ნაზე მოპოვებული სამხედრო წარმატებანი საქართველოს სა-
ხელმწიფოს ლაშქარმა კი არა, „საქართველო-სომხეთის ლაშ-
ქარმა“ განახორციელა. ეს მას იმისთვის სჭირდება, რომ და-
გვარწმუნოს ქართულ-სომხური „ფედერაციული“ სახელმწიფოს
არსებობაში, რაც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და ფან-
ტაზიის ნაყოფია.

ამრიგად, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე არავითარი ფედერა-
ციის მსგავსი საქართველო-სომხეთის სახელმწიფო არ ყოფილა,
არამედ არსებობდა ძლიერი საქართველოს მონარქია, რომლის
ფარგლებშიც უშუალოდ შემოდიოდა სომხეთის ტერიტორიები.
არსებობდა ქართული სახელმწიფოს ლაშქარი, რომლის შემად-
გენლობაში სომხები ისევე მონაწილეობდნენ, როგორც იმდ-

როინდელი საქართველოს პოლიტიკურ ფარგლებში შემავალი სხვა ხალხების სამხედრო ძალები.

გ. ვერმიშევის რომანის მიხედვით დავით-სოსლანი ოსეთის ერთ-ერთი წვრილი ფეოდალის ოჯახიდანაა გამოსული. მართალია, იგი თამარის მეუღლეა, მაგრამ ეს გარემოება ზაქარია მხარგრძელს სრულიადაც არ აბრკოლებს და დავითს ისე ექცევა, როგორც ხელქვეითს და მორჩილს. თვალსაჩინოებისათვის ერთი მაგალითის მოყვანაც საკმაოა:

„ისნის სასახლის ეზოში ამირსპასალარი ჭენებით შემოვიდა... სად არის სოსლანი? (შეეკითხა იგი თავის ძმას – ივანეს, ჯ. ხ.).

„ – ისვენებს თავისთან! სპასალარებიც ყველანი შეგროვდნენ. შენს მოსვლას მოუთმენლად ელოდებიან“.

ამირსპასალარს გაბრაზებული სახეზე უცბად მსუბუქმა დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა. მან სასწრაფოდ გაიარა ბოლომდე გაღებული კარები. ივანე უკან გაჰყვა.

ზაქარია ოთახში შემოვიდა. დავითმა მას მიმართა: „გმაღლობთ, ჩემო ზაქარე, რომ დროზე მოხვედ. მეც და თამარიც მოუთმენლად გელოდით შენ“... და მისასალმებლად აღერსიანად გაუწოდა ხელი.

ამირსპასალარმა უგუნებოდ ჩამოართვა მას ხელი. მშრალად უპასუხა მისალმებაზე: „ვასრულებ ჩემს ამირსპასალარის მოვალეობას, ბატონო დავით! ასე რომ, მე სამადლობელი არაფერი არა მაქვს“. და მიუბრუნდა რა ძმას, მკაცრად ჰკითხა: „ყველა ერისთავს დაურიგეთ მეფის ბრძანებები? როგორ გროვდება მთავართა ლაშქარი? სადაა გვარდია, ყიფჩალები? აგროვებს თუ არა მესაბჯრეთ უხუცესი (!) პურს მებრძოლებისათვის და ცხენთა საკვებს?“

საქართველოს მეფე დავით-სოსლანი იძულებულია ივანეს ნაცვლად თვითონ უპასუხოს. „გვარდიელები და სავალათ-ხანის ყიფჩალები წითელ ხიდთან მდინარე ქციაზე დგანან, ამირსპასალარო. იცავენ მდინარის გადასასვლელს. ქართლისა და კახეთის დროშები თანდათანობით იწყებენ შეგროვებას. ვუცდით შირვან-შაჰ ახსტანს ამირმირმანთან ერთად და იმერთა ერისთავებს ამირახორ ციხიშვილთან ერთად. ხორბალსა და თივას დღედაღამ ეზიდებიან ხიდთან, ბანაკში“.

ამირსპასალარი უკმაყოფილო დარჩა საქართველოს მეფის „რაპორტით“. იგი არ ცხრება:

„ – ვხედავთ, ტყუილად კარგავთ აქ დროს“, – მრისხანედ ამბობს იგი. – „გამოგეპარათ ბუბაქარი. ახლა ხალხი უნდა და-

ზარალდეს უდანაშაულოდ... ახლავე გაგზავნეთ მალემსრობლები იმ ერისთავებთან, რომლებიც ჯერ კიდევ არ მოსულან, ^{განსაკუთრებით} ცხადეთ, რომ მცირე დაგვიანებისათვისაც კი მკაცრად დავსჯი!" ზაქარია ამის შემდეგ დავითი მიატოვა. ახლა იგი ივანეს მიუბრუნდა და ბრძანების მიცემა დაუწყო.³⁹

გ. ვერმიშევის მიერ შეთხზული ეს სცენა თითქოს განზრახ იმისთვისაა გამიზნული, რომ ჩრდილი მიაყენოს ქართულ სახელმწიფო-პოლიტიკურ წესწყობილებას და ამ სახელმწიფოს მესაჭეს – თამარ მეფეს. თითქოს თამარი და დავით-სოსლანი, რომელთა წინაშე ქედს იხრიდნენ მახლობელი აღმოსავლეთის მეფე-მთავრები, ასე ადვილად შეურიგდებოდნენ გათავხედებულ სარდალს. გ. ვერმიშევის, ზაქარიას განდიდებით გატაცებულს, ისიც კი ავიწყდება, რომ გონიერ სარდალს სიძინჯე და მოკრძალებაც უთუოდ ჰქონდა. აბა როგორც შესძლებდა იგი ასე ქედმალურად შეხვედროდა მეფეთ-მეფის მეუღლეს, უმაღლესი მთავარსარდლის – თამარის უპირველეს თანაშემწეს, მის (ზაქარიას) უშუალო სამხედრო მბრძანებელს, საომარი ოპერაციების ხელმძღვანელს.

გ. ვერმიშევის თუ დაეუჯერებთ, საქართველოს სახელმწიფოს თამარი და დავით სოსლანი კი არა, ზაქარია მხარგრძელი მართავდა. ზაქარია რომ არა, საქართველო უთუოდ დაიღუპებოდა.

გ. ვერმიშევი, როგორც ვრწმუნდებით, თამარის დროინდელი საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში ვერ ერკვევა. იგი არ იცნობს მეფისა და სამეფო კარის უმაღლეს მოხელეთა ფუნქციებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას. მას ყალბი წარმოდგენა აქვს დავით-სოსლანზეც, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, თამართან ერთად საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობასაც ასრულებდა. დავითი, ოსთა უფლისწული, წარმოშობით ბაგრატიონი იყო და XII-XIII სს. მიჯნაზე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ზაქარია ამირსპასალართან შედარებით გაცილებით უფრო დიდ როლს ასრულებდა.

არსებული წყაროების მიხედვით, გ. ვერმიშევისა და მის მეცნიერ-კონსულტანტთა საწინააღმდეგოდ, ზაქარია ამირსპასალარი დავით-სოსლანის ბრძანებათა უყოყმანოდ შემსრულებელი იყო. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ერთ ფაქტს:

ერთხელ თბილისში აზერბაიჯანელი სტუმრები მივიდნენ. როგორც ფეოდალური შუა საუკუნეების წესი იყო, მოსული და

³⁹ Г. Вермишев, Амьрспасалар, стр. 313-314.



დამხდური რაინდები ხმლის სიბასრესა და მკლავის ძალას მიუ-
სინჯავდნენ ხოლმე ერთმანეთს. ამჯერადაც ასე მოხდა: ანტონ
ბაიჯანელმა რაინდებმა ქართველ რაინდებთან ბურთის თამაში
მოინდომეს. თამარ მეფის მეუღლემ დაეთიმა, იმის გამო, რომ
მოწინააღმდეგეთა გუნდში სოციალურად მისი ტოლი არავინ არ
იყო, შეჯიბრში მონაწილეობა არ მიიღო. სამაგიეროდ, მან „უბრ-
ძანა ამირსპასალარსა მისსა ზაქარიას და მსახურთუხუცესსა
ივანეს, ჰერეთის ერისთავსა გრიგოლს და სხვათა“, რომ მათთან
ეთამაშათ. ისინიც, რა თქმა უნდა, როგორც ყმათა წესი იყო,
უსიტყვოდ მოუდანზე გამოვიდნენ.⁴⁰ ასეთი მაგალითი მრავლად
მოიპოვება.

დავით-სოსლანის პიროვნების დამცირებითა და ზაქარია
მხარგრძელის ხელოვნური განდიდებით ვ. ვერმიშევი ცდილობს
„ლოგიკური თანმიმდევრობით“ დაარწმუნოს მკითხველი, რომ
ზაქარიას თითქოს ნამდვილად შესწევდა უნარი, შეექმნა დამოუ-
კიდებელი სამეფო და ერთდროულად თავისი სამეფოს ხელმწი-
ფე და საქართველოს სამეფოს ამირსპასალარიც ყოფილიყო...

ასევე უბოდიშოდ ამახინჯებს ვ. ვერმიშევი ისტორიულ სი-
ნამდვილეს, როცა ცდილობს სახელგანთქმული მეფისა და
სარდლის გიორგი III-ის დამცირებას. თითქოს, გიორგი მესამის
სამხედრო წარმატებათა სულისჩამდგმელი ზაქარიას მამა –
სარგის მხარგრძელი იყო, ხოლო თვით გიორგის, სამხედრო ნი-
ჭი და უნარი არ გააჩნდა; კიდევ მეტი – ვ. ვერმიშევის ჰგონია,
რომ თამარისდროინდელი საქართველოს ფაქტიური გამგებლე-
ბის ძირითადი ბირთვი წარმოშობით სომეხი მოღვაწეებისაგან
შედგებოდა.

გიორგი მესამის ძლიერი პიროვნება ვ. ვერმიშევის მიერ იმ-
დენად დამახინჯებულია, რომ საქმეში ჩახედულ მკითხველთა
აღშფოთებას იწვევს. საძიებელი მხოლოდ ისაა, თუ რისთვის
სჭირდება ამ საბჭოთა მწერალს, რომელსაც ერთა შორის
ძმობა-მეგობრობის იდეებისადმი პატივისცემა დაჰვიწყნია, დაამ-
ციროს ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები და განადიდოს
წარმოშობით სომეხი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ქარ-
თულ სინამდვილეში აღიზარდნენ და თავიანთ თავს საქართვე-
ლოს პოლიტიკურ მოღვაწეებად თვლიდნენ. ანდა რისთვის დას-
ჭირდა ავტორს ასეთი გაუგონარი ტყუილი – რომ თითქოს ქარ-
თულ სამეფოს სომეხები მართავდნენ!

⁴⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 67.

როგორც ვხედავთ, მწერალი ზედმეტად აპყლია სომხურ „პატრიოტულ“ ვნებათა ღელვას და ვერც კი ამჩნევს, რომ ასეთი ქება-დიდება ჩრდილს აყენებს ორივე ხალხის წარმომადგენლებს. გამოდის, რომ სომხებმა, მართალია, თავიანთი სახელმწიფოებრიობა ვერ შეინარჩუნეს, მაგრამ საქართველოს კი გვარიანად მოუარეს!

რა თქმა უნდა, ცილისმწამებლურია გ. ვერმიშევის ინსინუაციები ქართული სახელმწიფოს მიმართ იქ, სადაც იგი თამარის გამეფების ამბავს გვთავაზობს. თითქოს გიორგი მესამემ თავის სამეფოში ვერავენ მოქებნა ისეთი, რომელსაც უცხო ქვეყნებში ქალის გამეფების ფაქტი ეცოდინებოდა! შოთა რუსთაველის, თამარის ისტორიკოსებისა და სხვა ბრძენ-ფილოსოფოსთა თუ მეცნიერთა ქვეყანაში ასეთი მცოდნე არ აღმოჩენილა და მეფეს თურმე მხითარ გოშისათვის მიუმართავს ჭკუის სასწავლებლად.⁴¹ როგორც ჩანს, ავტორს „ვეფხისტყაოსანიც“ კი არ წაუკითხავს.

გ. ვერმიშევის წიგნი გადატვირთულია ისტორიულ სინამდვილეს მოწყვეტილი ამბებით. მისი მთავარი ტენდენციის გამოცნობა ძნელი არაა, მას სურს, დაარწმუნოს მკითხველი, რომ სომხები გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ საქართველოს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ ცხოვრებაშიც. წარმოიდგინეთ, თურმე თამარის ეპოქაში ქართველებს ისიც კი არ სცოდნიათ, თუ საიდან იღებდა სათავეს ბაგრატიონთა სამეფო დინასტია. აქაც საქმეს წყვეტს მხითარ გოში, რომელმაც თითქოს გიორგი მესამეს აუხსნა, რომ ქართველი ბაგრატიონები სომეხთა განაყარნი იყვნენ და, მაშასადამე, საქართველოს მეფეც თითქოს სომეხი იყო! კიდევ მეტი, თითქოს გიორგი მესამემ ირწმუნა კიდევ მხითარ გოშის ასეთი „განმარტება“ და სხვ.⁴²

ისტორიული რომანი ისტორიული წყაროების გათვალისწინების გარეშე – ასეთია გ. ვერმიშევის „ამირსპასალარი“. მხითარ გოშამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ქართველებმა (და X ს. ბიზანტიის იმპერატორმაც კი) კარგად იცოდნენ ქართველ ბაგრატიონთა წარმოშობის ისტორია, მასთან დაკავშირებული ღვგენდები და ვერსიები.

რა შუაში იყო მხითარ გოში, როდესაც გიორგი მესამეს შეეძლო, მოეკითხა სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, რომელიც

⁴¹ Г. Вермишев, Амирспасалари, стр. 145.

⁴² იქვე, გვ. 80-81.

ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიას ეხებოდა (XI ს.)! გ. ვერმიშევი, რომელიც იმდენად გაკადნიერდა, რომ თავის რომანის ფურცლებზე საბჭოთა მკითხველის თვალში საკამათოდ განადა XII-XIII საუკუნეების საქართველოში ძლიერი სახელმწიფოს არსებობა, გუზან ტაოსკარელის ქართველობა, ზაქარია მხარგრძელის ქურთული წარმოშობა და სხვა – ახლა საქართველოს სამეფო დინასტიის სომხურად გამოცხადებასაც ცდილობს, რისთვისაც იგი უძველესი სომხური, ქართული და სხვა წყაროების მონაცემთა უარყოფასაც არ ერიდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მწერალს მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ მაინც უნდა წაეკითხა, ან გაცნობოდა კონსტანტინე პორფიროგენეტის „დე ადმინისტრანდო იმპერიო“-ს, „მატიანე ქართლისაჲს“, ან ზემოთ ნახსენებ სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“-ს. ყველა ამ წყაროში ხომ ქართველი ბაგრატიონები ებრაელ მეფეთა შთამომავლებად ცხადდებიან? განა ასევე ებრაელთა შთამომავლად არ ცხადდებიან ბაგრატუნებიც უძველეს სომხურ ისტორიულ ნაწარმოებში მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიაში“? მაგრამ ავტორი მწერლის მაღალი საპატიო რეპუტაციის შელახვასაც არ ერიდება იმისათვის, რომ მეზობელი ხალხის ისტორია შებღალოს! რა თქმა უნდა, გ. ვერმიშევის უბადრუკი გამოხდომა ოდნავადაც ვერ მიაყენებს ჩრდილს ქართველი ხალხის გმირულ წარსულს, მაგრამ რა ვუყოთ 65 ათას ცალ წიგნს, რომელიც უკვე გავრცელებულია და რომლებშიაც მწერალმა ათასგვარ სიყალბეს გაუხსნა გზა მკითხველისაკენ?!

გ. ვერმიშევის მიერ არჩეულ მრუდ გზას თუ გავეყვებით, მაშინ პოლიტიკური მოღვაწის შეფასებაში თურმე მთავარი ყოფილა მისი წარმოშობა და არა ის, თუ რომელ წრეს, რომელ საზოგადოებას და როგორ ემსახურება იგი. ზაქარია მხარგრძელი – საქართველოს სახელმწიფოს მსახური, რომელიც რომანის მიხედვით სამშობლოსათვის თავდადებულ სომხადაა დახატული, სრულიადაც არ იყო სომეხი. ჯერ კიდევ მისი თანამედროვე ისტორიკოსები – ვარდან დიდი და კირაკოს განძაკელი აცხადებდნენ, რომ ზაქარიას წინაპრები ქურთები იყვნენ.⁴³ ცნობილი სომეხი აკადემიკოსი იოსებ ორბელი თავის დროზე ზაქარიას ვი-

⁴³ Всеобщая история Вардана Великого, пер. И. Эмина, 1861, М., стр. 169. შეად. История монголов инока Магакий, XIII века, перевод и объяснение К. П. Патканова, СПб., 1871, стр. 66.

ნაობის შესახებ აცხადებდა, რომ „Славные в истории Армении и Грузии, славные не только как полководцы, но и как строители культуры князья Долгорукие (მხარგრძელი) – курды по происхождению“.⁴⁴ სარწმუნოება რომ ეროვნებას ნიშნავდეს, მაშინ ზაქარიას ძმა – ივანე მხარგრძელი, ზაქარიაზე არანაკლებად ცნობილი მოღვაწე, სარწმუნოებით ქართველი (დიოფიზიტი) ქურთული წარმოშობიდან უნდა ამოვრიცხოს! ხომ ცნობილია, რომ ქურთი ხალხის შვილთა გარკვეული ნაწილი XI-XII საუკუნეებში და შემდეგიც სომხეთის ფეოდალებში გაითქვიფა. ასე მაგალითად: სომხეთის ტერიტორიების საკმაოდ დიდი ნაწილების მფლობელები შაჰ-არმენები, შედადიანები და სხვ. წარმოშობით ქურთები იყვნენ.⁴⁵ ასევე შეგვეძლოს გველაპარაკა იმის შესახებაც, რომ XII საუკუნის ბევრი არა სომეხი მოღვაწე, მაგალითად, ქართველები – აბულასანი, გუზან ტაოსკარელი და სხვ. სომხებად ცხადდებიან. გ. ვერმიშევის ერთ-ერთი წყაროს ს. ერემიანის შრომის „Юрий Боголюбский в армянских и грузинских источниках“⁴⁶ მთავარი ნაკლი, XII საუკუნის ქართველი და არა ქართველი მოღვაწეების სომხებად გამოცხადება, ნათლად იქნა ნაჩვენები და მკაცრად დაუმობილი პროფ. ი. ცინცაძის მიერ.⁴⁷ ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღარ ვილაპარაკებთ არც ბევრ სხვა მნიშვნელოვან ნაკლზე, რაც გ. ვერმიშევის ამ წიგნს გააჩნია. ჩვენი აზრით, ნათქვამიდანაც კარგად ჩანს გ. ვერმიშევის წიგნის ლიტერატურული ფასი და წონა, მისი ავტორის ტენდენცია, რომელიც სრულიადაც არ შეეფერება მწერალს. მისი „ამირსპასალარი“ მეზობელ ხალხებს შორის შუღლის გაღვივებას ემსახურება.

⁴⁴ Иосеф Орбели. *ივ. კრებული "Памятники эпохи Руставели"*, Ленинград, 1938, стр. 5.

⁴⁵ История армянского народа, ч. I, 1951, Ереван, стр. 157-158. История армянского народа, ч. I, 1944, Ереван, стр. 171.

⁴⁶ Научные труды Ереванского Гос. Университета, 1946, XXIII, стр. 389-421.

⁴⁷ ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბილისი, 1956, გვ. 161-170.

რუსუდანი – თამარის და*

რუსუდანი – თამარის და, მხოლოდ ფართო მკითხველთათვის კი არა, ისტორიულ დარგში მომუშავეთათვისაც ნაკლებად ცნობილი პირია. ეს, ძირითადად, მის შესახებ არსებული წყაროების სიმცირით არის გამოწვეული.

მკვლევარებმა თამარის დის შესახებ დაბეჯითებით ლაპარაკი მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს დაიწყეს. მანამ ან საერთოდ არ იცნობდნენ, ან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მასზე. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ თამარის კარის ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების აღმოჩენამ რუსუდანის არსებობის შესახებ ყოველგვარი ეჭვი გააჟვანტა. მისი პიროვნებისადმი სპეციალური სტატიების მიძღვნაც სწორედ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აკად. კ. კეკელიძისა და პროფ. ვ. დონდუას მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევები (ვ. დონდუა, თამარ მეფის და რუსუდანი. „საისტორიო ძიებანი“, I, თბ., 1957; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან (ცდა აღდგენისა). აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941). მაგრამ ეს კარგა ხნის წინათ იყო. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ თავის ნაშრომში კ. კეკელიძე ძირითადად რუსუდანის, როგორც ისტორიული პირის, არსებობის დამტკიცებას ცდილობდა. რაც შეეხება პროფ. ვ. დონდუას წერილს, უმთავრესი აქცენტი რუსუდანთან დაკავშირებულ ფხოტრერის წარწერის მნიშვნელობაზე იყო გადატანილი.

ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობით, თამარის მამას, გიორგი III, კარგა ხანს შეილი არ ეძლეოდა, რაც ძალიან აწუხებდა. მაგრამ „მერმე ინება ზეგარდმო მოწყალებაჲმან ღმრთისამან, და იწყო მობერუად ნიამან ამომან, და იშუა მათგან ქალი, ქმნილ-კეთილი, ყოვლითურთ უნაკლულო და შესატყვისი. ამას დაარქუა სახელი თამარ“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959).

რუსუდანი თამარზე უმცროსი ჩანს. ეს იქიდან ირკვევა, რომ იგი გაცილებით გვიან გაათხოვეს. ცნობილია, რომ პირველად თამარი 1185 წელს გათხოვდა, მეორედ – 1189 წელს. რაც შეეხე

* სტატია პირველად 1985 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობის“ მეხუთე ნომერში.

ბა რუსუდანს, იგი 1189 წელს გააყოლეს არზრუმის სულთნის შვილს.



პატარა რუსუდანი იმავე წრეში აღიზარდა, რომელშიც თვით თამარი და მისი მეუღლე დავითი იზრდებოდნენ. იგი მამიდამისმა რუსუდანმა აღზარდა. ამაზე მეტყველებს თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა, რომელიც გვაუწყებს: როდესაც ხმა გავარდა, თამარი დაფეხმძიმდაო, მთელ ქვეყანაში ზეიმი დაიწყო. „თუთ დედოფალმან რუსუდან, და გაზრდილმან მისმან მეფემან დავით, და დამან თამარისამან, და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა, მსგავსად მოგუთასა, ჴელ-ყვეს ძღუნებად და მინიჭებად“.

თამარისა და რუსუდანის მამიდა, რომელსაც ასევე რუსუდანი ერქვა, იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთი უგაველენიანესი პირია. იგი ერაყის სულთან მასუდზე იყო გათხოვილი, მაგრამ დაქვრივებული საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ქვეყნის ცხოვრებაში. გიორგი III გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი ბაგრატიონთა გვარის ყველაზე გავლენიანი პირი გახდა. სამეფო კარზე მის გარეშე არც ერთი საჭირობოროტო საკითხი არ წყდებოდა.

რუსუდანის სახლი საქართველოს უმაღლესი საზოგადოების თავშეყრისა და აღზრდის ადგილად იქცა. როგორც ითქვა, ამ სახლში აღიზარდა თამარი, მისი მეორე მეუღლე დავით სოსლანი და თამარის ნახევარდა რუსუდანი. ალბათ, აქვე დაეუფლნენ ცოდნასა და ცხოვრებისეულ წესებს საქართველოს სხვა წარჩინებულთა შვილებიც.

ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანის ცნობით, თამარის და რუსუდანი „იყო ტკბილი და მოწყალე, ნუგეშინის მცემელი და შემხუეწელი დაჭირებულთა (ე. ი. გაჭირებულთა მფარველი), და მზრდელი ჩულთა ობოლთა, რომელ ღირსნი მათგან ზრდისანი ნაშობთა მათთა წინაშე მიუსხმიდიან“. მემატიანე რუსუდანის სხვა კარგ თვისებასაც უსვამს ხაზს. მისი სიტყვით, „ჴელთა მისთაგან ნაქმარი საყდართა და ეკლესიათა იგზავნებოდა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955). სხვათაშორის, ასეთ საქმიანობას თამარიც ეწეოდა.

თამარის მეორედ გათხოვება რომ დააპირეს, რუსუდანი უკვე დაქალიშვილებული იყო. მას, როგორც ხელმწიფის ასულს, ბევრი ხელის მთხოვნელი ეყოლებოდა, მაგრამ, შექმნილი მდგომარეობის გამო, იმუამად უმთავრეს საქმედ თამარისათვის ღირსეუ-

ლი საქმროს გამოძებნა მიაჩნდათ. რუსუდანის გათხოვება თითქოს შემთხვევით მოხდა.

1187-1188 წწ. თამარის პირველი ქმარი იური ბოგოლიუბსკი რომ „სოდომური ცოდვისა და ქცევისათვის“ საქართველოდან გააძევეს, თამარს არაერთი ხელის მთხოვნელი გამოუჩნდა. მისი ისტორიკოსი ასახელებს იმპერატორ მანუელის ძეს, ანტიოქიის მფლობელის ვაჟს, ყიზილ-არსლანის ძეს და მრავალ სხვას. ერთ-ერთმა, აქაოდა სხვებთან შედარებით უპირატესობას მომანიჭებენო, მაჰმადიანობა უარყო, გაქრისტიანდა და ისე წარსდგა თამარის წინაშე. ამის შესახებ ისტორიკოსი წერს: „საღღუხის ძის ძემან, სახელით მუტაფრადინ... დამგდებელმან მუჰამედისამან, სჯულისა ტკბილისამან, რომელმან მიზიდვითა კაცთათა უმოძღურა კაცთა საწუთო ესე ნებასა ზედა თვისსა, სურვილითა და სმენა-სიტურფოთა სახელთაგან ძლეული მოვიდა წინაშე“ თამარისა.

საქართველოს სამეფოს მესვეურებზე გავლენის მოხდენის მიზნით, მუტაფრადინმა თან მოიყოლა დიდებულები, ხოჯები, ავაზები, ტაიჭები და სხვა სიმდიდრე. სამეფო კარი სტუმარს დიდი პატივით შეხვდა. სხვათა შორის, იგი იმ სასახლეში დააბინავეს, რომელშიც ოდესღაც ქართველების მიერ დატყვევებული მისი პაპა საღღუხ-ეზდინი ცხოვრობდა. ისტორიკოსის სიტყვით, თამარმა „ნელიად და წყნარად და მომყოვრებითრე უდარბაზა, რომელმან ნახვასავე თანა რამინისებრი უჩუენა ცრემლითა ნაკად-მრავლობა. დასუა პატივითა ტახტსა თანა სელითა, და იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის სახლისა დიდებულთა მოყმეთა“. როდესაც დაზამთრდა, ქვემო ქართლში წაიყვანა და დრო ნადირობა-ქეიფში ატარებინა, გაზაფხულზე კი კახეთ-ჰერეთი მოატარა.

როგორც ითქვა, მუტაფრადინი, არზრუმის ამირა საღღუხ-ეზდინის შვილიშვილი იყო. საღღუხი, ანუ სალთუკი, 1154 წელს თამარის პაპა დიმიტრი I (1125-1156 წწ.) ტყვედ ჩაიგდო და რამდენიმე ხანს თბილისში მყოფად ტყვედ. ზედმეტი არ იქნება მკითხველმა იცოდეს, თუ როგორ მოხდა ეს.

არაბი მემატანე ალ-ფარიკის ცნობით, ანისის ამირა ფახრ ალ-დინ შადადიანმა არზრუმის მფლობელ იზ ალ-დინ სალთუკს ქალიშვილის ხელი სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. მისი მოწონებული ქალი კი სხვას მიათხოვეს. ანისის ამირა განაწყენდა და გადაწყვიტა შური ეძია. „მან სალთუკს შეუთვალა: ჩემი ხელისუფლება ანისში დასუსტდა, მოდი და ქალაქს მოგყიდი. მე

ქართველებს ვეღარ ვუძლებ და მათი შეკავება აღარ შემიძლია. შენი მორჩილი ვიქნები და პატივსაც გცემო. მაგრამ საღმრთო მოვიდა თუ არა, შადადმა (კაცი) გაგზავნა ქართველთა მეფე დიმიტრისთან, რომელიც იქვე ახლოს, ანისიდან ერთი დღის სავალზე იდგა და სალთუკის მოსვლა აუწყა. დიმიტრი წავიდა ქართველთა ლაშქრით და დილით ანისში იყო. იგი თავს დაესხა (სალთუკს) და მრავალი მისი ხალხი დახოცა. იზ ალ-დინ სალთუკი და მასთან ერთად მრავალი მაჰმადიანი ტყვედ ჩაწარდა, ურიცხვი მუსლიმი დაატყვევეს. ეს მაჰმადიანთათვის დაუვიწყარი იყო. შემდეგ დიარაბიას და სირიის მეფეებმა გაგზავნეს ელჩები ქართველთა მეფესთან საშუამავლოდ. იზ ალ-დინის გამოსასყიდ თანხად 100.000 დინარი დაადგინეს. იგი განთავისუფლებულ იქნა და დაბრუნდა თავის ქვეყანაში. დიდძალი ფული გავიდა მისი ქვეყნიდან სალთუკთან (ერთად) დატყვევებულთა დასახსნელად“ (პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975).

აი, ამ სალთუკის შვილიშვილი იყო თამარის ხელის სათხოვნელად მოსული მუტაფრადინი. მაგრამ მიგებული პატივის მიუხედავად, საქართველოს სამეფოს მესვეურებმა „დაამხეს ქედმაღლობა“ მუტაფრადინის ტრფიალისა. რაში გამოიხატა ეს? თამარის ისტორიკოსის სიტყვით, „იყო ვინმე ერთი ხარჭათაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა გიორგისა და დამასკუნელთა ქორწილისათა იგი შერთეს მუტაფრადინს და გარდაიჰადეს ქორწილი სახელიანი. შემოსასა თანა მრავალ-მრავალსა უბოძეს ცხენნი და აკაზმულობანი სხუათა საქონელთა და სიმდიდრეთა თანა და ღართა და წარგზავნეს თუსად საყოფლად არზუმად, გარნა თუ ვითარითა ცრემლითა და ვითარითა გლოვითა, გამოუთქმელ არს კაცთა ენისაგან“.

ამრიგად, თამარის სათხოვნელად მოსული მუტაფრადინი გიორგი III-ის მეორე ქალიშვილზე – რუსუდანზე დააქორწინეს და სამშობლოში გაისტუმრეს. ამასთან დაკავშირებით თამარის ისტორიკოსი დამცინავად წერს: თუ ბიბლიურმა საულმა „მძებნელმან კარაულებისა მამისამან პოვა მეფობა, ამან (ე. ი. მუტაფრადინმა) მძებნელმან მეფობისა და ზესთა მეფეთა მეფობისამან პოვა რომელი საულისა დანაკარგათ ჳამდა“-ო. ე. ი. თუ საულმა მამის დაკარგულ სახედართა ძებნისას მეფობას მიაღწია, მეფობისა და მეფეთ-მეფობაზე უფრო მეტი პატივის მძებნელმან მუტაფრადინმა კი პოვა ის, რაც საულს დაეკარგაო.



XII-XIII საუკუნეების მიჯნის ავტორი იმიტომ ამცირებს რუსუდანს, რომ იგი დედის მხრივ დაბალ წრეს ეკუთვნოდა — ზნაჭის ნაშობი იყო.

რუსუდანისა და მუტაფრადინის შეუღლება 1189 წელს მოხდა. იმავე წელს ხელმეორედ გათხოვდა თამარიც. როგორ ცხოვრობდა არზრუმში რუსუდანი? სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, გვინდა ერთ საკითხზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

როგორც აღვნიშნეთ, აკად. კ. კეკელიძე ერთი პირველთაგანი იყო, რუსუდანის ვანაობით რომ დაინტერესდა და ამასთან დაკავშირებით არაერთი საყურადღებო აზრიც გამოთქვა. კ. კეკელიძის მტკიცებით, რუსუდანი ტრაპიზონის იმპერატორ მანოელ I-ზე (1238-1263) იყო გათხოვილი. მეუღლის გარდაცვალების (1263 წ. მარტი) შემდეგ 80 წელს მიღწეული ქალი მონაზვნად აღიკვეცა. მკვლევარს გამოანგარიშებული აქვს აგრეთვე რუსუდანის დაბადების წელიც — ესაა 1182 წლის დამლევითი და 1183 წლის დამდეგით. იგი ფიქრობს, რომ „მართალია, ისტორიას არ შემოუნახავს თარიღი მისი დედის, ბურდუხან დედოფლის, გარდაცვალებისა, მაგრამ ამაზე ადრე ის არ უნდა გარდაცვლილიყო. იქნება ბურდუხანი რუსუდანის მშობიარობასაც გადაჰყვა? ამას გვაფიქრებინებს ისტორიკოსის შენიშვნა, რომ ლაშა გიორგის დაბადებისას უსაზღვროდ შეჰხაროდნენ „პირველ დარჩომასა თამარისსა“. გამოთქმა „დარჩომასა თამარისსა“ შეიძლება ნაკარნახევი იყო ბურდუხანის ანალოგიურ შემთხვევაში ტრაგედიით“.

კ. კეკელიძის აზრით, „მშობლების გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი ჩვილი დარჩენილა“. ის „მესამე ცოლი იყო მანოელ იმპერატორისა“... და „საკმაოდ გვიან უნდა იყოს გათხოვილი, არაუადრეს 1125-1128 წლებისა“.

აზრი რუსუდანის ტრაპიზონის იმპერატორზე გათხოვების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება. არც ერთი წყარო ამ შეხედულებას არ ადასტურებს. როგორც ითქვა, თამარის პირველ ისტორიკოსს დაცული აქვს უტყუარი ცნობა, რომლის მიხედვითაც რუსუდანი არზრუმის სულთნის სალდუხის შვილიშვილს მუტაფრადინს გააყოლეს ცოლად. კ. კეკელიძეს ზემოთ მოყვანილი აზრი რუსუდანზე გამოთქმული აქვს თამარის ამ ისტორიკოსის თხზულების მისეული გამოცემის კომენტარებში. ჩანს, ეს ცნობა მხედველობიდან გამორჩა.



ძნელი გასაზიარებელია აგრეთვე აზრი რუსუდანის წლის ბოლოსა და 1183 წლის დამდეგს დაბადების შესახებ გორც თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რუსუდანი 1189 წელს გაათხოვეს. ამ დროს, 1182 წ. ბოლოსა და 1183 წლის დამდეგს, დაბადებული ბავშვი დაახლოებით ექვსი წლისა იქნებოდა, რაც მის ვათხოვებას საეჭვოს ხდის.

ძნელი გასაზიარებელია შეხედულება, თითქოს რუსუდანი გიორგი III ბურდუხან დედოფლის ხელში შესძენდეს და მითუმეტეს იმის ფიქრი, რომ „იქნება ბურდუხანი რუსუდანის მშობიარობასაც გადაკყვა“. სწორედ კ. კეკელიძის მიერ გამოცემული და კომენტირებული თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება გვაუწყებს, რომ რუსუდანი „იყო ვინმე ერთი ხარჭათაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შეილად მეფისა“. ამრიგად, რუსუდანი უშვია არა გიორგის კანონიერ მეუღლეს დედოფალ ბურდუხანს, არამედ მეფის ხარჭას.

ახლა კვლავ რუსუდანის არზრუმში ცხოვრების საკითხს მივუბრუნდეთ.

როგორც ითქვა, მუტაფრადინი არზრუმის ყოფილი ამირას სალდუხ-ეზდინის შვილიშვილი იყო. იგი იმ ნასრ ად-დინის ძე ჩანს, რომელსაც თამარის პირველი ისტორიკოსი ქართველთა ერთ-ერთ ლაშქრობასთან დაკავშირებით ახსენებს. მისი გადმოცემით, ლაშას დაბადების შემდეგ ქართველებმა მოწინააღმდეგეთა ქვეყნებზე ილაშქრეს. მათ ააოხრეს ქალაქი ბარდავი. „მუნით გამომგზავრებულთა არცა თუ თუსა ერთისა გამომსუენებელთა მსწრაფლ წარსულთა ილაშქრეს არზრუმს კარსა კანუქალაქისასა“.

მემატიანის სიტყვით, არზრუმის დაცვას სწორედ სალდუხის ძე ნასრ-ადდინი და მისი ორი ვაჟი ხელმძღვანელობდნენ. მკითხველი, ალბათ, იკითხავს: თუ მუტაფრადინი ამ ნასრ ად-დინის ვაჟია, რატომ ესხმიან ქართველები არზრუმს თავს, ეს ქალაქი ხომ მუტაფრადანის მამას, ანუ თამარის დის – რუსუდანის მამამთილს ეკუთვნოდა? მუტაფრადინი მტრულ ურთიერთობაში იყო თავის მშობლებთან. ეს თამარის ისტორიკოსის ცნობიდანაც ჩანს. ლაპარაკობს რა მუტაფრადინის საქართველოში მოსვლაზე, იგი წერს: „მცნობელმან ამისმან სალდუხის ძის ძემან, სახელით მუტაფრადინ, აღარ დამხედმან მშობელთა არნებობისამან და დამაგდებელმან მუჰამადისამან, სჯულისა ტკბილისამან, რომელმან მოზიდვითა კაცთათა უმოძღურა კაცთა საწუთო ესე ნებასა ზედა თუსსა, სურვლითა და სმენა-სიტურფოთა სახეთაგან

ქლეული მოვიდა წინაშე თვითმფლობლისა... თამარისა“. ე. ი. მუტაფრაძის თამარის შერთვა რომ დაუპირებია, მაჰმადიანობა უარუყვია, გაქრისტიანებული და საქართველოში მოსულა. მისი მშობლები ამის წინააღმდეგი ყოფილან, მაგრამ მას არ უსმენია მათთვის (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948).

მისი მშობლები არ ცდებოდნენ, როდესაც მუტაფრაძის ქართველებთან დანათესავებას უშლიდნენ. ამდროინდელი საქართველო არზრუმის დაპყრობას ცდილობდა და ახლა, გაქრისტიანებული და დანათესავებული მუტაფრაძის მისი მიზნების განხორციელების იარაღი შეიქნებოდა. ამ საბაბით ადვილი შესაძლებელი იყო მუტაფრაძისა და მის მშობლებს შორის განხეთქილების ჩამოვარდნა. ამიტომ ხომ არ არის, რომ საქართველოს ლაშქრის არზრუმზე თავდასხმისას რუსუდანის მაჰამთილი და ორი მაზლი ქალაქს იცავდნენ, მუტაფრაძის კი მათთან არ ჩანს. იგი ქართველთა ბანაკში ხომ არ იყო?

აქვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც აღიძვრის. კერძოდ: იმიტომ ხომ არ ილაშქრეს ქართველებმა არზრუმზე, რომ ქალაქის ამირად თავიანთი კაცი მუტაფრაძისი დაესვათ?

თამარის პირველ ისტორიკოსს აღწერილი აქვს არზრუმზე ლაშქრობის სურათი, დასახელებული ჰყავს არზრუმელთა მოკავშირენი (სურმანელი და კარელი ამირები), ქალაქის დაცვის ხელმძღვანელები (ნასრ ად-დინი და მისი ორი ვაჟი), მაგრამ მუტაფრაძის ან მის მეუღლეს კი არსად არ იხსენიებს. რატომ იქცევა ასე? წყაროების უქონლობის გამო ამ საკითხზე პირდაპირი პასუხის გაცემა ჭირს, მაგრამ თუ მუტაფრაძისა და მის მამას შორის არსებულ ურთიერთობას გავიხსენებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამშობლოდან განდევნილი მუტაფრაძისი არზრუმს შემოწყობილ საქართველოს ლაშქარში იყო.

თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რომ საქართველოს ლაშქარს არზრუმში ძალიან შეუვიწროვებია. მისი ჯარიც დაუმარცხებია, მაგრამ ქალაქი ვერ აუღია. მისი სიტყვით, ქართველებმა „მისვლასავე დასტეხეს სახედ მეხისტეხისა, ჰკრეს და მტრები დაჯერებულნი თავის კატობასა შეიხუეწნეს, ჯართა ამწყუედელნი ერთმანეთისანი... და შემოქცეულნი მეფე დავით და ლაშქარნი მისნი მოვიდეს მხიარულნი ქუეყნადვე თვსად“.

მაგრამ რით დამთავრდა ეს ლაშქრობა, რა შედეგი მოუტანა მან საქართველოს სამეფო გეარის სიძეს მუტაფრაძის? სამწუხაროდ, ამის შესახებ წყაროები არაფერს არ გვატყობინებენ.

საერთოდ, იმ ცნობის გარდა, რომელშიც მუტაფრაღინის თბილისში მოსვლასა და რუსუდანზე დაქორწინებაზეა ლაშქრობის მასზე სხვა არაფერი ვიცით. არადა, ძალზე საინტერესოა მისი შემდგომი ბედი. მთავარი ის არის, რომ ქართველების ამ ლაშქრობის შემდეგ არზრუმს კვლავ მუტაფრაღინის მამა ნასრ ადღინი განაგებს. იგი ამირად 1201 წლამდე დარჩა. ამ წელს კი რუმის სულთანმა რუქნ ადღინმა გადააყენა, ქალაქი კი თავის ძმას მოღის ედღინ თოღრულ შაჰს გადასცა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979). თამარის მეორე ისტორიკოსი ამის შესახებ ცინიკურად შენიშნავს: სულთანმან სადღუხის ძეს „ნაცვლად მსახურებისა მიუღო კარნუქალაქი და თვისი ძმა დასუა მუნ“.

ეს მოხდა ბასიანის ომის წინ.

ამრიგად, იმ დღიდან მოყოლებული, როდესაც მუტაფრაღინმა მშობლიური რელიგია უარყო, გაქრისტიანდა და ქართველი მეფის ასულზე დაქორწინდა, მას არზრუმში ცხოვრება მეტისმეტად უნდა გაძნელებოდა. დასაშვებია, რომ იგი ან იმთავითვე არ შეუშვეს არზრუმის საზღვრებში, ანდა, რამდენიმე ხნის შემდეგ გამოაძევეს იქიდან. ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას წყაროებიც იძლევა. მათი მეშვეობით ვგებულობთ, რომ ახლად გათხოვილი რუსუდანი კვლავ საქართველოშია. ასე, მაგალითად, თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, როდესაც თამარმა ლაშა-გიორგიზე იმშობიარა (1192 წ.), საქართველოს მოსახლეობა „იხარებდეს, იშუებდეს, იმოთხვიდეს სამოთხესა შინა ამის საწოთოსასა, განმათავისუფლებელნი ტყუეთანი, შემწირველნი ეკლესიათანი, მწირველნი მღვდელთანი და მიმცემელნი მონაზონთანი, მოწყალენი გლახაკთანი, ერთბამად მადიდებელნი ღმრთისანი, მწყობელნი ეპისკოპოსთანი შვდსავე სამეფოსა სპასა თანა. და თუთ დედოფალმან რუსუდან, და გაზრდილმან მისმან მეფემან დავით, და დამან თამარისამან, და ყოველთა... კელევეს ძღუნებად და მინიჭებად“.

თუ მოვიგონებთ, რომ ქართველებმა არზრუმზე სწორედ ლაშა-გიორგის დაბადების შემდეგ ილაშქრეს, ცხადი ვახდება, რომ რუსუდანის საქართველოში ჩამოსვლა შემთხვევით არ მომხდარა. ჩანს, რომ იგი კარგახანია სამშობლოშია, ხოლო არზრუმზე ლაშქრობის საბაბიც ახლად არ არის წარმოშობილი.

რუსუდანი რომ გათხოვების შემდეგაც ქართულ გარემოში ტრიალებს და მამაპაპეულ სარწმუნოებას ემსახურება, კარგად ჩანს ფხოტრერის (სვანეთშია) მაცხოვრის ხატის ჩარჩოს წარწე-

რით, რომელიც შესრულებულია მისი მამიდის – რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ (შ. ამირანაშვილი, ბეჟა ოპიზარი, ტფ., 1937).

წარწერის მიხედვით, თამარის და რუსუდანი სთხოვს ერთ-არსს, შეიწიროს მისგან ნივთი, რომელიც მამიდამისს გაუკეთებინებია, მაგრამ შეწირვა გარდაცვალების გამო ვეღარ მოუსწრია. ახლა მამიდამისის წამოწყებული საქმე მას დაუგვირგვინებია და მზა ხატი ერთარსისათვის შეუწირავს. როდის უნდა მომხდარიყო ეს?

სამწუხაროდ, თამარის მამიდის, რუსუდან დემეტრეს ასულის, გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. თამარის ისტორიკოსების თხზულებების თვალის გადავლება კი გვიჩვენებს, რომ შამქორის ომამდე, ე. ი. 1195 წლამდე, იგი ჯერ კიდევ ცოცხალია, თანაც მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობს.

უკანასკნელად მას აზერბაიჯანის ათაბაგ აბუ-ბაქრის ძმის ამირ-მირმანისა და მისი სიმამრის შარვან შაჰ აღსართანის საქართველოში მოსვლისას ვხვდებით. თამარმა და მისმა მეუღლე დავითმა სტუმრების მიღებისას „მოიწვიეს დიდითა ზარითა და პატივითა დედოფალი რუსუდანიო“ – აღნიშნავს თამარის პირველი ისტორიკოსი.

ამრიგად, თამარის და რუსუდანის მამიდა 1195 წელს ჯერ კიდევ ცოცხალია. მხოლოდ ამის შემდეგ ვეღარ ვხვდებით მას თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში. ამ დროს ის უკვე ხანშისესული ქალი იყო და შეიძლება კიდევ გარდაცვლილიყო. თუ ასეა, ფხოტრერის მაცხოვრის ხატის ჩარჩოს წარწერაც დაახლოებით ამ ხანებში იქნება შესრულებული. მასში რუსუდან გიორგის ასული თავის მამიდას გარდაცვლილად თვლის! მაგრამ, როგორც ირკვევა, რუსუდან დემეტრეს ასული გაცილებით გვიან გარდაცვლილა, რის გამოც თამარის დის წარწერის თარიღიც უკან გადაიწვეს. ახლა სწორედ ამაზე გვინდა ვილაპარაკოთ.

თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით, გიორგი III რომ გარდაიცვალა, „იქმნა გლოვა და მწუხარება უზომო, უფროსლა დასა თუსსა რუსუდანს“. ამის შემდეგ იგი მკითხველს უხსნის რა რუსუდანის ვინაობას, აღნიშნავს: „ესე იყო სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა შამირამეთი და დედოფალი ყოელისა ხუარასნელთა უფლებისა, რომელი სიქურივისათუს თუსადვე მამულად მოყვანებული დედოფლად დაჯდა ქართველთად, უფროსლა დი-



დებად სახლისა თვისიად და ყოვლისა ამის სამეფოსა. ამას წინაშე იყო თამარ მაშინ, ვითარცა თვისსა მამიდასა თანადერთოთ თვისით, რომელსა რუსუდანვე მოაქუნდა სახელად, რომლისათვის აწ დამაკლებს წინამდებარე ესე მოთხრობად. თუ რაოდენ შეუენიერება და თავდგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა. ვიკადროთ რამე, რამეთუ ოთხმოცისა წელიწადისა დღეთამან შეიყუარა მტკიცედ ქალწულობა, სიწმინდე და სიკეთე დიდად სრული“. რას უნდა ნიშნავდეს „რომლისათვის აწ დამაკლებს წინამდებარე ესე მოთხრობად. თუ რაოდენ შეუენიერება და თავდგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა“?

ამ ფრაზის სწორად გაგებაზე დიდად არის დამოკიდებული ოთხმოცი წლის ასაკში მონოზენად აღკვეცილი პიროვნების ვინაობის დადგენა. თანამედროვე ქართულით წყაროს ეს ადგილი ასე ჟღერს: „ამიტომ ახლა, წინამდებარე მოთხრობა საშუალებას არ მაძლევს (ან: მაიძულებს) ვილაპარაკო იმაზე, თუ რამდენი მშენიერება და უპირატესობა ჰქონდა მას მანამდე ყოფილ დედოფლებთან შედარებით“.

თამარის დაზე ასეთი სიტყვების თქმა ისტორიკოსს აშკარად გაუჭირდებოდა. რუსუდანი არც მანამდე ქართველ დედოფლებზე დიდი იყო და თამარსაც ხომ ვერაფრით შეედრებოდა. ისიც კი საკითხავია, ოდესმე დედოფლად იყო თუ არა.

თამარის მამიდა რუსუდანი კი სხვაა. მისი თანამედროვე ისტორიკოსები დიდი მოკრძალებით იხსენიებენ მას. იგი ჭკვიან, გავლენიან ქალად მიაჩნიათ. რუსუდანს განსაკუთრებულ პატივის სპმატებდა, რომ დიდი სულთნის ცოლყოფილი იყო. ასეთ ქალზე მართლაც შეიძლებოდა ეთქვა ისტორიკოსს: ყველა მანამდე ქართველ დედოფლებთან შედარებით მშენიერება და უპირატესობა გააჩნდაო.

გვინდა ერთ საკითხსაც შევეხოთ. ცნობილია, რომ თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება თამარის გარდაცვალებისთანავე დაწერილი. მისმა ავტორმა შემდგომი ხანა არ იცის, ან მასზე არ წერს. იგი ლაშა-გიორგის გამეფებაზეც კი არ ლაპარაკობს. მაშ, საიდან უნდა სცოდნოდა მას თამარის დის, რუსუდანის მონაზენად აღკვეცის ამბავი? რუსუდანი ხომ XII ს. 70-იანი წლების დასაწყისში, დაახლოებით 1171-1175 წლებში ჩანს დაბადებული? 80 წლის ასაკს იგი მხოლოდ 1251-1255 წლებში მიაღწევდა. ასე რომ, თამარის მეორე ისტორიკოსს არ შეეძლო განეცხადებინა, თამარის დამ რუსუდანმა ოთხმოცი წლის ასაკში

„შეიყვარა მტკიცედ ქალწულება, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრულიო“.



თამარის მამიდა რუსუდანი კი 1147 წელს გათხოვდა. 1152 წელს დაქვრივებული სამშობლოში დაბრუნდა. თავისთავად ცხადია, რომ 1147 წელს გათხოვილი რუსუდანი დაახლოებით 1127-1130 წლებში მაინც უნდა დაბადებულიყო. იგი ოთხმოცი წლის ასაკს 1207-1210 წლებში მიაღწევდა.

როგორც ითქვა, შამქორის ომის დაწყების წინ, 1195 წელს, რუსუდანი ცოცხალი იყო. მხოლოდ ამის შემდეგ აღარსად ჩანს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად გარდაცვლილია. წყაროებში მოუხსენიებლობა სიბერით და ქვეყნის მართვა-გამგეობაში მისი როლის რამდენადმე შეკვეცით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამ დროს თამარი იმ ასაკში აღარ არის, მისი მეურვეობა რომ სჭირებოდა. თანაც გვერდით საკმაოდ გამჭრიახი მეუღლე დავით სოსლანი ჰყავს. ცხადია, რომ სამოცდაათ წელს მიღწეული რუსუდანი თანდათან უნდა ჩამოსცილებოდა აქტიურ ცხოვრებას და, აქედან გამომდინარე, ისტორიკოსების ყურადღებასაც. მაგრამ, ჩანს, იგი ადვილად არ შერიგებია ჩრდილში ყოფნას. ამ სიცოცხლით სავსე ქალს საამქვეყნო ცხოვრებაზე მხოლოდ მაშინ უთქვამს უარი, როდესაც მისგან ყველაფერი მოუმიკია. ეს მხოლოდ ოთხმოცი წლის ასაკში ჩაუდენია. ამრიგად, თამარის ნახევარ დის რუსუდანის მიერ ფხოტრერის მაცხოვრის ხატის ჩარჩოზე ამოკვეთილი წარწერა XIII საუკუნის პირველი ათეულის შემდეგ უნდა იყოს შესრულებული, როდესაც მონაზვნად აღკვეცილი მისი მამიდა ალბათ გარდაცვლილი იყო. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თამარის ნახევარდა, რუსუდანი, მოგვიანებითაც საქართველოში ცხოვრობდა.

ამრიგად, თამარის ნახევარდა რუსუდანი გათხოვილი იყო არზრუმის სულთნის ვაჟზე მუტაფრადინზე. მისი მეუღლის სამშობლოში შექმნილი არასასურველი პოლიტიკური მდგომარეობის გამო იგი (შეიძლება ქმარიც) საქართველოში დაბრუნდა და აქ ცხოვრობდა. აზრი ოთხმოცი წლის ასაკში მისი მონაზვნად აღკვეცის შესახებ არ მტკიცდება. ეკლესიის მსახური ის კი არა, მისი მამიდა შეიქმნა.

წყაროების უქონლობის გამო თამარის დის შესახებ სხვა მნიშვნელოვანი რამის თქმა ძნელია. მასთან დაკავშირებული რიგი საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია და შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

გიორგი III-ის წერილი ათაბაგ ილ-დუზისისადმი*

XII საუკუნე ქართულ ისტორიოგრაფიას საქართველოს ბრწყინვალე ხანად მიაჩნია. ასეთი შეფასებისას ისტორიკოსები ითვალისწინებენ ამ ეპოქის საქართველოს სოფლის მეურნეობის და ვაჭრობა-ხელოსნობის გაფურჩქვნას, სამეფო ხელისუფლების უკიდურეს გააქტიურებას, კულტურის აყვავებას და სხვ. აღნიშნული ხანის ასეთი აღქმის უპირველესი საფუძველი ყველაზე აშკარად ქართველ თუ უცხოელ მემკვიდრეთა მიერ დადასტურებულ მრავალრიცხოვან სამხედრო წარმატებებში ჩანს. ასეთი შემთხვევა ძალზე ხშირი იყო და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მითუმეტეს, რომ მათზე ლაპარაკს არც ვაპირებთ. ჩვენ, ძირითადად, იმ დიპლომატიურ ღონისძიებებს შევხებით, რომლებსაც ქართველი პოლიტიკოსები თავიანთი სამშობლოს მტკიცე მდგომარეობის შესანარჩუნებლად ატარებდნენ. ეს ღონისძიებანი ხშირად წინ უსწრებდა მოწინააღმდეგესთან შეჯახებას, ან გამრუდებული საქმის გამოსწორებას ცდილობდნენ. დროდადრო მისი ავტორები დიდი ომიანობის ჩაცხრობას აპირებდნენ. რაკი XII საუკუნე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური განმტკიცების ნიშნით მიმდინარეობდა, უნდა დაეასკენათ, რომ ამდროინდელ ქართველ დიპლომატებს თავისი საქმე კარგად უკეთებიათ. წინამდებარე სტატიაში მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს მეფეთ მეფე გიორგი III (1156-1184 წწ.) ერთ წერილს, რომელსაც მუსლიმანურ სამყაროში დიდი გამოსმაურება მოჰყვა და გარკვეული შედეგებით დამთავრდა.

საერთოდ, ცნობილია, რომ გიორგი III ძალზე აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა.¹ მან თავისი მეფობის დასაწყისში შემოიერთა ქ. კალზევანი, ანისი (1161 წელს) და სახელგანთქმული ქალაქი დვინი (1162 წელს). ყველა დასახელებული ქალაქი ამ დროისათვის მუსლიმან ხელისუფალთ ეკუთვნოდათ და ისინი ქართველთა ამ საქმიანობას უპასუხოდ როდი ტოვებდნენ. ასე რომ, XII საუკუნის 60-იან წლებში საქართველო მუსლიმანთა

* ეს ნაშრომი პირველად 1996 წელს გამოქვეყნდა „ქართული დიპლომატიის წიგნი“ მესამე წიგნში (გვ. 118-130).

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1948, გვ. 228.



პირისპირ იდგა და დაურიდებლად იერთებდა მათ სამფლობელოებს. აი, სწორედ ასეთ ვითარებაში, მათსა და საქართველოს შორის არსებულ ისედაც დაძაბულ ვითარებას უდიდესი ბიძგი მისცა გიორგი III-ის მიერ ერეკის სასულთნოს ათაბაგ შამს ად-დინ ილ-დეგიზთან გაგზავნილმა ერთმა წერილმა.

შამს ად-დინ ილ-დეგიზი, ყოფილი თურქი მონა, თავისი ჭკუითა და მოხერხებით ისე აღზევდა, რომ სასულთნოს ერთ-ერთ უგაველენიანეს კაცად იქცა. მას ათაბაგის თანამდებობა ეკავა, უზარმაზარ მიწა-მაძულებს ფლობდა და ფუფუნებაში ცხოვრობდა. მისი მიწები, ძირითადად, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში მდებარეობდა, რაც მას საქართველოს მეზობელს ხდიდა. მაგრამ ილ-დეგიზი საქართველოს არა მხოლოდ აზერბაიჯანის, მთელი ერეკის სახელმწიფოს სახელით ელაპარაკებოდა და ქართველთა სამხედრო წარმატებებიც გულით სწყინდა.

წერილი, რომლის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვეთ, შემონახული აქვს XII-XIII საუკუნეების არაბ ისტორიკოსს სადრ ად-დინ... აღ-ჰუსაინს. მის ვრცელ ნაშრომში „ახბარ ადდაულათ ას-სელჯუკია“ მრავალი საყურადღებო ცნობის გვერდით აღნიშნულია შემდეგი: „ათაბაგმა ილ-დეგიზმა გადაწყვიტა, დაბრუნებულიყო აზერბაიჯანში და არანში, რადგანაც მან გაიგო, რომ თურმე ქართველებმა, მონუსხულმა გადაწყვეტილებით შეჭრილიყვნენ ისლამის ქვეყნებში, უკვე გაძარცვეს დეინი, შეიპყრეს ისინი, ვინც იქ იმყოფებოდა... და ის დაბრუნდა აზერბაიჯანში“.

„... როდესაც ათაბაგი აზერბაიჯანში მოვიდა, ქართველებმა მას ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნეს: „ჩვენ გვეკუთვნის ხარკი განჯიდან და ბაილაქანიდან, რომელიც ყოველწლიურად შედის ჩვენი მეფის ხაზინაში. მაგრამ აი, უკვე რამდენიმე წელია, რაც ხარკის შემოსვლა ხაზინაში შეწყდა, და ჩვენ გვსურს, ეს ფული შენ შემოიტანო“.

მკითხველს ეთხოვთ, წერილის ტონს დაუკვიდრეს. ჩვენი აზრით, მასში აშკარად იგრძნობა XII საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე. ამ დროს გიორგი III-ის საქმე სრული აღმავლობით მიდიოდა და გაამაყებული, ანგარიშს არ უწევდა ილ-დეგიზს.

² Садр ад-Дин Али ал-Хусайни-Ахбар ад-даулат ас сельджукини (сообщения о сельджукском государстве. "Сливки летописей, сообщающих о сельджукских эмирах и государях"). Издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Буниязтова, М., 1980, гл. 137.



სადრ ად-დინ... ალ-ჰუსაინის მიერ მოტანილი წერილი, რა თქმა უნდა, სრული არ არის. მას, ალბათ, შესავალი და აკლია და მხოლოდ უმთავრესი ნაწილია ფიქსირებული. მიუხედავად ამისა, ამ წერილის მნიშვნელობა ჩვენთვის განუზომელია. ეს არა მარტო იმით განისაზღვრება, რომ ერაყის სასულთნოსთან დიპლომატიურ ურთიერთობას გვაუწყებს, არამედ იმიტაც, რომ იგი გიორგი III-მდე არსებული საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებაც საჭირო ინფორმაციას იძლევა. მხედველობაში გვაქვს წერილში ხაზგასმული აზრი იმის შესახებ, რომ უკვე რამდენიმე წელია განჯიდან და ბაილქანიდან ჩვენი სამეფო ხაზინისთვის განკუთვნილი ხარკი აღარ მოგვდისო. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ეს წერილი ათაბაგ ილდეგიზს დეინის აღების შემდეგ გაუგზავნეს.

მაგრამ როდის დაადეს ქართველებმა ხარკი განჯას და ბაილქანს? რა დრო იგულისხმება გამოთქმაში – „მაგრამ აი, უკვე რამდენიმე წელია, რაც ხარკის შემოსვლა ხაზინაში შეწყდა“.

ცნობილია, რომ გიორგი III 1156 წელს გამეფდა. ეს წერილი კი დაახლოებით 1162 წელს დაიწერა. 1156-1162 წლებში რომ მას დასახელებული ქალაქები დაეპყროს, ცნობილი არ არის. მართალია, 60-იან წლებში ძალზე აქტიური სამხედრო საქმიანობა წამოიწყო და მოწინააღმდეგეც დიდად შეავიწროვა, მაგრამ ამ დროს მისი მახვილი სულ სხვა მხრივ იყო მიმართული. ვფიქრობთ, ეს ცნობა გიორგი III-ის მეფობის ფარგლებს სცილდება და გაცილებით ადრინდელ ხანას ეხება. აშკარაა, ეს საკითხი საგანგებო მსჯელობას იმსახურებს, მაგრამ, ჯობს, ცოტა მოგვიანებით შევეხოთ. ახლა ისევ ზოგადად წერილს მივუბრუნდეთ.

სადრ ად-დინ... ალი ალ-ჰუსაინი განაგრძობს: როდესაც ათაბაგმა ილდეგიზმა მეფის წერილი მიიღო, მან ქართველებს შემდეგი პასუხი გასცა (ალბათ, მანაც წერილობით): „მე ერაყი დაეტოვე და ამ ქვეყანაში მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ შევაგროვო ლაშქარი, გავილაშქრო თბილისზე და ალყაში მყავდეს იგი მანამ, სანამ არ ავიღებ. თუ თქვენ გაქვთ ძალა, გამოიყენეთ იგი, რადგან მე თქვენს ქვეყანაში შემოვიჭრები. მე მოვედი თქვენთან (ისეთი) ლაშქრით, რომლისაგან ველარაფური ვიხსნით, გარდა ხმლისა და (შუბის) წვერის დარტყმებისა“³.

³ Садр ад-Дин Али ал-Хусайни-Ахбар ад-даулат ас сельджукиина, დასახ. ნაშრ., გვ. 137.



უკვე აღვნიშნეთ, რომ ათაბაგი ილ-დევგი უგავლენიანესი პირი იყო ერაყში. ამიტომ გიორგი III-ის წერილისადმი მისი თი დამოკიდებულება საქართველოსაც და ერაყსაც აშკარად ომისაკენ უბიძგებდა.

იმ დროს, ათაბაგმა რომ საქართველოს მეფის წერილი მიიღო, სულთანნი არსლან-შაჰ იბნ თოღრილი (1161-1176 წწ.) ჰამადანში იმყოფებოდა. ათაბაგმა ილ-დევგიმას კაცები გაუგზავნა და გიორგის წერილის შინაარსი, აგრეთვე, ამ წერილზე საკუთარი პასუხის შინაარსი შეატყობინა. რაც მთავარია, სთხოვა, რომ ლაშქარი შეეკრიბა და მასთან არანში მისულიყო. სულთანმა მართლაც შეკრიბა ლაშქარი და ერაყიდან დათქმული ადგილისაკენ გაემგზავრა. სადრ ად-დინ... აღ-ჰუსაინი წერს: მას ისეთი ლაშქარი მოჰყავდა, რომ მისი თითოეული მეომარი ათასს, ზოგიერთი კი მეტ მეომარს უდრიდაო. „ისინი ომის ცხენებზე აღზარდეს, ხოლო გამოცდის ძუძუებით გამოკვებესო“ – დაასკვნის იგი. აღნიშნულ ლაშქარს კიდევ უფრო აშკარად ახასიათებს ისტორიკოსის შემდეგი სიტყვები: ერაყში ჯერ არავის სმენოდა რჩეული ხალხისაგან შეკრებილი ასეთი ლაშქრისა და ამ არმიის შემადგენელი სხვადასხვა სახეობის რაზმების შესახებო.⁴

ამრიგად, გიორგი III-ის წერილი დიდი გართულების მიზეზი შეიქნა. მისი შინაარსით განაწყენებული სულთანი არსლან-შაჰი დიდი ლაშქრით საქართველოს მეზობელ მხარეში – განჯაში მოვიდა.

სადრ ად-დინ... აღ-ჰუსაინი წერს: როდესაც საქართველოს მეფემ გაიგო, რომ სულთანი მოვიდა და ქართველებთან ომი აქვს გადაწყვეტილი, მას ელჩი გაუგზავნა და დაუწყო ხევწნა: „მე უარს ვამბობ იმაზე, რასაც შენგან ვითხოვდი. მე მეტს აღარაფერს ისეთს არ გავაკეთებ, რაც შენ ბოროტებას მოგაყენებს. მე ყველაფერ იმაზე ვარ თანახმა, რაც შენ გსურს და მზად ვარ ყველა შენი სურვილი შევასრულო“.

შეიძლება ისტორიკოსი არ ტყუის, როდესაც გიორგის მიერ სულთანთან ელჩის გაგზავნასა და საკუთარ მოთხოვნებზე უარის თქმაზე ლაპარაკობს. ერაყისა და დასავლეთ ირანის სულთანი არსლან-შაჰი ანგარიშგასაწევი ძალა იყო და მასთან ომი საქართველოს კარგს არაფერს უქადდა. ამიტომ, შეიძლება გიორგი III-მ მართლაც სცადა ერაყთან ომის თავიდან აცილება.

⁴ Садр ад-Дин Али ал-Хусаини-Ахбар ад-даулат ас сельджукини, დასახ. ნაშრ., გვ. 138.

მითუმეტეს, რომ ახლა მისი პოლიტიკური საქმეები კარგად მიდიოდა და ამ მდგომარეობის შენარჩუნება მისთვის ყველაზე სასარგებლო იყო. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოვკრწეს შემდეგიც: შეიძლება გიორგი III, თავისი ელჩების პირით, სულთანთან აშკარად თავს იკატუნებდა. ცოტა ხნის შემდეგ აშკარა გახდება, რომ საქართველოს მეფეს არსლან-შაჰზე არანაკლები ძალის ლაშქარი ჰყოლია და მასთან მარცხის საფუძველიც ნაკლებად ჰქონია. თვითონ სადრ და დინ... აღ-ჰუსაინს აქვს ნათქვამი, რომ საქართველოს მეფემ უზარმაზარი ლაშქარი და აღალი გამოიყვანა. „ურწმუნოთა არცერთ არმიას არ შეუკრებია ამდენი მეომრები და ხალხი, იარაღი, შუბ-სამკბილეები, ჯიშინი ცხენები და შესანიშნავი ჯორები, როგორც შეკრიბა ამ ლაშქარმაო“.⁵ მაგრამ ეს იყო შემდეგ, როცა მტერი უკვე საქართველოს ფარგლებში შეიჭრა. მანამ, აშკარაა, რომ მოწინააღმდეგე დიდ უპირატესობას ფლობდა – ლაშქარშემოყრილი ჩვენი ქვეყნის საზღვართან იდგა. გიორგი III-ს, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მისთვის ეს უპირატესობა უნდა დაეთმოებინა. ანდა, არ უნდა დაეშვა, რომ მოწინააღმდეგე ჯერ კიდევ ლაშქარშემოყრებ გიორგის დასხმოდა თავს. ეტყობა, გიორგის ეს პრობლემა აშკარად აწუხებდა. არაბი მემატიანე გარკვევით ლაპარაკობს, რომ საქართველოს მეფეს ლაშქარი გაფანტული და დაშლილი ჰყოლია და მისი შეგროვება მოწინააღმდეგის საქართველოს ფარგლებში გამოჩენის შემდეგ მოუხერხებია.

გიორგი III-ის სხვა ბიოგრაფიული მონაცემებით ვიცით, რომ საჭიროებისას მას თავის მოკატუნება, ანუ არასასურველის სასურველად წარმოდგენა მშვენიერად ეხერხება. ახლაც იმავე თვალთმაქცობასთან უნდა ვვქონდეს საქმე. ვფიქრობთ, აღნიშნული მომენტი კარგად ახასიათებს ამ ძლიერი პოლიტიკოსის საქმიანობის მრავალფეროვნებას. ეს აზრი კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ გიორგის ასეთი ქცევის შედეგს გაეითვალისწინებთ.

საქართველოს მეფის ელჩის განცხადებამ მოწინააღმდეგის განწყობაზე აშკარად იმოქმედა. ნაცვლად იმისა, რომ ზემოთ ხაზგასმული უპირატესობით დაუყოვნებლივ ესარგებლათ და საქართველოს საზღვრებში შეჭრილიყვნენ, მუსლიმანმა მხედართმთავერებმა განჯაში დგომა არჩიეს. მათ აქვე ჰყავდათ გიორგი III-ის ელჩიც. უცნობია, საქართველოს მეფის ელჩის განცხადე-

⁵ Садр ад-Дин Али ал-Хусайни-Ахбар ад-даулат ас сельджукина, дасახ. ნაშრ., გვ. 139.



ბამ იმოქმედა თუ არა, მაგრამ აშკარაა, რომ ათაბაგ ილ-დევგის ქართველებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების სურვილი გახსნილია. ეს აშკარად გამოჩნდა იმ სამხედრო საბჭოზე, რომელზეც საქართველოს მეფის თხოვნის პასუხი უნდა ჩამოეყალიბებინათ. საბჭოზე მონაწილეობდნენ თვითონ სულთანი არსლან-შაჰ იბნ თოდრული, ათაბაგი შამს ად-დინ ილ-დევგი, შაჰ-არმენი სიოკმენ იბნ იბრაჰიმი და სხვა ამირები.

მარტო ის ერთი დღეც რომ მოეგო, რაც სულთანმა გიორგის განცხადების პასუხის ჩამოყალიბებაზე დაკარგა, საქართველოს მეფის ეს პოლიტიკური ნაბიჯი უკვე გამართლებული იყო. მისმა სამშვიდობო სიტყვებმა, ყველა მოთხოვნაზე სიტყვიერად ხელის აღება, ათაბაგი ბრძოლის გამართვის მნიშვნელობაზე დააფიქრა. ეტყობა, იგი არ მაღავედა და ომის გადადებას ცდილობდა.

საბჭოზე პირველი სიტყვის წარმოთქმა სწორედ მას მოუხდა. სადრ და დინ... აღ-ჰუსაინი წერს, რომ მონაწილეებმა პირდაპირ მიმართეს მას: „საქმე შენი გადასაწყვეტია. შენი ქვეყნის ამბავი ყველაზე უკეთ შენ იცი. რას ფიქრობ ამაზე?“⁶ ე. ი. რა ვქნათ, შევიტრათ საქართველოში, თუ არაო. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, რა განაცხადა ილ-დევგისმა. მაგრამ მონაწილენი რომ მისი პასუხით უკმაყოფილონი დარჩენილან, ეს ცხადია. სადრ ად დინ... აღ-ჰუსაინი წერს: „მათ (თათბირის მონაწილეებს, ჯ. ს.) მოეჩვენათ, რომ იგი სამშვიდობო მოლაპარაკებისაკენ იხრება. მაშინ ერაცის ამირები წამოდგნენ და, როგორც სულთნის მსახურებმა, მას განუცხადეს: ჩვენ ჩვენი ავლა-დიდება ლაშქრის და ხალხის შეიარაღებაზე დავხარჯეთ და ისეთი არმია შევაგროვეთ, რომელსაც მთელი არემარე ევიწროება, ხოლო მისი მტერი ყველას აიძულებს, განერიდოს მას. ჩვენ აქ მასთან ერთად მოვედით და ახლა ისე უნდა დავბრუნდეთ, რომ არ შევეყაროთ ისლამის მტერს და არ ვაჩვენოთ მას შურისძიების წყაროდან ამოხაპული ჩვენი ძალა, ძალა, რომელიც მას მიიყვანს დამდაბლებასთან და დამორჩილებასთან, უძლეველობა, რაც ზურგს აქცევინებდა მას სიძუნწისაგან, და ნება, რაც მის გულში შიშსა და მწუხარებას ჩანერგავდა?“⁷

მათი აზრი შაჰ-არმენ სიოკმენ იბნ-იბრაჰიმამაც გაიზიარა. მისი განცხადებით, ისლამის მტრებმა მუსლიმების წინააღმდეგ თა-

⁶ Садр ад-Дин Али ал-Хусайни-Ахбар ад-даулат ас сельджукиниа, დასახ. ნაშრ., გვ. 138.

⁷ იქვე.



ვიანთი გულები ძალიან გაისასტიკეს. სწორედ ისინი იყვნენ რომლებმაც გაძარცვეს, გაავერანეს დვინი და მისი მრავალრიცხოვანი სახლე ტყვედ გაირეკეს. „ყოველივე ეს მე თვალწინ მიდგას“-ო – თქვა მან. მისივე სიტყვით: „თუ მტერი (ე. ი. ქართველები) დაინახავს, რომ ჩვენ დავიშლებით მასთან უბრძოლველად, შეჯახების გარეშე, და დავბრუნდებით ისე, რომ არ შევებმებით და არ ჩავერთვებით ომში, ხოლო ეს მოხდება მას შემდეგ, რაც ჩვენ დავხარჯეთ ის, რაც დახარჯულია და შევეკრიბეთ იმდენი მხედრობა, რამდენიც შეგვეძლო, რა თქმა უნდა, მტრის გაუმადლოება კიდევ უფრო გაიზრდება. და როცა სულთანნი – დაე საუკუნო გახადოს ალაჰმა მისი ხელისუფლება! – დაბრუნდება ერაყში, მტერი თავისი ძალებითა და ლაშქრით გამოვა ისლამის ქვეყნის წინააღმდეგ, რადგანაც იგი დამცველთაგან და (მტერთან) შემხვედრთაგან და უკუმქცეველთაგან დაცლილი იქნება. მაშინ მუსლიმებს თავს დაატყდებათ უპატივისმცემლობის სიმძიმე და მისი სიბოროტე დიდებულთ თუ უბრალო ხალხზე გავრცელდება“.⁸

თავისი გულისნადების მეტი სიცხადით გამოხატვა ძნელია! შაჰ-არმენ სიოკმენ ბენ იბრაჰიმი ის კაცი იყო, ვისაც ანისი და დვინი ეკუთვნოდა და საკუთარი თვალთ შქონდა ნანახი ამ ქალაქების კედლებთან მიჭრილი ვალაღებულნი ქართველები, მათ მიერ გარეკილ მუსლიმან ტყვეთა ცრემლიანი თვალები. იმიტომაც ღაპარაკობდა ასე გულამოსკენით და კიდევ მიაღწია საწადელს: ათაბაგი ილ-დევგიზი ჩიხში მოაქცია. მისი სიტყვის შემდეგ, რომელშიც მშვენივრად იყო შერჩეული ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური საფუძვლები, ათაბავს სამშვიდობო განწყობის ბაზა მოეშალა. ახლა, თუ ილ-დევგიზს არ სურდა თავისი დიდი გავლენის საბოლოო შეღახვა, ამირებს და შაჰ-არმენს უნდა დათანხმებოდა. ასეც მოიქცა. სათითაოდ ჩამოუარა მათ, კოცნიდა და თან ეუბნებოდა: „ახლა კი მივხვდი, რომ თქვენ წმინდა ომი ვწადით და მოითხოვთ ალაჰის მტრებთან ბრძოლას. მაშ, წინ, ურწმუნოებზე, განუტევეთ თქვენი სული ერთადერთი და ძლიერი ალაჰისათვის მოწყობილ ჯიჰადში“.⁹

ზემოთ გიორგი III-ის დიპლომატიურ მოხერხებულობაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ ათაბაგმაც არანაკლებ ღამაზად გაი-

⁸ Садр ад-Дин Али ал-Хусаини-Ахбар ад-даулат ас сельджукииа, დასახ. ნაშრ. გვ. 139.

⁹ იქვე.



თამაშა ეს მნიშვნელოვანი სცენა. არადა ამ მსოფლიო მნიშვნელოვან მოღვაწეს ნამდვილად უნდა სურებოდა ქართველებთან ზავის დადება. შაჰ-არმენი სიოკმენ იბნ იბრაჰიმი და ამირები განჯის მხარეში შორეული ქვეყნებიდან იყვნენ მოსულნი. მათი ძირითადი მიზანი – ალაფის შოვნა, ბევრ სიძნელეს უკავშირდებოდა, მაგრამ მაინც მიღწევადი იყო. შეიჭრებოდნენ საქართველოს საზღვრებში, მის ლაშქარს დაამარცხებდნენ და მიზანი მიღწეული იყო. მერე, ქონებით აღვსილნი ისევ თავ-თავიანთ მხარეებში დაბრუნდებოდნენ. ათაბაგ ილ-დევიზის მდგომარეობა კი სხვა იყო. მისი სამფლობელო აზერბაიჯანში მდებარეობდა. აქედან საქართველომდე კი ერთი ხელის გაწვდენა მანძილიღა რჩებოდა. როდესაც ერაყელი და ხლათელი მეომრები ამიერკავკასიიდან წავიდოდნენ, იგი შურისძიებით გაბოროტებული ქართველების პირისპირ დარჩებოდა. ეს აშკარა იყო და მათთან მშვიდობიანობის ჩამოგდება ათაბაგს უფრო მეტ სიკეთეს მოუტანდა, ვიდრე ომი. მითუმეტეს, რომ საქართველოს მეფის ელჩი ჯერ კიდევ მის ბანაკში იყო და ვიორგი III-ის სამშვიდობო განცხადების სამაგიერო პასუხს ელოდა. რაღად შეეგდო სასწორზე თავისი ქონების ბედი, როცა საქართველოს მეფეს თავის წერილში გამოთქმული ყველა მოთხოვნა, მისივე ელჩის პირით, უკან მიჰქონდა? ათაბაგი ასე სჯიდა, მაგრამ, როგორც ითქვა, მისი და მოწვეულ დიდებულთა სურვილები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. და რადგანაც საკუთარი მიზნის დევნამ იგი მის საშველად მოსულ თანამორწმუნეებს დაუპირისპირა, უკან დაიხია. ახლა კი მიეხვდი, რომ თქვენ ურწმუნოებთან წმინდა ომი გწადიათო, – განაცხადა მან სხვების გასაგონად, რათა ვინმეს გულში რაიმე ეჭვი არ ჩარჩენოდა და ამით საქართველოსთან ომის ბედიც გადაწყდა. სადრ ად-დინ... აღ-ჰუსაინი გვაუწყებს, რომ ამის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა „უკანვე გაგზავნეს საქართველოს მეფის ელჩი თავისი მშვიდობიანი სიტყვებით და მაშინვე დაიძრნენ იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდნენ“.¹⁰

ამრიგად, ვიორგი III-ის მიერ ათაბაგ ილ-დევიზისადმი გაგზავნილი წერილი დიდი მოვლენის საბაბი შეიქნა. მან ქართველების შემტევი საქმიანობით გაღიზიანებულ მუსლიმან ხელისუფალთა გაერთიანებას ერთგვარი ბიძგი მისცა და მათი ქვეყნების ხელმყოფთა წინააღმდეგ წარმართა.

¹⁰ Садр ад-Дин Али ал-Хусаини-Ахбар ад-даулат ас сельджукииа, დასახ. ნაშრ., გვ. 139.



სულთნის უზარმაზარი ღაშქარი საქართველოს საზღვრებში შეიჭრა. სადრ ად-დინ... ალ-ჰუსაინის ცნობით, „როდესაც საქართველთა მეფემ გაიგო იმის შესახებ, რომ ისინი მის ქვეყანაში შეიჭრნენ, მათ შესახებედრად გაეშურა. ის მოემზადა, შეიარაღდა, შეკრიბა გაფანტული რაზმები და უზარმაზარი ღაშქრითა და აღალით გამოვიდა“. მისივე სიტყვით, ურწმუნოთა არცერთ არმიას არ შეუგროვებია მეომრებისა და ხალხის ასეთი დიდი რაოდენობა, იარაღი, შუბ-სამკბილეები, ჯიშინი ცხენები და შესანიშნავი ჯორები, როგორსაც ეს არმია ფლობდა.¹¹

ამის შემდეგ ავტორი საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერს ერაცისა და დასავლეთი ირანის სულთან არსლან-შაჰ იბნ თოღრულისა და გიორგი III-ის ღაშქართა შორის გამართულ ბრძოლას.¹² სამწუხაროდ, ქართველებმა ეს მნიშვნელოვანი ბრძოლა წააგეს, თანაც მოკლეულის სახით ათი ათასამდე მეომარი დაკარგეს. მრავალი ტყვედ ჩავარდა. მუსლიმანები დიდძალ ალაფსაც დაეუფლნენ. მათ ხელთ აღმოჩნდა მეფის შარაბ-ხანა, ე. ი. სასადილო თავისი მოწყობილობებით, აგრეთვე საგანძური. ეს სიმდიდრე იმას ჰგავდა, — აღნიშნავს ავტორი, — ალაჰმა სამოთხეში მოხვედრილ მუსლიმანთ რომ აღუთქვაო.¹³ ამ წაგებულ ბრძოლის შესახებ საგანგებო კვლევის ჩატარებაა საჭირო. ჩვენ გვეჩვენება, რომ ქართველებმა იგი შემთხვევით დათმეს. პარალელური წყაროების გამოყენება იმ აზრზე გვაყენებს, რომ სადრ ად-დინ... ალ-ჰუსაინის მიერ აღწერილი ბრძოლა ის უნდა იყოს, მუსლიმანებმა მათ მხარეზე გადასული ვილაც მოლაღატე ქრისტიანის ხელშეწყობით რომ მოიგეს. ამის შესახებ კი საყურადღებო ცნობები დაუცავთ იბნ ალ-ასირს და ზოგიერთ სხვა მემატინეს. საკითხის საჭიროების მიუხედავად, ახლა მასზე არ შევჩერდებით. წინამდებარე სტატიის მიზანი გიორგი III-ის იმ დიპლომატიური საქმიანობის წარმოჩენა იყო, რომელზეც ვილაპარაკეთ. რაც შეეხება მოწინააღმდეგეთა შორის მომხდარ ბრძოლას, იგი, ამჯერად, ჩვენი კვლევის ფარგლებში არ შედის.¹⁴

¹¹ Садр ад-Дин Али ал-Хусаини-Ахбар ад-даулат ас сельджукина, დასახ. ნაშრ., გვ. 139.

¹² იქვე, გვ. 139-140.

¹³ იქვე, გვ. 140.

¹⁴ ახლა, ამ ბრძოლის დაწვრილებით აღწერას იმიტომაც ვარიდებთ თავს, რომ ეს სამუშაო უკვე ჩატარებული გვაქვს ჩვენს მონოგრაფიაში. იხ. ჯ. სტეფანაძე, მეფეთ-მეფე გიორგი III, თბ., 1995, გვ. 71-75.

სამაგიეროდ, გვინდა შევეხოთ გიორგი III-ის წერილში აღბრუნდეთ იმ საკითხს, რომელმაც სტატიის დასაწყისში კითხვად გვასმევინა: როდის დაადეს ქართველებმა ხარკი აზერბაიჯანის ქალაქებს – განჯას და ბაილაქანს? აღვნიშნავთ, რომ ეს კითხვა დიპლომატიური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდება და მასზე ლაპარაკი სასურველად გვეჩვენება.

სამწუხაროდ, გიორგი III-ის ბიოგრაფიის ბევრი მნიშვნელოვანი მონაკვეთი სრული სიბნელით არის მოცული. მაგალითად, არაფერი ვიცით 1156-1160 წლებზე. მემარტიანეები ამ ხანას სრული დუმილით უვლიან გვერდს. შეიძლება გვეფიქრა, რომ, რაკი ასეა, იქნება ქალაქები – განჯა და ბაილაქანი მან სწორედ დასახელებულ წლებში დაიპყრო და დახარკა. მაგრამ ამ ქალაქების მნიშვნელობას თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვირწმუნოთ, რომ ეს ფაქტი მემარტიანეებს, განსაკუთრებით კი მაჰმადიანებს, აღუნიშნავი არ დარჩებოდათ. ამას გარდა, გიორგი III-ის წერილში ხომ პირდაპირ არის განცხადებული, რომ უკვე რამდენიმე წელია, დასახელებული ქალაქებიდან საქართველოს ხაზინას ხარკი აღარ შემოსდისო. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ქ. განჯისა და ბაილაქანის დახარკვა ქართველებს მის გამეფებამდე უნდა მოეხერხებინათ.

ამ დიდ პოლიტიკურ წარმატებას ვერც დავით V-ს მივაწერთ. ცნობილია, რომ დავით V-მ სახელმწიფოს საჭესთან ექვს თვეს გაძლო და თავისი ხანმოკლე მეფობა ქვეყანაში საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებას მონადომა. ძნელი წარმოსადგენია და არც არსად არის ნათქვამი, რომ მისი მეფობისას საქართველოს ასეთი დიდი პოლიტიკური ნაბიჯი გადაედგას. ჩვენ გვგონია, რომ გიორგი III-ის წერილში დადასტურებული ამბავი – განჯისა და ბაილაქანის ქართველების მიერ დახარკვა – დემეტრე I-ის მეფობისას უნდა მომხდარიყო. ასეთი განცხადების მყარი მეცნიერული საფუძველი არსებობს და მკითხველსაც გაეაცნობთ.

1139 წელს¹⁵ ადარბადაგანსა და არანში დიდი მიწისძვრა მოხდა. ამ მიწისძვრამ ქ. განჯა დაანგრია და მოსახლეობაც მრავ-

¹⁵ ამ მიწისძვრის თარიღად ზოგი მემარტიანე 1139-1140 წლებს ასახელებს (მაგ., იბნ ალ-ასირი), ზოგი 1138-1139 წლებს (მაგ., სიბტ იბნ ალ-ჯაუზი, აინი, ბარ კებრაი). ვარდანის სიტყვით, მიწისძვრა 1139 წელს უნდა მომხდარიყო (ყოველივე ამის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 223. შენ. 1).

ლად ამოწყდა. მეფე დემეტრემ ქ. განჯაზე გაილაშქრა მარჯვების ნიშნად ქალაქის კარიც თან წამოიღო.¹⁶

დემეტრეს მიერ ქ. განჯის აღების შესახებ ძალზე საჭირო ცნობები აქვს დაცული XII-XIII სს-ის ცნობილ სომეხ მწერალს მხითარ გოშს. თავის თხზულებაში – „ალბანეთის ქრონიკა“ – იგი წერს: „არევის თვეში, თვის 18 დღეს, პარასკევ-შაბათის დამეს, როდესაც წმინდა გიორგის დღესასწაული იყო, გაიღვიძა ღვთის რისხვამ ქვეყნიერებაზე, იმძლავრა დედამიწაზე, შეაზანზარა უსაშველო რყევით (და) ძლიერი ნგრევა გამოიწვია ალბანეთის ქვეყანაში...“

ამ მიწისძვრამ მრავალი ნგრევა გამოიწვია ფარისოსისა და ხაჩენის მრავალ ადგილსა და მხარეში, საყოველთაოდ, როგორც ბარში, ისევე მთებში. ამის გამო დედაქალაქი განძაკი ერთიანად უფსკრულში ჩაიკარგა, მისი მცხოვრებლებიც შთაინთქნენ, რადგანაც მის ოთხივე მხარეს თავის სტომაქში მოუყარა თავი (მიწისძვრამ). ხოლო მთიან მხარეებში მრავალი ციხესიმაგრე და სოფელი დაამხო მონასტრებთან და ეკლესიებთან ერთად, რომლებიც თავზე ჩამოექცათ მის მცხოვრებლებს. დაქცეულმა შენობებმა და კოშკებმა უთვალავი ხალხი დახოცა. ეს მოხდა სომხური წელთაღრიცხვის 583 (1139) წელს.

ხოლო იმავე დღეებში, როდესაც მიწისძვრა მოხდა, გამოვიდა ქართველთა მეფე მრავალი ჯარითურთ და გაემართა არანის ოლქისკენ. მას ერქვა დემეტრე, შვილი დაუით მეფისა. ის მივიდა დედაქალაქში მხედართმთავრის ივანეს წინამძღოლობით. ისინი იქცეოდნენ უმოწყალოდ და შეუბრალებლად, თავს ესხმოდნენ გადარჩენილებს და ერთიანად მუსრავდნენ და ატყვევებდნენ...“¹⁷

მხითარ გოშის მიერ აღწერილი ლაშქრობა სწორედ ის არის, რომლის დროსაც დემეტრემ ქალაქის კარი თბილისში წამოიღო. წყაროებიდან ჩანს, რომ ამ ლაშქრობისას ქართველთა ლაშქარს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ქალაქიცა და საერთოდ მთელი მხარეც ისეთი დაზარებული ყოფილა, რომ წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ჰქონიათ.¹⁸

იქნებ ამ დროიდან მოექცა ქ. განჯა ქართველთა ხელში? მაგრამ იმავე მხითარ გოშს აღნიშნული აქვს, რომ მუსლიმანებ-

¹⁶ კირაკოს განძაკეცი, ისტორია, ტფ., 1910 წელი, გვ. 108 (სომხურ ენაზე).

¹⁷ ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“. კრ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II. თბ., 1968, გვ. 38-39.

¹⁸ იქვე, გვ. 39.

მა, კერძოდ, კი ამირა ხარანგურმა, ჩქარა აღადგინა ქ. განჯის დაქცეული კედლები და მთელ მის საზღვრებშიც მშვიდობა დაამყარა. ამას გარდა, საქართველოს ფარგლებშიც ორჯერ ილაშქრა და მისი საზღვრები მოარბია.¹⁹

ვფიქრობთ, მხითარ გოშის ეს ცნობა არ ადასტურებს ვარაუდს ქართველების მიერ განჯის ამ პერიოდში დახარკვის შესახებ. ჩვენი აზრით, ეს ოდნავ გვიან, კერძოდ, XII საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს უნდა მომხდარიყო. აქ, კვლავ დავესესხებით დასახელებულ სომეხ მწერალს მხითარ გოშს და მოვიტანთ მისი თხზულების ერთ პატარა ნაწილს, რაც ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასაღებს უნდა წარმოადგენდეს. მხითარ გოში წერს: ამის შემდეგ (იგულისხმება ფარსისა და ხუზისტანის ამირას ბუაფაის დაღუპვა) ამირა ერგიშამ სულთნის ბრძანების გარეშე მოისურვა განჯის დაპატრონება. მაგრამ ქალაქის მოთავეებმა ის შივნით არ შეუშვეს. მაშინ ერგიშამ მთიან მხარეებში თურქმანები შეკრიბა და ეს მიწა-წყალიც მოითარეშა. მას ქ. განჯის ალყაში მოქცევა სურდა. „ხოლო მოქალაქეებმა დახმარება სთხოვეს ქართველთა მეფეს, რომლის სახელი იყო დემეტრე, მისი ქალიშვილი მომავალში სულთნის ცოლი უნდა გამხდარიყო, სახელად რუზუდანი და როგორც მისაგებელი, მიცემული ჰქონდა მას განძაკი. აი, ამ მიზეზის გამო ქართველთა მეფემ ჯარები გაგზავნა. ერგიშა გაიქცა და სპარსეთის მხარეებში დაბრუნდა“.²⁰

მაშასადამე, ამირა ერგიშა რომ განჯის ასაღებად ემზადებოდა, ქალაქი დემეტრე მეფის კუთვნილებაში იყო გადასული. დემეტრეს ქალიშვილი რუსუდანი სულთან მასუდზე იყო დანიშნული და სიძეს თავის სასიამოროსთვის მისაგებლად ქ. განჯა მიუცია. ეს უკვე აშკარა მითითებაა განჯის საქართველოს მეფის კუთვნილებაში ყოფნის შესახებ. ცხადია, იმიტომაც მიმართეს ერგიშასაგან შეწუხებულმა განჯელმა მოქალაქეებმა დემეტრეს, ამ უკანასკნელმა კი განდევნა იგი. ცნობის სისწორეში რომ ეჭვი არავის შეეპაროს, აღვნიშნავთ შემდეგსაც: სხვა წყაროებითაც დასტურდება, რომ დემეტრეს ასული რუსუდანი იყო გათხოვილი სულთან ყიას ად-დინ მასუდზე, ერაყისა და დას. ირა-

¹⁹ ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „აღბანეთის ქრონიკა“. კრ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, თბ., 1968, გვ. 40.

²⁰ იქვე, გვ. 43.

ნის ხელმწიფეზე (1134-1152 წწ.). იგი 1152 წელს გარდაიცვალა და დაქვრივებული დედოფალი საქართველოში დაბრუნდა.²¹ მხითარ გოშის მიერ ფიქსირებულ ცნობაში ლაპარაკია ქართველთა მეფის ხელში მხოლოდ ქ. განჯის გადასვლის შესახებ. ავტორი არაფერს ლაპარაკობს მეორე ქალაქზე – ბაილაქანზე. გიორგი III-ის მიერ ათაბაგ ილ-დევიზთან ვაგზავნილ წერილში ხომ ორივეზეა ლაპარაკი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გიორგი III-ის წერილი არასწორ ინფორმაციას იძლევა. პირიქით, მხითარ გოშმა ნაწილობრივ დაადასტურა მისი შინაარსი. ეს უკვე ბევრს ნიშნავს. დამტკიცდა ის დიდი დიპლომატიური წარმატებაც, რაც, თავის დროზე, დემეტრეს მოუპოვებია. იქნებ მომავალში ბაილაქანის ქართველთა მოხარკეობაც დამტკიცდეს? მხითარ გოშის აღნიშნული ცნობაც ხომ სულ რამდენიმე წელია გაიცნეს სამეცნიერო წრეებმა. აღარას ვამბობთ თვით გიორგი III-ის წერილზე (უფრო სწორად წერილის ნაწყვეტზე), რომლის არსებობა ცოტა ხნის წინ გავიგეთ. დაეუცადოთ სხვა წყაროების გამოყენებასაც.

დემეტრეს მიერ განჯის და ბაილაქანის მოხარკე მხარეებად ქცევა მრავალ ისეთ ღონისძიებას გულისხმობს, მათ შესახებ რომ დაწერილებით ვიცოდეთ, ჩვენი დიპლომატიის ისტორიას მეტად დაამშვენებდა. ისე, საფიქრელი კია, რომ იქნებოდა ელჩთა მისვლა-მოსვლა, ქალისა და სასიძოს გასინჯვა, საპატიო სტუმრების მიღებითა და მდიდარი საჩუქრების გაღებით თავის მოწონება და ა. შ. ეს გონების თვალთ უნდა წარმოვიდგინოთ.

დემეტრეს მიერ განჯის და ბაილაქანის დახარკვა, ალბათ, ერთად მოხდა. საფიქრებელია, რომ ბაილაქანიც მისაგებელად მიეცა საქართველოს მეფეს. თუ ეს აზრი სწორია, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ აღნიშნული ქალაქები დემეტრემ დაახლოებით XII ს-ის 40-იან წლებში მიიღო, როცა სულთანმა მასუდმა მისი ასული რუსუდანი დაწინადა.

ასეთია გიორგი III-ის წერილში აღნიშნული ზოგიერთი ამბის ისტორიული საფუძველი. ვფიქრობთ, ეს წერილი, როგორც თავისი შინაარსით, ისე შედეგით, ძალიან საყურადღებოა და ქართული დიპლომატიის ისტორიისათვის თვალსაჩინო შენაძენს წარმოადგენს.

²¹ რუსუდან დემეტრეს ასულის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დაწერილებით იხ. ჯ. სტუფნაძე, თამარის მამიდა რუსუდანი, ჟურნ. „მნათობი“, №7, 1987, გვ. 155-161, აგრეთვე წინამდებარე მონოგრაფიის II დანართი.



მართლა ბაიოქიმიკონს მივჩნევიან ქართველებში?*

მეფე გიორგი III-მ (1156-1184 წწ.) ტახტის მოცილვე ძმისწული დემნა რომ დაამარცხა, თავის ერთგულ ხალხს დიდი საჩუქრები დაურიგა. ზოგს ციხე-ქალაქები უბოძა, ზოგს შემოსავლიანი თანამდებობები. ყველაზე დიდი პატივი კი აფრიდონსა და ყუბასარს მიაგო. პირველს – იმ საგანგებო კრების ლალატისათვის, ივანე ორბელის აგარაკზე რომ ჩატარდა და დემნა უფლისწულის მომხრეებმა გიორგი III-ის ტახტიდან გადაყენება გადაწყვიტეს. მეორეს კი – მდევარს გაქცეული და თბილისში ჩაკეტილი მეფისათვის მხარის დაჭერის გამო. ყუბასარი ერთ-ერთი პირველი იყო, გაჭირვებაში ჩავარდნილ მეფეს რომ ეახლა და ყივჩაყთა რამდენიმე ასეული მეომარიც თან მიუყვანა. აფრიდონისა და ყუბასარის მიერ გაწეული სამსახური იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მეფემ აქამდე სრულიად უცნობი პირები საქვეყნოდ გამოარჩია. აფრიდონი მსახურთ-უხუცესად გახადა, ყუბასარი კი მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად. ადრე გამოქვეყნებულ ჩემს ერთ-ერთ წერილში (ჯ. სტეფნაძე, აფრიდონ მსახურთუხუცესის სოციალური წარმოშობისა და აღზევების მიზეზების შესახებ, კრ. გორის დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტი. შრომები, I, 1995 წ.) საგანგებოდ შევეხეთ აფრიდონის სოციალურ წარმოშობასა და დაწინაურების მიზეზებს. ამიტომ ახლა მასზე აღარ შევჩერდებით და მხოლოდ ყუბასარზე ლაპარაკით შემოვიფარგლებით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხმოკიდებულია აზრი იმის შესახებ, რომ ყუბასარი ნაყივჩაყარი იყო. მაგალითად, თავის „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომში ივ. ჯავახიშვილი წერდა: „განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ივანე ორბელის ადგილას [მეფემ] სრულიად საქართველოს ამირსპასალად სრუ-

* ეს წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „შანსში“ (1996 წლის სექტემბერს). შემდეგ მცირეოდენი ცვლილებებით გადაიბეჭდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომების III წიგნში (1998 წ.). ებეჭდავთ უცვლელად ამ უკანასკნელი გამოცემიდან.



ლებით უგვარო კაცი ნაყიფაყარი ყუბასარი დააყენა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II, თბ., 1983 წ. გვ. 243). იმავე აზრს ავტორი აღნიშნული ნაშრომის სხვა ადგილზეც იმეორებს. ლაპარაკობს რა ქართველ დიდებულთა მიერ თვალში ამოღებულ უგვარო დიდებულებზე, ყუბასართან დაკავშირებით აღნიშნავს: „პირველი მათგანი იყო უგვარო ნაყიფაყარი „ერთგული და მოყმე ჭაბუკიო“ (იქვე, გვ. 246). ეს აზრი იმდენად საყოველთაოა, რომ ყუბასარის ნაყიფაყარობა, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, განმეორებულია ქართულ ენციკლოპედიაშიც კი (იხ. ტ. 10, 1986 წ., გვ. 661). მაგრამ უფრო სამაგალითოა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომის საკუთარ სახელთა საძიებელი. მასში ყუბასარი ასეა განმარტებული: „ყუბასარი, ნაყიფაყარი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი; გიორგი III-ის მიერ აღზევებული (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., 1959 წ., გვ. 693). არა და თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების ის ნაწილი, რომელიც საძიებელშია მითითებული, ასეთი განმარტების საფუძველს არ იძლევა. საერთოდ ქართულ წყაროებს მისი ეროვნების შესახებ არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ. ყუბასარის ნაყიფაყარობა ნიშნავს, რომ იგი ყიფჩაყი კი აღარ არის, არამედ ყოფილი ყიფჩაყია. ყიფჩაყობასა და ნაყიფაყარობას შორის კი დიდი ზღვარია. ყიფჩაყი ყიფჩაყურ ენაზე ლაპარაკობს, აღიარებს წარმართულ სარწმუნოებას. ე. ი. სწამს არა ერთი, არამედ მრავალი ღმერთი, მისთვის უცხოა წმინდა სამების იდეა. მოკლედ, იგი არაქრისტიანი უცხოელია. ამას გარდა, ყუბასარი – ყიფჩაყი თავისი ხალხის სოციალური განვითარების შესაბამის მეურნეობას მისდევს. იგი მეჯოგეა. ეს იმას ნიშნავს, რომ თავის ფარას, ნახირს თუ რემას მისდევს და მოსდევს. მთავარი კი ის არის, რომ იგი არ ხნავს, არ თესავს, არც ვენახს აშენებს. ქართველი მიწათმოქმედივით მზესა და მთვარეს არ შეჰყურებს კარგი ამინდის მოლოდინში.

ცხადია, იგი არც ქართველ აზნაურს ჰგავს. როგორც წარმართი, არ ესწრება ქრისტიანულ დღესასწაულებს, არ მონაწილეობს მათში, არ ლოცულობს ჯვრისა და ხატის წინაშე, არ ღებულობს ზიარებას, არ ცხოვრობს თავისი მამულიდან მიღებული მიწის ბარაქით და სხვა.

ნაყიფაყარი კი ყველაფერ ამის საწინააღმდეგო საქმიანობას ნიშნავს. იგი, ყოფილი ყიფჩაყი, ახლა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას ზიარებია, რითაც მრავალი რამ შეუცვლია და ნაყიფაყარიც იმიტომ გამხდარა. ყოველ შემთხვევაში ქრისტიანი

(დოფიზიტი) უნდა ყოფილიყო, თავისი ცხოვრება სოფლის მეურნეობისათვის უნდა დაექვეშირებინა და თუ სოციალურ ცვლილებებზე აღმასვლა ჰქონდა დაწყებული, ისე უნდა ეცხოვრა, როგორც ქართველი აზნაურები ცხოვრობდნენ.

სამწუხაროდ, არც ერთ წყაროში ყუბასარის საქმიანობაზე ლაპარაკი არ არის, რაც მის ხელალებით ნაყიფაყარად გამოცხადებას აძნელებს. მეტიც, იგი არსად ნაყიფაყარად არ მოიხსენიება. მასზე ყველაზე მეტი ინფორმაცია თამარის პირველ ისტორიკოსს აქვს შემონახული. მაგრამ არსად ეროვნების მითითებით არ ჰყავს მოხსენიებული. ერთ შემთხვევაში ისტორიკოსი მას „ამირსპასალარ ყუბასარს“ ეძახის (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 25), მეორეში კი ნათქვამს ზოგ რამეს ამატებს. მისი სიტყვით, „კარგი მოყმე და ჭაბუკი იყო ყუბასარ, გაზრდილი პატრონთაგან, და იყო ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი“ (იქვე, გვ. 30). ამრიგად, ყუბასარის ეროვნებაზე მას არაფერი აქვს ნათქვამი. მაგრამ XIII ს. სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი ყუბასარს ყოველგვარი ეჭვის გარეშე თვლის ყიფნაყად. თვითონ სტეფანოს ორბელიანი გიორგი III-ის მიერ ამოწყვეტილ ორბელების საგვარეულოს შთამომავალია. იგი თავისი შთამომავლობით ძალიან ამაცობს და წინაპრების ისტორიასაც მონდომებით ჩაჰკირკიტებს. ამიტომ მისი აზრი ამ საკითხზე ანგარიშგასაწევიანია. სტეფანოს ორბელიანმა კარგად იცის, რომ დემნას აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ივანე ორბელის – ამ აჯანყების სულის ჩამდგმელის, მამულები სხვებთან ერთად ყუბასარმაც მიიღო. აქედან ცხადი ხდება, რომ ამ ისტორიკოსის ინტერესი ყუბასარისადმი შემთხვევითი არ არის. აი, სწორედ მას აქვს მითითებული ყუბასარის ვინაობა. იგი წერს: თბილისში ჩაკეტილმა გიორგი მეფემ „მოუწოდა თავისად ყიფნაყსა ერთსა, ყუბასარ სახელდებულსა“-ო (სტ. ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. გამოსცა ე. ცაგარეი-შვილმა, თბ., 1978 წ., გვ. 46). თხზულების სხვა ადგილზე ავტორი კვლავ იხსენებს ყუბასარს და ისევ ეროვნების მითითებით. „ხოლო განდევნისა ორბელიანთასა“ – წერს იგი, – განუყო მამული მათი მეფემან გიორგი რომელთამე მტერთა მათთა და შემასმენელთა და ზოგი მისცა ყიფნაყსა, რომელსაც ეწოდა ყუბასარ“ (იქვე, გვ. 54).

ამრიგად, სტ. ორბელიანის მიხედვით, ყუბასარი ყიფნაყია და არა ნაყიფაყარი. ახლა, თუ ყოველივე ზემონათქვამს შევაჯამებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ყუბასარი, როგორც ეროვნულად,



ისე სოციალურად ყიფნაყია. მაშ, როგორ გაჩნდა ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრი მისი ნაყიფნაყარობის შესახებ? აზრით, ეს შეხედულება აკად. ივ. ჯავახიშვილის ზეგავლენით დამკვიდრდა. ცნობილია, რომ ივ. ჯავახიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში გადმოსახლებული ყიფნაყების საკითხი და მნიშვნელოვანი დასკვნებიც გააკეთა. ეხებოდა რა მათ საბოლოო ბედს, სახელოვანი მეცნიერი აღნიშნავდა: ყიფნაყებმა „ქართული შეითვისეს და ქართველებად იქცნენ. გაქართველებული ნაყიფნაყარნი შემდეგში ზოგი სახელმწიფო მოღვაწედ იყვნენ, ხოლო იმ 225 000 გადმოსახლებულ ყიფნაყთაგან არც ერთი მათი შთამომავალი ყიფნაყად აღარ შერჩა, არამედ ყველანი ძალდაუტანებლივ, უნებლიედ გაქართველდნენ... საქართველოს კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის იღწვოდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II, თბ., 1983 წ., გვ. 215-221). ეს ციტატი ამოღებულია ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომიდან, რომელიც ჯერ კიდევ 1914 წელს გამოიცა. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს თავისი შეხედულება ყიფნაყების საბოლოო ბედზე აღარასოდეს შეუცვლია. თავისთავად ცხადია, რომ ვინც ამ შეხედულებას უკრიტიკოდ გაიაზრებს, მისთვის XII ს. 70-იანი წლების საქართველოში მოღვაწე ყველა ყიფნაყი უკვე გაქართველებული და ნაყიფნაყარია. რა თქმა უნდა, ყუბასარიც ეროვნებაგამოცვლილი კაცია. თვითონ ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი შესანიშნავად გამოჩნდა ჩვენს მიერ უკვე მოტანილ სტეფანოს ორბელიანის ცნობის მისეული პერეფრაზიდან, რომელშიც გიორგი III-ის მიერ ყუბასარის დაწინაურებაზე ლაპარაკი. წყაროში, როგორც ითქვა, „ყიფნაყ“ ყუბასარზეა საუბარი, ივ. ჯავახიშვილი კი, იმავე წყაროს მითითებით წერს: მეფემ „საქართველოს ამირსპასალარად სრულებით უგვარო კაცი ნაყიფნაყარი ყუბასარი დააყენაო“ (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, გვ. 243). ვფიქრობს, ეს მის მიერვე შექმნილი ყიფნაყთა გაქართველების კონცეფციით არის განპირობებული. რაც შეეხება სხვა ისტორიკოსებს, ისინი ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომის გავლენით ხელაღებით იმეორებენ დიდი მეცნიერის თვალთახედვას.

აზრი ყიფნაყთა გაქართველების შესახებ თავის დროზე, ალბათ, გამართლებული იყო. იმ დროისათვის ცნობილი ისტორიული მასალა სხვა დასკვნის საშუალებას არ იძლეოდა. მაგრამ დღეს ამ საკითხისადმი სხვანაირი დამოკიდებულების საფუძვე-

ლი ნამდვილად არსებობს. აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების (1940 წ.) შემდეგ ჩვენს მეცნიერებაში ზოგიერთი ისეთი საბუთი შემოვიდა, რაც სხვა შეხედულების განჩენას განაპირობებს. მე მხედველობაში მაქვს იპატის მატიანის თხრობა ვლადიმერ მონომახზე – კიევის მთავარზე (1113-1125 წწ.) მატიანე 1256-1257 წლებში შედგენილად ითვლება. შემონახულია ორ ხელნაწერში. იპატის ხელნაწერის მესამე ნაწილი, რომელიც პირობითად დანიელ გალიცკის მიეწერება, საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველო-რუსეთის ისტორიაში კარგად ცნობილ ყიფჩაყებზე და მათ მთავარ ათრაქა შარალანის ძეზე. მემატიანის სიტყვით, გალიჩ-ვოლინის დიდი მთავარი, რომან მსტისლავის ძე (1199-1205 წწ.) „ეჯიბრებოდა თავის პაპას მონომახს, რომელმაც დალუპა უწმინდული ისმაიტელნი, ყიფჩალებად წოდებულნი, განდევნა რა ოტროკი აფხაზეთში (საქართველოში) რკინის კარებს იქით, ხოლო სირჩანელნი დონის მახლობლად დარჩენილნი თევზით თავს ირჩენდნენ. მაშინ ვლადიმერ მონომახოსმა შესვა ოქროს მუზარადით დონის წყალი, მიიღო (შემოიერთა) მათი მიწა-წყალი სრულიად და გადარეკა წყეულნი აგარიანნი. ვლადიმერის გარდაცვალების შემდეგ სირჩანთან დარჩენილი ერთადერთი მეტუკე (სახელად) ორევა გაგზავნა (სირჩანმა) აფხაზეთში (საქართველოში) და დააბარა (ეთქვა ოტროკისათვის): „ვლადიმერი უკვე მკვდარია, დაბრუნდი და მოდი შენს ქვეყანაში. გადაეცი ეს ჩემი სიტყვები მას, უმღერე ყიფჩაყური სიმღერები და უკეთუ არ ისურვოს წამოსვლა, მიეცი მას საყნოსავად ჯადო მწვანელი ეშანი“. „ხოლო როცა მან (ოტროკმა) არ ისურვა დაბრუნება და არცა მოსმენა, ორევა მიაწოდა მას ჯადო მწვანელი ეშანი და როცა დაყნოსა იგი აცრემლებულმა (ოტროკმა) თქვა: „უმჯობესია ჩემი ქვეყნის მიწაში ჩონჩხად ქცეული ჩავწვე (დავიმარხო), ვინემ უცხოეთში დიდებით ვიცხოვრო“ და მოვიდა თავის ქვეყანაში. აი, ამის შთამომავალია კონჩაკი“ (ძველი რუსულიდან თარგმანი შეასრულა პროფ. ი. ცინცაძემ. იხ. მისი „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ისტორიიდან“ (X-XVI სს.), თბ., 1966, გვ. 190). თუ მკითხველი შეგნებულად არ დახუჭავს თვალს, დამეთანხმება, რომ უაღრესად საჭირო მონაცემები გვივარდება ხელთ. ჯერ ის რად ღირს, როცა მემატიანე გვამცნობს: ვლადიმერ მონომახმა ყიფჩაყები „რკინის კარს“ იქით გადარეკაო. ანდა, რომ ლაპარაკობს ყიფჩაყთა ერთი ნაწილი დონის ველებში დარჩაო. ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ მემატიანე კატეგორიულად აცხადებს: ათრაქა შარალანის ძე (რუსი მემატიანის მი-

ხედვით ოტროკი) „დაბრუნდა თავის ქვეყნაში. მისი შვილია კონჩაკი“ (იხ. "Летопись по ипатскому списку. Издание Археологической комиссии. СПб., 1871 г., с. 479-480). წყარომ მეტი რაღა უნდა თქვას? გვეუბნება, რომ ვლადიმერ მონომახის გარდაცვალების (1125 წ.) შემდეგ მის მიერ საქართველოში განდევნილი ყივჩაყები ისევ სამშობლოში დაბრუნდნენო. თავისი აზრის დასამტკიცებლად მემატიანე იმასაც აღნიშნავს, რომ ათრაქას შვილია მთავარი კონჩაკიო. ცხადია, ისეთი გულუბრყვილო არავინ იქნება, რომ იფიქროს: შეიძლება ათრაქა შარადანის ძე მართლაც დაბრუნდა საქართველოდან ყივჩაყეთში, მაგრამ მისი ხალხი კი ადგილზე დარჩა. საკითხის ასე დასმა სწორი არ იქნება. ათრაქას მისი ძმა სირჩანი იმიტომ სთხოვდა უკან დაბრუნებას, რომ იგი საქართველოში წაყვანილ ყივჩაყურ მოსახლეობასაც უკან დააბრუნებდა, რითაც ყივჩაყთა ერთიანობა კვლავ აღდგებოდა. უხალხოდ დაბრუნებული მთავარი ვის სჭირდებოდა, თავისი ხალხის გარეშე თვითონ ათრაქა როგორღა დაბრუნდებოდა? რა გავლენა ექნებოდა მას, ვინც ხალხი უცხოეთში გადასახლა და შემდეგ მიატოვა რა ისინი, უკანვე დაბრუნდა? დონზე მცხოვრებმა სირჩანმა – ათრაქას ძმამ, ეტყობა შეამჩნია, რომ ვლადიმერ მონომახის გარდაცვალების შემდეგ რუსეთში ყივჩაყებისათვის შესაფერისი პირობები დადგა. რუს მთავრებს შორის კვლავ არეულობა დაიწყო და ყივჩაყებისათვის უკვე აღარავის ეცალა. განა სირჩანიც ამას არ ატყობინებს ძმას: „ვლადიმერი უკვე მკედარია, დაბრუნდი ძმაო, მოდი შენს მიწაზე“.

როდესაც ყივჩაყების თავიანთ ბელადიანად საქართველოდან წასვლას ვამტკიცებთ (იხ. ჩემი დასახელებული წერილი), იმაზეც მივუთითებთ, რომ ამ ხალხის რაღაც ნაწილი ამიერკავკასიაში ნამდვილად დარჩა. მათი საცხოვრისი ადგილებიც კი მოიძებნა (სომხეთში, ჰერეთში...), მაგრამ ისინი იმდენად მცირე არიან, რომ მათი მიხედვით საქართველოში ყივჩაყთა მასიურ დასახლებებზე ლაპარაკი სწორი არ იქნება. თავიდან ეს დასახლებები, ალბათ, მრავალრიცხოვანი იქნებოდა, მაგრამ როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, მათი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ეს დასახლებები ძირითადად უნდა გამქრალიყვნენ. ორიოდე ყივჩაყური დასახლების ადგილის დაფიქსირება იმის დასტურია, რომ საქართველოში მხოლოდ მათი მცირე ნაწილიღა დარჩა. რატომ ფართოდ არ აისახა მათი კვალი მდინარეების, მთების, ველების, ხეობების და სხვა ასეთების სახელწოდებებში, რატომ მხოლოდ ერთ ქართულ ხალხურ ლექსში იხსენიება ყივჩაყი? კიდევ ერ-

თხელ ვიმეორებთ: იმიტომ, რომ საქართველოდან გასვლის შემდეგ მათი მცირე ნაწილია დარჩა ჩვენში და ქართველი ხის ცხოვრებას თითქმის ვერაერთარი კვალი ვერ დაამჩნია.

ადრე გამოქვეყნებულ წერილებში ვარაუდის სახით ვაცხადებდით, რომ ყივჩაყები საქართველოდან განდევნილ იქნენო. რაკი ჩვენი შეხედულება ყივჩაყების კვლავ თავიანთ სამშობლოში დაბრუნების შესახებ ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილია, მივმართავთ ზოგიერთ ძველ მტკიცებებს. ყივჩაყების გადმოსახლებას ჩვენს ქვეყანაში იმთავითვე სხვანაირად აფასებდნენ. სამეფო კარი მასში, რა თქმა უნდა, მთლიანად დადებითს ხედავდა. მაგრამ იყვნენ ძალები, რომლებიც საქართველოში ყივჩაყების გადმოსახლების წინააღმდეგი გამოდიოდნენ. დავით აღმაშენებლის მიერ გადადგმული ამ უაღრესად გაბედული ნაბიჯისადმი კრიტიკული დამოკიდებულების საფუძველი კი ნამდვილად არსებობდა. ჯერ ერთი, რომ ყივჩაყებმა საქართველოს საუკეთესო საზაფხულო და საზამთრო საძოვრები დაიკავეს, რითაც ქართველი მესაქონლეები შეავიწროვეს. მოვიგონოთ, რა მდგომარეობაში ჩავარდა ქართველობა XVII საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც თურქმანებმა იგივე ჩაიდინეს, 1659 წელს ქართველებმა მთლიანად გაჟლიტეს მათი საძოვრების მიმტაცებლები.

შემდეგ: გადამთიელი ყივჩაყების შესანახად დავით აღმაშენებელმა საგანგებო გადასახადი, ე. წ. „საყივჩახე“ შეაწერა მოსახლეობას. საქართველოში მოსულ ყივჩაყებს არც შესაფერისი ცხენები ჰყავდათ, არც იარაღი გააჩნდათ, ყველაფერი დავითს უნდა ეყიდა და მათთვის მიეცა. რაც მთავარია, საჭმელი უნდა ეჭმია. 225 000 კაცის დაპურება კი ადვილი საქმე არ იყო მაშინდელი საქართველოსთვის. აქედან ცხადია, რომ „საყივჩახე“ გადასახადი მძიმე უნდა ყოფილიყო და მოსახლეობა სიხარულით არ გაიღებდა მას. ამას გარდა, ყივჩაყთა დასახლებების გაჩენის შემდეგ იმ მხარეში მცხოვრები ქართული მოსახლეობა არ შეიზღუდებოდა? ყივჩაყებს მეფე მფარველობდა და ამიტომ საფიქრებელია, რომ მათ საუკეთესო ადგილებში ჩაასახლებდა. იე. ჯავახიშვილის მტკიცებით, ისინი ქართლში განასახლეს და, ამდენად, გაბედულად შეგვიძლია ვილაპარაკოთ ქართლელთა სავარგულო ადგილების შევიწროვებაზე. ხომ შეიძლებოდა, მავანს და მავანს ეთქვა: დავით მეფემ ქართლი ყივჩაყებს მიანებაო. კრიტიკულად განწყობილ ძალებს მხედველობიდან არ გამორჩეობდათ შემდეგი გარემოებაც. დავით აღმაშენებელმა სა-

ქართველოს მიწა-წყალი (თბილისის გარდა) ჯერ კიდევ ყივჩაყების მოყვანამდე (1118-1120 წწ.) გააერთიანა მხოლოდ ქართველი მეომრების ძალისხმევით. თანამემამულეებზე დაყრდნობით, მას თბილისის შემოერთებაც შეეძლო. დიდგორის ბრძოლაც ხომ, ძირითადად, ქართველმა მოლაშქრეებმა მოიგეს და არა ყივჩაყებმა? არ დაგვავიწყდეს, რომ დასახელებულ ბრძოლაში 40 000 ქართველი იბრძოდა, ხოლო ყივჩაყთა რიცხვი 15 000 შეადგენდა. მაშ, ამდენი უცხოელის (თურქულენოვანი მოსახლეობის) საქართველოში შემოსახლება რა აუცილებელი იყო? რაკი მის სიმამრს ათრაქას და მის ხალხს უჭირდათ (რუსებმა განდევნეს თავიანთი ქვეყნიდან) იმიტომ უნდა დაესახლებინა ისინი საქართველოს მიწაზე? ეს ისეთი კითხვებია, რომლებსაც ხსენებული ანტიყივჩაყური ძალები აუცილებლად დასვამდნენ. დავით აღმაშენებლის გარდაცვალების (1125 წ.) შემდეგ მისი საქმის გამქიქებლებს ხმა კიდევ უფრო უნდა აემადლებინათ. მითუმეტეს, რომ ყივჩაღები გამოირჩეოდნენ უხეშობით, ძარცვა-რბევისაკენ სწრაფვით და, რაც მთავარია, არაერთგულეობით. მათ თვითონ დავითიც კი ვერ ენდობოდა (ყივჩაყების დაწერილებითი დახასიათება იხ. ქ. ჩხატარაიშვილის ნაშრომში „უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში“. კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966 წ., აგრეთვე თსუ დოცენტ ნ. მურღულიას გამოკვლევებში). დიდებული მეფის მემბტიანე გვაუწყებს, რომ ყივჩაყებმა არაერთხელ დაუპირეს დავითს სიკედილიო. თანაც ეს, მისივე სიტყვით, ხდებოდა, „არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 362).

1130 წლიდან ყივჩაყების მოწინააღმდეგეებს სამეფო ხელისუფლებაც უნდა შეერთებოდა. აქამდე, საქართველოს მეფე მათი მფარველი იყო, მაგრამ დასახელებულ წელს მდგომარეობა შეიცვალა. ეს იმან გამოიწვია, რომ 1130 წელს დავითის მემკვიდრის, დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.), წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში გარეული იყო ათრაქა-ყივჩაყთა მთავარი. შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ დემეტრეს დამხობა და მის ნაცვლად დავითის მეორე ვაჟის – ცვატას გამეფება. წყაროში მათ ხელმძღვანელად ქართველი დიდებული ივანე აბულეთის ძე დასახელებული. სხვაზე შეთქმულებაში ლაპარაკი არ არის. მაგრამ განა ცვატას პაპა (დედის მამა) ათრაქა შარაღანის ძე თავისი შვილიშვილის გამეფებისათვის ბრძოლაში არ გაერეოდა? დემეტრე მეფემ თავისი ნახევარძმა ცვატა სასტიკად დასაჯა – თვალები დათხარა. სამაგიერო მიუზღო ივანე აბულეთის ძე



საც. ცვატას დედა გურანდუხტი იძულებული გახდა მონაზუნად აღკვეცილიყო და შორეულ იერუსალიმში, ქართველ დედათა მონასტერში გამგზავრებულიყო. რაც შეეხება ათრაქა შარალანის ძეს, ცვატას პაპას და გურანდუხტის მამას, იგი დასახელებული რუსული მემატიანის მიხედვით, ყიფჩაყეთში ბრუნდება. განა გასაკვირი იქნებოდა, რომ იგი მისი შვილიშვილის ცვატას შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ წასულიყო საქართველოდან? ადრე გამოქვეყნებულ სტატიაში ჩვენ სწორედ ამ აზრს ვიზიარებდით და ახლაც არ უარყოფთ. ამრიგად, ყიფჩაყების საქართველოდან წასვლა 1130 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ათრაქა შარალანის ძემ და მისმა ხალხმა ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ თორმეტობდე (მათი გადმოსახლება 1118 წ. დაიწყო) წელი დაჰყვეს.

მაგრამ, – იტყვის ზოგიერთი, მეთორმეტე საუკუნის 70-90-იან წლებშიც ხომ ჩანან ჩვენში ყიფჩაყები? მართალია, ჩანან, მაგრამ ძალიან ცოტა, პატარა რაზმის ფარგლებში. აკი ჩვენც ვამტკიცებთ, რომ ათრაქას წასვლის შემდეგ საქართველოში ყიფჩაყთა მცირე ნაწილიღა დარჩა. გამორიცხული არ არის, რომ 70-90-იანი წლების საქართველოში მოღვაწე ყიფჩაყები მათი წრიდან იყვნენ. მაგრამ გასათვალისწინებელია სხვა, უფრო მნიშვნელოვანი გარემოება. თამარის კარის ისტორიკოსი ამ ყიფჩაყებს „ახალ ყიფჩაყებს“ უწოდებდა. როდესაც თამარს თბილისში ორი დიდებული სტუმარი შირვან-შაჰი აღსართანი და ამირ-მირმანი ეწვია, მათ გზაში შეაგება „ოვსნი და ყიფჩაყნი ახალნი“ („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 65). „ყიფჩაყნი ახალნი“ ცხადია, საქართველოში ახლად მოსულ ყიფჩაყებს ნიშნავს. მემატიანე აშკარად ანსხვავებს მათ დავითის დროს გადმოსახლებულ ყიფჩაყთაგან. მაგრამ ამ ახლებს სხვა ფუნქცია აკისრიათ. ისინი საქართველოში საცხოვრებლად კი არ მოდიან, სამსახურს იხდიან და კვლავ თავიანთ სამშობლოში ბრუნდებიან. ასეთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს იმავე მემატიანის მეორე, არანაკლებმნიშვნელოვანი განცხადება. მისი სიტყვით, „მას ჟამსა (აღსართანისა და ამირ-მირმანის სტუმრობისას) ძმა ყიფჩაყთა მეფისა სევეინჯისა სავალათი აქა იყო სამსახურად“-ო („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 64). ე. ი. იმ დროს ყიფჩაყთა მეფის სევეინჯის ძმა სავალათი საქართველოში სამსახურის მოსახდელად იყო მოსული. სამსახური გასამრჯელოს ან მოვალეობის გამო შრომა-მოღვაწეობას ჰქვია. ამიტომ მემატიანის ეს ცნობა იმაზე მიგვითითებს, რომ



„ახალი ყიფიანები“ (სავალაოთი და სხვანი)* დრო და დრო საქართველოში მოდიოდნენ, სამსახურს ეწეოდნენ და კვლავ შობლოში ბრუნდებოდნენ. ეს დასკვნა საშუალებას გვაძლევს, დავსვათ კითხვა: თუ დავით აღმაშენებლის მიერ გადმოსახლებული ყიფიანები სამუდამოდ დარჩნენ საქართველოში, შემდგომში ყიფიანებიდან მათი რაზმების გადმოყვანის აუცილებლობა რატომ გაჩნდა? ვანა ადგილობრივები მათ ფუნქციებს ვერ შეასრულებდნენ? საქმე იმაშია, რომ ყიფიანები ამ დროს საქართველოდან დიდი ხნის წასულები არიან. მათ თავიანთი სამთავრო აღადგინეს და საკუთარი მეფეც ჰყავთ (სევინჯი). საქართველოსთან კი მაინც კარგი ურთიერთობა შეუნარჩუნებიათ. მათი რაზმები დრო და დრო საქართველოში სამსახურს ეწეოდნენ, რისთვისაც გასამრჯელოს ღებულობდნენ. ყუბასარიც ერთი იმათგანი უნდა იყოს. ასეთია ჩვენი აზრი ყუბასარისა და დავითის მიერ გადმოსახლებულ ყიფიანებზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი დღეს დიდ მნიშვნელობას იძენს. 225 ათასი თურქულენოვანი ყიფიანის ქართველებში გათქვევის უსაფუძვლო მტკიცება ჩვენი ხალხის ჩამოყალიბების შესახებ არასახარბიელო ვერსიების გაჩენას უწყობს ხელს. რად ვამტკიცოთ ის, რაც სინამდვილეში არ ყოფილა. რატომ არ ვიღოთ ყურად წყაროთა უახლოესი მონაცემები?

* ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ (იგი დაიბეჭდა გაზ. „შანსში“ 1996 წლის სექტემბერს) ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ფრიდონ სიხარულიძემ გვაცნობა, რომ მე-19 საუკუნის მიმოწერებში „ახალი ქართველი“ ეწოდებოდა იმათ, რომლებიც ოდესღაც ქრისტიანები იყვნენ, შემდეგ სარწმუნოება დაკარგეს და ბოლოს ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდნენ. მან თავაზიანად მიგვითითა იმის შესახებ, რომ 1995 წელს ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა სავანებო მოხსენება, სადაც აღნიშნული აზრი გაატარა. მოხსენების გეგმა და თეზისები გამოქვეყნებულია (იხ. კონფერენციის მოხსენებათა გეგმა და თეზისები, ბათუმი, 1995 წ., გვ. 34).

„ახალი ქართველის“ დაკავშირება „ყიფიანის ახალნი“-თან, რა თქმა უნდა, ძალზე საინტერესოა და, ამ მხრივ, საჭიროა კვლევის გაგრძელება. მაგრამ დღეს არსებული მასალებით XII საუკუნეში, ქართველებსა და ყიფიანების დროებით თანაცხოვრებისას, „ახალი“ არ აღარებს ქრისტიანობაზე ახლად მოქცეული ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვის შინაარსს.

ა) პირთა სახელები

ს

აბდალაძე ა. - 81
 აბუ-ბაქრი (აზერბაიჯანის ათაბა-
 გი) - 83, 185
 აბუ-ლ ასვარ შაჟურ II (ანისის
 ამირა) - 50
 აბულ მუზაფფარი (დარუბანდის
 მელიქი, დემეტრე I-ის სიძე) -
 22
 აბულასანი - 176
 აბულაძე ი. - 16
 აბულეთი - 50
 აბულეთის ძე ივანე - 12, 24,
 27, 50, 52, 198, 208
 აბულეთის ძე ქირქიში (თირქაში)
 - 24, 27, 31, 53-54
 ათრაქა შარაღანის ძე - 18-19,
 205-206, 208-209
 ალ-აინი - 197
 ალ-მალიქ სალდუხი (არზრუმის
 მთავარი) - 53
 ალ-ფარიკი - 52, 84, 179
 ამირ-მირან ძე იბრაჰიმისა (სუქმა-
 ნის ძის) - 49
 ამირანაშვილი შ. - 185
 ამირ-მირმანი - 154-155, 165,
 171, 185, 205
 ანდრია ბოგოლიუბსკი - 152
 ანტონი (ვაზირი) - 138, 150
 აპირატაიანი გრიგოლ (ანელი) -
 99, 103
 არაქელიანი ბ. - 161
 არდოხის ძე კოტბ ად-დინ ილ-
 ლაზი (დიარბექირის მმართვე-
 ლი) - 53

არსენ ბერი - 17, 19
 არსლან შაჰ იბნ თოღრული -
 68-69, 80-81, 191-193, 196
 არსლანი (შელადიანი) - 79-80,
 144
 არტაქსერქსე - 54
 არტემიდი - 44
 ასათისძე გრიგოლ - 98, 105
 აფრიდონი (მსახურთუხუცესი) -
 3, 102, 117, 137-142, 150,
 201
 აქილევსი - 44
 აღსართანი (შირვანშაჰი) - 81-85,
 154, 185, 209
 აყსონყორი - 65
 ახალციხელი ივანე - 159
 ახალციხელი შალვა - 159

ბ

ბადრიძე შ. - 5, 48
 ბარ ჰებრაი - 197
 ბარნაველი თ. - 92
 ბასილი ეზოსმოდღვარი - 146-
 147, 155-156, 166, 177, 184-
 186
 ბაქრაძე ა. - 157
 ბაქრაძე დ. - 156
 ბეკ-ბარს ბენ მუზაფარი (დარუბან-
 დის მელიქი) - 84-85
 ბერძენიშვილი ნ. - 5, 92, 99
 ბექა ოპიზარი - 185
 ბზაფაი (ფარსისა და ხუზისტანის
 ამირა) - 199

ბროსე მ. - 22
ბუბაქარი - 171
ბუნიათოვი ზ. - 67, 189
ბურდუხანი (გიორგი III-ის ცო-
ლი) - 9, 122, 127, 181-182

ბ

გამრეკელ-თორელი - 99, 103,
158
გიორგი III - 3-16, 22-49, 50-
64, 66-67, 74-131, 137-145,
149-151, 155, 159-160, 163,
167, 173-174, 177, 180, 182,
188-204
გიორგი-ლაშა - 28, 44, 165,
181-182, 184, 186
გიუზალიანი ლ. - 163
გრიგოლი (ჰერეთის ერისთავი) -
173
გუზან ტაოსკარელი - 175-176
გულაბერიძე ნ. - 121
გურანდუხტი (დავით აღმაშენებ-
ლის მეუღლე) - 18, 209
გურგენ-კვირიკე (აშოტ III-ის ვა-
ჟი) - 26

დ

დადიანი ვარდან - 138, 150
დავით V (დემეტრეს ძე) - 7-8,
11-17, 20-42, 47, 49, 87-97,
106, 108-109, 118, 149, 197
დავით აღმაშენებელი - 4, 7, 10,
17-21, 26-27, 43, 47-49, 50,
55, 143, 146, 159, 198, 206-
210

დავით სოსლანი - 102, 143,
145-146, 153-158, 165-166
170-173, 178, 183-187
დავით ქობაირელი - 96, 98,
102, 104-105, 107-108, 114
დავითი (გურგენ-კვირიკეს ვაჟი)
- 26
დავლიანიძე ლ. - 156, 198-199
დანიელ გალიცკი - 205
დემეტრე I (1125-1156) - 4-33,
36, 39-43, 47, 49, 51, 76,
84-85, 90, 95, 97, 109, 143,
179-180, 197-200, 208
დემნა უფლისწული - 76, 81,
87-120, 130, 137-138, 140,
142, 149, 151-152
დეფრემერი მ. - 160
დვინელი ანანია - 99
დუნდუა ვ. - 161, 177

ე

ემინი ნ. - 150, 163
ერივიშა (ამირა) - 199

ვ

ვაზირი ანტონი - 128
ვარდან დიდი - 31, 45, 50, 52,
57, 64, 126, 128, 160, 175
ვარდანისძე ივანე - 98, 105
ვასაკი - 25-26, 30
ვერმიშვილი გ. - 157-176
ვლადიმერ მონომახი - 205-206

ზ

ზაპირ აღ-დინ ნიშაბური - 74

თამარი (დედოფალი) - 4, 9-10, 14, 28-29, 44, 48, 91-93, 102, 115, 119, 120-129, 138, 144-160, 166-187

თამარი (დავით აღმაშენებლის ასული) - 82

თამარის კარის ისტორიკოსი - 62, 64-67, 78-79, 95, 97, 104, 106-108, 112, 114, 117-118, 122, 127, 138-152, 164-165, 178, 182, 184, 202-203

თაჰამთა - 44

თემისტოკლე - 54

თინათინი („ვეფხისტყაოსნის“ გმირი) - 122

თოდუა მ. - 5, 45-46

თოფურია პ. - 5, 85, 180

თორღილ II იბნ მუხამმადი (სულთან) - 60

0

იბნ ალ-ასირი - 45, 52, 56-57, 59, 65-67, 73-75, 197

იბნ ხალდუნი - 75

იესო ქრისტე - 54

იზ ალ-დინ სალთუკი - 25-26, 49, 179

იზიასლავი (კიევის მთავარი) - 8

ილ-დევგიზი - 68-81, 116

იოანათან მშვილდკაპარჭოსანი - 44

იოანე (ლეგენდარული მეფე) - 48

იოანესიანი ა. - 161

იოვანე მწიგნობართუხუცესი - 61

ისაკი (ბიბლიური გმირი) - 14, 16

კ

კაენელი ჰასან - 99

კაკაბაძე ს. - 5

კაქელიძე კ. - 54, 177, 181-182

კვირიკე დავითის ძე (კვირიკიანი) - 26, 30

კიკნაძე რ. - 67

კირაკოს განმაკეცი - 45, 175, 198

კოლონკელისძე ვარდანი - 60

კომენი ანდრონიკე - 83

კონსტანტინე პორფიროგენეტი - 175

კონჩაკი (ათრაქა შარაღანისძის შვილი) - 205-206

ლ

ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანი - 44, 81-82, 86, 92, 95, 118, 128

ლორთქიფანიძე მ. - 5, 52, 79, 85, 126

მ

მათეოს ურპაეცი - 45, 49, 52, 56-58, 160

მაისურაძე გ. - 92, 98, 114

მაკედონელი ალექსანდრე - 44, 63

მანანდიანი ი. - 161

მანოელ I (ტრაპიზონის იმპერატორი) - 181

მანუჩიკრ II (ალსართან I-ის მამა) - 82

მ

- მარი ნ. - 163, 169
- მასული იბნ მუხამმადი (სულთანი) - 60, 178, 200
- მელიქ-სულთანი - 29
- მელიქიშვილი გ. - 5
- მელიქსეთ-ბეგი ლ. - 168
- მესხია შ. - 5
- მეტრეველი რ. - 5
- მინორსკი ვ. - 84-85
- მირიანისძე მაქაელ - 121, 128
- მიქაელ პატრიარქი - 128, 150
- მოსე ხორენელი - 175
- მოლის ედ-დინ თორღულ შაჰი (რუქნადინის ძმა) - 184
- მუზაფარ ბენ მუჰამედი (დარუბანდის მეფე, დემეტრე I-ის სიძე) - 84-85
- მუიზ ად-დინ არსლანი (სულთანი) - 60, 62, 64
- მუტაფრადინი - 10, 179-180, 183-184, 187
- მზარგრძელი ზაქარია - 158, 161-167, 171-176
- მზარგრძელი ივანე - 160, 166, 171, 173, 176
- მზარგრძელი სარგისი - 51, 98, 103, 117, 173
- მზითარ აირივანეცი (XIII-XIV სს. სომეხი ისტორიკოსი) - 24
- მზითარ გოში - 25-31, 45, 75, 143, 156, 169-170, 174, 198-200

ნ

- ნასირ ად-დინ სუქმან II (შაჰ-არმენი) - 53
- ნასრ ად-დინ სალდუხის ძე (მუტაფრადინის მამა) - 182, 184
- ნებროთი - 44
- ნუსრათ ად-დინ ფაჰლევან მუჰამადი (ათაბაგი) - 107, 115

- ორბელები ელიკუმი, სუმბატი, იოვანე, ფარხადულა და ტარსაიცი ელიკუმ ორბელისა და ხათუნის შვილები) - 116
- ორბელი ელიკუმ ლიპარიტის ძე (ივანეს ძმისშვილი) - 107, 115-116, 137
- ორბელი ივანე (იოვანე) - 30, 33, 37-42, 51-52: 62-63, 75-76, 80, 87, 89-118, 137, 139-140, 142, 163
- ორბელი ივანე ლიპარიტის ძე (ივანე ორბელის ძმისშვილი) - 107, 115, 118, 137
- ორბელი იოსებ - 175-176
- ორბელი ლიპარიტ ელიკუმის ძე - 115
- ორბელი ლიპარიტ სუმბატის ძე - 37, 53-54, 91, 96-98, 104, 107, 112-113, 115-116, 137
- ორბელი სუმბატ - 27, 30, 33, 37, 53, 75
- ორბელი სუმბატ ქავთარის ძე - 114
- ორბელი ქავთარ ივანეს ძე - 98, 105, 107, 114
- ორბელიანი სტეფანოს - 32, 36-41, 45, 47, 61, 89-90, 92, 95, 99-101, 103-104, 107, 109, 112, 114, 116-118, 128, 138-141, 203-204
- ორბელიანი სულხან-საბა - 16

პ

- პატკანოვი კ. - 175
- პახომოვი ვ. - 85

უ

ჟორდანია თ. - 22

რ

რავანდი - 74

რომან მსტისლავის ძე (გალიჩ-ვო-
ლინის მთავარი) - 205

როსტევეანი („ვეფხისტყაოსნის“
გმირი) - 122-123

რუსთაველი შოთა - 122-123,
174, 208

რუსუდანი (დემეტრე I-ის ასული)
- 3, 8, 128, 138, 143-156,
178, 184-187, 199

რუსუდანი (თამარის და) - 3, 9,
91, 177-187

რუქნადინი - 147, 184

ს

სადრ აღ-დინ... აღ-ჰუსაინი - 54,
57, 67, 73-77, 189-196

სადუნი - 52

სავალათ-ხანი - 171

სავალათი (ყივჩაყთა მეფე სევინ-
ჯის ძმა) - 209-210

საღღუხ ეზ დინი (არზრუმის ამი-
რა) - 182

საღღუხ სელჩუქიანი (არზრუმის
ამირა) - 52, 57

სამსონი - 44

სამუშია ჯ. - 9

სანიკიძე ლ. - 5, 86

სარგისი (სატრაპ ვასაკის ძმა) -
30

საული (ბიბლიური გმირი) - 180

სევენჯი (ყივჩაყთა მეფე) - 209-
210

სილოში - 44

სიბტ იბნ აღ-ჯაუზი - 197

სიზარულიძე ფ. - 210

სილაგაძე ბ. - 5

სირჩანი (ათრაქა შარადანის ძის
ძმა) - 205-206

სოლომონ ბრძენი - 63

სპანდიარი - 44

სპასკი პ. 84

სტეფნაძე ჯ. - 196, 200-201

სულაიმან-შაჰი (რუსუდანი დემეტრე
I-ის ასულის მჯღლი) - 8

სუმბატ დავითის ძე - 174

სურამელი ბექა - 53-54

სუქმან იბრაჰიმის ძე (შაჰ-არმენი)
- 56

ტ

ტრევერი კ. ვ. - 84

ფ

ფადლონ IV შედადიანი (აბუ-ლ
ასვარ შავურ II-ის ვაჟი, დე-
მეტრე I-ის მიერ ანისის ამი-
რად დანიშნული) - 50-51

ფაზრ აღ-დინ შედადიანი (ანისის
ამირა) - 179

ფაჰლავანი (შამს აღ-დინ ილდეგი-
ზის ვაჟი) - 80

ქ

ქაიხოსრო - 44

ქეი-სულთან შედადიანი - 81, 163

ქობაირელი დავით - 100

ქურდი (თბილისის ამირმთავარი,
სატრაპ ვასაკის ძმა) - 30, 104

ყ

ყაუხიშვილი ს. - 142, 156, 162
ყიას აღ-დინ მასუდი - 8, 143,
199
ყუბასარი - 103, 117, 128, 137-
141, 150, 201-204, 210
ყუთლუ-არსლანი - 138, 150-151,
163

შ

შამს აღ-დინ ელდიგუზი (ილდეგი-
ზი) - 60, 61-62, 64-69, 74,
107, 189-195, 200
შაჰ-არმენ ბენ იბრაჰიმ ბენ სუკმა-
ნი (ხლათის მკვრობელი) - 57
შაჰ-არმენ იბნ სუკმან აღ-ხოტბი
- 65
შაჰ-არმენ სიოკმენ იბნ იბრაჰიმი
- 69, 193-195
შაჰ-ბანუვარი - 57
შენგელია ნ. - 67
შოთა ძე ართავაჩოს ძისა - 99,
105

ჩ

ჩიტიშვილი ფ. - 6
ჩუბინ უცდომელი მსროლელი -
44
ჩხატარაიშვილი ქ. - 162, 208

ც

ცაგარეიშვილი ე. - 142, 203

ცვატა (ვახტანგი) - 12, 18-20,
208-209

ცინცაძე ი. - 176, 205
ციხიშვილი (ამირახორი) - 171

ჭ

ჭიაბერი - 105, 137-138, 150
ჭიმჭიმელი იოანე - 144

ხ

ხათუნი (ელიკუმ ლიპარიტის ძე
ორბელის ცოლი) - 115
ხაკანი (შირვანელი პოეტი) -
45-46, 85
ხარანგური (ამირა) - 199
ხოსრო ანუშირვანი (ირანის შაჰი)
- 84
ხულანი (გიორგი III-ის სიმამრი)

ჯ

ჯავახიშვილი ივ. - 5-6, 14, 16,
22, 34, 41-43, 47, 57, 62,
64-65, 118, 126, 128, 142,
159, 164, 168, 177, 188, 197,
201-202, 204-206
ჯანაშია ს. - 5
ჯაფარიძე გ. - 5, 80
ჯაყელი მემნა - 99

კ

კამდალლაჰ ყაზვინი - 62
კასან კაენელი - 99

ს

- ავარაკი - 96, 100-104
 ავარის ჭარა - 154
 აღარბაღვანი - 11, 59, 197
 აზერბაიჯანი - 32, 154, 165, 167, 189, 195, 197
 ათენი - 54
 აკ-შაჰრი (ახალქალაქი) - 80
 ალ-ჯაბალი - 65
 ალბანეთი - 198
 ალინჯა - 115
 ამიერკავკასია - 76, 84, 86, 130, 159, 195
 ანისი - 11, 44, 47-58, 62, 64, 78, 80-81, 87-88, 144, 159, 162-164, 167, 179-180, 194
 არანი - 52, 59-60, 62, 67, 189, 191, 197, 198
 არზრუმი - 10, 26, 49, 59, 178-180, 181-184
 არტაანი - 80, 112
 არშარუნი - 24
 არჭეში - 49, 160
 ასტრახანი - 170
 აფხაზეთი - 205
 აღმოსავლეთი საქართველო - 53
 აშორნია - 50

ბ

- ბათუმი - 210
 ბაილაქანი - 68, 76, 189-190, 197, 200
 ბარდავი - 165, 182
 ბასიანი - 87, 166
 ბეთანია - 43
 ბიზანტია - 10, 83

გ

- გავი - 61-62, 75, 162
 გალიცია - 170
 განჯა (განძაკი) - 68, 76, 87, 143, 189-190, 192, 197-200
 გარმინი - 53
 გეგუთი - 127
 გელათი - 33
 გელაქუნი - 63, 80, 165
 გორალუქი - 165
 გურია - 156

დ

- დავით-გარეჯის უღაბნო - 13, 22, 24, 29, 36
 დარბაზი - 99-100
 დარუბანდი - 9, 11, 19, 22, 36, 82-86
 დარუბანდის ზღვა - 19
 დვალეთი - 103
 დვინი - 57-59, 65, 67, 69, 74, 88, 144, 160, 188, 194
 დიარ-ბაქრი - 53, 80
 დიარ-რაბია - 180
 დიარბაგი - 52, 56
 დიდგორი - 85, 208
 დიდუბე - 153
 დმანისი - 62, 64, 66, 80

ე

- ეკელეცი - 60
 ერანი (ირანი) - 115
 ერაყი - 68, 70, 189-191

ერაყი და დასავლეთი ირანი - 8,
59, 143, 189, 191, 196, 199

3

ვარძია - 43, 125

ზ

ზემო ტაბახმელა - 100

ზორაკერტი - 162

თ

თბილისი - 6, 10-11, 25, 29,
36, 55, 59, 68, 83, 100, 102-
103, 107, 128, 138, 140, 153-
154, 160, 164, 168, 172, 176,
179, 190, 198, 201, 208,
209

თეოდუპოლისი (კარნუ-ქალაქი) -
25

თიღვა - 10

თმოგვი - 117, 138, 142, 162

თორი - 162

თრიალეთი - 80

ო

იერუსალიმი - 19, 209

ისანი - 10, 28

ისპაჰანი - 65

პ

პაიანი - 105

პამბუჩოვანი - 162

პარნუ-ქალაქი - 10, 184

კასპიის ზღვისპირეთი - 79
კალზევანი - 49-50, 188
კახეთ-ჰერეთი - 179
კახეთი - 127, 171
კიევი - 8
კილიკია - 160
კლარჯეთი - 81
კლდეკარი - 96, 118
კოჯორი - 100

ლ

ლიხთ-იმერეთი - 79
ლორე - 26, 62, 64, 66, 96,
104, 107-108, 117, 138, 163-
164
ლორე-ტაშირის სამეფო - 26
ლორეს ციხე - 104, 107-108,
113

მ

მანასკერტი - 49
მასკატის ოლქი - 84
მაცხვარიში - 43
მაწნაბერდი - 26
მაჰკაბერდი - 104
მესოპოტამია - 53
მტკვარი - 79
მუსკურის ქვეყანა - 83, 85
მცხეთა - 96

ნ

ნადარბაზევი - 100
ნაჭარმაგევი - 53, 122, 154
ნახიჩევანი (ნახჭევანი) - 68, 80,
115
ნიკოპსია - 11, 19, 38

ო

ორბეთი - 115, 118
 ოსეთი (ოვსეთი) - 9-11, 19, 38,
 153, 171

პ

პონტოს ზღვა - 79

რ

რეი - 115
 რუსეთი - 205
 რუსთა სამეფო - 152

ს

სამურის ხეობა - 84
 სამშვილდე - 26, 128, 150
 სამშვილდის ციხე - 104
 საქართველო - 4-8, 10-38, 41-
 42, 47-53, 57-70, 74, 76-77,
 79, 81, 83, 85, 87, 89-94,
 112, 115-116, 118, 121-125,
 129, 137, 144 და შემდეგ.
 სახატე - 43, 99, 101-102, 117,
 138, 140
 სირია - 53, 180
 სომხეთი - 10, 27, 32, 47, 49-
 51, 58, 115, 138, 159-162,
 168-170, 176
 სომხითი - 59-60, 163
 სომხითის მთა - 104
 სპარსეთი - 84
 სპერი - 11, 38
 სტავირი - 127

ტ

ტაბახმელა - 100
 ტაუეში - 26
 ტაშირ-ზორაკერტი - 167
 ტაშირი - 162
 ტრაპიზონი - 181
 ფარისოსი - 198
 ფხოტრერი - 177, 184-185, 187

ქ

ქართლი - 90, 108-109, 116,
 171, 179, 207
 ქართლის მხარე - 103
 ქვემო ქართლი - 26
 ქცია - 71

ყ

ყაზვინი - 115
 ყივჩაყეთი - 152, 206
 ყირიმი - 170

შ

შაბურანი (მხარე) - 86
 შაბურანი (ქალაქი) - 83-85
 შავნაბადა - 100
 შავშეთ-სპერი - 162
 შავშეთი - 81
 შამი - 52, 56, 59
 შამქორი - 165
 შარაბანი - 83-85
 შირაკის სამეფო - 26, 159
 შირაქის მხარე - 80
 შირვანი - 10-11, 47, 60, 81-83

ჩ

ჩრდილოეთ კავკასია - 83

ჭ

ჭაპუკი - 115

ხ

ხაჩენი - 198

ხლათი - 49, 79-80, 160

ხორასანი - 50, 59

ჯ

ჯავახეთი - 80

ჯაზირი - 52, 56, 59

ჯენის ქვეყანა - 108

კ

კამადანი - 60, 80, 191

კამიანი - 115

კერეთი - 105, 162

*გ) ეთნიკური სახელები***ს**

საბაზები - 62, 74, 82

საზერბაიჯანელები - 172-173

არაბი, არაბები - 55, 58

არზრუმელები - 183

ბ

ბერძნები - 54

ბიზანტიელები - 159

ღ

ღარუბანდელები - 82

ქ

ქბრაელები - 54

კ

კახელები - 99

კლარჯები - 79

ლ

ლეკები - 99, 105

ლიხთ-იმერლები - 79

ა

მესხები - 79, 99, 105

ბ

ოსები - 172, 209

გ

რუსი - 153, 208

დ

სომეხი, სომხები - 4, 25-26,
49, 163, 167, 169, 170, 173-
179

სომხითარები - 105

ე

ტაოელები - 79
ტაშირელები - 99

ვ

ქართველი, ქართველები - 3-4,
10, 13, 25, 28, 32, 39-40,
44, 49, 52-53, 55-77, 109,
144-153, 179-203, 210

ქართლები - 79, 105, 207

ქვემო ქართლები - 79

ქისტები - 99

ჟ

ვიჯაყი, ვიჯაყები - 3, 17, 19,
103, 138, 141, 171, 201-202,
204, 210

ზ

შავშელები - 79

ჩ

ჩენები - 105

ც

ხვარასნელები - 144
ხლათელები - 195

ძ

ჯავახები - 99

წ

პერ-კახელები - 79
პერები - 105

შესავალი	3
პირველი გამომცემის წინასიტყვაობა	4
გიორგი მესამის ოჯახური გარემო	7
✓გიორგი – ბედის მთრგუნველი	13
„ესე უცხო იყო შესაძლებლად კაცობრივისა ძალისად“	43
✓დავითის აჩრდილი	87
✓შიებ მახვილი, დემნა!	94
✓მიზანს აცდენილი ღარტყმა	101
✓ალყა	107
✓სისხლიანი განაჩენი	114
დალოცეს და შეფუდ დასვეს	120
ძრწოდეთ ავაზაკებო!	125
უკანასკნელი ბრძოლა	127
ბოლოსიტყვა	129
დამოწმებული ლიტერატურა	132
დანართები:	
I დანართი. აფრიღონ მსახურთ-უხუცესის სოციალური წარმოშობისა და აღზევების მიზეზების შესახებ	137
II დანართი. თამარის მამიდა რუსუდანი	143
III დანართი. ისტორიული რომანი და ისტორია (ი. ვერმიშევის რომანის „ამირსპასალარის“ გამო)	157
IV დანართი. რუსუდანი – თამარის და	177
V დანართი. გიორგი III-ის წერილი ათაბაგ ილ-დევგიზისადმი	188
VI დანართი. მართლა გაითქვიფნენ ყივჩაყები ქართველებში	201
საძიებლები:	
ა) პირთა სახელები	211
ბ) გეოგრაფიული სახელები	217
გ) ეთნიკური სახელები	220

СТЕПНАДЗЕ ДЖЕМАЛ КОНСТАНТИНОВИЧ

Царь-Царей

Георгий III

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
1999

K 232 952
3

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,75
ფორმატი 60x84 ¹/₁₆

ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო